

ინგლისურიდან რუსულად გადმოაკეთა
ბორის ზახოდერმა

რუსულიდან თარგმნა
ლილი გოგოხიამ

პ ა მ ე ლ ა ტ რ ა ვ ე რ ს ი

მ ე რ ი პ ო პ ი ნ ს ი

პირველი თავი

აღმოსავლეთის ქარი

თუ გინდა ალუბლის შესახვევს მიაგნო, ადექი და გზაჯვარედინზე რომ პოლისმენი დგას, იმას ჰკითხე. ის ჩაჩქანს შეისწორებს, კეფას მოიქე-ქავს, ბოლოს კი თეთრთათმანიან ხელს გაიშვერს და თითით მიგანიშნებს:

– **ჯერ მარჯვნივ წადი, მერე მარცხნივ, მერე ალუბლის ქუჩის მარ-
ჯვნივ და იქა ხარ! კეთილ მგზავრობას გისურვებ!**

და შენც გჯეროდეს, თუ არაფერი აგერია, შუა ალუბლის შესახვევში მოხვდები, სადაც ერთ მხარეს სახლებია, მეორე მხარეს პარკია, შუაში კი ალუბლის ხეები ჩამწკრივებულია, თითქოს ფერხული ჩაუბამთო.

თუ ჩვიდმეტ წომერ სახლს ეძებ, შენ კი ნამდვილად მას ეძებ, რადგან ეს წიგნი იმ სახლზეა დაწერილი, მაშინვე მიაგნებ. ჯერ ერთი, მთელ შესახვევში ყველაზე პატარა სახლია. მერე, ერთადერთია მთლად ფერგადასული და შესადები. სახლის ამჟამინდელმა პატრონმა მისტერ ბენქსმა თავის მეუღლეს მისის ბენქსს გამოუცხადა:

– ძვირფასო, აირჩიე, რომელი გინდა: კოხტა ახალი სახლი, თუ ოთხი შვილი. სახლსაც მივხედო და შვილებსაც, ამდენი შეძლება მე არა მაქვს.

მისის ბენქსი კარგად დაუფიქრდა მეუღლის ნათქვამს და გადაწყვიტა, ჯობს, ოთხი შვილი მყავდესო, და ეყოლა: უფროსი ჯეინი, მომდევნო მაიკლი და უმცროსები, ტყუპები: ჯონი და ბარბარა.

აი, ასე გადაწყდა ყველაფერი და ბენქსების ოჯახი ალუბლის შესახვევის ჩვიდმეტ წომერში დასახლდა. მათთან ერთად დაბინავდნენ მისის ბრილი და ელინი. ერთი საჭმელს ამზადებდა, მეორე სუფრაზე მართმევდათ ხოლმე. ჰყავდათ კიდევ რობერტსონ ეი. ის ბაღს უვლიდა, დანებს ლესავდა, ფეხსაცმელებს წმენდდა და კიდევ, როგორც მისტერ ბენქსი ხშირ-ხშირად ამბობდა, «ტყუილად ფლანგავდა თავის დროსა და მისტერ ბენქსის ფულს».

და, რა თქმა უნდა, იქ იყო კიდევ გადია ქეთი. სადაც სამართალია, ის არაა ამ წიგნში მოსახსენებელი, რადგან იმ დროს, როცა ჩვენი მოთხრობა დაიწყო, ქეთი წავიდა ჩვიდმეტი ნომერი სახლიდან.

– არც გამარჯობა გვითხრა, არც ნახვამდის! არც გაგვაფრთხილა, არც დაგვემშვიდობა. ახლა რა ვქნა? – ჩიოდა მისის ბენქსი.

– გაზეთში გამოვაცხადოთ, ძვირფასო! თუმცა წინააღმდეგი არა ვარ, რობერტსონ ეიც წავიდოდეს. შეხედე, ცალი ფეხსაცმელი გაუწმენდია, ცალზე ხელიც არ უხლია. რას იფიქრებს ხალხი ჩემზე, არ იტყვიან, ცალმხრივი კაციაო. – უთხრა მისტერ ბენქსმა მეუღლეს და ფეხსაცმელი ჩაიცვა.

– ეგ არაფერია, – დაამშვიდა მისის ბენქსმა, – შენ ის მითხარი, გადია ქეთის რა ვუყო?

– აქ აღარ არის და რას უზამ? შენს ადგილას მე «დილის გაზეთში» ასეთ განცხადებას გამოვაქვეყნებდი:

«ჯეინ და მაიკლ, ჯონ და ბარბარა ბენქსებს (მათ დედაზე რომ არაფერი ვთქვათ) სასწრაფოდ სჭირდებათ ყვლაზე კარგი გადია, რომელიც ყველაზე მცირე ხელფასს დასჯერდება!»

მერე დავჯდებოდი და დაველოდებოდი, ჩვენს ჭიშკართან როგორ მოგროვდებოდნენ ქვეყნის გადიები. რიგი რომ გაიმართებოდა, ძალიან გავბრაზდებოდი, რადგან ქუჩაში მოძრაობა შეფერხდებოდა და იძულებული ვიქნებოდი, პოლისმენისათვის შილინგი მიმეცა. ახლა არა მცალია, უნდა გავიქცე. უუფ, როგორ ცივა! ჩრდილოეთ პოლუსი გეგონება! საიდან ქრის ქარი? – თქვა მისტერ ბენქსმა, თავი გაყო ფანჯარაში და ადმირალ ბუმის სახლისაკენ გაიხედა. ადმირალის სახლი კუთხეში იდგა. ეს იყო ყველაზე დიდი სახლი იმ არემარეში. შესახვევის მცხოვრებლები თავს იმითაც იწონებდნენ, სახლი ხომალდს ჰგავსო. ბაღში აღმართული ანძაც კი იდგა, ხოლო სახურავს ჭოგრის ფორმის მოვარაყებელი ფლოუგერი ამშვენებდა.

– ჰოო! – საჩქაროდ შემოყო თავი მისტერ ბენქსმა, – ადმირალის ტელესკოპი ამბობს, აღმოსავლეთის ქარიაო. მეც ასე ვფიქრობდი. ძვლებმა ტეხა დამიწყო, კაცმა პალტოზე პალტო უნდა ჩაიცვას.

მერე უგულისყუროდ აკოცა ცოლს ცხვირზე, ბავშვებს ხელი დაუქნია და სიტიში გაემართა.

სიტი ისეთი ადგილი იყო, სადაც მისტერ ბენქსი ყოველდღე დადიოდა, რა თქმა უნდა, გარდა კვირადღისა და დღესასწაულებისა. იქ დილიდან დაღამებამდე იჯდა დიდ მაგიდასთან დიდ სავარძელში და მუშაობდა, ანუ, როგორც ინგლისში ამბობენ, ფულს აკეთებდა. ბავშვები დარწმუნებული იყვნენ, მამა მთელი დღე განუწყვეტლივ შრომობს, ჭრის შილინგებს, პენსებს, ტვიფრავს ნახევარკრონებს და სამპენსიანებს, სადამოობით კი შავი ჩანთით შინ მოაქვსო. მამა ზოგჯერ ჯეინსა და მაიკლს აძლევდა ხურდა ფულს ყულაბაში ჩასაყრელად, თუ ვერ მისცემდა, ეტყოდა ხოლმე, «ბანკი გაკოტრდაო», და ბავშვებიც, რას იზამდნენ, ფიქრობდნენ, ალბათ მამამ დღეს ძალიან ცოტა ფული მოჭრაო.

აი, ახლაც მისტერ ბენქსმა აიღო თავისი შავი ჩანთა და წავიდა. მისის ბენქსი დაჯდა სასტუმრო ოთახში და მთელი დღე წერდა განცხადებებს გა-

ზეთებისათვის გასაგზავნად. თხოულობდა, სასწრაფოდ გამოეგზავნათ რამდენიმე გადია. ჯეინი და მაიკლი ისხდნენ ზევით, ბავშვების ოთახში, იყურებოდნენ ფანჯრიდან და საგონებელს მისცემოდნენ, ვის გამოგვიგზავნიანო. ძალიან უხაროდათ, გადია ქეთი რომ წავიდა. მაინცდამაინც არ უყვარდათ და ამიტომ. გადია ქეთი მოხუცი იყო და მსუქანი, თანაც სულ წამლების სუნი უდიოდა. ბავშვები ფიქრობდნენ, ვინც არ უნდა მოვიდეს, ქეთის მაინც აჯობებს, შეიძლება გაცილებით უკეთესიც იყოსო.

მზე რომ თვალს ეფარებოდა, ბავშვებთან მისის ბრილი და ელინი შემოვიდნენ. უფროსები ავახშმეს, ტყუპები დაბანეს. ვახშმის შემდეგ ჯეინი და მაიკლი ისევ ფანჯარას მიუსკუპდნენ. მამას ელოდნენ და ყურს უგდებდნენ, აღმოსავლეთის ქარი როგორი სტვენით არხევდა ფოთოლშემოდარცვულ ალუბლის ხეებს. ხეები აქეთ-იქით ეხეთქებოდნენ, გეგონებოდათ, გადაირივნენ და მიწიდან ფესვების ამოყრას ლამობენო.

– მოდის! _ წამოიძახა უცებ მაიკლმა და ჯეინი ჭიშკრისკენ გაახედა. ჭიშკართან ვიღაცის შავი სილუეტი გამოჩნდა. ჯეინმა სიბნელეს თვალი გააჩვია და...

– მამა არ არის, ვიღაც სხვაა.

ქარი არხევდა და აბარბაცებდა სილუეტს, მაგრამ მან მაინც მოახერხა კარის გაღება და ბავშვებმა დაინახეს ქალი. იგი ცალი ხელით ქუდს იმაგრებდა თავზე, მეორეთი დიდ ჩანთას მოათრევდა. უცებ _ მაიკლმა და ჯეინმა თვალებს არ დაუჯერეს, _ ქალმა ბაღში ფეხი შემოდგა თუ არა, ჰაერში აფარფატდა და სახლისაკენ გამოფრინდა! ეტყობოდა, ქარმა მოიყვანა ჭიშკრამდე. მოუცადა, სანამ ქალი კარს გააღებდა, და მერე პირდაპირ სადარბაზოს მოაყენა. მთელი სახლი შეზანზარდა, როცა ქალი მიწაზე დაეშვა!...

– აი, ეს მესმის! _ აღტაცება ვერ დაფარა მაიკლმა.

– წამო, ვნახოთ, ვინაა! _ თქვა ჯეინმა, მაიკლს ხელი ჩაავლო და ბავშვების ოთახი გამოატარა. მალე ორივემ კიბის თავზე ამოყო თავი. ეს მათი საყვარელი სათვალთვალო ადგილი იყო. აქედან მშვენივრად ჩანდა, რა ხდებოდა შემოსასვლელში: დედა სასტუმრო ოთახიდან გამოვიდა, უცნობი უკან მოჰყვებოდა, სწორი, პრიალა შავი თმა ჰქონდა. «ხის თოჯინასავითა აქვს», _ წაიჩურჩულა ჯეინმა. თხელი ქალი იყო, ხელ-ფეხი დიდი უჩანდა, გამჭოლი ცისფერი თვალები კი საკმაოდ წვრილი.

– თქვენ თვითონ ნახავთ, როგორი დამჯერი ბავშვები არიან, _ ეუბნებოდა მისის ბენქსი.

მაიკლმა იდაყვი გაჰკრა ჯეინს.

– არ შეგაწუხებენ, _ განაგრძობდა მისის ბენქსი გაუბედავად, რადგან თვითონაც არა სჯეროდა, რასაც ამბობდა. ბავშვებს მოეჩვენათ, რომ სტუმარმა ჩაიფრუტუნა, თითქოს ისიც შეეჭვდა.

– რეკომენდაციები გექნებათ! _ ისევ განაგრძობდა საუბარს მისის ბენქსი.

– წესადა მაქვს, არავითარი რეკომენდაცია არა მქონდეს, _ შეაწყვეტინა უცნობმა.

მისის ბენქსი გახედა.

_ მე მგონია, ეს მიღებულია, მე მხედველობაში მაქვს... მე მინდა გითხრათ,... ყველანი ასე შვრებიან.

_ ჩემი აზრით, მეტისმეტად ძველებური ჩვეულებაა! _ მკაცრად გაეპასუხა უცნობი. _ მეტისმეტად დრომოჭმული და არათანამედროვე!

მართალი გითხრათ, მისის ბენქსს ამქვეყნად ყველაზე მეტად იმის ეშინოდა, ძველი მოდის მიმდევარი არ ჰგონებოდათ. ძალიან ეშინოდა. ამიტომ სასწრაფოდ შეაგება:

_ მაშ კარგი. ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. მე უბრალოდ გკითხეთ, იმ შემთხვევაში თუ... მმმ, თუ თქვენ თვითონ მოგესურვებოდათ. ბავშვების ოთახი ზემოთაა.

დედას ლაპარაკი არ შეუწყვეტია, ისე განაგრძო გზა. ამიტომ ვერ შეამჩნია, რა ხდებოდა მის ზურგს უკან. სამაგიეროდ, ჯეინი და მაიკლი მშვენივრად ხედავდნენ, რა უცნაურად იქცეოდა სტუმარი.

ის კვალდაკვალ მიჰყვა მისის ბენქსს, მაგრამ არ იკითხავთ, როგორ?! თავისი დიდი ჩანთა ხელიდან არც კი გაუშვია, ისე შეასკუპდა მოაჯირს... და მშვიდად ასრიალდა ზემოთ!

ჯეინმა და მაიკლმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ამას ვერავინ მოახერხებდა. ქვევით, კი ბატონო, თვითონაც რამდენჯერ ჩასრიალებულან. მაგრამ ზემოთ ასვლა?! ასეთი რამ არავის მოლანდებია!

განცვიფრებული ბავშვები სტუმარს მიაშტერდნენ...

_ მაშ, ყველაფერი რიგზეა, _ შვებით ამოისუნთქა დედამ.

_ თითქმის. თუ, რა თქმა უნდა, ჩემთვის ხელსაყრელი იქნება, _ უპასუხა უცნობმა და წითლად დაწინწკლული დიდი ცხვირსახოციტ ცხვირი მოიხოცა.

_ ბავშვებო, თქვენ აქა ხართ? _ როგორც იქნა შეამჩნია ისინი მისის ბენქსმა. _ რას შვრებით? ეს თქვენი ახალი გადიაა, მერი პოპინსი. ჯეინ, მაიკლ, მიესალმეთ. აი, აქ კი, _ მიუთითა მან, _ საწოლებში ჩვენი ტყუპები წვანან.

მერი პოპინსი ყურადღებით ათვალიერებდა ბავშვებს რიგრიგობით, თითქოს წყვეტდა, მოსწონდა თუ არა.

_ მოგწონვართ? _ ჰკითხა მაიკლმა.

_ მაიკლ, წესიერად მოიქეცი! _ უთხრა დედამ.

მერი პოპინსი კვლავ მშვიდად, გამომცდელად ათვალიერებდა ბავშვებს. ბოლოს ხმამაღლა აქმუტუნდა, რაც, ეტყობა, იმას ნიშნავდა, რომ გადაწყვეტილება მიიღო, და თქვა:

_ თანახმა ვარ თქვენს წინადადებაზე.

«ყველაფერს გეფიცები, _ უყვებოდა მერე მისის ბენქსი თავის მეუღლეს, _ იფიქრებდი, დიდი წყალობა გაიღო!»

«რატომაც არა?» _ გამოეხმაურა მისტერ ბენქსი, წუთით ასწია ცხვირი გაზეთიდან და ისევ ჩარგო.

დედა რომ წავიდა, ჯეინი და მაიკლი მერი პოპინსს ამოუდგნენ გვერდით, ის კი იდგა სარგადაყლაპულივით და ხელები მუცელზე დაეწყო.

_ როგორ მოხვდით აქ? _ ჰკითხა ჯეინმა _ ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ქარმა მოგაქროლათ.

– ეგრეც იყო, – უპასუხა მერი პოპინსმა, შარფი მოიძრო, ქუდი მოიხადა და საწოლის თავზე ჩამოვიდა.

ჩანდა, მერი პოპინსს მეტი არაფერი წამოსცდებოდა და ჯეინი გაისუსა, მაგრამ მერი პოპინსი ჩანთის გასახსნელად რომ დაიხარა, მაიკლს მოთმინება აღარ ეყო.

– რა სასაცილო ჩანთაა! – თქვა და თითით მოსინჯა.

– ხალიჩაა! – უთხრა მერი პოპინსმა და გასაღები პატარა ბოქლომს მოარგო.

– შიგნითაა ხალიჩა?

– არა! გარედან!

– ჰო, გასაგებია! – მიუგო მაიკლმა, მაგრამ, მართალი რომ ვთქვათ, არაფერიც არ იყო გასაგები.

ამ დროს ხალიჩის ჩანთა გაიხსნა და მაიკლის და ჯეინის გასაოცრად ცარიელი აღმოჩნდა.

– ვაი, შიგ არაფერია! – თქვა ჯეინმა.

– რას ნიშნავს, არაფერია? – ისე ამოხედა მერი პოპინსმა, თითქოს შეურაცხყოფა მიაყენესო. – შენ თქვი, არაფერიაო?

ამ სიტყვებით სულ მთლად ცარიელი ჩანთიდან გახამებული თეთრი წინსაფარი ამოიღო და აიფარა. მერე ხელის საპონი, კბილის ჯაგრისი, თმის სარჭები, სუნამო, დასაკეცი სკამი და ხველის საწინააღმდეგო აბები ამოალაგა.

ჯეინმა და მაიკლმა თვალები დააჭყიტეს.

– მე თვითონ ვნახე... რომ შიგ არაფერი იყო! – წაიჩურჩულა მაიკლმა.

– ჩუუ! – ჩააჩუმა ჯეინმა.

მერი პოპინსმა ჩანთიდან ახლა დიდი ბოთლი ამოიღო. ბოთლის იარლიყზე ეწერა: «დალიეთ ძილის წინ ჩაის კოვზით!»

– ეს თქვენი წამალია? – ჰკითხა შემფოთებულმა მაიკლმა.

– არა, შენი, – მერი პოპინსმა კოვზი ცხვირთან მიუტანა.

მაიკლი გაოგნდა, მაგრამ მაინც იუარა შუბლშეჭმუნულმა:

– არ მინდა! არ მჭირდება, არ დავლევ!

მერი პოპინსმა თვალი თვალში გაუყარა და უცებ ყმაწვილმა იგრძნო: შეუძლებელი იყო, შეეხედა მერი პოპინსისათვის და არ დაეჯერებინა. მასში იმალებოდა რაღაც უცნაური და არაჩვეულებრივი, რაც შიშსაც ჰკვრიდა და სიამესაც!

წამლიანი კოვზი უახლოვდებოდა მაიკლს. მან ღრმად ამოისუნთქა, თვალები დახუჭა და წამალი გადაყლაპა.

სახეზე ნათელი გადაეფინა. რა გემრიელია! წამალი დალია და ტუჩები ენით მოილოკა.

– ხენდროს ნაყენია! – თქვა აღტაცებულმა. – აი, ეს მესმის! კიდევ მინდა, კიდევ!

მაგრამ მერი პოპინსი ისეთივე მკაცრი სახით ახლა ჯეინს უსხამდა თავის ულუფას. მოვერცხლისფრო, მოყვითალო-მომწვანო სითხით გაუვსო კოვზი. ჯეინს მოეწონა წამალი.

– დაშაქრული ლიმონის წვენია, – თქვა და მანაც ტუჩები მოილოკა. მაგრამ, რომ ნახა, მერი პოპინსი ბოთლიანად ტყუპებისაკენ გაემართა, შეეცადა, შეეჩერებინა: – არ უნდათ! ჩვილები არიან! აწყენთ!

მერი პოპინსი არ შეყოვნებულა. ჯეინს ერთი მრისხანედ მოხედა და კოვზი ჯონს მიუტანა ტუჩებთან.

ჯონმა ხარბად გადაყლაპა სასმელი, მაგრამ რამდენიმე წვეთი გულსაფარზე ჩამოეწინწკლა, და ბავშვებმაც დაინახეს, რომ მისთვის მერი პოპინსს რძე მიეწოდებინა. ბარბარამაც მიირთვა თავისი ულუფა, ტუჩები ააცმაცუნა და კოვზი ორჯერ მოლოკა.

ბოლოს მერი პოპინსმა თვითონაც დაისხა და დიდის ამბით დალია.

– რომიანი პუნშია, – თქვა და ენის წკლაპუნით ბოთლს საცობი დაუცო.

მაიკლსა და ჯეინს გაოცებისაგან კინაღამ თვალები გადმოსცვივდათ. მაგრამ დიდხანს გაოცება ვინ აცალათ, მერი პოპინსმა საოცარი ბოთლი თაროზე შემოდგა თუ არა, მათ მიუბრუნდა:

– ახლა კი დაწექით!

მერი პოპინსი ბავშვებს ტანსაცმლის გახდაში მიეშველა. იგი ერთს შეხედავდა და მორჩა: დუგმები და ღილები თავისთავად იხსნებოდა.

საწყალი გადია ქეთი, რამდენს წვალობდა! წუთი და ბავშვები ლოგინში იწვნენ. გაყუჩებულები, ღამის ნათურის მქრქალ შუქზე თვალს ადევნებდნენ, მერი პოპინსი როგორ ალაგებდა თავის ნივთებს.

ხალიჩის ჩანთიდან ამოალაგა:

სამი ფლანელის ღამის პერანგი.

სამი ტილოსი.

წყვილი ფეხსაცმელი.

დომინო,

ორი საბანაო ქუდი,

ღია ბარათების ალბომი და

თუთიყუშისთავა სახელურიანი ქოლგა.

ბოლოს ჩანთიდან დასაკეცი საწოლი ამოაძვრინა თავისი ლოგინით, რომელსაც არც ბუმბულის საბანი და თხელი გადასაფარებელი აკლდა. საწოლი ჯონისა და ბარბარას საწოლებს შუა ჩადგა. ჯეინი და მაიკლი საწოლებზე წამომსხდარიყვნენ, მუხლებზე ხელები შემოეხვიათ და თვალებს აცეცებდნენ, გაოცებისაგან ხმას ვერ იღებდნენ. რა თქმა უნდა, ორივეს ესმოდა, რომ ალუბლის შესახვევის ჩვიდმეტ ნომერ სახლში არნახული საოცრება ხდებოდა. მერი პოპინსმა თავზე ჩამოიცვა ფლანელის ღამის პერანგი, რომელიც კარავივით გაიშალა, და ტანსაცმლის გახდას შეუდგა. ამ დროს საოცრებით მოხიბლულმა მაიკლმა სიჩუმე დაარღვია:

– მერი პოპინს! – დაიყვირა მან. – ჩვენგან ხომ აღარ წახვალთ?

ფლანელის კარვიდან პასუხი არ გასცეს.

აღელვებულმა მაიკლმა მაინც ვერ მოითმინა და მერი პოპინსს გაუმეორა:

– ჩვენგან ხომ აღარ წახვალთ?

მერი პოპინსმა ღამის პერანგიდან თავი ამოყო. გაცეცხლებული ჩანდა.

– კიდევ ერთ სიტყვას გავიგონებ ამ რაიონიდან და პოლისმენს გამოვუძახებ! – დაემუქრა პატარებს.

– მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, – თავისას განაგრძობდა შეცბუნებული მაიკლი, – რომ იმედია ჩვენთან დიდხანს, დიდხანს დარჩებით...

მაიკლს ენა სულ დაემა და აჭარხლებული და დარცხვენილი ლოგინში ჩაძვრა.

მერი პოპინსმა მდუმარედ გადაიტანა მზერა მაიკლიდან ჯეინზე, მერე ისევ მაიკლზე. ბოლოს აგდებულად ჩაიფრუტუნა:

– დავრჩები, სანამ სხვა ქარი არ დაიქროლებს. – მოკლედ მოჭრა, სინათლე ჩააქრო და ლოგინში ჩაწვა.

– მაშინ ყველაფერი რიგზეა, – თქვა მაიკლმა ნახევრად თავისთვის, ნახევრად ჯეინის გასაგონად.

ჯეინი აღარ უსმენდა. ფიქრობდა ყველაფერზე, რაც მოხდა და იმაზეც, რაც კიდევ იყო მოსალოდნელი...

*

ასე დასახლდა მერი პოპინსი ალუბლის შესახვევის ჩვიდმეტ ნომერ სახლში. კი მოიგონებდნენ ხოლმე კანტიკუნტად გადია ქეთისდროინდელ ჩვეულებრივ და მშვიდ დღეებს, მაგრამ საერთოდ ყველას უხაროდა მერი პოპინსის გამოჩენა. მისტერ ბენქსს იმიტომ უხაროდა, რომ იგი თავისით მოვიდა, ქუჩაში მოძრაობა არ შეწყვეტილა და პოლისმენისათვის შილინგის მიცემა არ დასჭირვებია. მისის ბენქსს ის ახარებდა, რომ ახლა შეეძლო ყველასათვის ეამბნა, ჩემს ბავშვებს ისეთი თანამედროვე გადია ჰყავთ, რეკომენდაციას არც კი სცნობსო. მისის ბრილსა და ელინს სხვა რამე ახარებდათ – ახალი გადიის წყალობით, მთელი დღე შეეძლოთ ესვათ ჩაი სამზარეულოში, ვალდებულნი არ იყვნენ, სადილ-ვახშმის თადარიგი დაეჭირათ ბავშვების ოთახში. რობერტსონ ეის ის უხაროდა, რომ მერი პოპინსს ერთი წყვილი ფეხსაცმელი ჰქონდა და იმასაც თვითონ იწმენდდა...

მაგრამ არავინ იცოდა, რას ფიქრობდა თვითონ მერი პოპინსი – იგი არასდროს არავის არაფერს უამბობდა...

მეორე თავი

სიცილის ჭია

– აუცილებლად იქნება შინ? – იკითხა ჯეინმა, როცა სამივენი – თვითონ, მაიკლი და მერი პოპინსი – ავტობუსიდან ჩამოვიდნენ.

– შენი აზრით, ბიძაჩემი ჩაიზე მიგვიწვევდა, თუ თვითონ აპირებდა სადმე წასვლას? საინტერესოა! – თქვა ამ ვარაუდით აშკარად შეურაცხყოფილმა მერი პოპინსმა.

მერი პოპინსს ეცვა ვერცხლისფერდილებიანი ლურჯი პალტო, ეხურა ლურჯი ქუდი და იმ დღეებში, როცა ასე ეცვა, ძალიან ადვილად სწყინდა ყველაფერი.

სამივენი მერი პოპინსის ბიძასთან _ მისტერ პარიკთან მიდიოდნენ სტუმრად. ჯეინიცა და მაიკლიც ამ დღეს ისე დიდხანს ელოდნენ, გულში შიშშიც შეეპარათ, ვაითუ მისტერ პარიკი შინ არ დაგვხვდესო.

_ რატომ ეძახიან მისტერ პარიკს, პარიკით დადის? _ იკითხა მაიკლმა და ხტუნვა-ხტუნვით დაედევნა მერი პოპინსს.

_ მისტერ პარიკს იმიტომ ეძახიან, რომ მისი გვარია პარიკი. არავითარ პარიკს არ ატარებს, მელოტია, _ უთხრა მერი პოპინსმა. _ იცოდეთ, კიდევ ერთი შეკითხვა და შინ დავბრუნდებით.

მერი პოპინსმა ჩაიფრუტუნა. ყოველთვის ფრუტუნებდა, როცა ჯავრობდა.

ჯეინმა და მაიკლმა გულმოსულად გადახედეს ერთმანეთს. ეს გადახედვა ნიშნავდა:

«არ გაბედო, რაიმე შეეკითხო, თორემ მისტერ პარიკთან სტუმრობას ვეღარასოდეს ველირსებით!»

თამბაქოს მაღაზიასთან, კუთხეში მერი პოპინსმა ქუდი გაისწორა. არის ასეთი უცნაური ვიტრინები. თუ ჩაიხედავ, შენი თავი სამად მოგეჩვენება, თუ დიდხანს უყურებ, თავს ვეღარ იცნობ, ადამიანების მთელი ბრბო მოგელანდება. ამ მაღაზიაშიც ეგრე იყო. მერი პოპინსმა სიამოვნებით ამოიხვნეშა, ერთად რომ სამი მერი პოპინსი დაინახა, თითოეულს ვერცხლისდილებიანი ლურჯი პალტო ეცვა და შესაფერი ლურჯი ქუდი ეხურა. ეტყობა, მას მოსწონდა ეს სანახაობა და უარს არ იტყოდა, ერთად თორმეტი, თუნდაც ოცდაათი მერი პოპინსი გამოჩენილიყო. ფიქრობდა, რაც მეტია, მით უკეთესიო!

_ წავიდეთ, _ თქვა ბოლოს მკაცრად, თითქოს ყმაწვილებმა შეაყოვნესო.

მიუხვდეს კუთხეში და რობერტსონის ქუჩაზე, სამ ნომერ სახლში დარეკეს. ჯეინი და მაიკლი გულის ფანცქალით უგდებდნენ ყურს ზარის წკრიალს. ნუთუ ერთი წუთის, უკიდურეს შემთხვევაში, ორი წუთის შემდეგ ისინი დალევენ ჩაის მერი პოპინსის ბიძასთან _ მისტერ პარიკთან?

_ რა თქმა უნდა, თუ შინაა, _ უჩურჩულა ჯეინმა მაიკლს.

ამ დროს კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ტანხმელი ქალი.

_ შინაა? _ თავი ვერ შეიკავა მაიკლმა.

_ კეთილ ინებე და გაჩუმდი! უფროსებს აცალე ლაპარაკი! _ პირში ბურთი ჩასჩარა მერი პოპინსმა.

_ გამარჯობათ, მისის პარიკ! _ მიესალმა ჯეინი თავაზიანად.

_ ვინ არის მისის პარიკი? _ იკვილა ცივი ხმით ხმელ-ხმელმა ქალმა. _ როგორ ბედავთ, მისის პარიკი მიწოდოთ?! არ გამახარე! მე მის პერსიმონი ვარ და ვამაყობ ამით! მოიგონებ რა! მისის პარიკიო!

ეტყობა, ძალიან განაწყენდა. ბავშვებმა კი იფიქრეს, მისტერ პარიკი, ჩანს, მეტისმეტად უცნაური კაცია. აბა მის პერსიმონს რატომ უხარია, მისის პარიკი რომ არ არისო.

_ მეორე სართულზე პირველ კარზე დააკაკუნეთ, _ თქვა მის პერსიმონმა, დერეფანს გაუყვა და განაგრძო: _ მისის პარიკიო. ეგლა მაკლია სწორედ.

ჯეინი და მაიკლი მერი პოპინსს მიჰყვნენ კიბეზე. მერიმ პირველ კარზე დააკაკუნა.

– მობრძანდით! მობრძანდით! გთხოვთ, მობრძანდეთ! – გაისმა კარს იქით მხიარული შემახილი.

ჯეინს მღელვარებისაგან გული აუფანცქალდა. «შინაა!» – თვალეზით ახარა მაიკლს. მერი პოპინსმა კარი შეაღო და ბავშვებს ოთახში შეუძღვა. დიდ, ნათელ ოთახში აღმოჩნდნენ. ბუხარი მხიარულად გიზგიზებდა. ბუხრის წინ უშველებელი მაგიდა იდგა, ზედ ელაგა ოთხი ფინჯანი, სარძევეები, ქვეყნის ბუტერბროდები, ფუნთუშები, ნამცხვარი და დიდი, ვარდისფრად მორთული ნაღების ტორტი.

– ო, როგორ მიხარია, თქვენ რომ გხედავთ! – ბუხუნებდა ისევ იგივე ხმა. ჯეინი და მაიკლი აქეთ-იქით ეძებდნენ სახლის პატრონს, ის კი არსად ჩანდა. ოთახი ცარიელი იყო.

მერი პოპინსმა უკმაყოფილოდ თქვა:

– ძია ელბერტ, ნუთუ თქვენ ისევ? მგონი, დღეს თქვენი დაბადების დღე არ უნდა იყოს!

ამას რომ ამბობდა, ჭერს შესცქეროდა. ჯეინმა და მაიკლმაც ზევით აიხედეს და, ჰოი საოცრებავ, ჭერზე, ჰაერში, ეკიდა ჩამრგვალებულ-ჩასუქებული მელოტი კაცი. უფრო სწორად, თითქოს იჯდა ჰაერში და ფეხი ფეხზე გადაედო. ის იყო, ხელი უშვა გაზეთს, რომელსაც, ეტყობა, სტუმრების მოსვლამდე კითხულობდა.

– ჩემო ძვირფასო, – თქვა მისტერ პარიკმა, თან ბავშვებს ზემოდან გაუღიმა, მერი პოპინსს კი დამნაშავესავით შეხედა, – ძალიან ვწუხვარ, მაგრამ, წარმოიდგინე, დღეს ნამდვილად ჩემი დაბადების დღეა.

– ეჰ, ეჰ, ეჰ, – თავი გადააქნია მერი პოპინსმა.

– წუხელ გამახსენდა, უკვე გვიან იყო, ბარათი გამომეგზავნა და მეთხოვა, სხვა დროს მეწვიეთ-მეთქი. ძალიან უხერხულია, არა? – მან ეშმაკურად გადახედა ჯეინსა და მაიკლს და განაგრძო, – ვხედავ, რაღაც გიკვირთ.

მართლაც გაოცებისაგან ბავშვებს პირი ისე დაეღოთ, მისტერ პარიკი უფრო პატარა ტანისა რომ ყოფილიყო, გადაყლაპვა არ ასცდებოდა.

– ჯობს ყველაფერი ერთბაშად აგიხსნათ, – განაგრძო მისტერ პარიკმა მშვიდად. – იცოდეთ, მე მხიარული კაცი ვარ და მიყვარს სიცილი. თქვენ არც დაიჯერებთ, ამქვეყნად რამდენი რამ მეჩვენება სასაცილო. შემიძლია ვიცინო, რაზედაც გინდათ! ყველაფერს გეფიცებით.

და მისტერ პარიკმა ისე გულიანად გადაიხარხარა, რომ ჰაერში თახთახი დაიწყო.

– ძია ელბერტ! – დაუმახა მერი პოპინსმა. მისტერ პარიკი შეკრთა და სიცილს თავი გაანება.

– უჰ, მაპატიე, ძვირფასო! რაზე შევჩერდი? ოჰ, ხო, აი, ყველაზე სასაცილო ისაა... კარგი, კარგი, მერი, ვეცდები, არ ვიცინო... როცა ჩემი დაბადების დღე პარასკევს ემთხვევა, ისეთ გუნებაზე ვდგები, თითქოს ფრთები მესხმება, და მართლა მალლა ავფრინდები-ხოლმე!

– რატომ?.. – შეეკითხა მაიკლი.

– როგორ?.. – დაინტერესდა ჯეინი.

– როგორ და, გავიცინებ თუ არა, პირში სიცილის ჭია ჩამიძვრება, გამამხიარულებელი აირით ამავსებს და მიწაზე ვეღარ ვჭერდები. გაცინება კი არა, საკმარისია გავილიძო. გამახსენდება რამე სასაცილო და მაშინვე ავფრინდები საჰაერო ბუმტივით. მერე, სანამ რაიმე ძალიან საწუხარზე არ დაფიქრდები, ქვევით ვერ ვეშვები!

ეს რომ წარმოიდგინა, მისტერ პარიკი ისევ ახითხითდა, მაგრამ მერი პოპინსს შეხედა თუ არა, სიცილი შეიკავა და განაგრძო:

– გამოგიტყდებით, ეს არაა ჩვეულებრივი თვისება, მაგრამ ბედს არ ვემდური. თქვენ ალბათ არასოდეს დაგმართიათ ასეთი რამ.

ჯეინმა და მაიკლმა უარის ნიშნად თავი გაიქნიეს.

– ასეც ვიფიქრე. ეტყობა, მხოლოდ მე მაქვს ასეთი ჩვეულება. სასეიროა, არა? სწორედაც კარგია, მერისთან ერთად ასეთ დღეს რომ მესტუმრეთ! პარასკევია და თანაც დაბადების დღე! ოჰ, ღმერთო ჩემო, ნუ მაცილებთ, გვედრებით, ნუ მაცილებთ!

ჯეინი და მაიკლი სასაცილოს არაფერს სჩადიოდნენ, – მხოლოდ ეგ იყო, გოცებულები შესცქეროდნენ. ძია ელბერტი მაინც ხარხარებდა. ისე ქანაობდა და ბუქნავდა ჰაერში, რომ ყოველ წუთს შეიძლებოდა სათვალე დაეკარგა.

ისეთი სასაცილო იყო, როცა ყირამალა გადადიოდა და საჰაერო ბუმტივით ხან ჭერს ეხლებოდა, ხან აირმაშუქს, რომ ჯეინისა და მაიკლის თავდაჭერილობამ საზღვარი გადალახა, ყმაწვილები თავს ვერ მოერივნენ და ახარხარდნენ. და მერე როგორ!

ტუჩებმოკუმულები ძალიან ცდილობდნენ სიცილი შეეკავებინათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ და ჩაბჭირებულები იატაკზე გორავდნენ.

– ეს რა ამბავია? – შეწუხდა მერი პოპინსი. – ეს რა საქციელია?

– უჰ, აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია! – კვნესოდა მაიკლი. ის უკვე ბუხრამდე მიგორდა. – ოჰ, რა სასაცილოა! ჯეინ, რა სასაცილოა!

ჯეინმა პასუხი ვეღარც მოასწრო, უცნაური რამ დაემართა. უცებ იგრძნო, რომ სიცილისაგან თანდათანობით მსუბუქდებოდა, თითქოს ჰაერით ბერავდნენ. უცნაური იყო და სასიამოვნოც. სიცილმა სულ მთლად დარია ხელი. უცებ ჰოპ!.. მაგრამ ახტა და ჰაერში აფრინდა. გოცებისაგან ენაჩავარდნილი მაიკლი უყურებდა, როგორ დაფრინავდა ჯეინი... ის სულ მაღლა, მაღლა აფრინდა, ოდნავ თავი არტყა ჭერს და ძია ელბერტს მიუსკუპდა.

– უჰ, უჰ! – განცვიფრდა ძია ელბერტი. – ნუთუ დღეს შენი დაბადების დღეც არის?

ჯეინმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– არა? მაშინ, ესე იგი შენც სიცილის ჭია ჩაგიძვრა... ეე! ფრთხილად! ფაიფურია! ფაიფური!

ეს უკვე მაიკლს აფრთხილებდა ძია ელბერტი. ისიც აფრინდა, ჰაერმა აიტაცა სიცილისაგან გაბერილი. მარჯვედ აუარა გვერდი ბუხრის თავზე შემოდგმულ ფაიფურის სამშვენისებს და ძია ელბერტის მარჯვენა მუხლზე ჩამოსკუპდა.

– გამარჯობა! – უთხრა მისტერ პარიკმა და გულიანად ჩამოართვა ხელი. – ძალიან მასიამოვნე, ძალიან, გეფიცები! შენ იმიტომ ამოხვედი, რომ მე ჩამოსვლა არ შემეძლია, არა?

ძია ელბერტმა და მაიკლმა ერთმანეთს გადახედეს და ისე ახარხარდნენ, ცრემლები წამოსცვივდათ.

მისტერ პარიკმა ცრემლები ამოიშრალა და ჯეინს მიუბრუნდა:

– უზრდელად არ ჩამთვალო, მე ვზივარ, ასეთი ლამაზი ქალიშვილი ფეხზე დგახართ, მაგრამ, ვაი რომ, სკამს ვერ შემოგთავაზებთ. ჩემსავით ჰაერში უნდა ჩამოჯდეთ. ძალიან მოხერხებულია. დამიჯერეთ.

ჯეინმა სცადა და არცთუ უშედეგოდ. მშვენივრად დაჯდა, ქუდი მოიხადა და გვერდით დაიდო. ქუდი ჰაერში გაჩერდა.

– ძალიანაც კარგი! – თქვა ძია ელბერტმა, შემდეგ ქვევით ჩაიხედა და მერი პოპინსს გამოელაპარაკა:

– აბა, მერი, ჩვენ მოვეწყვეთ. შენ რას იზამ? ნუ იბღვირები, ძვირფასო. ვხედავ, არ მიწონებ... ჰმ... ამ ამბავს, მაგრამ პატიოსნებას გეფიცები, ძვირფასო, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, თუ სიცილის ჭია სხვასაც ჩაუძვრებოდა. პატიოსნებას გეფიცები, მერი! მიბრაზდები? არ გინდა! ძალიან მიხარია, რომ მოხვედი!

– აღმაშფოთებელია! – არ მოლბა მერი პოპინსი. – სად გაგონილა! მით უმეტეს, თქვენს ასაკში, ძია!

– მერი პოპინს, მერი პოპინს, ამოდით ჩვენთან, – ლაპარაკი არ აცალა მაიკლმა. – გაიფიქრეთ რაიმე სასაცილო და ადვილად ამოფრინდებით!

– მართლაცდა, ამოდი, მერი! – უთხრა მისტერ პარიკმა.

– უთქვენოდ მოგვწყინდა! – აჰყვა მათ ჯეინიც და მერი პოპინსს ხელი გაუწოდა. – იფიქრეთ რაიმე სასაცილოზე!

– ეჰ, ეგ რად უნდა! ამოფრინდეს ისე, რომ არ გაიცინოს, ეს მან მშვენივრად იცის!

ამას რომ ამბობდა, მერიმ და ელბერტმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს...

– კარგი, – დაეთანხმა მერი პოპინსი, – ყველაფერი ეს სისულელეა, უწესობაა, მაგრამ, რადგან ყველანი ზემოთა ხართ და ჩამოსვლას ვერ ახერხებთ, მეტი რა გზაა, უნდა ამოვიდე.

ამ სიტყვებზე, ჯეინისა და მაიკლის გასაოცრად, ხელები ჩამოუშვა, მერე გაუცინრად, ისე რომ ღიმიც არ გაჰკარებია სახეზე, ისარივით აფრინდა ჰაერში და ჯეინს მიუჯდა გვერდით.

– აბა, ერთი დაითვალე, რამდენჯერ გითხარი, თბილ ოთახში რომ შეხვალ, პალტო უნდა გაიხადო-მეთქი? – შეუწყრა ჯეინს, პალტო გახადა და ჰაერში ქუდის გვერდით ჩამოჰკიდა.

– კარგია, მერი, კარგი! – თბილად თქვა მისტერ პარიკმა. დაიხარა და სათვალე ბუხრის თავზე შემოდო, – ყველანი მოხერხებულად მოვკალათდით.

– მოხერხებულად! – აფრუტუნდა მერი პოპინსი.

– შეგვიძლია ჩაი დავლიოთ, – განაგრძობდა მისტერ პარიკი, ვითომ არც გაუგონია მერი პოპინსის შენიშვნა. უცებ სახეზე შიში გამოეხატა. –

ღმერთო ჩემო! _ თქვა მან. _ რა საშინელებაა! ახლადა მივხვდი: მაგიდა ძირს დგას, ჩვენ კი... რა ვქნათ?! ჩვენ ზევითა ვართ, ის ქვევით! ეს საშინელი ტრაგედიაა, უსაშინლესი! მაგრამ, ღმერთო, რა სასაცილოა! _ და სახეზე ცხვირ-სახოცაფარებული ახარხარდა.

მიუხედავად იმისა, ჯეინსა და მაიკლს შეიძლება ტორტი და ნამცხვარი ველარ ეგემნათ, მაინც ვერ მოითმინეს და გულიანად გაიცინეს: გადამდები სიცილი იცოდა მია ელბერტმა.

მისტერ პარიკმა თვალეები ამოიშრალა.

_ უბედურებიდან მხოლოდ ერთი რამ გვიხსნის, _ თქვა მან, _ დავდარდიანდეთ და ქვევით ჩავვშვებით. აბა, ერთი, ორი, სამი! რამე ძალიან, ძალიან სამწუხარო, აბა!

თავები ხელებზე ჩამოაყრდნეს და ჩაფიქრდნენ.

მაიკლი სკოლაზე ფიქრობდა. ფიქრობდა, როცა იქნება, მეც მომიწევს სკოლაში წასვლაო. მაგრამ დღეს ამაზე ფიქრი სულაც არ აშინებდა, პირიქით, ამხიარულებდა.

ჯეინი ფიქრობდა:

«გავა თოთხმეტი წელიწადი, მე გავიზრდები!» მაგრამ ეს სულაც არ იყო სამწუხარო. ის კი არა, ძალიან საინტერესოც იყო და სასიამოვნოც. არ შეეძლო, არ გაეღიმა, როცა წარმოიდგინა, როგორი იქნებოდა, გრძელ კაბას რომ ჩაიცვამდა და ხელში ჩანთას დაიჭერდა.

_ საწყალი ჩემი მოხუცი დეიდა ემილი, _ ხმამაღლა ფიქრობდა მია ელბერტი. _ ავტობუსის ქვეშ ჩავარდა, სამწუხაროა, ძალიან სამწუხარო, გულსა მწვავს საწყალი მოხუცი! ქოლგა კი მთელი გადარჩა! სასაცილოა, არა?

და თვითონ ვერც ამჩნევდა, ისე იფხრიწებოდა სიცილისაგან. ლამის დაიხრჩო, დეიდა ემილის ქოლგა რომ მოაგონდა.

_ არაფერი გამომდის, _ თქვა ბოლოს და ცხვირი მოიხოცა. _ გნებდებით. ეტყობა, არც ჩემს ახალ ნორჩ მეგობრებს შეუძლიათ დადარდიანება. მერი, ეგებ რამე იღონო. ძალიან გვინდა ჩაი!

დღემდე ვერ მიმხვდარან ჯეინი და მაიკლი, რა ქნა, როგორ მოაკვარახჭინა მერი პოპინსმა, მაგრამ ერთში კი ეჭვი არ ეპარებათ: ის იყო, მია ელბერტი მიუბრუნდა მერის, რომ მაგიდა აქანავდა, მერე ისე გადაიხარა, ფინჯნები და ლამბაქები აწკრიალდა, ნამცხვარი თეფშიდან გადასრიალდა და უცებ მაგიდამ ჰაერში შეინავარდა, ოთახს შემოუარა, ლამაზად მოუხვია და ისე გაჩერდა, რომ მისტერ პარიკი თამადის ადგილზე აღმოჩნდა!

_ ჭკუის კოლოფი ხარ! _ ამაყად გაუღიმა მია ელბერტმა მერის. _ ვიცოდი, რაღაცას მოიფიქრებდი! ახლა ეგებ გვიდიასახლისო და ჩაი დაგვისხა, მერი, ა? სტუმრებმა კი ჩემკენ მოიწიონ!

ბოლოს ყველანი შემოუსხდნენ ჰაერში გაშლილ გემრიელ სუფრას. მისტერ პარიკმა კმაყოფილებით ჩაიღიმა.

_ წესისა და რიგის მიხედვით, პირველად ბუტერბროდს უნდა შევექცეთ, მაგრამ რადგან ჩემი დაბადების დღეა, მოდით, წესს თავი ვანებოთ და ტორტით დავიწყოთ! _ თქვა მან და ყველას ჩამოურიგა ტორტის მოზრდილი ნაჭრები.

ცოტა ხანს სიჩუმემ დაისადგურა.

_ კიდევ დაგისხა ჩაი? _ ჰკითხა ჯეინს მისტერ პარიკმა.
სანამ ჯეინი ხმას ამოიღებდა, ვიღაცამ კარზე ბრახუნნი ატეხა.
_ მობრძანდით, _ დაუძახა პარიკმა.

კარი გაიღო და გამოჩნდა მის პერსიმონი, ხელში ლანგარი ეჭირა, ლანგარზე ჩაიდანი ედო.

_ მე ვიფიქრე, _ დაიწყო მან, თან ოთახს ათვალიერებდა, _ მე ვიფიქრე, ადუღებული წყალი კიდევ დასჭირდებათ-მეთქი. ღმერთო ჩემო, ჩემს სიცოცხლეში... არასოდეს... _ ენა დაება, _ ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი მინახავს! მისტერ პარიკ, მაპატიეთ, ყოველთვის ვიცოდი, უცნაური რომ იყავით! თვალებს ვხუჭავდი, რადგან ბინის ქირას წესიერად მიხდიდით. მაგრამ ასეთი საქციელი, _ ჩაი ჰაერში დალიო სტუმრებთან ერთად? _ შეძრწუნებული ვარ, სერ! ეს რას ჰგავს, დარბაისელი კაცი მგონიხართ, არასოდეს, არასოდეს...

_ მის პერსიმონ, უცებ რომ...

_ რა უცებ? _ გოროზად იკითხა მის პერსიმონმა.

_ უცებ თქვენც რომ გადაყლაპოთ სიცილის ჭია, როგორც ჩვენ გადაყლაპეთ? _ აუხსნა მაიკლმა.

_ იმედი მაქვს, ყმაწვილო, _ გამოეპასუხა ის, _ ჯერ არ დამვიწყებია, რა არის თავმოყვარეობა! არა, სერ, ჰაერში არ გამოვეკიდები საჰაერო ბუმბუტით! საკუთარ ფეხებზე უნდა ვიდგე, თუ არადა, ემი პერსიმონი აღარ ვყოფილვარ... ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ვაიმე დედა! რა არის ეს? ფეხს ვერ ვადგამ, ფეხს... მიშველეთ, მიშველეთ!

წარმოგიდგენიათ, რა მოხდა? მის პერსიმონის ფეხები მისდა უნებურად იატაკს მოსწყდა და მის პერსიმონი ჰაერში აბაჯბაჯდა, ბარბაც-ბარბაცით მოიტანა ლანგარი სუფრამდე, დადგა ჩაიდანი და საწყალი კინალამ ატირდა.

_ დიდად გმადლობთ, _ უთხრა მერი პოპინსმა მშვიდად და ძალიან თავაზიანად.

მის პერსიმონი შებრუნდა და ბარბაცით, ბუტბუტ-ბუტბუტით წაჩანჩალდა ძირს:

_ თავი მომეჭრა! ეს რა დამემართა ასეთ ზრდილ, დარბაისელ ქალს! ექიმს უნდა ვეჩვენო!

იატაკს დააკარა თუ არა ფეხი, თავპირისმტვრევით, უკანმოუხედავად გაიქცა ოთახიდან.

_ თავის მოჭრა და მეტი არაფერი! _ ისმოდა მისი კვნესა გარედან.

_ ესე იგი, ის უკვე ემი პერსიმონი აღარაა, ფეხებმა უმტყუნა! _ უჩურჩულა ჯეინმა მაიკლს.

მისტერ პარიკი მერი პოპინსს უცნაურად შესცქეროდა: თითქოს კიდეც საყვედურობდა და კიდეც უწონებდა საქციელს.

_ მერი, მერი, ეს რატომ ჰქენი? პატიოსნებას გეფიცები, არ იყო საჭირო! საწყალი ქალი. ძალიან იდარდებს! ღმერთო ჩემო, რა სასაცილო სახე ჰქონდა, ჰაერში რომ დაბაჯბაჯებდა! ღმერთო დიდებულო!

სამივე _ დარბაისელი მოხუცი, ჯეინი და მაიკლი, _ ისევ ჩაბჟირდნენ სიცილისაგან. ფერდები ასკდებოდათ, სულს ძლივს ითქვამდნენ, როცა ახსენდებოდათ, რა სასაცილოდ გამოიყურებოდა მის პერსიმონი.

_ ვაი, დედა! _ ყვიროდა მაიკლი. _ მეტს ნულარ მაცინებთ! აღარ შემძილია! გავსკდები!

_ ოჰ, ოჰ, ოჰ! _ სიცილით იგუდებოდა ჯეინი.

_ ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო მოწყალო! _ კვენესოდა მისტერ პარიკი და ცრემლებს პიჯაკის კალთით იმშრალეზდა, ცხვირსახოცის ამოღების ღონეც არა ჰქონდა.

_ შინ წასვლის დროა.

მერი პოპინსის ხმამ, თითქოს საყვირიაო, ჩაახშო საერთო ხარხარი. იმავე წამს ჯეინიც, მაიკლიცა და მისტერ პარიკიც მოულოდნელად ზეციდან მიწაზე დაბრუნდნენ. მოკლედ, სამივემ იატაკზე მოადინა ზღართანი. შინ წასვლის დროაო, რომ გაიფიქრეს, ეს კი მართლა ეწყინათ. ეწყინათ და სიცილის ჭიაც გაქრა...

ჯეინსა და მაიკლს შემურდათ მერი პოპინსისა. იგი ნელა ეშვებოდა ძირს, ხელში კი ჯეინის პალტო და ქუდი ეჭირა. მისტერ პარიკმაც ამოიხვნეშა. ამოიხვნეშა მძიმედ, ნაღვლიანად.

_ რა სამწუხაროა! _ დასევდიანდა იგი. _ ძალიან სამწუხაროა, შინ რომ მიდიხართ. არასოდეს ასე არ მიმხიარულია. თქვენ?

_ არც ჩვენ, _ უხალისოდ მიუგო მაიკლმა. მას გული სწყდებოდა. სწორედ უცნაური იყო _ ისევ მიწაზე იდგა, ჯადოსნური სიცილის ჭია კი უკვალოდ გამქრალიყო.

_ არც ჩვენ, არც ჩვენ! _ ექოსავით გაიმეორა ჯეინმა და ფეხის წვერებზე აიწია, რომ შემწვარი ვაშლის კანივით დამჭკნარ მისტერ პარიკის ლოყას საკოცნელად მისწვდენოდა.

*

შინ ავტოზუსით ბრუნდებოდნენ. მერი პოპინსი შუაში დამჯდარიყო და ბავშვები აქეთ-იქით შემოესხა. ორივენი ჩუმად, თავთავიანთთვის ფიქრობდნენ, საოცარ დღეს იგონებდნენ. მაიკლმა იკითხა:

_ ბიძათქვენი ხშირადაა ასე?

_ რას ნიშნავს «ასე?» _ გაბრაზდა მერი პოპინსი.

_ ხშირად დაფრინავს ჰაერში? _ დაუზუსტა მაიკლმა.

_ დაფრინავს? _ მერი პოპინსმა ხმას აუწია. _ დაფრინავს? კეთილი ინებე და გამაგებინე, რა გინდა ამით თქვა?

ჯეინმა იფიქრა, დავებმარებო:

_ მაიკლს უნდა თქვას, ხშირად ყლაპავს ბიძათქვენი სიცილის ჭიას და ხშირად გადადის ყირამალა ჭერზე, როცა გამამხიარულეზელი აირი...

_ ყირამალა გადადის? ეგ საიდანღა მოიტანე! ყირამალა გადადის ჭერზე? მრცხვენია შენს მაგივრად!

მერი პოპინსი აშკარად შეურაცხყოფილი იყო.

_ განა, სიმართლეს არ მოგახსენებთ?! _ უთხრა მაიკლმა, _ ჩვენი თვალთ ვნახეთ!

– რაა? ნახეთ, როგორ გადადიოდა ყირამალა? რასა ბედავ! შენ იცი, რომ ბიძაჩემი სერიოზული, პატიოსანი, წესიერი მშრომელი კაცია. კეთილ ინებე და პატივისცემით ილაპარაკე! ნუ ღექავ ავტობუსის ბილეთს! ყირამალა გადადისო! რას არ მოიგონებთ!

მაიკლმა და ჯეინმა გაკვირვებულებმა გადახედეს ერთმანეთს. თქმით არაფერი უთქვამთ.

ისინი უკვე მიეჩვივნენ, რა საოცრებაც არ უნდა დატრიალებულიყო, მერი პოპინსთან კამათი არ ღირდა. ამიტომაც მხოლოდ გადახედეს ერთმანეთს. გადახედვა ნიშნავდა: «იყო თუ არ იყო ასე? ვინაა მართალი, მერი პოპინსი თუ ჩვენ?» ვაი, რომ ვერავინ გასცემდა პასუხს ამ კითხვაზე... ავტობუსი წინ მიიწევდა ჯაყ-ჯაყით და მოტორის გუგუნით. მერი პოპინსი იჯდა ცხვირჩამოშვებული და დუმდა; დაღლილ-დაქანცული ბავშვები უცებ ახლოს მიუჩოჩდნენ, მიეხუტნენ და გაოგნებულებმა ჩათვლიმეს.

მესამე თავი

მის ლარკი და მისი ედმონდი

მის ლარკი მეზობელ სახლში ცხოვრობდა. მაგრამ, სანამ ამბავს განვაგრძობდე, მის ლარკის სახლზე მიწა გითხრათ ორიოდ სიტყვა. ეს იყო ძალიან დიდი, დიდზე დიდი სახლი მთელ ალუბლის შესახვევში. ადმირალ ბუმსაც კი შურდა მის ლარკისა და არცა მალავდა. თვითონ კი, ხომ გახსოვთ, როგორი სახლიც ჰქონდა, – ნამდვილი გემივით მილებიანი, ბაღჩაში ალამაღმართული ანძაც კი იდგა, და მაინც მეზობლებს ესმოდათ, როგორ ბუზღუნებდა, როცა მის ლარკის სახლს ჩაუვლიდა:

– გასკდი, გულო! რად უნდა ამას ამხელა სასახლე?

ადმირალ ბუმს შურდა, მის ლარკის სახლს ორი შესასვლელი რომ ჰქონდა: ერთი სადარბაზო ნათესავ-მეგობრებისათვის, მეორე – მერძევის, ყასბისა და მეფუნთუშისათვის.

ერთხელ მეფუნთუშეს შეეშალა და სადარბაზო შესასვლელში შევიდა. მის ლარკი ისე გაბრაზდა, რომ გამოაცხადა, ჩემს სიცოცხლეში ფუნთუშას პირს არ დავაკარებო! ბოლოს და ბოლოს აპატია მეფუნთუშეს დანაშაული, აბა რას იზამდა, ახლომახლო მასზე უკეთ დაბრაწულ ფუნთუშებს ვერავინ აცხობდა. აპატია კი, მაგრამ მაინც არ უყვარდა. მეფუნთუშემ ეს იცოდა და ქუდს თვალებამდე ჩამოიფხატავდა ხოლმე, იქნებ მის ლარკს სხვა ვეგონო. ტყუილად ცდილობდა, მის ლარკი კარგად ცნობდა, ვინ იყო...

ჯეინმა და მაიკლმა ყოველთვის იცოდნენ, როდის სეირნობდა მის ლარკი ბაღში, როდის გამოჩნდებოდა შესახვევში. ეცოდინებოდათ აბა, რა იქნებოდა, იმდენი მძივი და საყურე ეკეთა, პოლკის ორკესტრით ჟღერიალ-გრიალით დადიოდა. როცა არ უნდა შეხვედროდა ბავშვებს, ერთსა და იმავეს ეუბნებოდა:

– შუადღე მშვიდობისა (ან დილა მშვიდობისა, თუ დილა იყო)! აბა, როგორა ვგრძნობთ თავს?

ვერც ჯეინი, ვერც მაიკლი ვერასოდეს იგებდნენ, მის ლარკი რას ეკითხებოდა: როგორ გრძნობენ თავს ჯეინი და მაიკლი, თუ მის ლარკი და ედმონდი.

ასე რომ, მხოლოდ ესალმებოდნენ:

– დილა მშვიდობისა (ან, ბუნებრივია, შუადღე მშვიდობისა, თუ სადილობის შემდეგ შეხვდებოდნენ). ყოველდღე ესმოდათ ბავშვებს, როგორ უყვროდა მის ლარკი ედმონდს.

– ედმონდ, სადა ხარ?

– ედმონდ, უპალტოოდ არ გამოხვიდე!

– ედ, მოდი დედიკოსთან!

უცხო კაცი, რა თქმა უნდა, იფიქრებდა, ედმონდი ბიჭიაო. სხვათა შორის, ჯეინი დარწმუნებული იყო, მის ლარკს ედმონდი პატარა ბიჭი ჰგონიაო. მაგრამ ედმონდი ბიჭი კი არა, პატარა ფუმფულა ძაღლი გახლდათ. ხომ გინახავთ ისეთი ძაღლი, სანამ არ აყეფდება, ბეწვის მუფთას რომ ჰგავს. მაგრამ, როცა აყეფდება, არ შეცდები, მიხვდები, რომ ძაღლია. ყეფა ისეთი იციან, მუფთას სად მოელანდება!

და აი, ეს ედმონდი ისე ცხოვრობდა, თითქოს სპარსეთის შაჰიაო. მის ლარკის საძინებელ ოთახში აბრეშუმის ბალიშზე ნებივრობდა. კვირაში ორჯერ ავტომობილში ჯდებოდა და პარიკმახერთან მიბრძანდებოდა, პარიკმახერი შამპუნით ჰბანდა; საუზმედ, სადილად და ვახშმად ხან ნაღებს მიირთმევდა, ხან ხამანწკებს. ოთხი პალტო ჰქონდა: ზოლიანები და უჯრულა, სულ ნაირ-ნაირი ფერისა! ერთი სიტყვით, მას ყოველდღე ისე ანებივრებდნენ, უბრალო მოკვდავთ დაბადების დღეზე თუ ეღირსებათ; როცა დაბადების დღე დაუდგებოდა, სადღესასწაულო ნამცხვარზე ყოველი გავლილი წლის აღსანიშნავად ერთის ნაცვლად ორ-ორ სანთელს უნთებდნენ. ამის გამო იმ არემარეში ყველას სძულდა ედმონდი. მეზობლები სიცილით იგუდებოდნენ, როცა ხედავდნენ, მანქანით როგორ მიაქროლებდა მის ლარკი მშვენიერ პალტოში გამოწყობილ, ბეწვის ჩულში ჩათბუნებულ ძაღლს.

ხოლო იმ დღეს, როცა მის ლარკმა ედმონდს ორი წყვილი ტყავის ყელიანი ფეხსაცმელი უყიდა, იმის შიშით, ნაწვიმარზე ფეხი არ დაუსველდესო, მთელი შესახვევის მცხოვრებლები გარეთ გამოეფინნენ, რომ ედმონდისათვის შეეხედათ და ჩუმად ეხითხითათ.

– ფუ! – წამოიძახა მაიკლმა ერთხელ, როცა ისა და ჯეინი თავიანთი ღობის ჭუჭრუტანიდან უყურებდნენ ძაღლს, – ფუ, მართლა არარაობაა და მეტი არაფერი!

– რა იცი? – დაინტერესდა ჯეინი.

– რა ვიცი და მამამ თქვა ამ დილით.

– ის სულაც არ არის არარაობა და ახლა კამათს ნუ გამიმართავთ, მორჩა და გათავდა! – ჩაერია მერი პოპინსი.

მერი პოპინსი მართალს ამბობდა, იგი სულაც არ იყო არარაობა. ამაში თქვენც მალე დარწმუნდებით.

არ იფიქროთ, ედმონდი მის ლარკს პატივს არ სცემდაო. პატივსაც სცემდა და თავისებურად უყვარდა კიდევ. როგორ შეეძლო ცუდად განწყობილი ყოფილიყო იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ლეკვობიდან მოყოლებული მთელი სიცოცხლის მანძილზე ანებივრებდა, თუმცა, მართალია,

კოცნიდა კია ხშირ-ხშირად. ოღონდ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ედმონდს ასეთი ცხოვრება მოყირქდა, ვით მწარე ბოლოკი. იგი სიხარულით მისცემდა თავისი ქონების ნახევარს (სადა ჰქონდა თორემ) ერთ ნაჭერ უმ ხორცში, ნაცვლად ქათმის თეთრი ხორცისა და სატაცურიანი ერბო-კვერცხისა, რასაც ჩვეულებრივად მიაერთმევდნენ ხოლმე. ეს იმიტომ, რომ ედმონდი თავისი ძალღური სულის სიღრმეში ოცნებობდა ეზოს ძალღობაზე – ჩვეულებრივ ეზოს ძალღობაზე. როცა თავის საგვარეულოს ნუსხას შეხედავდა (ეს ნუსხა მის ლარკის სასტუმრო ოთახში საპატიო ადგილზე ეკიდა), სირცხვილისაგან მიწა უსკდებოდა. რამდენჯერ უოცნებია, არ ჰყოლოდა მამა-პაპა და მის ლარკს არ შეძლებოდა, მისი ჩამომავლობის ქებათა-ქება.

ტყუილად კი არ მეგობრობდა ეზოს ძალღებთან. როგორც კი მოუხერხდებოდა გამოქცევა, ჰიშკარს მიაშურებდა და იჯდა რომელიმე ძალღის მოლოდინში, რათა მასთან გულიანად გაება ბაასი ჩვეულებრივ ძალღურ ცხოვრებაზე. მაგრამ მის ლარკი შეამჩნევდა თუ არა ეზოს ძალღს, ედმონდს მაშინვე დაუმახებდა:

– ედი! ედი! მოდი შინ, ჩემო ცუნცულა! არ მიეკარო მაგ საძაგელ ქუჩის მაწანწალას!

წარმოიდგინეთ, ედმონდი შინ ბრუნდებოდა. ასე რომ არ ექნა, მის ლარკს არ შერცხვებოდა, თვითონ ხლებოდა, ხელში აყვანილი წამოეყვანა და სამუდამოდ მოეჭრა თავი. ამიტომ, დაუმახებდა თუ არა, უბედური ძალღი გაწითლდებოდა, ანუ სირცხვილისაგან აძიგძიგდებოდა და გაჩქარებული არბოდა კიბეზე, რომ მეგობრების ყურს არ მისწვდენოდა, როგორ ეფერებოდა მის ლარკი, ჩემო ოქრო, სიხარულო, ჩემო შაქარაო.

ედმონდს ერთი ყველაზე გულითადი მეგობარი ჰყავდა. მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. ნახევრად ერდელს და ნახევრად მეძებარს სასიკეთო არაფერი შერჩენოდა. ქუჩაში ატეხილ ყველა ჩხუბში შიგ, შუაგულში ამოყოფდა ხოლმე თავს; სულ უსიამოვნება ჰქონდა ფოსტალიონთან და პოლისმენტან; თხრილებსა და ნარეცხის ორმოებში ძრომა ყველაფერს ერჩია. ერთი სიტყვით, ყველას სალაპარაკო იყო მთელ შესახვევში და ზოგიერთები სიხარულს ვერ ფარავდნენ, რომ ეს ძალღი მათი არ იყო...

ედმონდს კი უყვარდა და მუდამ მოუთმენლად ელოდა მეგობართან შეხვედრას. უფრო ხშირად, მართალია, ბაღში გამოსასვლელთან თუ მიელაქუცებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ზოჯერ, თუ ბედი გაუღიმებდათ (რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა), ღობის აქეთ-იქიდან გააბამდნენ საუბარს. მხოლოდ მაშინ იგებდა ედმონდი თავისი მეგობრისაგან ქალაქურ ამბებსა და ჭორებს, ნაგაზი ჰყვებოდა და თან ხორხოცებდა. დიდი მოურიდებელი ვინმე იყო...

და ამ დროს უცებ სასიამოვნო საუბარს აწყვეტინებდა მის ლარკის გამყინავი ხმა. ფანჯარაზე გადმოდგებოდა და ედმონდს ეძახდა. სტუმარი მის ლარკს ენას გამოუყოფდა, ედმონდს თვალს ჩაუკრავდა და ტანის რხევით, ზიზღით, აუჩქარებლად გაეცლებოდა იქაურობას. ედმონდს, რა თქმა უნდა, არასდროს აძლევდნენ უფლებას, ჰიშკარს მარტო გასცილებოდა: გასასეირნებლად ან მის ლარკს უნდა გაჰყოლოდა პარკში, ან რომელიმე მოსამსახურეს მიჰყავდა ხან პარიკმახერთან, ხან მემანიკიურესთან. წარმოიდგინეთ

ჯეინისა და მაიკლის გაოცება, როცა დაინახეს, ედმონდი როგორ მიშლიგინებდა მარტოდმარტო ყურებაწურული და კუდაწეული, თითქოს ვეფხვს ჩაუდგა კვალშიო. მერი პოპინსმა ელვისებურად ასწია მაღლა ბავშვების ეტლი, რომ ედმონდს უცებ არ გადაებრუნებინა და ტყუპები არ გადმოეყარა. ჯეინი და მაიკლი კი აყიჟინდნენ:

– ეი, ედმონდ! სადაა შენი პალტო? – გამყინავი ხმით უყვირა მაიკლმა, ცდილობდა მის ლარკი გამოეჯავრებინა.

– ედმონდ! შე ცუდო ბიჭო! – დაუყვირა ჯეინმა. რადგან გოგონა იყო, რა თქმა უნდა, მის ლარკის ხმას უკეთ მიზამა. მაგრამ ედმონდმა აგდებულად გადახედა მათ და მერი პოპინსს ხმამაღლა შეუყეფა:

– ლავ-ლავ! ფრ... ღრ... ლავ-ლავ-ლავ!

– მოიცა, მოვიფიქრო. ჰო! ჩემი აზრით, პირველი შესახვევია მარჯვნივ, მეორე სახლია მარცხენა მხარეს, – უთხრა მერი პოპინსმა.

– ლავ? – ჩაეკითხა ედმონდი.

– არა, ბალი იქ არ არის. უკანა ეზოა. ჭიშკარი თითქმის სულ ღიაა. ედმონდი ისევ აყეფდა.

– ნამდვილად არ ვიცი, – უთხრა მერი პოპინსმა, – მაგრამ ვფიქრობ, რომ კი. ჩვეულებრივ ასეთ დროს შინაა.

ედმონდმა თავი ჩაუქნია და ისევ გაიქცა.

გაოცებისაგან ჯეინსა და მაიკლს თვალები საცრისოდენა გაუხდათ.

– რას ამბობდა? – შეეკითხნენ ბავშვები ერთხმად.

– არაფერს, რაღაც იკითხა, – უპასუხა მერი პოპინსმა და პირი მოკუმმა, თითქოს გადაწყვიტა, მეტი არაფერი დასცდენოდა. ეტლში ჯონი და ბარბარა ღულუნებდნენ.

– რაღაცა კი არა! – წამოიძახა მაიკლმა.

– მართალია! – მხარი აუბა ჯეინმა.

– აბა, თქვენ უკეთ გცოდნიათ! როგორც ყოველთვის! – აბუჩად აიგდო ყმაწვილები მერი პოპინსმა.

– ალბათ გეკითხებოდით ვიღაცაზე, სად ცხოვრობსო, – დაიწყო მაიკლმა.

– თუ თვითონ იცი, მე რაღას მეკითხები? – ჩაიფრუტუნა მერი პოპინსმა. – მე ენციკლოპედია კი არა ვარ!

– მაიკლ, – უჩურჩულა ჯეინმა, – ასე თუ დაუწყებ ლაპარაკს, არაფერს გვეტყვის. თქვენი ჭირიმე, მერი პოპინს, მოგვიყევით, რა გითხრათ ედმონდმა.

– მაგას ჰკითხე, მისტერ ვიცისას, ეგ გეტყვის! – გაბრაზებულმა მერი პოპინსმა მაიკლზე მიუთითა.

– ოჰ, არა, არ ვიცი! გეფიცებით, არ ვიცი! თქვენ გვითხარით!

– ოთხის ნახევარია, ჩაის დროა, – თქვა მერი პოპინსმა. უცებ მოაბრუნა საბავშვო ეტლი და შინისაკენ გაემართა. მაგრამ მოკუმმა პირი, თითქოს ბოქლომი დაიდო, და გზად სიტყვაც არ დასცდენია.

ჯეინი და მაიკლი ცოტათი ჩამორჩნენ.

– შენი ბრალია, – უთხრა ჯეინმა, – ახლა ველარაფერს გავიგებთ!

– ჰო, კარგი, – მიუგო მაიკლმა და თავისი თვითგორია გააქროლა, – სულაც არ მაინტერესებს!

მაგრამ, რასაკვირველია, ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რაზე ილაპარაკა ედმონდმა. მართლაც, ისე აეწყო საქმე, რომ ჩაის დალევამდე გაიგეს მაიკლმაც, ჯეინმაც და სხვებმაც, რაც მოხდა. უკვე თავიანთი სახლის მოპირდაპირე მხარეს იდგნენ და ქუჩა უნდა გადაეჭრათ, რომ მეზობელი სახლიდან ხმამაღალი ყვირილი მოესმათ. მიიხედეს და საოცარ სურათს გადააწყდნენ. მის ლარკის მოსამსახურეები შეშლილებივით დარბოდნენ ბაღში, ხან ბუჩქის ძირს ათვალიერებდნენ, ხან ხის წვერს შესცქეროდნენ, თითქოს დაკარგულ განძს დაემებნენ. რობერტსონ ეიც ისეთი საქმიანი კაცის იერით ფოცხავდა ხრეშს მის ლარკის ბაღის ბილიკებზე, თითქოს იმედი ჰქონდა, დანაკარგი კენჭებქვეშ იქნება ამოღებულიო. თვითონ მის ლარკიც ბაღში დარბოდა და ხელების მტვრევით გაჰყვიროდა:

– ედ, ედ! ღმერთო, დაიკარგა! ჩემი ძვირფასი ბიჭუნა დამეკარგა! პოლიცია უნდა გამოვიძახო. პრემიერ-მინისტრთან მივალ! ედმონდი დამეკარგა! ღმერთო! ღმერთო!

– საწყალი მის ლარკი! – შეიცოდა ჯეინმა და გზაზე გადაირბინა.

მის ლარკი მალე ანუგეშეს და სხვა ვინმემ კი არა, სწორედ მაიკლმა, რომელმაც, ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, უკან მიიხედა და შესახვევის ბოლოში თვალი მოჰკრა ძაღლს.

– აგერ, ედმონდი, მის ლარკ! შეხედეთ, ადმირალ ბუმის სახლის კუთხეშია! – აყვირდა ბიჭი.

– სად არის, სად არის? მაჩვენე! – სულს ძლივს ითქვამდა მის ლარკი. ბოლოს მიხვდა, მაიკლი საითაც უთითებდა და ლამის თვალეზი გადმოუცვივდა. მართლაც, ედმონდი იყო. მოდიოდა აუჩქარებლად, მშვიდად, თითქოს არაფერიაო. მის გვერდით მოძუნძულვდა უშველებელი ნაგაზი. ნახევრად ერდელსა ჰგავდა, ნახევრად მემებარს (როგორც გახსოვთ, არც ერთად ექნა ღმერთს და არც მეორედ...).

– ო, ღმერთო, რა ბედნიერებაა! – სული მოითქვა მის ლარკმა. – გულზე მომეშვა!

მერი პოპინსი და ბავშვები ჭიშკართან შეჩერდნენ; მის ლარკი და მისი ორივე მოსამსახურე ღობეს გადმოეკიდნენ; გულმოდგინე შრომისაგან დაღლილ-დაქანცული რობერტსონ ეი დასასვენებლად საგველას ტარს დაეყრდნო. ყველანი უხმოდ ელოდნენ ედმონდის დაბრუნებას.

ედმონდი და მისი მეგობარი მედიდურად მოაბიჯებდნენ სახლისაკენ, ყურებდაცქვეტილნი კუდეებს უდარდელად მოაქიციებდნენ. ედმონდს თვალეზი ეტყობოდა, რაღაც განეზრახა და, რაღაც უნდა დაჯდომოდა, თავისას გაიტანდა.

– ღმერთო! ეს საშინელი ძაღლი! – ამოილულლუდა მის ლარკმა, ედმონდის თანამგზავრი რომ დაინახა.

– დაიკარგე!.. მოწყდი აქედან! – წამოიყვირა უცებ.

ნაგაზმა პასუხის ნაცვლად ტროტუარზე მოიკალათა, მარჯვენა თათით მარცხენა ყური მოიქექა და დაამთქნარა.

– აქედან დაიკარგე, დაიკარგე-მეთქი! – დაუტატანა მის ლარკმა. – შენ კი, ედ, ახლავე შედი შინ! როგორ წახვედი მარტოდმარტო, თანაც უპალტოდ! ვერ მოგიწონებ საქციელს!

ედმონდმა ზანტად ამოიწკავეწკავა, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა.

– რა არის ეს, ედ? შედი ახლავე სახლში! – არ ეშვებოდა მის ლარკი.

ედმონდმა ისევ დაიწკავეწკავა.

– ის ამბობს, – ჩაერია მერი პოპინსი, – შინ მობრუნებას არ ვფიქრობო.

მის ლარკი მობრუნდა და მერი პოპინსი ქედმაღლურად შეათვალიერა.

– ერთი გამაგებინეთ, თქვენ რა იცით, რას ამბობს ჩემი ძალი? რა თქმა უნდა, ის ახლავე წამოვა შინ!

მაგრამ ედმონდმა მტკიცედ გააქნია თავი და დაიღრინა.

– არ წამოვა, – უთხრა პოპინსმა. – თუ წამოვა, მეგობარსაც წამოიყვანს.

– რა სისულელეა! – გაბრაზდა მის ლარკი. – მაგას სულაც არ ამბობს! როგორ ფიქრობთ, ამ ნაგაზს ჩემს ბაღში შემოვუშვებ?

ედმონდმა სამჯერ თუ ოთხჯერ წამოიყეფა.

– ის ამბობს, ასე მაქვს გადაწყვეტილი, – აუხსნა მერი პოპინსმა მის ლარკს, – და თანაც, სულ წავალ და ჩემს მეგობართან ვიცხოვრებ, თუ ორივეს არ შემოგვიშვებო.

– ედმონდ, მე შენ გადაგყევი და შენ ასე მელაპარაკები? – ლამის ატირდა მის ლარკი.

ედმონდმა დაიყეფა და გვერდზე გაიხედა. ნაგაზი ადგა.

– ოჰ, ღმერთო, მიდის! ვხედავ, წასვლა უნდა! – აქვითინდა მის ლარკი. წუთით წაიტირა, მერე ცხვირსახოცი თეიმშრალა ცრემლები და ედმონდს უთხრა:

– რას ვიზამ, ვთმობ, ედ! დარჩეს... დარჩეს ეს ქოფაკი, მაგრამ ნახშირის სარდაფში დაიძინოს.

– მის, ედმონდი ამბობს, ეს შეუძლებელიაო. ჩემმა მეგობარმაც თქვენს ოთახში აბრეშუმის ბალიშზე უნდა დაიძინოს, ან მეც სარდაფში ვიქნები მასთან ერთად, – მოახსენა მერი პოპინსმა.

– ედ, არა გრცხვენია? – ამოიკვნესა მის ლარკმა. – არასოდეს არ ვიზამ მაგას!

– ო, ღმერთო, მტოვებს! – იკივლა მის ლარკმა; – ედ, ედ. თანახმა ვარ! როგორც შენ გსურს, ისე იყოს, დაიძინოს ჩემს ოთახში! ცხოვრება სამუდამოდ გამიმწარდა, სამუდამოდ! რა საძაგელი ქოფაკია! ცრემლები ამოიმშრალა და განაგრძო:

– შენგან ამას არაფრით არ ველოდი, ედ, მეტს აღარაფერს ვიტყვი! რასაც ვფიქრობ, გულში დამრჩეს. ხოლო... ჰმ-ჰმ-ჰმ... ამ ცხოველს შარიქას დავუძახებ, ან ბობიკს, ან...

დიდმა ქოფაკმა მის ლარკს აგდებულად შეხედა, ედმონდმა კი ხმამაღალი ყეფა ატეხა.

– ამბობენ, ბართლომე უნდა დაუძახო და არავითარ შემთხვევაში სხვა სახელი, – უთხრა მერი პოპინსმა. – მას ბართლომე ჰქვიაო.

– ბართლომე! რა სახელია ბართლომე! კიდევ რა სურთ, – შეწუხებული ბუტბუტებდა მის ლარკი. – კიდევ რაო?

ედმონდი ისევ აყეფდა.

– ამბობს, იმ პირობით დავბრუნდები, თუ პალტოს არ ჩამაცმევთ და პარიკმახერთან არ მატარებთო. ესაა მისი უკანასკნელი სიტყვა! – უთხრა მერი პოპინსმა.

მძიმე სიჩუმე ჩამოწვა.

– რას იზამ, იყოს ნება შენი, – ამოღერდა ბოლოს მის ლარკმა, – მაგრამ გაფრთხილებ, ედ, თუ გაცივდები და მოკვდები, შენს თავს დააბრალებ! თქვა და შებრუნდა, მედიდურად გასწია შინისაკენ ცრემლების ყლაპვითა და სლუკუნით. ედმონდმა თავი დაუკრა ბართლომეს, თითქოს ეპატიჟებოდა: «წამოდიო». მერე ორივემ დროშასავით ასწიეს კუდები და კვალდაკვალ მიჰყვნენ მის ლარკს.

– ხედავ, არც ისეთი არარაობა ყოფილა, – უთხრა ჯეინმა მაიკლს, ზემოთ რომ ადიოდნენ.

– მაშ! – დაეთანხმა მაიკლი. – მაგრამ თუ იცი, მერი პოპინსმა საიდან იცოდა ეგ ამბავი?

– არ ვიცი, – უპასუხა ჯეინმა. – თვითონ ხომ არასოდეს არაფერს გაგვიმხელს, არასოდეს...

მეოთხე თავი

მოცეკვავე პრობა

ჯეინს ყური სტკიოდა. იწვა ლოგინში და თავზე მერი პოპინსის ფერადი თავსაფარი ეხვია.

– რასა გრძნობ? – დაინტერესდა მაიკლი.

– მგონია, თავში ზარბაზანი მიგრუხუნებს, – უპასუხა ჯეინმა.

– ნამდვილი ზარბაზანი?

– არა, სათამაშო.

– ოჰო! – შეშურდა მაიკლს, ლამის მოუნდა, თვითონაც ასტკივნოდა ყური. – გინდა, წაგიკითხავ რამეს? – უთხრა ჯეინს და წიგნის თაროს მიადგა.

– არა, ძალიან მტკივა, – ყურზე ხელი დაიფარა ჯეინმა.

– მაშინ ფანჯრის რაფაზე შემოვჯდები და მოგიყვები, ქუჩაში რა ხდება.

– კარგი, მიდი, – დაეთანხმა ჯეინი.

და აი, მაიკლი შემოჯდა ფანჯრის რაფაზე და, რაც შესახვევში ხდებოდა, ყველაფერს უამბობდა ჯეინს. ზოგი ამბავი უინტერესო იყო, ზოგი კი მეტიმეტად საინტერესო.

– გამოჩნდა ადმირალი ბუმი! – ჰყვებოდა მაიკლი. – სადღაც მიიჩქარის, მოდის, მოდის... ცხვირი წითელზე წითელი აქვს. ცილინდრი ხურავს! აი, ჩვენს სახლს ჩაუარა.

– არ ამბობს, გულო, გასკდიო? – ჰკითხა ჯეინმა.

– არ მესმის. ალბათ, ამბობს... მის ლარკის მეორე მოსამსახურე ბაღში გამოვიდა. ჩვენს ბაღში რობერტსონ ეი ჩამოცვენილ ფოთლებს გვის, თან

ლობიდან მის ლარკის მოსამსახურეებს უცქერის. ახლა დასასვენებლად ჩამოჯდა.

– გული სტკივა, – უთხრა ჯეინმა.

– რა იცი?

– თვითონ მითხრა. ექიმს უთქვამს, ნაკლები იმუშავეო. მამამ კი თქვა, თუ ექიმის რჩევას მიუგდებს ყურს, სამუშაოდან დავითხოვო... ოჰ, რა გრი-ალ-ქრიალი მიდგას ყურებში, – იყვირა ჯეინმა და ყურზე აიფარა ხელი.

– ოჰო! – წამოიძახა უცებ აღელვებულმა მაიკლმა.

– რა მოხდა? – წამოჯდა ჯეინი. – თქვი მალე!

– საოცარი ამბავი! ჩვენს შესახვევში ძროხა მოაბიჯებს! – თქვა მაიკლმა და რაფაზე ახტა-დახტა.

– ძროხა? ქლაქში? ნამდვილი ძროხა? აი, საოცრება! მერი პოპინს! მაიკ-ლი ამბობს, ჩვენს შესახვევში ძროხა მოდისო!

– დიახ, დიახ! მოდის ნელ-ნელა, ყველა ეზოში იყურება, თითქოს რა-ღაც დაეკარგა და ეძებსო.

– ეჰ, რა სამწუხაროა, შეხედვა რომ არ შემიძლია! – სევდიანად თქვა ჯეინმა.

მერი პოპინსი ფანჯარას მიადგა.

– შეხედეთ! – უთხრა მაიკლმა და ქვემოთკენ მიუთითა. – ძროხაა! საოცარია, არა?

მერი პოპინსმა სწრაფად გადაიხედა და გოცებისაგან შეკრთა.

– საოცარი არაფერია, – მოუბრუნდა ის ჯეინსა და მაიკლს, – სრულიად არაფერი! ვიცნობ მაგ ძროხას, დედაჩემის დიდი მეგობარი იყო და ძალიან დამავალებთ, თუ თავაზიანად მოექცევით. მან წინსაფარი გაისწორა და ბავ-შვებს მკაცრად შეხედა.

– დიდი ხანია იცნობთ? – ჰკითხა მაიკლმა. თან ცდილობდა, ყოფილი-ყო ძალიან თავაზიანი იმ იმედით, ეგებ კიდევ რამე დასცდესო.

– მანამდე ვიცნობდი, სანამ მეფეს ეწვეოდა, – მიუგო მერი პოპინსმა.

– დიდი ხნის წინათ ეწვია მეფეს? – ჰკითხა ჯეინმა, რაც შეეძლო ნაზად.

მერი პოპინსი სადღაც იყურებოდა, მისი თვალები ხედავდნენ იმას, რაც სხვებისთვის უხილავი იყო. ჯეინი და მაიკლი სუნთქვაშეკრულები ელოდნენ პასუხს.

– დიდი ხნის წინათ, – მეზღაპრესავით დაიწყო ჩაფიქრებულმა მერი პოპინსმა და ისე შეყოვნდა, გეგონებოდათ, საუკუნეების მიღმა მომხდარ ამ-ბავს იხსენებსო. მერე ოცნებაში ჩაძირულმა განაგრძო:

– წითურ ძროხას ეძახდნენ. დიდებული და მდიდარი ძროხა იყო, მი-ამბობდა დედა. იმ არემარეში ყველაზე საუკეთესო საძოვარი მას ეკუთვნო-და. მინდორზე ლამბაქის ტოლა ბაიები ყვაოდნენ, ბაბუაწვერები კი ჯარის-კაცებივით ჩამწკრივებულიყვნენ. ერთ ჯარისკაცს რომ მოაწყვეტდა თავს წითური ძროხა, მაშინვე მეორე მწვანემუნდირიანი და ყვითელკვივრიანი ჯარისკაცი ამოყოფდა თავს. დასაბამიდან აქ ცხოვრობდა წითური ძროხა. ხშირად უყვებოდა დედაჩემს: არც მახსოვს, როდისმე სხვაგან თუ ვცხოვ-რობდიო. მწვანე ველ-მინდორი და ცა იყო მისთვის მთელი სამყარო. იმის იქით რა იყო და რა არა, არცკი იცოდა.

წითური ძროხა ფრიად პატივისცემი მანდილოსანი გახლდათ. ყოველთვის ნამდვილი ლედივით იქცეოდა, კარგად იცოდა, როდის რა იყო საჭირო. თეთრს პირდაპირ თეთრს ეძახდა და შავს _ შავს. ბაბუაწვერა ან ტკბილია ან მჟავე, სამუალო არ არსებობსო, იტყოდა ხოლმე.

სულ მოუცლელი იყო. დილით თავის ქალიშვილს, წითურ საფურე დეკეულს ამეცადინებდა, ნასადილევს ქცევის წესებს უხსნიდა, აჩვენებდა ბღავილს და საერთოდ ყველაფერს, რაც კარგად აღზრდილ დეკეულს უნდა სცოდნოდა. მერე ერთად ვახშობდნენ და წითური ძროხა დეკეულს ასწავლიდა, როგორ გამოერჩია ლორთქო ბალახი ბერფუყისაგან. შვილი დასაძინებლად დაწვებოდა ხოლმე, წითური ძროხა კი მინდორში იცოხნებოდა და ფიქრობდა მშვიდად, აუღელვებლად...

დღე დღეს ჰგავდა. ერთ წითურ დეკეულს გამოზრდიდა და გზაზე დააყენებდა, მეორე იჭერდა მის ადგილს. ამიტომ ეგონა წითურ ძროხას, ცხოვრება არ შემეცვლება, სულ ასე იქნებაო. არც უნდოდა რამე შეცვლილიყო. ამაზე უკეთესი ცხოვრება ვერ წარმოედგინა. ასე ფიქრობდა, ფათერაკი კი იქვე ჩასაფრებოდა. ეს მოხდა ღამით, წყნარი ღამით, როცა ცაზე ვარსკვლავები ბაბუაწვერებს ჰგავდა, ხოლო მთვარე _ დიდ გვირილას. იმ ღამით, როცა წითურ დეკეულს უკვე ეძინა, წითური ძროხა წამოხტა და აცეკვდა. ცეკვავდა გატაცებით, ცეკვავდა მოხდენილად. მკაცრად იცავდა ტაქტს, თუმცა არავითარი მუსიკა არ ისმოდა. ხან პოლკას ცეკვავდა, ხან შოტლანდიურ ჯიგს, ხან რაღაც სრულიად ახალს იგონებდა. ერთ ცეკვას რომ მორჩებოდა, ბაბუაწვერებს თავს უკრავდა, მადლობას უხდოდა.

«ღმერთო ჩემო! _ გაიფიქრა მან, მეზღვაურულს რომ ცეკვავდა, _ რა უცნაურია! ასე ვფიქრობდი, ცეკვა უხერხულია-მეთქი, მაგრამ აგერ თვითონ ვცეკვავ, თუმცა ყოველთვის სამაგალითო ძროხა ვიყავი».

ცეკვავდა და ცეკვავდა. ბოლოს და ბოლოს დაიღალა და გადაწყვიტა, მიეყოფა, დროა, დავიძინო. მაგრამ, მისდა გასაოცრად, ცეკვა ვერ მიატოვა. ეცადა, წითურ დეკეულს გვერდით მისწოლოდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდნენ _ განაგრძობდნენ ცეკვას, იგონებდნენ ათასგვარ პას, ტრიალებდნენ და ტრიალებდნენ. რა თქმა უნდა, ძროხაც ფეხებს მიჰყვა! ვალსი დაიწყო...

_ ოჰ, ღმერთო! _ წამოიძახებდა ხოლმე ცეკვებს შუა, _ რა საშინელებაა! რა საშინელებაა! მართალია, დარბაისელი მანდილოსნის ტონით ლაპარაკობდა, მაგრამ გაჩერება არ შეეძლო.

გათენდა, დადგა დღე. ის მაინც ცეკვავდა და ცეკვავდა. მინდორს ხან წრეს შემოუვლიდა, ხან სიგრძეზე წავიდოდა, ხან სიგანეზე გადაჭრიდა. წითური დეკეული უკან დასდევდა და საცოდავად ბღაოდა. შესალამოვდა. წითური ძროხა მაინც ვერ შეჩერდა, ხოლო ერთი კვირის შემდეგ აშკარად დადარდიანდა.

_ მეფეს უნდა შევჩვილო, _ გადაწყვიტა წითურმა ძროხამ და გადაწყვეტილება თავის კანტურით დაადასტურა. გადაკოცნა წითური დეკეული, დაუბარა, წესიერად მოიქეციო, და სასახლისკენ გასწია. გზა ცეკვა-ცეკვით გაიარა, აქა-იქ თუ მოწიწვნა ბალახი. ვინც შეხვდა, ყველა გაოცებისაგან თვალებს აჰყეტდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც თვითონ იყო გაოცებული...

ბოლოს მიადგა სასახლეს და ცეკვა-ცეკვით აიარა ფართო კიბე. მიაღწია მეფის ტახტამდე.

ტახტზე მეფე იჯდა. არ ეცალა _ ახალ კანონებს თხზავდა. მდივანი კი პატარა წითელ წიგნაკში ბატის ფრთის კალმით იწერდა.

გარს მორთულ-მოკაზმული დიდებულები და სეფექალები ეხვივნენ. ყველანი ერთად ლაპარაკობდნენ.

_ დღეს რამდენი კანონი შევთხზე? _ ჰკითხა მეფემ მდივანს.

მდივანმა უბის წიგნაკი გადაფურცლა და სასწრაფოდ დაითვალა.

_ სამოცდათორმეტი, თქვენო აღმატებულება! _ მდაბლად დაუკრა თავი მეფემ და თან შეეცადა, ბატის ფრთის კალამს არ წამოსდებოდა (აბა, რა ექნა, კალამი ვეებერთელა იყო).

_ ჰმ! არ არის ცუდი, სულ ერთი საათი ვიმუშავე! _ თქვა თავისი თავით ფრიად კმაყოფილმა მეფემ. მერე ადგა, ლამაზად წამოისხა ყარყუმის მანტია და მედიდურად ბრძანა:

_ მომართვით ეტლი! დალაქთან მივდივარ.

და სწორედ ამ დროს წითურ ძროხას მოჰკრა თვალი. ისევ დაჯდა და კვერთხს წამოავლო ხელი.

_ რა არის ეს, ჰა? _ იყვირა მან. ძროხა უკვე სამეფო ტახტის საფეხურებთან ცეკვავდა.

_ ძროხა გახლავარ, თქვენო უდიდებულესობავ, _ უპასუხა ძროხამ.

_ ვხედავ, _ უთხრა მეფემ, _ ჯერ თვალთ არ დამკლებია. მაგრამ აქ რა გინდათ? ამოშაქრეთ! ცოცხლად, სწრაფად, ათ საათზე დალაქთან უნდა ვიყო. თორემ არ დამელოდება! თმა კი აუცილებლად უნდა შევიკრიჭო. ღვთის გულისათვის, შეწყვიტეთ ეს ტრიალ-ტრიალი, თავბრუ დამესხა! _ თქვა გაჯავრებით.

_ თავბრუ დამესხა! _ ექოსავით გაიმეორეს კარისკაცებმა.

_ ესაა ჩემი გასაჭირი, თქვენო უდიდებულესობავ, ვერ ვჩერდები!

_ ვერ ჩერდები? რა სისულელეა! _ დაიღრიალა მეფემ. _ სასწრაფოდ შეჩერდი! ასეთია მეფის ბრძანება!

_ სასწრაფოდ შეჩერდი! ასეთია მეფის ბრძანება! _ გაიმეორეს კარისკაცებმა.

ძროხამ ყოველი ღონე იხმარა, მეფის ბრძანება შეესრულებინა. ძვალ-რბილი აუცახცახდა, მაგრამ ამაოდ. მაინც შეუჩერებლად ცეკვავდა სამეფო ტახტის წინ.

_ ვეცადე, თქვენო უდიდებულესობავ. არაფერი გამომივიდა. მეშვიდე დღეა, ვცეკვავ. არა მძინავს. თითქმის არაფერს გეახლებით, ნარშავას ორიოდ ფოთოლი მოვწიწუნე და ეგ იყო. თქვენს უდიდებულესობას იმიტომ ვეწვიე, ეგებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე.

_ ჰმ! ძალიან უცნაურია! _ თქვა მეფემ, გვირგვინი გვერდზე მოიქცია და კეფა მოიქეჭა.

_ ძალიან უცნაურია! _ გამოეხმაურნენ კარისკაცები და მათაც მოიქეჭეს კეფა.

_ როგორი გრძნობა გაქვს? _ ჰკითხა მეფემ.

_ უცნაური, _ უპასუხა ძროხამ, _ აი, მგონი, _ სიტყვას ძებნა დაუწყო, _ მგონი, სასიამოვნო. თითქოს... თითქოს სიცილის ჭია შემიჩნდა.

_ საოცარია! _ თქვა მეფემ.

თავი ხელებზე ჩამოეყრდნო და დაფიქრებული ძროხას მიაშტერდა. უცებ წამოხტა და იყვირა:

_ ღმერთო ჩემო, დიდებულო!

_ რა მოხდა? _ შეეხმიანნენ კარისკაცები.

_ თქვენ თვითონ ვერა ხედავთ! _ იღრიალა მეფემ. აღელვებისაგან კვერთხი გაუვარდა. _ სულელი არა ვარ, მაშინვე რომ ვერ შევამჩნიე? თქვენც სულელები ხართ! _ გაურისხდა ჯარისკაცებს. _ ვერა ხედავთ, რქაზე ვარსკვლავი შემოსჯდომია.

_ აი, თურმე რა ყოფილა! _ აყვირდნენ კარისკაცები. უცებ მათაც შეამჩნიეს ვარსკვლავი და ყველანი მიაშტერდნენ. რაც მეტ ხანს უყურებდნენ, ვარსკვლავი მით უფრო კაშკაშებდა.

_ აი, მიზეზი უბედურებისა, _ თქვა მეფემ. _ ბატონო კარისკაცებო, მოადრეთ ვარსკვლავი, რომ... ამ მძმ... ლედიმ შეძლოს, ცეკვა შეწყვიტოს და წესიერად ისაუზმოს.

ქალბატონო, ეს ვარსკვლავი გაიძულე, რომ იცეკვოთ, _ მიუბრუნდა მეფე ძროხას. _ აბა, ცოცხლად!

და კარისკაცთუხუცესს ნიშანი მისცა. კარისკაცთუხუცესმა თავი დაუკრა წითურ ძროხას და ვარსკვლავს ხელი ჩაავლო. ვარსკვლავი არ დაემორჩილა. კარისკაცთუხუცესს მეორე კარისკაცი მიეშველა, მეორეს _ მესამე, მესამეს _ მეოთხე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ გაიწეღნენ, თითქოს კარისკაცები თალგამს ჩაეჭიდნენ ამოსაღებადო.

_ თავი არ მომადროთ! _ შეეხვეწა ძროხა კარისკაცებს.

_ მოსწიეთ, მაგრად! _ დაიქუხა მეფემ.

კარისკაცები ბრძანებას დაემორჩილნენ. მოსწიეს და მოსწიეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. ისე ეწეოდნენ, ყველას აუჭარხლდა სახე. ეწეოდნენ მანამ, სანამ ძალა არ გამოეღიათ, მაშინ კი ერთიერთმანეთზე გადაცვივდნენ.

ვარსკვლავი არც განძრეულა. მაგრად ეკრა ძროხის რქას.

_ ნწ-ნწ-ნწ! _ შეწუხდა მეფე. _ მდივანბეგო! ჩაიხედე ენციკლოპედიაში, რა არის ნათქვამი რქავარსკვლავა ძროხაზე.

მდივანმა მუხლი მოიყარა და ტახტქვეშ შეძვრა, მალე იქიდან უშველებელი მწვანე წიგნი გამოათრია, ეს წიგნი ყოველთვის იქ იდო, ვინიცობაა, მეფეს რამის ამოკითხვა დასჭირვებოდა. მდივანი ჩქარ-ჩქარა ფურცლავდა ენციკლოპედიას.

_ არაფერი წერია, თქვენო უდიდებულესობავ! _ თქვა ბოლოს ფრიად შეწუხებულმა მდივანბეგმა. _ წერია, ერთი ძროხა მთვარეზე მაღლა ახტავს, ეს ხომ თქვენც იცით. და ყოველი შემთხვევისათვის მან წაიკითხა ლექსი, რომელიც ყველა ბავშვმა იცის:

მცირე არაკი ისმინეთ,

ჩემო ცელქებო, ახლა:

ადგა, იხტუნა ძროხამ და
მთვარეზე მაღლა ახტა!
ვაითუ ველარ გვეღირსოს
მეორედ მისი ნახვა...
გამოჩნდება კი? _ ისეთი
ახირებული გახლავთ!

მეფემ ნიკაპზე ხელი ჩამოისვა. ეს ფიქრს უადვილებდა. მერე ერთი ბრაზით ამო-
იგმინა და ძროხას შეხედა.

_ ეგ არის და ეგ, რისი რჩევაც შემიდლია, _ უთხრა მან. _ სცადეთ, თქვენც იგივე გაიმეორეთ.

_ რა ვცადო? _ შეეკითხა წითური ძროხა.

_ მთვარეზე მაღლა ახტომა. ეგებ გიშველოთ. საერთოდ, ღირს, რომ სცადოთ.

_ მე ავხტე? _ აღშფოთდა წითური ძროხა.

_ თქვენ, დიახ, აბა ვინა? _ ველარ მოითმინა მეფემ. ძალიან ეჩქარებოდა დალაქთან.

_ დიდებულო ხელმწიფეო, _ უთხრა ძროხამ, _ უნდა შეგახსენოთ, რომ მე წესიერი, ზრდილი საქონელი ვარ, ბავშვობიდანვე ჩამინერგეს, რომ ახ-
ტომ-დახტომა ქალისათვის უკადრისი საქმეა.

მეფე წამოდგა და კვერთხი ასწია:

_ ქალბატონო, თქვენ რჩევა მთხოვეთ, მეც გირჩიეთ. გნებავთ, დღენია-
დაგ იცეკვოთ? მუდამუამ იშიმშილოთ? არც დღე, არც ღამე არ იძინოთ?

წითურ ძროხას გაახსენდა, რა კარგი იყო წვნიანი, ლორთქო, გემრიელი ბაბუაწ-
ვერები, ფაფუკ მინდვრის ბალახში წამოწოლა, მოაგონდა თავისი არაქათგამოცლილი
ფეხებიც და თავისთავს ჩააგონა: «ერთხელ ახტომას ალბათ არა უშავს რა და თანაც მე-
ფის მეტი ამას კაციშვილი ვერ გაიგებს».

_ ძალიან მაღლა მომიწევს ახტომა? _ იკითხა მან ისე, ცეკვა არ შეუწყვე-
ტია.

_ ჩემი აზრით, ერთ მილზე მაინც, _ უთხრა მეფემ.

წითურმა ძროხამ თავი დაუკანტურა. თვითონაც ასე ფიქრობდა. წუ-
თით ჩაფიქრდა და საბოლოოდ გადაწყვიტა, ამხტარიყო.

_ არასდროს ვიფიქრებდი, თქვენო უდიდებულესობავ, აქამდე თუ მი-
ვიდოდი! ჯერ საერთოდ თუ ავხტებოდი და ისიც მთვარის ზევით! მაგრამ
ვცდი! _ თქვა და მეფეს მოხდენილი რევერანსით გაერიდა.

_ ძალიან კარგია, _ გამხიარულდა მეფე. უკვე მიხვდა, რომ დალაქს
დროულად მიუსწრებდა. _ მომყევით.

იგი ბაღში შებრძანდა. ძროხაცა და კარისკაცებიც უკან მიჰყვნენ.

_ მაშ ასე, _ თქვა მეფემ, გაშლილ მინდორზე რომ გავიდნენ, _ მე და-
ვუსტვენ თუ არა, ახტით. ჟილეტის ჯიბიდან ოქროს სასტვენნი ამოიღო და
სულის ჩაბერვით მოსინჯა, ხომ არ ჩაიმტვერაო.

წითური ძროხა მეფეს მისჩერებოდა და თან ცეკვავდა.

_ აბა, _ თქვა მეფემ. _ ერთი!.. ორი!.. სამი!.. _ და დაუსტვინა.

წითურმა ძროხამ ერთი ჩაისუნთქა და ახტა. ნახტომიც ამასა ჰქვია! მიწა სადღაც შორს დარჩა. მეფე და კარისკაცები თითქმის აღარა ჩანდნენ. ძროხა მაღლა-მაღლა მიფრინავდა. ვარსკვლავეთს ააღწია, ოქროს ლანგრებივით ტრიალებდნენ ვარსკვლავები. და აი, თვალი მოსჭრა ნათელმა შუქმა. იგრძნო მთვარის ცივი სხივები, თვალები მოჭუტა და მთვარეს გადაუფრინა, თვალისმომჭრელი ციალი უკან მოიტოვა და ქვევით ჩაიხედა. თავი დასწია თუ არა, რქიდან ვარსკვლავი მოსწყდა. ერთი ზარითა და ზათქით გაგორდა ვარსკვლავი ცაზე. როცა ვარსკვლავი ცაზე გაუჩინარდა, ძროხას მოესმა ციური მუსიკის საოცრად მომხიბლავი, წკრიალა აკორდები...

იმავე წამს წითური ძროხა ისევ მიწაზე დაეშვა და, მისდა გასაოცრად, მეფის ბაღში კი არა, თავის მინდორში! რაც მთავარია, აღარ ცეკვავდა! დინჯად, მტკიცედ მიაბიჯებდა, ისე როგორც თავმოყვარე ძროხას შეეფერება. ნელ-ნელა, აუჩქარებლად გაემართა ძროხა წითური დეკეულის შესახვედრად, გზადაგზა კი თავს აცლიდა ოქროსთმიან ჯარისკაცებს.

– როგორ მიხარია, რომ მობრუნდი! – მიეგება წითური დეკეული. – უშენოდ მომწყინდა! ძროხამ აკოცა და ბალახობას შეუდგა. ერთი კვირა იყო, რაც პირი არ ჩაეგემრიელებინა. კარგად რომ დანაყრებულიყო, რამდენიმე პოლკი ბაბუაწვერა მიირთვა. ძროხა ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა. უწინდებურად უხაროდა, ბედნიერი იყო, რომ დროზე, ყოველგვარი ცეკვის გარეშე შეეძლო ესაუზმა, ბალახში ჩაწოლილიყო, ეცოხნა, ღამე უშფოთველად დაეძინა და ყველაფერი ეს ნაცვლად იმისა, რომ დღე და ღამ ციბრუტივით ეტრიალა და რევერანსებს მოჰყოლოდა. და მაინც რაღაც აწუხებდა. მართალია, მინდორი, ბაბუაწვერები, წითური დეკეული ძალიან კარგი იყო, მაგრამ რაღაც აკლდა, ოღონდ რა, თვითონაც არ იცოდა. ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ თავის ვარსკვლავზე სწყდებოდა გული. რა უცნაურადაც უნდა გეჩვენოთ, ეტყობა, მიეჩვია ცეკვას, როცა ბედნიერებისაგან ველარ გრძნობ სიმძიმეს, სხეულში კი ფუთფუთებს სიცხლის ჭია. გულფიცხოზა დასჩემდა, მადა დაეკარგა, ხშირად უმიზეზოდ ზღუქუნებდა. და აი, ერთხელ დედაჩემთან მოვიდა, უამბო თავისი თავგადასავალი და რჩევა სთხოვა.

– ჩემო ძვირფასო! – უთხრა დედაჩემმა, – თქვენ გგონიათ, ცაზე ცოტა ვარსკვლავია? მილიონობითაა! და მილიონი ვარსკვლავი წყდება ყოველ ღამით! ეგაა, ერთსა და იმავე ადგილას, ერთსა და იმავე მინდორზე არ ეცემიან!

– თქვენ ფიქრობთ, ცოტას თუ მივივლ-მოვივლი... – დაიწყო წითურმა ძროხამ და თვალებში სიხარულისა და იმედის შუქი ჩაუდგა.

– რა თქმა უნდა! თქვენს ადგილას, – უთხრა დედაჩემმა, – არც კი დავფიქრდებოდი. ეძიეთ და იპოვით!

– ასეც ვიზამ, – გაიფიქრა ძროხამ. – ასეც ვიზამ!

მერი პოპინსი გაჩუმდა.

– მიხვდი, რატომაც მოვიდა ჩვენს შესახვევში! – თქვა ჩაფიქრებულმა ჯეინმა.

– მეც! – გაეპასუხა მაიკლი. – თავის ვარსკვლავს ეძებს.

მერი პოპინსი შეკრთა და წამოდგა.

– კეთილ ინებეთ და ახლავე მოსცილდით ფანჯარას, სერ! – გაუბრაზდა მაიკლს. – ახლავე ჩავაქრობ შუქს!

ბავშვები ლამის ძილშიც კი ნატრობდნენ, ნეტავი წითურმა პროხამ თავისი ვარსკვლავი იპოვოსო...

მეხუთე თავი

ტყუპების ამბავი

ჯეინმა და მაიკლმა თავიანთი საუკეთესო კოსტიუმები ჩაიცვეს და სტუმრად წავიდნენ. ელინი ამბობდა, ამ კოსტიუმებში მაღაზიის ვიტრინიდან გადმოსულებს ჰგვანანო. მთელ დღეს შინ სიჩუმე და მყუდროება სუფევდა. თითქოს სახლი ჩაფიქრდა, ან ჩაიძინაო. ქვემოთ, სამზარეულოში, მისის ბრილს ცხვირზე სათვალე წამოესკუპებინა და გაზეთს კითხულობდა. რობერტსონ ეი ბაღში იჯდა, ძალიან მოუცლელად იყო: არაფერს აკეთებდა. მისის ბენქსი სასტუმრო ოთახში დივანზე ფეხმორთხმული იჯდა. სახლი გაყურებულიყო. იდგა ჩუმად-ჩუმად, ოცნებებში ჩაძირული თუ ჩაფიქრებული.

ზემოთ, საბავშვო ოთახში მერი პოპინსი ღუმელთან ტყუპების ტანსაცმელს ამრობდა. მზე ფანჯარას მისდგომოდა, მისი სხივები ოთახის შეთეთრებულ კედლებსა და პატარების საწოლებს ეთამაშებოდა.

– შენ, ეი, გაიწიე! პირდაპირ თვალეებში მიჭყიტინებ! – უთხრა ჯონმა ხმამაღლა მზის სხივს.

– მაპატიე! – უპასუხა მზის სხივმა. – სხვა გზა არა მაქვს! მინდა-არ მინდა ამ ოთახში უნდა გავიარო. ბრძანება ბრძანებაა, თქვენი საბავშვო ოთახი სწორედ გზადაა! უნდა მაპატიო. დახუჭე თვალეები და ვერც შეამჩნევ! მზის ოქროსფერ სხივთა კონა ოთახს ჭრიდა. ამკარად ცდილობდა, რაც შეიძლება, ჩქარა გასულიყო და ჯონის თხოვნა შეესრულებინა.

– რა ნაზი ხარ, რა ალერსიანი! როგორ მიყვარხარ, იცი! – მიეხალისა ბარბი ციალა სხივებს და ხელები გაუწოდა.

– ყოჩაღ! – შეაქო მზის სხივმა ბარბი და პირისახესა და თმაზე მიელამუნა. – მაშ, მოგწონვარ? – ისე ჩაეკითხა, ეტყობა, კიდევ უნდოდა ქება გაეგონა.

– მა-ა-ა-ლიან! – უთხრა ბარბიმ და სიამოვნებისაგან ამოიხვნეშა.

– ისევ ჭარტალ-ჭარტალ-ჭარტალი? ცხოვრებაში არა მსმენია ამდენი ლაყობა, რამდენიც აქ მესმის! მუდამდღე ვიღაც ლაქლაქებს ამ ოთახში! – მოისმა ფანჯრიდან მკვიანა ხმა. ჯონმა და ბარბიმ ფანჯარაში გაიხედეს. ის შოშია შემომჯდარიყო, მილის თავზე რომ ჰქონდა ბუდე.

– აი, ეს მომწონს! – მიუბრუნდა მერი პოპინსი. – შენს თავს მიხედე! თვითონ მუდამდღე, დილიდან დაღამებამდე რატრატებ, ჭრიჭინებ, კაკანებ! შენი ლაყლაყისაგან ლამის სკამებსაც ფეხები მოულაყლაყდეთ! მართალი გითხრა, ბელურაზე უარესი ხარ!

შოშიამ თავი გვერდზე გადახარა და ზევიდან, უშიშარი პოზიციიდან გადმოხედა მერი პოპინსს.

– მაშ, რა გეგონა, – მიახალა მან, – მე საქმე მაქვს, უამრავი საქმე. თათბირები, მოლაპარაკება, კონსულტაციები, დისკუსიები და ასე შემდეგ და სხვა ამგვარები. რასაკვირველია, ბევრი რამ ჰმ... ჰმ... ჰმ... მშვიდად უნდა განვსაჯო.

– მშვიდად! – სიცილით წამოიძახა ჯონმა.

– ყმაწვილო, მე თქვენ არ გელაპარაკებით! – შეაწყვეტინა შოშიამ და ფანჯრის რაფაზე ჩამოხტა. – და, სხვათა შორის, გიჯობს, ხმა გაკმინდო. მესმოდა, როგორ ლაქლაქებდი წინა შაბათს. ღმერთო ჩემო! ვიფიქრე, არასდროს გაჩუმდება-მეთქი! მთელი ღამე არ დამაძინე!

– მე კი არ ვლაპარაკობდი, – უთხრა ჯონმა, – ვტირ... – ენა დაება. – მინდოდა მეთქვა, რომ ავად ვიყავი.

– ჰმ! – თქვა შოშიამ და ბარბის საწოლის მოაჯირზე ჩამოჯდა. გაცუნცულდა მოაჯირზე, თავთან დაუსკუპდა და ალერსად დაიღვარა, ხმაში ხვეწნა-მუდარა გაურია:

– ბარბარა ბენქს, რამე ხომ არ მოგემეცება ძველი ნაცნობისათვის?

ბარბი მოაჯირს მოეჭიდა და საწოლში წამოჯდა.

– ნამცხვრის ნახევარი დამრჩა, – უპასუხა მან და თავისი ფუმფულა ხელი შოშიასკენ გაიშვირა.

– გმადლობთ! – მრავალმნიშვნელოვნად წარმოთქვა მერი პოპინსმა. მაგრამ შოშია ისე იყო გატაცებული ჭამით, ვერ გაიგო, რაზე გადაუკრეს სიტყვა.

– გმადლობთ-მეთქი! – გაიმეორა მერი პოპინსმა უფრო ხმამაღლა.

შოშიამ თავი ასწია.

– რაა? აჰ, მომეშვი, ქალიშვილო, მომეშვი. სადა მაქვს ცერემონიების დრო, – თქვა მან და ნამცხვარი სწრაფ-სწრაფად აკენკა და აკენკა.

ოთახში სიწყნარემ დაისადგურა. ჯონი მზეზე ნებივრობდა. მარჯვენა ფეხი პირში ჩაედო და თითებს ღრძილებზე ითათუნებდა, ზუსტად იქ, სადაც კბილებს დაეწყო ამოჭრა.

– რადა შვრები ამას? – მხიარულად ჰკითხა ბარბიმ თავისი ნაზი, მუდამ ღიმილნარევი ხმით. – რად ეწვალეები, როცა არავინ გიყურებს?

– რადა და ვვარჯიშობ, ფორმა რომ არ დავკარგო, – უპასუხა ჯონმა ისე, რომ ფეხის თითებზე რაღაც მელოდიის დაკვრა არ შეუწყვეტია. – დიდებს უხარიათ ხოლმე ასეთი რამეები. გუშინ ნახე, რა დაემართა დეიდა ფლოსის? აღტაცებისაგან კინაღამ ჰკუაზე შეიშალა, ეს რომ ვუჩვენე! «ოქროვ! ჰკვიანო ბიჭო! ჩემო სასწაულო! მშვენიერო!» კიდევ რეები თქვა. გახსოვს, როგორ ჩაბჟირდა? ჯონმა ფეხი გაშალა და თვითონაც ჩაბჟირდა სიცილისაგან, ვითომ დეიდა ფლოსის ვაჯავრებო.

– ჩემი ოინიც მოეწონა, – კმაყოფილად თქვა ბარბიმ. – მე ფეხიდან წინდა გავიძრე, ის სიხარულით აფართქალდა და აკივლდა, ამ ბავშვს შევჭამო! რა სეირი იყო! მე თუ ვიტყვი, მინდა ვჭამო-მეთქი, მართლაც შევჭამ ხან ნამცხვარს, ხან ორცხობილას, საწოლის მოაჯირსაც ვლოღნი. ამ დიდებს, ჩემი

აზრით, თვითონ არ ესმით, რასაც ამბობენ. ნეტა მართლა ხომ არ უნდოდა შევეჭამე?

– რა თქმა უნდა, არა. ეს რაღაც მათი ლაპარაკის სულელური მანერაა, – თქვა ჯონმა. – მე ალბათ მათ ვერასოდეს გავუგებ. ყველანი მოიჩერჩეტებენ. ზოგჯერ ჯეინიცა და მაიკლიც მათსავით მოისულელებენ ხოლმე.

– ჰო, – დაბნეულად უპასუხა ბარბიმ, რომელიც ხან იხდიდა წინდას, ხან ისევ იცვამდა.

– მაგალითად, – განაგრძობდა ჯონი, – ჩვენი ნათქვამი არც ერთი სიტყვა არ ესმით. უფრო მეტს გეტყვი: ნივთებსაც ვერაფერს უგებენ! წარმოგიდგენია, წინა ორშაბათს ჩემი ყურით გავიგონე, როგორ თქვა ჯეინმა, ძალიან მინდა ვიცოდე, ნიავი რომელ ენაზე ლაპარაკობსო.

– დიახ, დიახ, მახსოვს, – უთხრა ბარბიმ. – პირდაპირ საოცარია! აბა, როგორ მოგეწონა, მაიკლმა რომ თქვა, შოშია «ჭახ-ჭახს» ამბობსო. მას აზრადაც არ მოსდის, რომ შოშია ჩვეულებრივად ჩვენსავით ლაპარაკობს! მართალია, დედასა და მამას ბევრს ვერ მოსთხოვ, სულ არაფერი ესმით, თუმცა კარგები კი არიან მაგრამ ჯეინის და მაიკლისა კი გამკვირვებია, ეტყობა...

– ერთ დროს მათაც ყველაფერი ესმოდათ, – ჩაერია საუბარში მერი პოპინსი. ის ჯეინის ღამის პერანგს კეცავდა.

– როგორ? – ერთად გამოეპასუხნენ განცვიფრებული ჯონი და ბარბი. – მართლა? თქვენ გინდათ თქვათ, რომ შოშიასაც უგებდნენ ლაპარაკს, ნიავისაც...

– ხესაც... მზის სხივების ენაც იცოდნენ, ვარსკვლავებისაც. დიახ, დიახ, ასე იყო ოდესღაც, – განუმარტა მერი პოპინსმა.

– რატომ დაივიწყეს, რატომ? – შუბლი შეიჭმუხნა ჯონმა.

– აა, – შოშიამ ნამცხვრის ნარჩენს თავი ანება და მრავალმნიშვნელოვნად თქვა, – ძალიან გინდათ, იცოდეთ?

– დაიზარდნენ და იმიტომ, – აუხსნა მერი პოპინსმა და ბარბის სთხოვა: – გეთაყვა, ახლავე ჩაიცვი წინდები.

– ესეც ახალი ამბავი! – ყურადღებით შეხედა მერი პოპინსს ჯონმა.

– ასეა და! – უპასუხა მერი პოპინსმა და კარგად გაუსწორა ბარბის წინდები.

– მერე რა, იყვნენ ჯონი და მაიკლი ასე სულელები, – განაგრძო ჯონმა.

– ვიცი, მე არაფერს დავივიწყებ, დიდი რომ გავიზრდები.

– მე ხომ არ დავივიწყებ და არა, – თქვა თითის წოვით ბარბიმ.

– დაგავიწყდებათ, – უთხრა მერი პოპინსმა მტკიცედ.

ტყუპები დასხდნენ და მერი პოპინსს თვალგამტერებული მიაჩერდნენ.

– ერთი ამათ დამიხედეთ! – აბუჩად აიგდო შოშიამ ბავშვები. – არ გამომიჩნდნენ ვუნდერკინდები! ესეც სამყაროს მემზიდე საოცრება! ყველაფერი დაგავიწყდებათ, ძვირფასებო, კბილები რომ ამოგივათ!

– არავითარ შემთხვევაში! – უპასუხეს ტყუპებმა და თან ისე უყურებდნენ შოშიას, სულიც რომ გაეფრთხოებინებინათ, არ დაენანებოდათ.

შოშიამ დაცინვით დაუსტვინა.

– არხეინად ბრძანდებოდეთ, ყველაფერი დაგავიწყდებათ! – გაუმეორა ბავშვებს და თან დაამშვიდა, – რა თქვენი ბრალია, ასეა დაწესებული, ვერაფერს გააწყობ. არ მეგულება ქვეყანაზე ადამიანი, ვისაც ახსოვდეს ერთი წლის რომ გახდება, იმის მერე რამე, რა თქმა უნდა, გარდა ამისა, – და ნისკარტით მერი პოპინსზე მიუთითა.

– რატომ შეუძლია მერი პოპინსს ახსოვდეს და ჩვენ არა? – იკითხა ჯონმა.

– ა-ა-ა! ის სხვებს არა ჰგავს. იშვიათი გამონაკლისია. უბადლოა! – ჩაიცინა შოშიამ.

ჯონი და ბარბი ხმას არ იღებდნენ. შოშია განაგრძობდა განმარტებას:

– თავისთავად ის ერთადერთია. გარეგნობაზე კი არ ვამბობ. რა თქმა უნდა, რომელიც გნებავთ ჩემი ახალგამოჩეკილი ბარტყი გაცილებით ლამაზია, ვიდრე მერი პოპინსი იყო, არის და...

– შავ დღეს დაგაყრი, თავხედო! – გაბრაზდა მერი პოპინსი, უცებ მობრუნდა და წინსაფარი მოუქნია.

შოშია აფრთხილდა ფანჯრიდან და, უსაფრთხოდ რომ დაიგულა თავი, დაცინვით დაუსტვინა.

– გეგონა, ამჯერად დამიჭერდი, არა? – ჩაიხითხითა მან და ფრთები დაუქნია.

მერი პოპინსმა მხოლოდ ჩაიფრუტუნა.

მზის ოქროსფერი გრძელი სხივები დაციალდნენ ოთახში. ფანჯარას მსუბუქმა ნიავმა ჩაუქროლა და შესახვევში ალუბლის ტოტებს ჩუმად რაღაც ჩაუჩურჩულა.

– ყური უგდე, ყური უგდე, ქარი რაღაცას ამბობს, – თავი გვერდზე გადააგდო ჯონმა. – თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ჩვენ ვერ გავიგონებთ, როცა დიდი გავიზრდებით? – ჰკითხა მერი პოპინსს.

– გაგონებით ყველაფერს გაიგონებთ, – უპასუხა მერი პოპინსმა, – მაგრამ ვერ გაიგებთ.

ამ სიტყვებზე ბარბი საწყალობლად ატირდა. ჯონსაც ცრემლი მოადგა თვალებზე.

– ვერაფერს ვერ უშველი, ასეა წესი, – განაგრძობდა მერი პოპინსი.

– ვაი, ვაი, ვაი, რა სირცხვილია! – დასცინოდა შოშია. – ტირიები აღრი-ალდნენ! გამოუჩეკავ შოშიას ბარტყსაც კი თქვენზე მეტი ჭკუა აქვს! არა გრცხვენიათ, რას ჭყიპინებთ!

მართლაც, ჯონი და ბარბი გულამოსკვნილი ქვითინებდნენ და ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ. კარი გაიღო და ბავშვების ოთახში მისის ბენქსი შემოვიდა.

– ბავშვების ტირილი მომესმა, – თქვა მან და ტყუპებთან მივიდა. – რა დაგემართათ, ჩემო ნამცეცებო? ვაიმე, ჩემო საყვარლებო, მზისდარებო, ჩემო ოქროს ჩიტებო! რა დაგემართათ? რატომ ტირიან ასე, მერი პოპინს? მთელი დღე ჩუმად იყვნენ, მშვიდად! რამე მოხდა?

– დიახ, მემ, არა, მემ, მგონი, კბილები ამოსდით, – ამბობდა მერი პოპინსი და შოშიასკენ არც იხედებოდა.

– ჰო, მართლა! – გაიღიმა მისის ბენქსმა.

– არ მინდა არავითარი კბილები, თუ ეგ რაღაც კბილები ყველაფერს დამავიწყებენ ქვეყანაზე, ყველაფერს, რაც მიყვარს! – ღრიალებდა ჯონი და საბანში მოუსვენრად წრიალებდა.

– მეც არ მინდა, – ქვითინებდა ბალიშში თავჩარგული ბარბი.

– ეჰ, ჩემო პატარებო, ჩემო თათუნებო! ყველაფერი კარგად იქნება! ოღონდ ეგ საძაგელი კბილები ჩქარა ამოგივიდეთ, – ამშვიდებდა მისის ბენქსი ტყუპებს და ხან ერთს მიეფერებოდა, ხან მეორეს.

– შენ არ გესმის! – ღრიალებდა ჯონი. – არავითარი კბილები არ მინდა.

– ცუდად იქნება ყველაფერი, კარგად კი არა! – ზღუქუნებდა ბალიშში თავჩარგული ბარბი.

– ჰო, ჰო-ჰო! ნულარ ტირი! დედამ იცის. დედამ ყვე-ე-ლაფერი იცის. დედას ესმის. კბილები რომ ამოგივთ, ყველაფერი კარგად იქნება, – ღულუნებდა მისის ბენქსი.

ფანჯარასთან რაღაც გაფაჩუნდა, შოშია ძლივს იკავებდა სიცილს. მერი პოპინსმა მკაცრად შეხედა. შოშიამ მაშინვე სერიოზული სახე მიიღო.

მისის ბენქსი ნაზად ეფერებოდა თავის ტყუპებს, ხან ერთს, ხან მეორეს, ათასგვარ საალერსო სიტყვას ეტიტინებოდა, ფიქრობდა, ამით დავამშვიდებო.

უკვებ ჯონმა ტირილი შეწყვიტა. კარგად აღზრდილი ბიჭი იყო. უყვარდა დედა და იცოდა, როგორ მოქცეოდა. «საწყალი დედა ხომ არაა დამნაშავე, არ ესმის და იმიტომ ლაპარაკობს ასე», ფიქრობდა ის. რომ ეჩვენებინა, შენზე არა ვბრაზობო, ზურგზე გადაბრუნდა ცრემლების ყლაპვა-ყლაპვით და მარჯვენა ფეხი ორივე ხელით პირში ჩაიჩურთა.

– ოჰ, ჩემო ჭკვიანო ბიჭო, ჩემო კარგო ბიჭო! – აღტაცებული იყო დედა.

ჯონმა ისევ იტაცა პირში ფეხი და კიდევ უფრო ალაფრთოვანა დედა. ბარბი რომ არ ჩამორჩენოდა ჯონს თავაზიანობაში, წამოჯდა და, თუმცა სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა, სწრაფად წაიძრო ორივე წინდა.

– სასწაულია, გოგო კი არა! – ამაყად თქვა მისის ბენქსმა და აკოცა. – ხომ ხედავთ, მერი პოპინს! უკვე ყველაფერი მოგვარდა! მე ყოველთვის ვიცი, როგორ დავაწყნარო ბავშვები. ყველაფერი კარგადაა, ყველაფერი კარგადაა! – იმეორებდა მისის ბენქსი იავნანასავით, – კბილებიც მალე ამოუვთ.

– დიახ, მემ, – მშვიდად ეთანხმებოდა მერი პოპინსი.

მისის ბენქსმა ერთხელ კიდევ გაუღიმა ტყუპებს და გავიდა. კარი მიიხურა თუ არა, შოშია ახარხარდა.

– მაპატიეთ, თავი რომ ვერ შევიკავე, – ყვიროდა ის, – მაგრამ ყველაფერს ვფიცავ, მეტი აღარ შემიძლია. ნამდვილი წარმოდგენა იყო! ნამდვილი.

ჯონმა მას ყურადღება არ მიაქცია. თავის საწოლის მოაჯირს მიეყრდნო და გაგულისებულმა უთხრა ბარბის:

– მე არ ვიქნები ისეთი, როგორც ყველა! არ ვიქნები და მორჩა! მათ, – მერი პოპინსსა და შოშიას გახედა, – რაცა სურთ, ისა თქვან! არასოდეს დავივიწყებ, არასოდეს!

– მეც, – უპასუხა ბარბიმ, – არასოდეს დავივიწყებ!

– საკუთარ კუდს გეფიცებით! – ატკარცალდა შოშია, ფრთა ფრთას შემოჰკრა და სიცილისაგან ჩაბჟირდა. – აბა, ერთი უყურეთ! თითქოს მათზე

იყოს ყველაფერი დამოკიდებული! ერთ-ორ თვეში, ბევრი, ბევრი სამ თვეში ისიც კი დაავიწყდებათ, მე რა მქვია. უი. თქვე სულელებო! გუგულის უფროს სულელო ბარტყებო! ჰა-ჰა-ჰა!

ისევ ახარხარდა შოშია, ჭრელი ფრთები შეაფრთხიალა და ფანჯრიდან გაფრინდა.

*

არც ისე დიდი ხანი იყო გასული ამ ამბის მერე. წვალემა კი გადახდათ, მაგრამ კბილებმა იძალეს, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე. ტყუპებმა პირველი დღეობაც იხეიშეს. სწორედ ლხინის მეორე დღეს დაბრუნდა აგარაკიდან შოშია ალუბლის შესახვევის ჩვიდმეტ ნომერ სახლში.

– გამარჯობა, გამარჯობა, გამარჯობა! ჩვენც აქა ვართ, – ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და მხიარულად ატიკტიკდა შოშია. ყოველი «გამარჯობის» თქმაზე ახტებოდა და დახტებოდა. – როგორა ბრძანდება ქალიშვილი! – მოურიდებლად მოიკითხა მერი პოპინსი, თავი განზე გასწია და თავისი მხიარული, ციმციმა, ეშმაკური თვალები შეანათა.

– უთქვენობა არ დამტყობია! – მოუჭრა მერი პოპინსმა და მედიდურად ასწია თავი.

შოშიამ გაიცინა.

– ისევ ისეთი მერი პ. ხართ! არ შეცვლილხართ! – თქვა მან. – სხვები როგორღა არიან? გუგულის ბარტყებზე გეკითხები, – დააზუსტა ნათქვამი და ბარბის საწოლს მიეახლა. – აბა, ბარბარინა, – ტკბილად მიელაციცა, – მოგეძვეება რაიმე დღეს ძველი ნაცნობისათვის?

– ღულუ-ღულუ-ღულუ-ღულუ! – აღულუნდა ბარბი და ნამცხვრის ლოდნა განაგრძო.

შოშია მოულოდნელობისაგან შეკრთა და უფრო ახლოს მივიდა.

– მე გეუბნები, – გაუმეორა მან, – მოგეძვეება ძველი მეგობრისათვის რამე-მეთქი, ძვირფასო ბარბი?

– ტილი-ტალი-ტალი, – წამოილულულა ბარბიმ, ჭერს ახედა და ნამცხვრის ბოლო ტკბილი ლუკმა გადაყლაპა.

შოშია მიაჩერდა.

– ვაი, ვაი, ვაი! – წაივიშვიშა მან ბოლოს, მობრუნდა და მერი პოპინსს მიაჩერდა.

ყურადღებით შეხედეს ერთმანეთს.

შოშია ჯონის საწოლზე გადაფრთხილდა და მოაჯირის კიდეზე ჩამოჯდა. ჯონს ხელში უშველებელი ფუმფულა სათამაშო ბატკანი ეჭირა.

– რა მქვია მე? რა მქვია მე? რა მქვია მე? – აწრიალდა და აყვირდა შოშია.

– ჩია-ჩია! – თქვა ჯონმა და ბატკნის ფეხი პირში ჩაიდო.

შოშიამ თავი მსუბუქად გადააქნია და მობრუნდა.

– ესე იგი, უკვე, – ხმადაბლა უთხრა მერი პოპინსს.

მერი პოპინსმა თავი დაუქნია.

შოშიამ ერთი წუთი ნაღვლიანად უყურა ტყუპებს და მერე თავისი ჭრელი მხრები აიჩეჩა.

– აბა რა, მე ხომ ვიცოდი, ასე იქნებოდა. ყოველთვის ვეუბნებოდი, მაგრამ არ მიჯერებდნენ. ცოტა ხანს ჩუმიად უყურა საწოლებს, მერე ერთი ღონივრად აფრთხილდა.

– რას იზამ, რას იზამ. მეჩქარება. ბუდე ძირფესვიანად დასალაგებელი მექნება, დარწმუნებული ვარ. – ფანჯრის რაფაზე გადაფრინდა და წუთით უკან მოიხედა:

– უამათოდ მომწყინდება, მიყვარდა მათთან ქაქანი, დიახ, მიყვარდა. ნამდვილად მომაკლდებიან.

და თვალებზე მკვირცხლად მოისვა ფრთა.

– ატირდი? – წაკვინა პოპინსმა.

შოშია წელში გაიმართა.

– ავტირდი? როგორ გეკადრება! მსგავსი არაფერი დამმართია!.. უბრალოდ... სურდო შემეყარა. გზაში გავცივდი. სულ ეგ არის. დიახ, ოდნავ გავცივდი. საშიში არაფერია.

შოშია ფანჯრისგარეთა რაფაზე გადახტა, ნისკარტით გვერდზე ბუმბული შეისწორა, აფრინდა, ფრთები ლალად შეარხია, დაიძახა, ნახვამდისო, და თვალს მიეფარა...

მეექვსე თავი

მისის კორი

– ამიწონეთ უმაღლესი ხარისხის ორი გირვანქა სოსისი. თუ შეიძლება, სწრაფად, გეთაყვა! გვეჩქარება, – უთხრა ყასაბს მერი პოპინსმა.

ყასაბი ერთი ჩასუქებული გულკეთილი კაცი იყო. ცისფერ და თერთხოლიანი წინსაფარი ეკეთა. წითური და მაღალი თავადაც უზარმაზარ სოსისსა ჰგავდა. დახლზე გადმოხრილი აღტაცებული შესცქეროდა მერი პოპინსს. მერე მეგობრულად ჩაუკრა თვალი ჯეინსა და მაიკლს.

– გეჩქარებათ? ძალიან სამწუხაროა, რომ გეჩქარებათ! მე მეგონა, ცოტას შეყოვნდებოდით და ამ მთისას და იმ ბარისას მოვყვებოდით. თქვენისთანა მშვენიერ ლედისთან იშვიათად მიწევს საუბარი, – უცებ ენა დაება. მერი პოპინსი ისე უბღვერდა, ყასაბს ერჩია, მიწა გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა. – კი, ბატონო, – ისედაც წითური სახე უფრო წამოუწითლდა, – გეჩქარებათ, არა, ახლავე. ორი გირვანქა ბრძანეთ, არა? უმაღლესი ხარისხისა, არა? მან სასწრაფოდ ჩამოიღო საყასბოში გირლიანდებივით ჩამოკიდებული სოსისებიდან ერთ-ერთი ასხმულა, მოსწყვიტა ლამის ნახევარი მეტრი, გვირგვინივით დადო, შეახვია ჯერ თეთრ, შემდეგ ყავისფერ ქალაღდში და შეკრული მერი პოპინსს გაუწოდა.

– კიდევ რას მიბრძანებთ? – ჰკითხა თითქმის უიმედოდ და კიდევ უფრო გაწითლდა.

– მეტს არაფერს! – მოუჭრა მერი პოპინსმა. აიღო სოსისი და ეტლი ისეთი სახით გამოაგორა, ყასაბს ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ საშინლად შეურაცხყო. მაგრამ ვიტრინას რომ ჩაუარა, მერი პოპინსმა ერთი კი გამოხედა და თავისი ახალი ტუფლები შეათვალიერა, ღია ყავისფერი ორგადასაბნევიათი, არაჩვეულებრივად კოპწია ტუფლები ეცვა.

ჯეინი და მაიკლი კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ და ფიქრობდნენ, როდის ჩამოთავდება საყიდელთა სიაო, ოღონდ მერი პოპინსს იმისთანა სახე ჰქონდა, კითხვას ვერ უბედავდნენ. მერი პოპინსმა თითქოს ფიქრიანად მიიხედ-მოიხედა, მერე უეცრად მიიღო გადაწყვეტილება და ბრძანა:

– თევზის მაღაზიაში წავიდეთ.

ეტლი მეზობელი მაღაზიისკენ გაგორდა.

– ერთი ქამბალა, ერთ-ნახევარი გირვანქა პალტუსი, პინტა კრევეტი და ასთაკვი, – მიაყარა მერი პოპინსმა ისე სწრაფად, რომ ასეთ ბრძანებას მიჩვეული თუ გაიგებდა. მეთევზე ყასაბს არა ჰგავდა. მაღალი იყო და გამხდარი, ისე გამხდარი, სახე არ ემჩნეოდა, ცხვირ-პირი დღემუდამ ჩამოსტიროდა.

ჯეინი ვარაუდობდა, რომ სიჭაბუკეში უთქმელმა დარდმა დაამჩნია დალიო, მაიკლს კი ეგონა, ბავშვობაში წყალსა და ხმელა პურზე ჰყავდათ და სიმწარე დღემდე გამოჰყვაო.

– კიდეც გნებავთ რამე? – ძლივს ამოდერდა მეთევზემ ისეთი ხმით, გეგონებოდა, წინასწარ იცოდა, უარს რომ ეტყოდნენ.

– სხვა დროს გეახლებით, – უპასუხა მერი პოპინსმა.

მეთევზემ საწყალობლად დაუქნია თავი, წინდაწინ იცოდა, მეტს არაფერს მოსთხოვდნენ. მერე წყნარად ამოიოხრა, ნავაჭრი შეახვია და ეტლში ჩაულაგა.

– ერთი არ გამოიდარა, – თქვა მან და თვალები ხელით ამოიწმინდა, – ისეთი პირი უჩანს, ზაფხული არ გვეღირსება, თუმცა არც არასოდეს ყოფილა. არც თქვენ გამოიყურებით პეწიანად. ეს არცაა გასაკვირი, – მოუბრუნდა მერი პოპინსს. მერი პოპინსმა თავი ასწია.

– თქვენს თავს მიხედეთ! – ბრაზით მიახალა და ისე სწრაფად გასწია გასასვლელისაკენ, ეტლი ხამანწკებით სავსე კასრს დააჯახა. – რა სისულელეა! – წარმოთქვა და დაიხედა ფეხსაცმელებზე. – ქალს ორ ღილზე შეკრული ახალი ზამშეს ტუფლები მაცვია და პეწი მოგკლებიათო! მოჩმახა რა სისულელე! – ჩანდა, ხმამაღლა ფიქრობდა.

ტროტუარზე მერი პოპინსი შეჩერდა, საყიდლების სიაში ჩაიხედა და, რაც შეიძინა, ამოშალა. მაიკლი ადგილზე ცმუკავდა.

– მერი პოპინს, შინ როდის დავბრუნდებით? – ჭირვეულობდა ბიჭი.

მერი პოპინსი მოუბრუნდა და წყრომით შეხედა.

– როცა მოგვიხერხდება! – უპასუხა მოკლედ და საყიდლების სია დაკეცა. მაიკლმა კი ინანა, რად გავბედე და ხმა გავიღეო.

– თუ გნებავთ, შეგიძლია წაბრძანდე, – განაგრძო მერი პოპინსმა. – ჩვენ წავალთ და ჯანჯაფილის თაფლაკვერს ვიყიდით.

მაიკლს სახე დაუგრძელდა. როგორ ვერ მოითმინა! რა იქნებოდა, წინდაწინ სცოდნოდა, ჯანჯაფილის თაფლაკვერი რომ დარჩა საყიდელი!..

– შენ იქით გასწი, – ალუბლის შესახვევისკენ მიუთითა მერი პოპინსმა.

– გზა არ დაგებნეს.

– არა, არა, მერი პოპინს, გეთაყვა! მე ისე ვთქვი! მე... მერი პოპინს, გეხვეწებით! – შეევედრა თვალზე ცრემლმომდგარი მაიკლი.

– წამოვიდეს, მერი პოპინს, – საქმეში ჩაერია ჯეინი, – ეტლს მე წამოვიყვან, ოღონდ მაიკლი წამოვიდეს.

მერი პოპინსმა ჩაიფრუტუნა.

– დღეს რომ პარასკევი არ იყოს, – უთხრა მაიკლს მკაცრად, – ამ წუთში შინ ამოყოფდი თავს. ამ წუთში!

უთხრა და მოჰკიდა ტყუპების ეტლს ხელი, წინ გასწია. ჯეინი და მაიკლი მიხვდნენ, შეგვიწყნარაო, და ჩანჩალ-ჩანჩალით გაედევნენ, თან ცდილობდნენ, მიხვედრილიყვნენ, რას ნიშნავდა «წუთი». უცებ ჯეინმა შეამჩნია, რომ სხვა გზით მიდიოდნენ.

– მერი პოპინს, თქვენ ხომ თქვით, ჯანჯაფილის თაფლაკვერის საყიდლად მივდივართო, საშაქარლამოს ავცდებით, ამ გზით თუ ვიარეთ, – გააფრთხილა მან.

მერი პოპინსმა ერთი გადმოხედა:

– ვის დაავალეს იყიდეო, მე თუ შენ?

– თქვენ, – თავი მოისაწყლა ჯეინმა.

– ოჰ, მართლა? მე ვიფიქრე, შენ დაგავალეს-მეთქი! – სარკასტულად გაიცინა მერი პოპინსმა. მერე მსუბუქად წაჰკრა ხელი ეტლს, მოაბრუნა და გაჩერდა.

ჯეინი და მაიკლი მოულოდნელობისაგან გაშეშდნენ. ერთ უცნაურ საშაქარლამოს მისდგომოდნენ. არასოდეს ენახათ ასეთი პატარა და ჭუჭყიანი დუქანი. ვიტრინაში გამოხუნებული ფერადი ქაღალდის ლენტები ეკიდა, თაროებზე კიდებზემოცვეთილ კოლოფებში ჩაწყობილი რახათ-ლუბუმი, მტვერმიყრილი ძირტკბილა და დამჰკნარ-დაჰიანებული სამოთხის ვაშლები ელაგა. ფანჯრებს შუა პატარა, ბნელი შესასვლელი ჩანდა. მერი პოპინსმა ეტლი იქ შეაგორა, ჯეინი და მაიკლი უკან მიჰყვნენ.

დუქანში ბნელოდა. ბავშვებმა მაინც მიიხედ-მოიხედეს, ნახეს, რომ მთელ სამ კედელზე შემინული დახლები იყო გამართული. დახლში ნამცხვრები ეწყო. ყოველ ნამცხვარს მოოქრული ვარსკვლავი ეხატა. ისე ბევრი იყო, ლამის დუქანს აშუქებდნენ. ჯეინი და მაიკლი თვალეებს აცეცებდნენ, გამყიდველს დაეძებდნენ. მერი პოპინსმა კი, მათდა გასაოცრად, შინაურივით დაიძახა:

– ფენი, ენი! სადა ხართ?

დაიძახა და, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ორი უზარმაზარი ქალი გამოჩნდა. დევკაცის ტოლა ქალები დახლს გადმოეყუდნენ, მერი პოპინსს და ბავშვებს ხელი ჩამოართვეს, გამარჯობაო, დაიბუხუნეს.

– გამარჯობა, მის... – მაიკლი შეჩერდა, რომელს რა ერქვა, არ იცოდა, – როგორ ბრძანდებით?

– მე ფენი მქვია, – უთხრა ერთ-ერთმა, – ისე, რევმატიზმი მაწუხებს. გმადლობთ ყურადღებისათვის.

ფენი შემკრთალ-მორიდებული ჩანდა. ეტყობა, არ იყო ჩვეული სხეულისგან ასეთ თავაზიანობას.

– მშვენიერი დარია, – სცადა ჯეინმა თავაზიანი საუბარი გაება მეორე დასთან, რომელსაც გოლიათურ ტორში მოემწყვდია მისი ციცქნა ხელი.

– ენის მეძახიან, – სევდიანად თქვა მან. – საერთოდ, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან. – დაუმატა სრულიად უადგილოდ.

ჯეინმა და მაიკლმა გაიფიქრეს, რა უცნაურად იქცევიათ, მაგრამ გაკვირვებაც ვერ მოასწრეს, რომ მის ფენი და მის ენი ეტლს მიადგნენ და სათითაოდ ჩამოართვეს ხელი ტყუპებს. ტყუპები განცვიფრების ნიშნად აღრი-
ალდნენ.

– ჩუ-ჩუ-ჩუ! რა იყო, რა მოხდა? – დაიკნავლა ვიდაცამ.

მის ენისა და მის ფენის ფერი ეცვალათ, მოიღრუბლნენ, შიშის კანკალი შეუდგათ. მაიკლსა და ჯეინს მოეჩვენათ, გოლიათებს ცეროდენობა მოუნ-
დათო.

– რა მესმის? – ახლოვდებოდა უცნაური წრიპინი.

სადღაც კუთხეში გამოჩნდა წრიპინა ხმის პატრონი. ერთი გაწრიპული, თხელი, ჩხირისფეხება დედაბერი, თმაქალარა, დამქნარ-დანაოქებული. ალბათ მასზე უფრო ბებერი ქვეყანაზე არავინ იქნებო, გაიფიქრეს ბავშვებ-
მა, მაგრამ, მათდა გასაოცრად, ყმაწვილი ქალივით მსუბუქად, მხიარულად გამოიქცა.

– უჰ, უჰ, უჰ! აი, ეს მესმის! ნუთუ მერი პოპინსი მოვიდა, ჯონი და ბარ-
ბარა ბენქსებიც მოიყვანა? როგორ, ჯეინი და მაიკლიც აქ არიან? ნამდვილად სასიამოვნო სიურპრიზია! ასეთი სიურპრიზი, გეფიცებით, მას მერე არა მღირსებია, რაც ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა! – წრიპინებდა დედაბერი. მხიარულად იღიმებოდა და ციციქნა ფეხზე წამოცმულ მოცუც-
ქნულ ფეხსაცმელებს მსუბუქად მოაბაკუნებდა. ეტლთან მოცუნცულდა, ნე-
ლა დაარწია და ტყუპებს თავისი თხელი, გამვალტყავებული თითებით რქები უჩვენა. ჯონმა და ბარბიმ ტირილი მაშინვე სიცილით შეცვალეს.

– ასე სჯობია, – თქვა დედაბერმა და თვითონაც გულიანად გაიცინა.

მერე სასწაული ჩაიდინა. ორი თითი მოიმტვრია და ჯონსა და ბარბის მიართვა.

სასწაულს სასწაული მოჰყვა. მომტვრეული თითების სანაცვლოდ იმ-
წამსვე ახალი წამოეზარდა.

ჯეინი და მაიკლი თვალებს არ უჯერებდნენ.

– შეპარყინულია, წუწნონ, არ აწყენთ, – თქვა დედაბერმა.

– თქვენი მირთმეული კი არ აწყენთ, არგებთ, მისის კორი, – მოულოდ-
ნელი თავაზიანობით გამოეპასუხა მერი პოპინსი.

– აჯობებდა, პიტნის კამფეტი ყოფილიყო, – ველარ მოითმინა და თავისი აზრი გა-
მოთქვა მაიკლმა.

– ზოგჯერ მართლაც პიტნის კამფეტი მაქვს. სწორედ გითხრათ, ძალი-
ან გემრიელია! დამე რომ არ მეძინება, ხშირად მე თვითონ ვწუწნი. ძალიან უწყობს ხელს საჭმლის მონელებას.

– კიდევ რა გქნებათ? – ჰკითხა ჯეინმა ისე, რომ თვალი არ მოუცილე-
ბია მისის კორის თითებისათვის.

– აბა, რა ვიცი! – უთხრა მისის კორიმ, – წინდაწინ არასოდეს ვიცი, რა მექნება. ბედსა ვცდი, როგორც ვილჰელმ დამპყრობელმა უთხრა დედამისს ჩემი თანდასწრებით, როცა დედა ურჩევდა, ნუ ეცდები, ინგლისი დაიპ-
ყრო.

– თქვენ ალბათ ძალიან, ძალიან, ძალიან მოხუცი ბრძანდებით, – უთხრა ჯეინმა, ამოიხვნეშა და შურით გაიფიქრა, ნეტავ, თვითონ თუ შევძლებ ოდესმე, დავიმახსოვრო ყველაფერი, რაც მისის კორის ახსოვსო.

მისის კორიმ ჭაღარა თავი ასწია და სიცილი აუტყდა.

– მოხუციო! – თქვა ბოლოს. – დიდედაჩემთან შედარებით ნამდვილი წიწილა ვარ. აი, ის კი ნამდვილად ბევრის მომსწრე და მნახველი ქალია. თუმცა მეც მინახავს ცხოვრებაში რაღაც-რაღაცები! მახსოვს, მაგალითად, როგორ შეიქმნა ეს სამყარო, მაშინ მე უკვე ქალიშვილი ვიყავი! ღმერთო ჩემო, რა არეულობა იყო. ახლავე გაამბობთ!

უცებ ლაპარაკი მიატოვა და შეშფოთებული მიაჩერდა ბავშვებს.

– ღმერთო, მომკალი, მე ვქაქანებ და თქვენ არავინ მოგხედათ! ჩემო ძვირფასო, – მიუბრუნდა ის მერი პოპინსს, როგორც ძველ ნაცნობს, – ჩემი ვარაუდით, ჯანჯაფილის თაფლაკვერი გნებავთ.

– მართალი ბრძანდებით, მისის კორი, – თავაზიანად უპასუხა მერი პოპინსმა.

– ძალიან კარგი! ფენიმ და ენიმ არ მოგართვეს? – შეხედა ჯეინსა და მაიკლს.

ჯეინმა თავი გააქნია.

გოლიათი ქალიშვილები დახლს იქით დაფრთხნენ.

– არა, დედა, – აწკმუტუნდა მის ფენი.

– აი, ახლა უნდა მიგვერთმია, – შეშინდა მის ენი.

მისის კორი მოულოდნელად წამოიმართა და მრისხანედ მიაჩერდა თავის გოლიათ ქალიშვილებს. ხმაში სითბო კი გაურია, მაგრამ გოლიათებს სულ შიშის კანკალი აუტეხა:

– უნდა მიგვერთმიაო? თქვენა? ერთი ამათ უყურე! საინტერესოა! ერთი გამაგებინე, საყვარელო, ენი, ვინ მოგცა ნება, ჩემი თაფლაკვერი დაგერიგებინა?

– არავინ, დედიკო! ხომ არ შემითავაზებია! მხოლოდ გავიფიქრე...

– მხოლოდ გაიფიქრა! რა კარგია! კეთილ ინებე და ნუ ფიქრობ! მადლობა ღმერთს, მე თვითონ მყოფნის ჭკუა! – თქვა მისის კორიმ ისევ მრისხანებანარევი ტკბილი ხმით და უცებ ავად ახარხარდა:

– ერთი შეხედეთ! შეხედეთ! ტირია, დოღრიალა! მტირალა! – დამარღვულ თითებს იშვერდა ატირებული ქალიშვილისაკენ.

ჯეინი და მაიკლი მობრუნდნენ. მსხვილი ცრემლი ჩამოჰგორებოდა გოლიათს დაღვრემილ სახეზე... ბავშვებმა ხმა ვერ გაიღეს. მართალია, მისის კორი ერთი ციცქნა იყო, მაგრამ მისდამი რიდი და კრძალვა ერთბაშად მოერიათ. შეშინდნენ კიდევ. როგორც კი მიბრუნდა მისის კორი, ჯეინმა მის ენის ჩუმად თავისი ცხვირსახოცი მიაწოდა. უშველებელმა ცრემლმა ცხვირსახოცი გასაწური გახადა. ენიმ გაწურა, პატრონს დაუბრუნა და მადლობა თვალით ანიშნა.

– ჰა, ფენი, საინტერესოა, შენც ეგრე ფიქრობდი თუ არა, ჰა?

– არა, დედი, – წამოიკნავლა ფენიმ.

– ჰმ! მით უკეთესი შენთვის! გახსენი ყუთი!

აკანკალებული, შიშით მოდუნებული ხელებით მის ფენიმ შემინული დახლის ერთი განყოფილება გააღო.

– მოზრძანდით, ჩემო ძვირფასებო, – მიეხმატკბილა ჯეინსა და მაიკლს მისის კორი. თან ისე დატკბა და დაითაფლა, რომ ყმაწვილებს შერცხვათ კიდეც, როგორ შეგვეშინდაო. იფიქრეს, ალბათ ძალიან კეთილია, მაგრამ ცოტა ახირებულიო.

– აბა, რას უცდით, ჩემო ჭუჭულებო, რატომ არ იღებთ საკენკს? დღეს საგულდაგულოდ დავაცხვეთ თაფლაკვერი. ალფრედ დიდმა რომ მომცა, იმ რეცეპტით დავამზადებ. მართალი გითხრათ, საუკეთესო მეშაქარლამე იყო ალფრედ დიდი. თუმცა მახსოვს, ერთხელ მიეწვა თაფლაკვერი. რამდენს ინებებთ?

ჯეინმა და მაიკლმა, თითქოს ვინმემ უზრძანაო, მერი პოპინსს შეხედეს.

– თითოეულს ოთხ-ოთხი ცალი მიეცი, სულ თორმეტი ცალი. – უთხრა მერი პოპინსმა.

– ცამეტი იყოს, – მხიარულად დაეთანხმა მისის კორი.

ყმაწვილებს ბლომად ერგოთ მოზრდილ-მოზრდილი თაფლაკვერები. ყოველ თაფლაკვერს მოოქრული ვარსკვლავი ამშვენებდა. მაიკლმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ერთი ცალი იქვე ჩაკბიჩა.

– გემრიელია? – დაიწრიპინა მისის კორიმ. მაიკლმა თავი დაუქნია. მისის კორიმ კაბის კალთა აიფარა და სიხარულით აცეკვდა. – ვაშა, რა კარგია, ვაშა, ვაშა! – წიკვინებდა ის. მერე, რამდენჯერმე შეხტა-შეიკუნტრულა. ბოლოს შეჩერდა და აწიწინდა: – არ დაგავიწყდეთ, თაფლაკვერებს ტყუილად არ ვიძლევი! ფული უნდა, ფული! თითომ სამ-სამი პენსი გაიღეთ!

მერი პოპინსმა ჩანთიდან სამი სამპენსიანი ამოიღო და თითო-თითო ჯეინსა და მაიკლს მისცა.

– რას უცდით? კაბაზე მომაწებეთ. ასეა წესი, – ასწავლა მისის კორიმ.

ყმაწვილებმა ახლადა შეამჩნიეს, რომ მისის კორის გრძელი შავი კაბა ჯამბაზის სამოსივით სულ სამპენსიანებით იყო აჭრელებული.

– გაბედულად, გაბედულად! მომიახლოვდით, მომაწებეთ! – სულმოუთქმელად იმეორებდა მისის კორი და წინდაწინ იფშვნეტდა ხელებს სიამოვნებისაგან. – ნუ გეშინიათ, მომეწებებიან. არც ერთი არ დავარდება.

მერი პოპინსმა კაბის საყელოზე მიუწება.

მაიკლსა და ჯეინს არა სჯეროდათ, სანამ მათი სამპენსიანებიც არ მიეწება. ერთი მარჯვნივ, მეორე კი ცენტრში.

– აი, სასწაული! – თქვა ჯეინმა.

– ისეთი არაფერი, ძვირფასო, – ჩაიხითხითა მისის კორიმ. – ყოველ შემთხვევაში, სხვა ამბებთან შედარებით. მაგრამ ამაზე არ ვლაპარაკობთ! – თვალი ჩაუკრა მერი პოპინსს.

– სამწუხაროდ, ჩვენ უნდა წავიდეთ, მისის კორი, – უთხრა მერი პოპინსმა. – სადილი უნდა გავაკეთო. ესე იგი, შინ დროზე უნდა მივიდე. ჩვენი მის ბრილი...

– უვარგისი მზარეულია? – ჩაჰკითხა მისის კორიმ.

– «უვარგისი!» – ზიზღით გაიმეორა მერი პოპინსმა. – ცოტაა, თქვა, უვარგისიაო!

– ჰო! – მისის კორიმ ცხვირზე თითი მიიღო და ბრძნული სახე მიიღო. – ძალიან გვასიამოვნეთ, რომ გვესტუმრეთ, ძვირფასო მერი პოპინს, დარწმუნებული ვარ, ჩემს ქალიშვილებს უფრო გაუხარდათ თქვენი მობრძანება, ვიდრე მე. – თქვა ეს და თავის დაღვრემილ გოლიათებს გადახედა.

– დარწმუნებული ვარ, რომ ისევ მალე გვეწვევით. ხომ მართალს ვამბობ? თავლაკვერებიც მოგენატრებათ. – უკვე ჯეინსა და მაიკლს მიმართავდა.

ყმაწვილებმა თავი დაუქნიეს.

მისის კორის თვალები ნახევრად დახუჭული ჰქონდა, მაგრამ იდუმალი სახით ჰკითხა:

– მაინტერესებს, რას უზამთ ამ ქალაქის ვარსკვლავებს?

– საერთოდ, ვაგროვებთ და... – უპასუხა ჯეინმა.

– აა! აგროვებთ. საინტერესოა, სად ინახავთ? მისის კორის თვალები მოჭუტული ჰქონდა, მაგრამ ჩვეულებრივზე უფრო ყურადღებით იყურებოდა.

– რა ვიცი, – უთხრა ჯეინმა, – მე კამოდის ზემო უჯრაში ვინახავ, მარცხენა მხარეს, ცხვირსახოცების ქვეშ და...

– მე ფეხსაცმლის ყუთში, კარადის ქვემო უჯრაში მიდევს, – თქვა მაიკლმა.

– ზემოთ, მარცხენა უჯრა, ქვემოთ ფეხსაცმლის ყუთი კარადაში, – გაიმეორა ჩაფიქრებულმა მისის კორიმ, თითქოს უნდა დაიმახსოვროსო.

მერე მრავალმნიშვნელოვნად გაუყარა თვალი თვალში მერი პოპინსს და თავი დაუქნია. მერი პოპინსიც თავის დაქნევით გაეპასუხა, ეტყობოდა, რაღაცაზე შეთანხმდნენ.

– დიახ, – სიხარულს ველარ ფარავდა მისის კორი. – ფრიად საინტერესოა! წარმოდგენაც კი გაგიძნელებათ, როგორ გამიხარდა, ვარსკვლავებს რომ უფრთხილდებით. ამას არ დაგივიწყებთ. ხომ ხედავთ, ყველაფერი მახსოვს. ისიც მახსოვს, გაი ფოქსს ყოველ მეორე კვირას რა ჰქონდა სადილად. ახლა ნახვამდის! ხშირ-ხშირად მობრძანდით! ხშირ-ხშირად!

მისის კორის ხმა თანდათან მიწყდა და ჯეინი და მაიკლი ისე მოულოდნელად აღმოჩნდნენ ტროტუარზე, ვერც კი გაიგეს, რა მოხდა. მერი პოპინსს მიჰყვებოდნენ, რომელიც თავისი საყიდლების სიას ათვალთქმობდა.

ყმაწვილებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ჯეინ! – უთხრა გოცებულმა მაიკლმა. – აღარ არის!

– მართლა! – მიიხედ-მიიხედა ჯეინმა. საშაქარლამო მართლაც აღარსად ჩანდა. გამქრალიყო.

– უცნაურია! – თქვა ჯეინმა.

– უცნაურია და მეტი არა?! – თქვა მაიკლმა, – მაგრამ თავლაკვერი ძალიან გემრიელია!

თავლაკვერი გემრიელი იყო. ხან კაცუნას ფიგურა ამოჭამეს, ხან ყვავილის, ხან ჩაიდნის და ჭამა-ჭამაში დაავიწყდათ კიდეც, რა უცნაურობის მომსწრენი გახდნენ.

*

მაგრამ იმავე ღამეს, შუქი რომ ჩააქრეს და ყველას ეგონა, ყმაწვილებს ტკბილად სძინავთო, ისევ მოუხდათ ამ ამბის გახსენება.

– ჯეინ, ჯეინ! – უჩურჩულა მაიკლმა. – ყური მიუგდე, ვილაც ფეხის წვერებზე ამოდის კიბეზე!

– სუუ... სუ! – გაისუსა ჯეინი. იმასაც ესმოდა ნაბიჯების ხმა.

კარი ფრთხილად გაიღო და ოთახში ვილაცა შემოვიდა.

გაუჭვრიტეს... მერი პოპინსი აღმოჩნდა. პალტოც ეცვა, ქუდიც ეხურა, ერთი სიტყვით, საგარეოდ გამოწყობილიყო.

უხმაუროდ, სწრაფად და ფრთხილად გაიარა.

ჯეინი და მაიკლი არ იძვროდნენ, ჩუმად ადევნებდნენ თვალს.

მერი პოპინსმა კამოდის ზემო უჯრა გააღო და თითქმის მაშინვე დახურა.

მერე ფეხაკრეფით ტანსაცმლის კარადასთან მივიდა, გააღო, დაიხარა და რაღაცა აიღო თუ დადო, ყმაწვილები ვერ მიხვდნენ.

ტანსაცმლის კარადის კარი ოდნავ გაჯახუნდა, მერი პოპინსი ოთახიდან გავარდა.

მაიკლი წამოჯდა.

– რას შვრებოდა? – ჰკითხა ჯეინს.

– არ ვიცი. შეიძლება ხელთათმანი დარჩა, ან ფეხსაცმელი, ან... – ჯეინი უცბად გაჩუმდა. – მაიკლ, უსმინე!

ქვემოდან, ალბათ, ბალიდან, ხმა ამოდიოდა. ეტყობა კამათობდნენ.

ჯეინი ტყვიასავით წამოვარდა საწოლიდან და მაიკლიც აიყოლია. ფეხშიშველები მისცვივდნენ ფანჯარას. შესახვევში, ზუსტად მათი ჭიშკრის წინ, სამნი იდგნენ: ერთი ჩია ქალი, ორი გოლიათი.

– მისის კორი, ფენი და ენი! – წაიჩურჩულა ჯეინმა.

უცნაური სანახაობა იყო! ერთი ციცქნა მისის კორი ხტუნაობდა, ღობის ზემოთ გადმოხედვას ცდილობდა. მის ფენის ორი გრძელზე გრძელი კიბე გაედო ძლიერ მხრებზე, მის ენის ერთ ხელში დიდი წებოსმაგვარი სითხით სავსე ვედრო ეჭირა, მეორეში – უშველებელი ფუნჯი.

ფარდის იქით მიმალულ ყმაწვილებს სიტყვა-სიტყვით ესმოდათ მათი ლაპარაკი.

– იგვიანებს! – ბრაზით ამბობდა შემფოთებული მისის კორი.

მის ფენიმ მხრებზე კიბეები შეისწორა და გაუბედავად წაიჩურჩულა:

– შეიძლება რომელიმე ყმაწვილი ავად გახდა და ვერ შეძლო...

– ...დროზე გამოსვლა, – შიშით დაამატა მის ენიმ.

– ხმა გაკმინდეთ! – მრისხანედ ბრძანა მისის კორიმ.

ყმაწვილებმა გაიგონეს, როგორ ჩურჩულებდა რაღაცას დედაბერი «ბენტერა ჟირაფებზე» და მაშინვე მიხვდნენ, თავის ბედკრულ ქალიშვილებს რომ ამკობდა.

– ჩუუ!.. – უცებ წაიბუტბუტა მან, თუმცა თვითონ ლაპარაკობდა, თორემ გოლიათები ხმას არ იღებდნენ. დედაბერმა ჩიტვიით გვერდზე გადააგდო თავი და მიაყურა.

უხმაუროდ გაიღო და ისევ მიიხურა ჩვიდმეტი ნომერი სახლის სადარბაზოს კარი. ბაღში ნაბიჯების ხმა გაისმა.

მისის კორიმ მხიარულად დაუქნია ხელი, ბილიკზე მერი პოპინსი მოაბიჯებდა, ხელში ჩანთა ეჭირა. ჩანთაში რაღაც ციმციმებდა.

– ჩქარა, ჩქარა, ჩქარა! დრო მიდის, – ამ სიტყვებით მისის კორიმ ხელი ჩაავლო მერი პოპინსს და ქალიშვილებს შეუძახა: – აყლაცუდებო, სახე ნუ ჩამოგტირით, გამხიარულდით!

თვითონ წინ წაუძღვა, გოლიათები გამოედევნენ, ვითომ გამხიარულდნენ, მაგრამ ტვირთქვეშ მოკაკულები ძლივს მიჩანჩალებდნენ.

ყველანი შესახვევის ბოლოს ალუბლის მაღლობამდე მივიდნენ. მაღლობის მწვერვალს რომ მიაღწიეს, სადაც მხოლოდ ბალახი და ბუჩქნარი ხარობდა, შეჩერდნენ.

მის ენიმ წებოთი სავსე ვედრო დადგა, მის ფენიმ კიბეები დაალაგა. მერე ორივე გოლიათმა კიბე კიბეს მიადგა და ვერტიკალურად გამართა. ერთ კიბეს მის ენი იჭერდა, მეორეს მის ფენი.

– რას აპირებენ? – ველარ მოითმინა მაიკლმა. ბიჭი ლამის გაგიჟდა განცვიფრებისაგან.

ჯეინს პასუხი არ დასჭირვებია, რადგან ნათლად გამოჩნდა შემდეგი სურათი:

მის ენიმ და მის ფენიმ კიბეები რომ გამართეს, კიბის თავმა, გეგონებოდა, ცას უწიაო, მისის კორიმ ერთი ხელით კაბის კალთა აიკარწახა და ფუნჯი აიღო, მეორე ხელში კი წებოთი სავსე ვედრო დაიჭირა და კიბეზე აბობლდა. მერი პოპინსი თავისი ჩანთით მეორე კიბეს აუყვა.

ჯეინმა და მაიკლმა ახლა მთლად სასწაული იხილეს. მისის კორი კიბის წვერზე მოექცა, ფუნჯი ვედროში ჩააწო და ცის თაღს გაუსვ-გამოუსვა.

მერი პოპინსმა ჩანთიდან რაღაც კაშკაშა ნივთი ამოიღო და თაღს მიაწება. ხელი რომ მოაცილა, ყმაწვილებმა იცნეს თაფლაკვერის ვარსკვლავი! მისის კორი თაღს წებოს უსვამდა, მერი პოპინსი ვარსკვლავებს აწებებდა, ვარსკვლავები კი ანათებდნენ, კაშკაშებდნენ, ელვარებდნენ და არემარეს ოქროსფერ სხივებსა ჰფენდნენ.

– ჩვენია! – აღელვებისაგან ძლივს სული მოითქვა მაიკლმა. – ჩვენი ვარსკვლავებია! ეგონა, გვეძინა, მოვიდა და წაიღო!

ჯეინი ხმას არ იღებდა. სანახაობამ დაატყვევა.

მისის კორი ისევ ისე დაულალავად უსვამდა წებოს, მერი პოპინსი აწებებდა ვარსკვლავებს, მის ენისა და მის ფენის კი კიბეები გადაჰქონდათ იქით-აქეთ, რომ მისის კორი და მერი პოპინსი ცის თაღს ყველგან მისწვდნოდნენ.

ბოლოს მთელი თაღი მოიხატა.

მერი პოპინსმა ჩანთა გამოფერთხა, მისის კორის აჩვენა, დაცარიელდაო.

ორივენი ერთად ჩამოვიდნენ და პროცესია გზას გაუდგა. მის ფენიმ ისევ კიბეები გაიღო მხარზე, მის ენიმ დაცარიელებულ ვედროს დაავლო ხელი.

მოსახვევთან შეჩერდნენ და რაღაცაზე აჩურჩულდნენ. მერი პოპინსმა ყველას ჩამოართვა ხელი და შესახვევში გამოქანდა. მისის კორიმ კუნტრუმ-

კუნტრუშით გასწია მოპირდაპირე მხარეს, გოლიათებიც დედას მიჰყვე-
ბოდნენ. მალე სამივენი სიბნელეში გაუჩინარდნენ.

ბაღის ჭიშკარი გაჯახუნდა. ბილიკზე ფეხის ხმა გაისმა. სადარბაზოს
კარი გაიღო, მერე კლიტემ გაიჩხაკუნა და მერი პოპინსი ნელა ამოვიდა კი-
ბეებზე. ფეხის წვერებით გაიარა საბავშვო ოთახი და ბარბისა და ჯონის სა-
წოლ ოთახში შევიდა.

ნაბიჯების ხმა მიწყნარდა თუ არა, ჯეინმა და მაიკლმა ერთმანეს გადა-
ხედეს და უხმოდ მიადგნენ კამოდს. გააღეს ზემოთა მარცხენა უჯრა და ჩაი-
ხედეს. შიგ ჯეინის ცხვირსახოცების მეტი არაფერი ელაგა.

– ხომ ვთქვი! – წამოიძახა მაიკლმა. ტანსაცმლის კარადაც მოათვალიე-
რეს. ფეხსაცმელების ყუთშიც აღარ ეწყო ვარსკვლავები.

– ეს როგორ მოხდა, როგორ! – ბუტბუტებდა მაიკლი და საწოლის კი-
დეზე ჩამომჯდარი ჯეინს შესცქეროდა.

ჯეინს არაფერი უთქვამს, გვერდით მიუჯდა მაიკლს. ხელები მუხლებ-
ზე შემოიხვია და ღრმა ფიქრებში ჩაიძირა... ბოლოს თავი გააქნია, გაიზმორა
და ადგა.

– ერთი ეს გამაგებინა, – თქვა მან, – ვარსკვლავებს აკეთებენ ოქროსფე-
რი ქალაქისაგან თუ ოქროფერი ქალაქს ვარსკვლავებისაგან?

პასუხი არ მიუღია. არც ელოდა. იცოდა, სწორი პასუხი მაიკლზე გაცი-
ლებით უფრო ჭკვიანს უნდა გაეცა....

მეშვიდე თავი

მთვარის გავსება

მერი პოპინსი მთელი დღე ჩქარობდა, ხოლო როცა ჩქარობდა, ყოველ-
თვის ბრაზობდა.

ჯეინს ყველაფერს უწყუნებდა, მაიკლს უარეს დღეს აყრიდა, ტყუპებ-
საც უჯავრდებოდა.

ჯეინი და მაიკლი ერიდებოდნენ, თვალში არ მოვხვდეთო. გამოცდი-
ლებით იცოდნენ, ზოგჯერ ჯობს, მერი პოპინსმა არც დაგინახოს და არც შე-
ნი ხმა გაიგონოსო.

მას მერე, რაც მერი პოპინსმა მაიკლს გამოუცხადა, სამაგლად გამოიყუ-
რები, თავმოყვარე კაცი არ შემოგხედავსო, მაიკლმა ინატრა, ნეტავი უჩინა-
რები ვიყოთო.

– მოდი, დივანს ამოვეფაროთ, ყულაბა გავხსნათ და რამდენი ფული
გვაქვს დავითვალოთ, – შესთავაზა მაიკლს ჯეინმა. – ვახშმის შემდეგ კი
ეგებ გუნება შეეცვალოს.

ასეც მოიქცნენ.

– ექვსი და ოთხი პენსი, ეს იქნება ათი, კიდევ ნახევარი და სამპენსიანი,
– სწრაფად ითვლიდა ჯეინი.

– მე მაქვს ოთხი პენსი და სამი ფარტინგი, და... გათავდა, – ამოიოხრა
მაიკლმა და თავისი ფული ერთმანეთზე დააღაგა.

_ ჩამოიმათხოვრეთ? _ თავზე წამოადგათ მერი პოპინსი და თავისებურად ჩაიფრუტუნა.

_ არა, ჩემია! _ იწყინა მაიკლმა. _ ჩემი დანაზოგია. თვითონ შევაგროვე!

_ ჰმ! ალბათ ისევ რაღაც ფიფრინავი გინდა... _ აბუჩად აიგდო მერი პოპინსმა.

_ არა, სპილო უნდა შევიძინო. ძალიან მინდა საკუთარი სპილო მყავდეს, ზოოპარკში რომ ლიზია, იმისთანა, ოღონდ ჩემთან უნდა ცხოვრობდეს. შენც გასეირნებ, _ უთხრა მაიკლმა ისე, რომ მერი პოპინსისკენ არ გაუხედავს, თვალი კი გააპარა, ეგებ შევატყო, რას ფიქრობსო.

_ ჰმ! არ მოუფიქრებია! _ თქვა მერი პოპინსმა. ეტყობოდა, ძალიან აღარ ბრაზობდა.

_ საინტერესოა, _ ჩაილაპარაკა მაიკლმა, _ რა ხდება ზოოპარკში ღამე, როცა ყველანი სახლებში წავლენ-წამოვლენ?

_ ბევრის ცოდნა მალე დაგაბერებს, _ შეუღრინა მერი პოპინსმა.

_ მე ხომ არ ვიცი, მხოლოდ ვკითხულობ, _ განუმარტა მაიკლმა. _ თქვენ იცით? _ შეეკითხა მერი პოპინსს, რომელიც მაგიდას წმენდდა გამალებით.

_ კიდევ ერთ შეკითხვას მომცემ და საწოლისაკენ მოუსვამ, _ უპასუხა მაიკლს და გამშაგებულმა ოთახის დალაგება განაგრძო. გეგონებოდათ, თავსაფარ-წინსაფრიანი ქარბორბალა დატრიალდაო.

_ რა აზრი აქვს შეკითხვას, _ წაუჩურჩულა მაიკლს ჯეინმა, _ ყველაფერი იცის და არაფერს გეტყვის!

_ რად უნდა ცოდნა, თუ არავის უთხრა! _ ჩაიბუტბუტა მაიკლმა ისე ჩუმად, მერი პოპინსს არ გაუგონია...

ჯეინსა და მაიკლს არ ახსოვთ, ასე სწრაფად დაეწვინოთ დასაძინებლად. მერი პოპინსმა ძალიან ადრე ჩააქრო შუქი და ისე გაიქცა, თითქოს ქვეყნიერების ყველა ქარი ზურგში უბერავდა. ჯეინსა და მაიკლს ეგონათ, მისი წასვლის მერე წუთსაც არ გაუვლიათ, რომ კარს იქით ვიღაც აჩურჩულდა:

_ ჯეინ, მაიკლ, ტანთ ჩაიცვით და გამოიქეცით!

განცვიფრებული ყმაწვილები ლოგინიდან წამოხტნენ.

_ წავიდეთ! რაიმე საინტერესო იქნება! _ თქვა ჯეინმა და სიბნელეში კაბის ძებნა დაიწყო.

_ ჩქარა! _ ისევ მოესმათ ხმა.

_ ოჰ, ღმერთო, ვერაფერს მივაგენი, მხოლოდ მეზღვაურის ქუდი და ხელთათმანი ვიპოვე! _ ამბობდა მაიკლი და ოთახში დაბორილებდა, თაროებში დაფათურობდა.

_ გეყოფა, ჩაიცვი! არ ცივა. წავიდეთ! _ უთხრა ჯეინმა, თვითონ კი ჯონის პალტო ძლივძლივობით მოიცვა. მერე კარი გააღო. არავინ ჩანდა, მაგრამ მოეჩვენათ, ვიღაცა კიბეზე ჩქარ-ჩქარა ჩარბისო, და გამოეკიდნენ.

ვინ იყო, რა იყო, ვერცა ნახეს და ვერც დაეწივნენ, ოღონდ ნათლად გრძნობდნენ, რომ ვიღაცა გზას უჩვენებდა და უბრძანებდა, მომდიეთო.

ისინი უკვე დაცარიელებულ შესახვევში გარბოდნენ; ქვაფენილზე მხოლოდ მათი ფეხსაცმლის ბაკიბუკი ისმოდა.

– ჩქარა! – ისევ გაიმეორა ხმამ სულ ახლოს, მოსახვევთან. ხმა ისმოდა და არავინ ჩანდა. ყმაწვილები ხმას გაედევნენ, გადაირბინეს ქუჩები, ხეივნები, მოედნები, პარკი და ბოლოს დიდ ტურნიკეტთან შეჩერდნენ.

– მოხვედით! – უთხრა ხმამ.

– სად? – იყვირა მაიკლმა.

პასუხი არავინ გასცა. ჯეინმა მაიკლს ხელი ჩაჰკიდა და ორივენი ტურნიკეტს მიადგნენ.

– შეხედე, ზოოპარკში მოვსულვართ! – თქვა ჯეინმა.

ბადრი მთვარე ანათებდა იქაურობას. მის ნათელ შუქზე მაიკლმა რკინის ღობე დაინახა და შიგ შეიხედა. რა თქმა უნდა, ზოოპარკია, როგორ ვერ იცნო მისი ზღუდე?!

– როგორ შევალთ? ფული არა გვაქვს! – შეწუხდა იგი.

– ნუ სწუხხარ! – ბუზღუნა ბოხი ხმით უთხრა ვიდაცამ, – ვინც მოწვეულია, ამაღამ უფასოდ შემოვა. უბიძგე ტურნიკეტს.

ჯეინმა და მაიკლმა დაუჯერეს და წამში ზოოპარკში აღმოჩნდნენ.

– აი, თქვენი ბილეთები, – გაისმა ბოხი ხმა. კარგად რომ დააკვირდნენ, ბოხხმიანი ვეება მურა დათვი აღმოჩნდა, სპილენძისღილებიანი ფორმის ქურთუკი ეცვა და ფორმის ქუდი ეხურა.

– ჩვენ ბილეთს კონტროლიორს ვაძლევთ ხოლმე, – უთხრა ჯეინმა.

– ადრე ასე იყო, ამჯერად თქვენ ინებეთ, – გაუღიმა ყმაწვილებს დათვმა. მაიკლმა თვალი აავლ-ჩაავლო დათვს.

– მე თქვენ გიცნობთ, – უთხრა მან. – ერთხელ ერთი ქილა ტკბილი წვენი მოგართვით.

– მართალს ბრძანებ, ყმაწვილო, – დაუდასტურა დათვმა. – წვენი კი იყო ტკბილი, მაგრამ ათი დღე ვეწვალე, სანამ თავსახურს ავხდიდი! სხვა დროს ეგრე არ დაგემართოს, მაღლიანად მომართვი!

– რატომ არა ხართ გალიაში? ღამით გიშვებენ? – ჰკითხა მაიკლმა.

– არა, მხოლოდ მაშინ გვიშვებენ, როცა დაბადების დღე მთვარის ავსებას დაემთხვევა. უკაცრავად, არ მცალია, შემოსასვლელს უნდა ვუთვალთვალო, – უთხრა ყმაწვილებს, შებრუნდა და ისევ ტურნიკეტის სახელურის ტრიალს მოჰყვა.

ჯეინმა და მაიკლმა ბილეთები ჩაბღუჯეს და გზას გაუდგნენ.

ბადრი მთვარის ნათელი ეფინა ყოველ ხეს, ყოველ ბუჩქს, ყოველ ყვავილს.

– რაღაცა ამბავია, – თქვა მაიკლმა.

ცხადია, მართალი იყო. ყველა ბილიკზე ნადირი დარბოდა, აქა-იქ ფრინველიც გამორეოდა.

ყმაწვილებს ორმა მგელმა ჩაუარა, ყანჩას ესაუბრებოდნენ, «დაბადების დღეს» და «მთვარის გავსებას» ახსენებდნენ.

ცოტა მოშორებით, ხეივანში სამი აქლემი სეირნობდა. იქვე, შორიახლოს თახვი სულმოუთქმელად ელაპარაკებოდა ამერიკულ კონდორს. ყმაწვილებს მოეჩვენათ, ყველანი ერთსა და იმავე ამბავზე ბჭობენო.

– ნეტავ, ვისი დაბადების დღეა? – დაინტერესდა მაიკლი. ჯეინი იშვიათ სანახაობას გაეტაცა და წინ წასულიყო.

ზუსტად სპილოების სადგომის წინ ერთი გოდორა მოხუცი ჯენტლმენი ოთხზე შემდგარი აქეთ-იქით დაძუნძულვდა. ზურგზე ორი პატარა სკამი ედგა და ზედ რვა მაიმუნი ესკუპა.

– ღმერთო! ყველაფერი თავდაყირა დგას! – წამოიყვირა ჯეინმა.

მოხუცი ჯენტლმენი გაბრაზდა.

– რას ჰქვია თავდაყირა? ვინ დგას თავდაყირა? მე ვდგავარ თავდაყირა? ეს შეურაცხყოფაა!

მაიმუნებმა გადაიკისკისეს.

– ოჰ, მაპატიეთ, თქვენზე არ მითქვამს, საერთოდ ვთქვი! – ჯეინი გამოეკიდა მოხუც ჯენტლმენს, რომ ბოდიში მოეხადა. თან ბურტყუნებდა: – აბა, რა ვიცი. ჩვეულებრივად ცხოველები დაატარებენ ადამიანებს, დღეს ადამიანს დაჰყავს ცხოველები...

მაგრამ მოხუცი ჯენტლმენი ყურს არ უგდებდა, ქოშინითა და ხვნეშით ამტკიცებდა, შეურაცხმყვესო. ბოლოს თვალს მიეფარა და თან გაიყოლა თავისი მყვირალა მგზავრები – მაიმუნები.

ჯეინი მიხვდა, რომ ველარ დაეწეოდა, მაიკლს ჩაჰკიდა ხელი და სხვა მხარეს გაუყვა. უცებ ყმაწვილები ვიღაცის ხმამ შეაჩერა. ხმა თითქოს ქვემოდან მოდიოდა.

– ეი, თქვენ, აქეთ მობრძანდით! ორივენი მობრძანდით! ვნახოთ ერთი, როგორ ჩაყვინთავთ ფორთოხლის ქერქისათვის, რომელიც სულ არ გჭირდებათ! ყვიროდა ვიღაც ბრაზიანად, ყმაწვილებმა მიიხედ-მოიხედეს: მთვარის შუქით გასხივოსნებული აუზიდან პატარა შავ სელაპს ამოეყო თავი და კუმტად შემოსცქეროდათ.

– მობრძანდით, მობრძანდით! ვნახოთ ერთი, როგორ მოგეწონებათ! – ეპატიჟებოდა ის ჯეინსა და მაიკლს.

– ჩვენ ცურვა არ ვიცით, – უთხრა მაიკლმა.

– ცურვა არ იცით? ვერაფერს გიშველით! ადრევე უნდა გეფიქრათ! მე ვინა მკითხა, შემეძლო თუ არა ცურვა? – მოუჭრა სელაპმა, – რა?.. რაშია საქმე?

ეს უკვე მეორე სელაპს მიმართა, მეორე სელაპი ის-ის იყო წყლიდან ამოცურდა და რაღაც წასჩურჩულა.

– ვინ? – შეეკითხა პირველი, – ხმამაღლა თქვი!

მეორე სელაპმა ისევ რაღაც წაიდუდუნა. ჯეინმა ყური მოჰკრა, «მოწვეული სტუმრები», «პირადად მისი მეგობრებიო»... და მეტი ვერაფერი გაიგო.

პირველ სელაპს ეტყობოდა, ცოტა გული დასწყდა, მაგრამ მაინც თავაზიანად უთხრა მაიკლს და ჯეინს:

– ოჰ, მაპატიეთ, მაპატიეთ, მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. იმედია, მაპატიებთ! თავისი ფარფლიანი სველი თათი გაუწოდა ჩამოსართმევად.

ამ დროს ვიღაცამ მოირბინა და ჯეინს დაუძახა.

– შენ, თვალეზში ვერ იხედები? – უყვირა სელაპმა. – შეხედე, სად მიდიხარ!

ჯეინი სწრაფად მოტრიალდა და შიშისა და გაოცებისაგან შეხტა. წინ უჩარმაზარი ლომი ედგა, ლომს თვალეზი გაუბრწყინდა, ჯეინი რომ დაინახა.

– ოჰ, მაპატიეთ! – უკან დაიხია მან. – არ ვიცოდი თუ თქვენ იყავით! დღეს ჩვენთან ისეთი არეულობაა. ძალიან ვჩქარობ, ხალხს სასმელ-საჭმელი მივართვა, და ცხვირწინ ვედარაფერს ვხედავ! წამოხვალთ ჩემთან ერთად? ეს მართლაც სანახავია.

– ხომ არ მიგვაცილებთ? – სთხოვა ჯეინმა თავაზიანად. ცოტა არ იყოს, კი ეშინოდა, მაგრამ ლომი საკმაოდ უწყინრად გამოიყურებოდა. «თანაც დღეს ყველაფერი თავდაყირაა,» ფიქრობდა თავისთვის.

– სიამოვნებით! – შესთავაზა ლომმა თათი.

ჯეინმა ხელი კი გაუწოდა, მაგრამ ყოველ შემთხვევისთვის მაიკლი ახლო ამოიყენა. მაიკლი ჩასუქებული, ბუთხუზა ბიჭი იყო. ლომი კი, რაც არ უნდა იყოს, მაინც ლომია, ფიქრობდა ჯეინი.

– როგორ მოგწონთ ჩემი ფაფარი? – იკითხა ლომმა, გზას რომ გაუდგნენ. – სადღესასწაულოდ დავიხვიე.

ჯეინმა შეხედა, ფაფარი მართლაც დახვეულ-დაკულულებული ჰქონდა.

– ძალიან ლამაზია, – უთხრა მან. – ოღონდ... ოღონდ უცნაური არ არის, ლომი თმას იხვევდეს? მე მეგონა...

– როგორ? რა გიკვირთ, ქალიშვილო? ლომი, როგორც იცით, ნადირთა მეფეა. მან ეს არ უნდა დაივიწყოს. მე პირადად არ ვფიქრობ, დავივიწყო. ვთვლი, რომ სადაც არ უნდა იყოს, ლომი ყოველთვის ლომივით უნდა გამოიყურებოდეს... აქეთ მობრძანდით, გეთაყვა, – მან მეფურად ასწია თათი და ყმაწვილები მსხვილ მტაცებელთა პავილიონში შეუშვა.

ჯეინსა და მაიკლს სუნთქვა შეეკრათ, ისეთი სანახაობა გადაეშალათ თვალწინ. დიდი დარბაზი სავსე იყო ნადირ-ფრინველით, ზოგი გალიებსა და მაყურებლებს შორის აღმართულ თეჯირს მიჰყრდნობოდა, ზოგი გალიების საპირისპიროდ იარუსებად განლაგებულ სკამებზე იდგა. ვის არ ნახავდით აქ: ავაზებს და იაგუარებს, მგლებს, ვეფხვებს და ანტილოპებს, მაიმუნებსა და ზღარბებს, ჯიხვებსა და ჟირაფებს, უამრავ თოლიასა და ძერას.

– ბრწყინვალეა, არა? – სიამაყით თქვა ლომმა, – სულ მთლად ისეა, როგორც ერთ დროს ჯუნგლებში! წინ გავიდეთ. კარგი ადგილები დავიკავოთ.

ლომი ნადირ-ფრინველებში შეერია. ყველას ღმუილით იშორებდა გზიდან: «გზა გვიტოვებ, გზა», თან კი ჯეინსა და მაიკლს მიათრევდა. ბოლოს ერთ თავისუფალ ადგილზე გავიდნენ და დაინახეს გალიები.

– ოჰო! უყურე-ერთი! გალიაში ადამიანებია დამწყვდეული.

მართლაც ეგრე იყო.

ერთ გალიაში ორი შუახანს მიტანებული ჩასუქებული ჯენტლმენი ბოლთასა სცემდა. ზოლიანი შარვლები ეცვათ და თავზე ცილინდრები ეხურათ. ჯენტლმენები გალიის მიღმა მიშტერებოდნენ რაღაცას. მეორე გალიაში ყმაწვილები ირეოდნენ: პატარებიც და მოზრდილებიც, ნადირ-მაყურებლები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ მათ. ზოგი ცდილობდა ბალღები გაერთო და ცხაურს იქით ხან თათს შეეყოფდა, ხან კუდს. ჟირაფმა ასწია თავისი გრძელი კისერი, გადასწვდა ყველა ნადირს და პატარა ბიჭს მოეფერა.

მესამე გალიაში სამი მოხუცი ქალი იჯდა. ლაზადები ეხურათ და კალოშები ეცვათ. ერთი ქსოვდა, ორნი ცხაურთან იდგნენ, ცხოველებს უყვიროდნენ და ქოლგებს უღერებდნენ.

– საზიზღარო მხეცებო! მოწყდით აქედან! ჩაი მინდა! – ყვიროდა ერთი.

– რა სასაცილოა, – ხარხარებდნენ ცხოველები.

– ჯეინ, შეხედე! – იყვირა მაიკლმა და ბოლო გალიისაკენ მიუთითა. – ნუთუ ეს...

– ადმირალი ბუმი! – დაამთავრა განცვიფრებულმა ჯეინმა.

მართლაც, ადმირალი ბუმი იყო. გალიას აქეთ-იქით აწყდებოდა. ახველებდა, თხუპუნებდა და სიბრაზისაგან დორბლებსაც ყრიდა.

– გასკდი, გულო! ტუმბოსთან მოგროვდით! მიწაა, ეჰე! ყველანი ზევით! გასკდი, გულო! – ღრიალებდა ადმირალი. როგორც კი იგი გალიის კედელს მოაწყდებოდა, ერთი ვეფხვი ჯოხს შეუჩუჩხუნებდა. ჯოხის დანახვაზე ბუმი მთლად ცოფდებოდა და წყევლა-კრულვით იკლებდა იქაურობას.

– როგორ მოხვდნენ ამ გალიებში? – ჰკითხა ლომს ჯეინმა.

– დაიკარგნენ, – უთხრა ლომმა, – უფრო სწორად, დაიბნენ. ჭიშკარი რომ დაიკეტება, ზოგიერთი დამთვალეიერებელი პარკში რჩება. სადმე ხომ უნდა მიუჩინო ბინა და ჩვენც აქ ჩავსხით. აი, ის ძალიან საშიშია! ამას წინათ კინაღამ მოკლა თავისი დარაჯი. ახლოს არ მიეკაროთ! – მიუთითა ლომმა ადმირალ ბუმზე.

– გაიწიეთ, გაიწიეთ! ნუ შექუჩდებით! გზა მიეცით! – ერთხმად აყვირდა რამდენიმე.

– აა, ახლა საჭმელს მიაერთმევენ! – თქვა ლომმა და ენერგიულად გასწიგამოსწია გვერდით მდგომნი, რომ წინ მოქცეულიყვნენ. – აი, დარაჯები მოდიან!

ოთხი ქუდიანი მურა დათვი ვიწრო დერეფანში სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ურიკას მოაგორებდა.

– აბა, გაგვეცალეთ! – ისმოდა მათი ბრძანება, როცა რომელიმე ნადირმაყურებელი გზას არ აძლევდათ. მერე რიგრიგობით აღებდნენ გალიის კარებს და ორთითათი აწვდიდნენ ულუფას იქაურ ბინადართ.

ჯეინი და მაიკლი ლეოპარდსა და დინგოს შუა გამოეხირნენ და მშვენივრად ხედავდნენ ყველაფერს, რაც ხდებოდა. ბალღებს გალიაში რძით სავსე ბოთლები შეუყარეს; ჩვილებმა დაავლეს ხელი და წოვა დაიწყეს; უფრო მოზრდილებმა ორთითადან თაფლაკვერი და კექსი აიღეს და ხარბად დააცხრნენ; კალოშებიან მანდილოსნებს თეფშებით მიართვეს ბუტერბრედები და ფუნთუშები; ცილინდრიან ჩაგოდრებულ კაცებს ცხვრის ხორცის კატლეტი და პუდინგი მიაწოდეს.

გოდორებმა მიიღეს საკვები, კუთხეში მოიკალათეს, მუხლზე ცხვირსახოცი გადაიფარეს და საჭმელს გემრიელად შეექცნენ.

დარაჯებმა ყველა გალია ჩამოიარეს. ატყდა საშინელი ღრიალი.

– გასკდი ჭიჭინაზე, ამას ეძახიან საჭმელს? გაძვალტყავებულ ხორცის ნაჭერს და კომბოსტოს?! პუდინგი? აღმაშფოთებელია! თავის მოჭრაა! აუშვით ღუზა! სადაა ჩემი პორტი? პორტვინი სადაა-მეთქი, გეუბნებით! ამო-

დით ზევით! ჰეი თქვენ, სამზარეულოდანაც ამოდით! სად არის ადმირალის პორტვეინი?!

– გესმით? ჭკუიდან შეირყა! გეუბნებოდით, საშიში ეგზემპლარია-მეთქი! – თქვა ლომმა.

ჯეინსა და მაიკლს ახსნა-განმარტება რაღად უნდოდათ. ხშირად უნახავთ, როგორ ყვიროდა ხოლმე ადმირალი.

– ესეც ასე, – თქვა ლომმა, როცა პავილიონში ხმაური ცოტათი მიწყნარდა. – როგორც ჩანს, დამთავრდა.. ნებას თუ დამრთავთ, დაგტოვებთ. ვიმედოვნებ, მოგვიანებით დიდ ფერხულზე შეგხვდებით, აუცილებლად მოგმეზინით.

ჯეინი და მაიკლი გამოსასვლელამდე მიაცილა, დაემშვიდობა, დახვეულ-დახუჭულ-ფაფარი შეარხია და გზას გაუყვა. ყმაწვილები გასცქეროდნენ, მისი ოქროსფერი ბეწვი მთვარის შუქზე როგორ ბრწყინავდა...

– მოიცა, მოიცა, – დაუყვირა ჯეინმა, მაგრამ ლომი თვალს მიეფარა. – მინდოდა მეკითხა, გამოუშვებენ თუ არა მათ. მეცოდებიან საწყლები! ჯონის და ბარბის, ან მე და შენ ხომ შეიძლებოდა გალიაში ამოგვეყო თავი!

ჯეინი მაიკლს ელაპარაკებოდა, მაგრამ მაიკლი იქ აღარ იყო. მან მიიხედ-მოიხედა, მაიკლს ბილიკიდან გადაეხვია და პინგვინს ემუსაიფებოდა. პინგვინს ერთი ფრთის ქვეშ დიდი რვეული ამოეჩარა, მეორე ფრთაში – უშველებელი ფანქარი და ღრღნიდა.

– ვერაფერი მოვიგონე, – ეუბნებოდა მაიკლი, როცა ჯეინი თავს წაადგა. ეტყობა, პინგვინმა რაღაცა ჰკითხა. პინგვინი ახლა ჯეინს მიუბრუნდა.

– ეგებ თქვენ მიშველოთ? მოვიფიქროთ, რა სიტყვა ერთმეება «მერის». არ მინდა გავურთიმო «ფერი». გამეორება არ მინდა. იცით, ბევრჯერ გაურთიმავთ. მეტყვით «ჭერიო», არა, არ გამომადგება. მე თვითონაც გამახსენდა, მაგრამ არ ვარგა.

– «გერი» – სახე გაუნათდა მაიკლს.

– ჰმ! პოეტური არ არის, – არ მოიწონა პინგვინმა.

– ეგებ «ჰერი» გამოგადგეს? – შესთავაზა ჯეინმა.

– რა ვიცი... – თითქოს ფიქრი განაგრძო პინგვინმა. – არა უშავს, მაგრამ კარგი არ არის, არ გამომადგება... ხომ მიხვდით, ვცდილობ, დაბადების დღისათვის მისალოცი ლექსი შევთხზა. ვიფიქრე, კარგი იქნება, თუ ასე დავიწყებ-მეთქი: «ო, მერი, მერი...» მაგრამ აქ გავიხირე და წინ ნაბიჯი ვერ წავდგი. გული მწყდება. პინგვინისაგან რაღაც ორიგინალურს ელიან და არ მინდა, ხალხს გული დავწყვიტო. რას იზამ... ნუ მომაცდენთ, ცოტა გულისყურს მოვიკრებ. ეგებ რამე მოვახერხო.

პინგვინი სწრაფად მოშორდა ბავშვებს და წავიდა, თან რვეულს მიაფრიალებდა და ფანქარს ღრღნიდა.

– თავი გამიბრუნდა! – თქვა ჯეინმა, – ნეტავი გამაგებინა, ვისი დაბადების დღეა?

– ყმაწვილებო, წამოდით, წამოდით! თქვენც გსურთ ალბათ მიულოცოთ, – უთხრა ვიღაცამ ჯეინსა და მაიკლს. მიიხედეს და ისევ ის მურა დათვი შერჩათ ხელში, რომელმაც ბილეთები მისცა.

– დიახ, რა თქმა უნდა, – სწრაფად მიაგება ჯეინმა. იფიქრა, უკეთესია, გამოკითხვა არ დაუწყოთო, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, ვისთვის უნდა მიელოცათ.

მურა დათვმა ჯეინს და მაიკლს მხრებზე მოხვია თათები და წაიყვანა. ბავშვებმა იგრძნეს დათვის ბეწვის სითბო; ისიც ესმოდათ, როგორ ულაცლაცებდა რაღაც მუცელში, როცა ლაპარაკობდა.

– მოვედით, – თქვა დათვმა და დაბალი სახლის წინ შეჩერდა.

სახლის ფანჯრებში ისეთი შუქი იდგა, გეგონებოდათ, ეზოში ღამე კი არა, ნათელი დღეა და მზე ანათებსო.

დათვმა კარი შეაღო და ყმაწვილები წინ გაუშვა. თვითონ უკან გაჰყვა.

პირველად ჯეინსა და მაიკლს კაშკაშა სინათლემ თვალი მოსჭრა, მაგრამ მალე გააჩვიეს და მიხვდნენ, რომ ტერარიუმში მოხვდნენ. ყველა გალია ღია იყო. გველები თავისუფლად სეირნობდნენ. ზოგი იატაკზე დასრიალებდა, ზოგი იკლავებოდა, იგორგლებოდა.

შუა დარბაზში, უშველებელ ძელსკამზე გველებით გარშემორტყმული იჯდა მერი პოპინსი...

ჯეინი და მაიკლი თვალებს არ უჯერებდნენ.

– მოსალოცავად კიდევ ორი გეახლათ, ქალბატონო, – თავაზიანად მოახსენა მურა დათვმა.

გველებმა მოხედეს ყმაწვილებს. მერი პოპინსი არ განძრეულა. ხმა კი ამოიღო.

– ერთი მიბრძანე, რად არ ჩაიცვი პალტო? – ჰკითხა მაიკლს, ისე, რომ სულ არ გაჰკვირვებია მისი დანახვა. მერე ჯეინს მიუბრუნდა: – რა უყავი შენი ქუდი და ხელთათმანი?

სანამ ყმაწვილები ხმას გაიღებდნენ, მთელ ტერარიუმში გაისმა:

– სსსსსს! სსსსსს!

ყველა გველი ყალყზე შედგა და ვიღაცას მიესალმა, მურა დათვმაც სასწრაფოდ მოიხადა ქუდი. მერი პოპინსიც ნელა წამოდგა.

– შვილო ჩემო! ძვირფასო და სანუკვარო! – გაისმა წყნარი, ნაზი შიშინი და ყველაზე დიდი გალიიდან დინჯად გამოცურდა სამეფო კობრა. იგი მსუბუქად გამოსრიალდა მის ფერხთით განრთხმულ გველებს შორის, დათვის გვერდი აუარა და პირდაპირ მერი პოპინსისაკენ გაემურა. მიეახლა, ნახევარზე წამოსწია თავისი ოქროსფერი ტანი, გამობერა ოქროსფერი ქერცლდაყრილი კუნკული და ნაზად აკოცა ჯერ ერთ, მერე მეორე ლოყაზე.

– გულით გილოცავ, – ნაზად სისინებდა ის. – ძაალიან, ძაალიან მოხარული ვარ! დიდი ხანია შშენი დაბადების დღე მთვარის გავსებას არ დამთხვევია, ძვირფასო!

კობრამ თავი მიაბრუნა.

– დაბრძანდით, მეგობრებო! – თქვა მან, მეფურად მიესალმა დანარჩენ გველებს. მის სიტყვაზე ყველანი დაგორგლდნენ იატაკზე და თვალი მიაპყრეს სამეფო კობრასა და მერი პოპინსს.

კობრა კი ჯეინსა და მაიკლს მიაჩერდა.

ჟრუანტელმა დაურბინათ ყმაწვილებს, უნებურად წინ წაიწიეს, ეტყობა, კობრას უჩვეულო და დაკვირვებულმა მზერამ მიიზიდათ. ღრმად ჩამ-

ჯდარი წვრილი თვალები ბნელეთში ჩამალულ ძვირფას ქვასავით ანათებდა და უქრობი ნაპერწკალივით ენთო...

– ნება მიბოძეთ, ვიკითხო, ვინ არიან ესენი? – იკითხა კობრამ ნაზად, მაგრამ ისე, რომ ძარღვებში სისხლი გაგეყინებოდა, თან ყმაწვილებისათვის მზერა არ მოუცილებია.

– ჯეინ და მაიკლ ბენქსები გახლავან, – მოახსენა მურა დათვმა ბორძიკ-ბორძიკით, გეგონება, ეშინიაო. – მისი მეგობრებია.

– აჰ, მისი მეგობრები არიან? მაშინ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. დაბრძანდით, ჩემო ძვირფასებო!

ჯეინი და მაიკლი ძლივს მოეგნენ გონს და მიათვალ-მოათვალაიერეს, სად დამსხდარიყვნენ. დათვმა უშველათ, ჩაცუცქდა და ბავშვებმა მის ბანჯგვლიან მუხლებზე მოიკალათეს.

– დედოფალივით ლაპარაკობს, – დაიჩურჩულა ჯეინმა.

– ასეც გახლავთ. ჩვენი მბრძანებელია, ყველაზე ბრძენი და ყველაზე მრისხანე. – ხმადაბლა, მოწიწებით თქვა მურა დათვმა.

კობრამ გაიღიმა და მშვიდად მიუბრუნდა მერი პოპინსს.

– ჩემო დეიდაშვილო, – ნაზად წაიშიშინა.

– მართლა დეიდაშვილია? – ჩურჩულით იკითხა მაიკლმა.

– დეიდაშვილის შვილია, – დრუნჩზე თათი აიფარა და ჩურჩულითვე უპასუხა დათვმა. – ახლა გაჩუმდი. საჩუქარს მიაერთმევს.

– დეიდაშვილო, – გაიმეორა კობრამ. – დიდი ხანია შენი დაბადების დღე მთვარის გავსებას არ დამთხვევია, ამიტომაც დიდი ხანია, ასე არ გვიზეიმიან. მე კი საშუალება მომეცა, კარგად მომეფიქრებინა, რა მომერთმია საჩუქრად. – გადავწყვიტე... – შეჩერდა. მთელი ტერარაიუმი გასუსულიყო, სუნთქვაც კი შეეჩერებინათ, – გადავწყვიტე, ყველაზე კარგი იქნება, გიძღვნა ჩემი ტყავი.

– დეიდაშვილო, თქვენ მეტისმეტად კეთილი ბრძანდებით, – წამოიწყო მერი პოპინსმა. კობრამ ანიშნა, თუ შეიძლება, გაჩუმდიო.

– არაფერიც, არაფერიც. შენ იცი, რომ დროდადრო ტყავს ვიცვლი. ერთჯერ მეტად შევიცვლი თუ ერთჯერ ნაკლებად, მნიშვნელობა არა აქვს. განა მე არა ვარ... – კობრა შეეყოვნდა და იქ მყოფთ თვალი მოავლო.

– ჯუნგლების მფლობელი! – აშიშინდნენ გველები ერთხმად, თითქოს კითხვაც და პასუხიც მათთვის კარგად ნაცნობი ცერემონიალის ნაწილიაო. კობრამ თავი დააქნია.

– ჩემო კარგო, – განაგრძო მან, – რაც კარგია ჩემთვის, კარგი უნდა იყოს შენთვისაც. ეს, რა თქმა უნდა, უბრალო საჩუქარია. ძვირფასო მერი, შეგიძლია, ქამრად იხმარო, ფეხსაცმელი შეიკერო, ქუდს ლენტად მიაკერო, ერთი სიტყვით, გამოგადგება.

ამ სიტყვებზე აქეთ-იქით დაიწყო რწევა. ჯეინსა და მაიკლს მოეჩვენათ, თავიდან კუდამდე პატარა ტალღებმა გადაურბინესო.

უცებ ელვისებურად ხრახნივით დაიკლაკნა და ახალ ვერცხლისფერ სამოსში ამოდგრა, ოქროსფერი ტყავი კი იატაკზე დავარდა.

– მოიცა! – უბრძანა კობრამ მერი პოპინსს, რომელიც ტყავის ასაღებად დაიხარა. – მისალმებას დაგიწერ.

კუდის წვერი სწრაფად ასრიალდა ტყავზე; მერე კოხტად დაგორგლა, თავზე მოიღო ოქროს გვირგვინით და დიდის ამბით მიართვა მერი პოპინსს. მან მადლობით მიიღო ძღვენი.

– არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა, – დაიწყო მერი პოპინსმა და გაჩერდა, ტყავს მიუალერსა, ალტაცებით მოუსვა ხელი: ეტყობა, ძალიან გაუხარდა.

– მადლობას ნუ მიხდი, – უთხრა სამეფო კობრამ. – ჩუ... ჩ! – შეწყვიტა ლაპარაკი და თავისი კუნკული გაბერა, რაღაცას მიუგდო ყური. – ეტყობა, დიდი ფერხულის ნიშანს იძლევიან.

ყველა სმენად იქცა.

ზარი ხმიანობდა და ბუბუნა ხმაც თანდათან ახლოვდებოდა.

– ფერხულია, ფერხული! იჩქარეთ, იჩქარეთ! ყველას, ყველას გიწვევენ ცენტრალურ მოედანზე! ფერხულია, ფერხული!

– ასეც ვიფიქრე, – გაიღიმა კობრამ, – შენი წასვლის დროა, ძვირფასო, ნუ ალოდინებ. კარგად იყავი, ნახვამდის შემდეგ დაბადების დღემდე! – მერე წამოიწია და ნაზად აკოცა მერი პოპინსს ორივე ლოყაზე.

– იჩქარე! – უთხრა მან. – შენს მეგობრებზე მე ვიზრუნებ.

ყმაწვილები წამოდგნენ და გამოსვლა დააპირეს ისე, რომ ფეხი არ დაედგათ ნიაღვარივით კარს მიმწყდარი გველებისათვის.

– თქვენ თავისუფალი ხართ, – უთხრა სამეფო კობრამ მურა დათვს.

დათვმა თათით ქუდი მოიხადა, მდაბლად დაუკრა თავი და ძუნძულ-ძუნძულით გაჰყვა ცხოველთა უწყვეტ ნაკადს ზოოპარკის ცენტრისაკენ დიდ მწვანე მინდორზე.

– გნებავთ, მე გამომყვეთ? – მიეხმატკბილა კობრა ჯეინსა და მაიკლს და პასუხს არ დალოდებია, ისე ამოყო მათ შუა თავი. მერე ანიშნა, გვერდით მომყევითო.

– დაიწყო! – კმაყოფილებით დაიქმინა მან.

მართლაც, დიდი ფერხული დაიწყო.

მინდორში ისეთი ხმაური და ყვირილი იდგა, რომ ბავშვები მაშინვე მიხვდნენ, ფერხული დაიწყო. ლომებსა და ლეოპარდებს, აქლემებსა და თახვებს ანტილოპებსა და წეროებს და სხვა ურიცხვ ნადირ-ფრინველთ ფერხული გაებათ მერი პოპინსის გარშემო და მდეროდნენ და ღრიალებდნენ. უზარმაზარი ფერხული ჩააბეს. მოცეკვავენი, ვისაც რა ეხერხებოდა, მდეროდნენ ჯუნგლების ველურ სიმღერებს, ირწეოდნენ და წუთ-წუთზე ცვლიდნენ ადგილებსა და მეწყვილეებს.

ამ რიარისას და გნიასში სუსტი მწივანა ხმა გამოირჩეოდა.

ო, მერი, მერ-რი,

ქვეყნად ყველაზე კარგო!

ეს იყო პინგვინი, ფერხულში ჩაბმული ნარნარად აქნევდა პატარა ფრთებს და მხიარულად აწიწინებდა თავის უცნაურ სიმღერას. მანაც შეამჩნია ყმაწვილები, კობრას თავი დაუკრა, ყმაწვილებს კი დაუყვირა:

– გამომივიდა, გესმით, როგორ ვმღერი? მართალია, რითმა არ არის, მაგრამ არა უშავს, მაინც კარგია! – და მან შეიკუნტრუშა, ლეოპარდის თათს ამოეფარა.

კობრა დუმდა. ჯეინიცა და მაიკლიც უხმოდ ტკბებოდნენ ნადირ-ფრინველთა ცეკვით. მაგრამ, როცა მათი მეგობარი ლომი დაიხარა და ხობხობს თათი შესთავაზა, ჯეინმა კრძალვით გაბედა, ნაფიქრი ხმამაღლა გამოეხატა:

– მე მეგონა, ქალბატონო... – და ხმა ჩაუწყდა.

– თქვი, რა გეგონა, შვილო ჩემო, – უთხრა კობრამ.

– რა და ლომები, ფრინველები, ვეფხვები, წვრილ-წვრილი ნადირი – ყველა... – ჯეინს ისევ ჩაუწყდა ხმა.

კობრა შეეშველა.

– შენ გეგონა, რომ ლომმა აუცილებლად უნდა გადასანსლოს ანტილოპა, ვეფხვმა – კურდღელი?

ჯეინი გაწითლდა და თავი დაუქნია.

– რა უნდა ვთქვა, მართალი ხარ, თითქმის ასეა, მაგრამ დაბადების დღე გამონაკლისია, – უთხრა კობრამ. – დღეს სუსტებს ძლიერებისა არ ეშინიათ. დიდები იცავენ პატარებს, მე, კობრაც კი, – იგი შეყოვნდა და ჩაფიქრდა, – გარეულ ბატს გვერდს ავუქცევ. ისეთი დღეა. ისე, შესაძლებელია, – განაგრძობდა კობრა და მალიმალ ისლიქავდა თავისი საშინელი ორკაპა ენით ტუჩებს, – შეჭამ თუ შეგჭამენ ბოლოს და ბოლოს ერთი და იგივეა. ჩემი სიბრძნე მკარნახობს, რომ ასეა. აბა გაიხსენე, ყველანი – თქვენ, ქალაქელები და ჩვენ, ჯუნგლები ერთი და იმავე ნივთიერებისაგან ვართ შექმნილნი. ხეც იმ მასალისგანაა და ქვაც, ნადირიც, ფრინველიც, ვარსკვლავიც. ჩვენ ყველანი ერთნი ვართ და ერთი მიზანი გვაქვს. გახსოვდეს ეს, შვილო, როცა მე აღარ გეხსომები.

– როგორ შეიძლება ხე ქვა იყოს? მე ხომ ფრინველი არა ვარ! ჯეინი ხომ ვეფხვი არ არის? – არ შეეპუა მაიკლი.

– ეგრე ფიქრობ? – ჩაჰკითხა კობრამ. – შეხედე! – და დიდი ფერხული-საკენ მიახედა.

ნადირ-ფრინველი მერი პოპინსს შემოხვეოდა და ერთიანად ირწეოდა, მერიც ირწეოდა. ერთ რიტმში მოძრაობდა მთელი ბრბო უშველებელი საათის ქანქარასავით: ხეებიც ცეკვის რიტმს აჰყოლოდნენ, მთვარეც ისე ირწეოდა, როგორც ხომალდი ტალღებში...

– ნადირი და ფრინველი, ვარსკვლავი და ქვა – ყველა ერთია, – დუდუნებდა კობრა, კუნკული ჩამოეშვა და ისიც ირწეოდა. – გველი და ბავშვი, ქვა და ვარსკვლავი – ყველანი ერთნი ვართ...

ნელ-ნელა უკლო ქშენას, თანდათანობით მინელდა, მიყურდა, მიწყდა მოცეკვავე ნადირთა გნიასი. ჯეინმა და მაიკლმაც უნებურად რწევა დაიწყეს, თუ ვიღაც არწევდათ?

მსუბუქი მკრთალი ნათელი დაეცათ სახეზე.

– სძინავთ, სიზმრებში არიან, – ჩაესმათ ჩურჩული.

ვინ ჩურჩულებდა, კობრა იყო, თუ დედა უსწორებდათ საბანს.

– კარგია! ეძინოთ.

ეს ვინ ბუხუნებს, მურა დათვი თუ მისტერ ბენქსი? _ გაიფიქრეს მათ.
მერე კი ირწოდნენ... და ირწოდნენ...

*

_ იცი, რა უცნაური სიზმარი ვნახე! _ თქვა საუზმეზე ჯეინმა და ფაფას
შაქარი მოაყარა. _ დამესიზმრა, ვითომ ზოოპარკში ვიყავით. მერი პოპინსის
დაბადების დღე იყო და მხეცების ნაცვლად გალიებში ადამიანები ისხდნენ,
მხეცები თავისუფლად დადიოდნენ...

_ ეს ხომ ჩემი სიზმარია! მე დამესიზმრა! _ გაოცდა მაიკლი.

_ ხომ არ შეიძლება ორივეს ერთი და იგივე სიზმარი დაგვსიზმრებო-
და! _ არ იჯერებდა ჯეინი, _ ხომ არ შეცდი? მაგალითად, შენ ნახე ფაფარ-
დახვეული ლომი, ან სელაპი, რომელსაც უნდოდა...

_ წყალში ჩავყურყუმელავებულიყავით ფორთოხლის ქერქისათვის? _
შეაწყვეტინა მაიკლმა, _ რა თქმა უნდა, მახსოვს! ჩვილი ბალებიცი რომ ის-
ხდნენ გალიაში, ისიც მახსოვს, პინგვინიც, ლექსი რომ ვერ შეთხზა, სამეფო
კობრაც.

_ მაშინ, ესე იგი... სიზმარი არ ყოფილა! _ თქვა ჯეინმა გამარჯვებულის
კილოთი. _ ესე იგი, ყველაფერი მართალია! და მაშინ...

გაუბედავად გადახედა მერი პოპინსს. ის რძეს ადუღებდა.

_ მერი პოპინს, მაიკლსა და მე შეიძლება ერთი და იგივე სიზმარი
გვენახა? _ ჰკითხა მან.

_ გამოჩნდნენ მესიზმრეები! _ დაიფრუტუნა მერი პოპინსმა. _ კეთილ
ინებეთ და ჭამეთ ფაფა, თორემ ყიყლიყოს არ მოგართმევთ!

ჯეინი არ გაუჩუმდა, სიმართლის გაგება ეწადა.

_ მერი პოპინს, _ თვალი თვალში გაუყარა ჯეინმა. _ თქვენ წუხელ, ღა-
მით არ იყავით ზოოპარკში?

მერი პოპინსმა პირი დააღო.

_ ზოოპარკში? ღამე ვიყავი ზოოპარკში? მე, ზრდილი ქალიშვილი, რომ-
მელმაც ვიცი, რა არის მიღებული და რა არა?

_ არა, მითხარით, იყავით თუ არა? _ არ ეშვებოდა ჯეინი.

_ რა თქმა უნდა, არა! საიდან მოგაფიქრდა! ფაფა ჭამე.

ჯეინმა ფაფას რძე დაასხა.

_ ეტყობა, მართლა სიზმარი იყო, _ თქვა ნაღვლიანად.

პირდაღებული მაიკლი კი თვალეზღაჰყეტილი მისჩერებოდა მერი პო-
პინსს.

_ ჯეინ, _ წასჩურჩულა გაოგნებულმა დას, _ ჯეინ, შეხედე, _ და თი-
თით მერი პოპინსისაკენ ანიშნა.

მერის წელზე გველის ოქროსფერი ტყავის ქამარი შემოერთყა ასეთი
წარწერით:

«ზოოპარკის კეთილმოსაგონრად!»

მერვე თავი

დასავლეთის ქარი

გაზაფხულის პირველი დღე დადგა.

ჯეინმა და მაიკლმა ეს მაშინვე იგრძნეს – ყური მოჰკრეს, როგორ მღეროდა მამა სააბაზანოში, მამა კი სააბაზანოში წელიწადში მხოლოდ ერთადერთ დღეს მღეროდა.

ეს დილა სამუდამოდ დაამახსოვრდათ. რადგან დღე დაიწყო ორი საგანგებო შემთხვევით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პირველად დართეს ნება, დიდებთან ერთად ესაუზმათ; მეორე, მამას დაეკარგა თავისი შავი ჩანთა.

– სად არის ჩემი ჩანთა? – ყვიროდა მისტერ ბენქსი და წალმა-უკუღმა ტრიალებდა წინა ოთახში ისე, როგორც ძაღლი, როცა თავის კუდს დასდევს დასაჭერად.

ასევე დარბოდნენ ელინიც, მისის ბრილიც და ბავშვებიც. რობერტსონ ეიმაც კი ორჯერ შემოირბინა ოთახი. ეს დიდი ამბავი იყო.

ბოლოს მისტერ ბენქსმა თვით მიაკვლია დაკარგულ ნივთს საკუთარ კაბინეტში და წინა ოთახში გამოვარდა:

– ჩემს ჩანთას ყოველთვის ერთი ადგილი აქვს. ჩამოსაკიდზე ჰკიდია. მითხარით, ვინ შეიტანა კაბინეტში?

– შენ თვითონ შეიტანე, ძვირფასო, წუხელ საღამოს, როცა გადასახდის ქვითრები ამოიღე, – გაახსენა მისის ბენქსმა.

მაგრამ მისტერ ბენქსმა ისე შეხედა, რომ გულში ინანა, ასე უტაქტოდ რატომ მოვიქეცი, ჯობდა მეტქვა, მე თვითონ შევიტანე კაბინეტშიო.

– თხპ! თხპ! – მისტერ ბენქსმა ცხვირსახოცი მიიფარა პირზე, მერე პალტო ჩამოხსნა საკიდიდან და კარისკენ გაემართა.

– ოჰო! – ცოტა გამხიარულდა მისტერ ბენქსი. – ტიტას კოკრები გამოუღია!

ბაღში გავიდა და ჰაერი ჩაისუნთქა.

– ჰმ, ეტყობა, დასავლეთის ქარი უბერავს. – ადმირალ ბუმის სახლისკენ გაიხედა, უფრო სწორედ, ფლუგერტელესკოპისაკენ. ეგრეც ვიფიქრე, დასავლეთის ქარია-მეთქი. ნათელი დღეა და თბილა. უპალტოოდ წავალ. მისტერ ბენქსმა თავზე ქუდი ჩამოიფხატა, ჩანთა აიღო და ტბისკენ გაემურა.

– გაიგე, რა თქვა? – ეცა მაიკლი ჯეინს.

ჯეინმა თავი დაუქნია.

– დასავლეთის ქარიო.

მეტი არაფერი უთქვამთ, მაგრამ ორივეს თავში ერთი და იგივე აზრი უტრიალებდა. ოჰ, როგორ არ უნდოდათ დასავლეთის ქარი!

მაგრამ დასავლეთის ქარი მალე მიავიწყდათ. ყველაფერი ჩვეულებრივად გრძელდებოდა. სახლს გაზაფხულის მზის ნათელი ადგა. არავის აგონდებოდა, რომ ის შესაღები იყო და შესალამაზებელი. ის კი არა, ყველა მობინადრე ერთნაირად ფიქრობდა, ჩვენი სახლი ალუბლის შესახვევში ყველაზე უკეთესი სახლიაო.

საუზმის შემდეგ ავის მაუწყებელი ნიშნები გამოჩნდა...

ჯეინი რობერტსონ ეის ეხმარებოდა ბოსტანში. ბოლო თაღამი რომ ჩარგო, ბავშვების ოთახში აურზაური ატყდა. კიბეზე მაიკლი ჩამოტყავუნდა და ბოსტანში შევარდა. სულ მთლად აჭარხლებულიყო და ქმინავდა.

– ჯეინ, ნახე, ნახე! – იყვირა მან და ხელი გაუწოდა.

ხელისგულზე ედო კომპასი – მერი პოპინსის კომპასი. მაიკლს ხელი უკანკალებდა და კომპასის ისარი აქეთ-იქით ირხეოდა.

– იმისი კომპასია? – გაკვირვებული უყურებდა ჯეინი მაიკლს.

მაიკლი მოულოდნელად აღრიალდა.

– თვითონ მომცა, – სლუკუნებდა ის. – მითხრა, სულ შენი იყოსო. ეჰ, ეჰ, ძალიან ცუდია! რა მოჰყვება ამას? ადრე ხომ არასოდეს არაფერი უჩუქებია!

– ეგებ, უბრალოდ, შენი გახარება უნდოდა, – უთხრა ჯეინმა, რომ ძმა დაემშვიდებინა, მაგრამ თვითონაც შემფოთდა. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ მერი პოპინსს მოფერება არ უყვარდა...

ისე კი, რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, იმ დღეს მერი პოპინსი ერთხელაც არ გასჯავრებია ბავშვებს. თითქმის ხმა არ გაუღია. ჩანდა, რაღაცაზე ღრმა ფიქრებს მისცემოდა. თუ ყმაწვილები რაიმეს შეეკითხებოდნენ, სხვათაშორის სცემდა პასუხს.

ბოლოს მაიკლმა ველარ მოითმინა.

– მერი პოპინს, გაგვიჯავრდით! გეხვეწებით, გაგვიჯავრდით. თორემ თქვენს თავს აღარ ჰგავხართ! მეშინია!

მაიკლმა მართლაც აღარ იცოდა, რა ექნა. გრძნობდა: ალუბლის შესახვევის ნომერ ჩვიდმეტ სახლში რაღაც უნდა მომხდარიყო, ოღონდ რა – არ იცოდა და ამიტომაც წუხდა ასე...

– წინდაწინ თვალებს ნუ დაითხრი! – მოუჭრა მერი პოპინსმა თავისებურად.

მაიკლს გულზე მოეშვა.

– ეგებ არაფერია მოსალოდნელი, – უთხრა მან ჯეინს. – ეგებ გვეჩვენება? რას იტყვი, ჯეინ?

– ალბათ, – ჩაფიქრებულად უთხრა ჯეინმა. მაგრამ გული დამძიმებული ჰქონდა და თავიდან ვერ იცილებდა იმ აზრს...

საღამოსთვის ქარი გაძლიერდა. მილებში უბერავდა, ღრიჭოებში ატანდა და ბავშვების ოთახში ფარდას აფრიალებდა.

მერი პოპინსმა ყმაწვილები ავახშმა, სუფრა საგულდაგულოდ აალაგა, მერე ოთახი გამოგავა, მტვერი გადაწმინდა და ჩაიდანნი ქურაზე შემოადგა.

– ესეც ასე, – თქვა მან, ოთახში რომ მიმოიხედა და დარწმუნდა, ყველაფერი რიგზეაო. მერე მაიკლს დაადო თავზე ერთი ხელი, მეორე ჯეინს მოჰხვია მხარზე და განაგრძო:

– ახლა მე წავალ, ფეხსაცმელს ჩავიტან ქვემოთ. რობერტსონ ეი გაწმენდს. ჩემ მოსვლამდე ჰკვიანად იყავით.

გავიდა და კარი წყნარად გაიხურა.

ფეხი გაადგა თუ არა, ყმაწვილებმა იგრძნეს, უნდა გავედევნოთო, მაგრამ რაღაცამ შეაჩერათ. არ განძრეულან, ხელებიც არ ჩამოუღიათ მაგიდიდან, ისხდნენ და ელოდნენ. ერთმანეთის დამშვიდება ეწადათ!

_ რა ბრიყვები ვართ, _ ხმა ამოიღო ჯეინმა. _ ხომ არაფერი მოხდა!

მაგრამ თვითონვე არა სჯეროდა, რასაც ამბობდა.

ბუხრის თავზე საათი წიკწიკებდა. ბუხარში ალი ავარდა, ატკაცუნდა და უჩუმრად მინავლდა. ბავშვები ისევ ისხდნენ და ელოდნენ. ბოლოს მაიკლი შეშფოთდა:

_ რაღაც ძალიან იგვიანებს, არა?

კედელს მიღმა, თითქოს საპასუხოდ, ქარი აქვითინდა. საათი ხმამაღლა განაგრძობდა წიკწიკს. უცებ სადარბაზოს კარმა გაიჭრიალა.

_ მაიკლ! _ წამოხტა ჯეინი.

_ ჯეინ! _ გამოეპასუხა გაფითრებული მაიკლი.

ფანჯარას მისცვივდნენ და გარეთ გაიხედეს.

ქვემოთ, კარის წინ მერი პოპინსი იდგა. პალტოც ეცვა და ქუდიც ეხურა. ერთ ხელში ხალიჩის ჩანთა ეჭირა, მეორეში _ ქოლგა. ირგვლივ ქარი გლეჯდა ყველაფერს. ლამის ტანსაცმელი გააძრო, ქუდი გვერდზე მოუქცია, მაგრამ ის წარბშეუხრელად იდგა, ყურადღებას არ აქცევდა. ისე ილიმებოდა, თითქოს კარგად ესმოდა ქარისა.

წუთით შედგა კიბეზე, კარისაკენ მოიხედა და ქოლგა სწრაფად გაშალა. მართალია, წვიმა არ მოდიოდა, მაგრამ თავს ზემოთ დაიჭირა.

ქარმაც არ დააყოვნა, აიტაცა მერი პოპინსი და წააფრიალა!

პირველად მიწის პირ-პირ ატარა ისე, რომ ფეხსაცმლის ჭკინტი ბაღში ბალახს ეხებოდა, მერე ასწია და ლობეზე გადაატარა, შემდეგ ზევ-ზევით ააფრინა, ყველაზე მაღალი ალუბლის კენწეროებს გაასწრო...

_ ჯეინ, მიფრინავს, მიფრინავს! _ სლუკუნებდა მაიკლი.

_ ჩქარა! _ იყვირა ჯეინმა. _ ტყუპები გავახედოთ, დაემშვიდობონ.

ჯეინსაც და მაიკლსაც უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდათ, რომ მერი პოპინსი სამუდამოდ წავიდა, რადგან სხვა ქარმა დაუბერა.

დაავლეს ხელი ტყუპებს და ისევ ფანჯარას მიაშურეს.

მერი პოპინსი სულ მაღლა-მაღლა მინავარდობდა, სახლების სახურავებს ზემოთ. ერთი ხელით ქოლგას ჩასჭიდებოდა, მეორეთი ხალიჩის ჩანთა ეჭირა.

ტყუპები ატირდნენ.

ჯეინმა და მაიკლმა უკანასკნელი ღონე სცადეს, ეგებ შევაჩეროთ მერი პოპინსიო.

ადგნენ და ფანჯარა გაადეს.

_ მერი პოპინს! _ იყვირეს მთელი ძალით. _ დაგვიბრუნდი! დაგვიბრუნდი!

მაგრამ მერის ან არ ესმოდა, ან არ უნდოდა გაეგონა. უფრო მაღლა აფრინდა, ღრუბლებს შეერია, ცას უწია და ბოლოს თვალს მიეფარა. ბავშვები ამოდ მისჩერებოდნენ ღრუბლებსა და გამძვინვარებული დასავლეთის ქარისაგან არიალებულ ალუბლის კენწეროებს...

_ რას ვიზამთ, როგორც თქვა, ისე მოიქცა, დარჩა მანამ, სანამ სხვა ქარი დაუბერავდა, _ ამოიხვნეშა ჯეინმა, ფანჯარას ზურგი შეაქცია და ჯონი საწოლში ჩააწვინა. მაიკლს არაფერი უთქვამს, მაგრამ, ბარბის რომ აწვენდა, გულამოსკვნილი ქვითინებდა.

– შენ როგორ ფიქრობ, ვნახავთ ოდესმე მერი პოპინსს? – ჰკითხა ჯეინმა მაიკლს.

ამ დროს ქვემოთ ერთი შფოთი ატყდა.

– შვილებო! – კარი შემოაღო მისის ბენქსმა. – შვილებო, თავგზა ამებნა! მერი პოპინსმა მიგვატოვა.

– დიახ, – დაუდასტურეს ჯეინმა და მაიკლმა.

– აჰ, ესე იგი, თქვენ იცოდით? – გაოცდა მისის ბენქსი. – გითხრათ, რომ მიდიოდა?

ზავშვებმა უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

– ასეთი რამ არავის სმენია! – ვერ ჩერდებოდა მისის ბენქსი. – ამ წუთში აქ იყო და უცებ გაქრა, ბოდიშიც არ მოუხდია! უბრალოდ, გამოაცხადა, მივდივარო, და გაფრინდა! გაგონილა ასეთი უგულობა, ასეთი ქარაფშუტობა, ასეთი უმადურობა... რა იყო, მაიკლ? – გაბრაზდა ის, რადგან მაიკლი კაბის კალთაში ჩააფრინდა და ლამის ჩამოაგლიჯა. – რა დაგემართა, შვილო?

– თქვა, მოვბრუნდებიო? – ამოიგმინა მაიკლმა და კინაღამ წააქცია დედა. – მითხარი, თქვა თუ არა?

– ველურივით იქცევი! – უთხრა დედამ და მოიცილა, – არ მახსოვს, რა თქვა, გარდა იმისა, რომ მივდივარო. მაგრამ, რომც მოვბრუნდეს, არ შემოვუშვებ. ღვთის ანაბარა დამტოვა ამ გაჭირვების ჟამს!

– დედა, რას ამბობ! – უსაყვედურა ჯეინმა.

– ძალიან ავი ქალი ხარ! – წამოისროლა მაიკლმა და ისე მომუშტა ხელი, თითქოს უნდა ჩაარტყასო.

– ზავშვებო! მე მრცხვენია თქვენ მაგივრად! ძალიან მრცხვენია! როგორ გწყდებათ გული იმ ადამიანზე, ვინც დედათქვენს აწყენინა! პირდაპირ თავზარდაცემული ვარ.

ჯეინს ცრემლები წასკდა.

– მე მინდა მერი პოპინსი და მეტი არავინ ქვეყანაზე! – გამოუცხადა მაიკლმა და იატაკზე გაგორდა.

– ზავშვებო! რა დაგემართათ? წესიერად მოიქეცი! დღეს არავინაა, რომ მოგხედოთ, მე სტუმრად მივდივარ, ელინს დასვენება აქვს. მისის ბრილს უნდა ვთხოვო, მოგიაროთ.

– ეეჰ! გაიქცე და ბედის ანაბარა მიყარო ეს ნამცეცა ბაღლები, სად გაგონილა! – ვიშვიშებდა ერთი წუთის შემდეგ ზავშვების ოთახში მისის ბრილი და ყმაწვილებს ტანსაცმელს ხდიდა. – იცით, რას გეტყვით, იმ გოგოს ქვის გული ჰქონია, ან მე არა ვარ კლარა ბრილი! ცხვირაწეულიც ბრძანდებოდა. ერთი ცხვირსახოცი რა არის, ერთი ქინძისთავი არ დაუტოვებია სახსოვრად! გთხოვთ, ამობრძანდეთ, მისტერ მაიკლ! – ხვნეშოდა ბრილი. – პირდაპირ მიკვირს, ამდენ ხანს როგორ ვითმინეთ ყველა მისი ჭირვეულობა, გამოხდომები და კიდევ რა ვიცი! ოჰ, მის ჯეინ, რამდენი ღილი გაკერია! მშვიდად იდექი, მისტერ მაიკლ, მომეცი საშუალება, ტანსაცმელი გაგხადო! ღმერთმა კარგად გამყოფოთ და სადარდებელი არაფერია! ეგებ უკეთესიცაა, რომ თავი დაგვანება! აბა, მის ჯეინ, სად არის თქვენი ღამის პერანგი? ეს რა გაქვთ ბალიშის ქვემოთ ამოდებული?

მისის ბრილმა რაღაც კოპწიად შეხვეული შეკრულა გამოაძვრინა.

– მომეცით ჩქარა აჟ! რა არის? მომეცით ჩქარა! – იყვირა აღელვებისაგან აკანკალებულმა ჯეინმა და მისის ბრილს ხელიდან გამოჰგლიჯა შეკრულა.

მაიკლი წამსვე ჯეინთან გაჩნდა. გაფაციცებით დაუწყო ყურება, როგორ ხსნიდა შემოხვეულ ბაწარს, აცლიდა ქაღალდებს. მისის ბრილს არც აინტერესებდა, რა იყო შეკრულაში, და ტყუპებს მიუბრუნდა. ბოლო ქაღალდიც მოაცალა ჯეინმა და ხელში შერჩა სურათი.

– მისი პორტრეტია! – თქვა ჩურჩულით და სურათი თვალთან მიიტანა.

მართლაც, პატარა ჩარჩოში მერი პოპინსის სურათი იყო ჩასმული.

მაიკლმა სურათი გამოართვა, უკეთ რომ დაეთვალიერებინა. ჯეინმა უცებ დაინახა, რომ სურათს ბარათი ახლდა. ფრთხილად გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

– «ძვირფასო ჯეინ, მაიკლმა კომპასი მიიღო, ასე რომ, პორტრეტი შენია. “Au revoir!” მერი პოპინსი».

ხელმოწერის წინა სიტყვა ჯეინმა ვერ ამოიკითხა.

– მისის ბრილ, – დაუძახა მან. – რას ნიშნავს “Au revoir”?

– ორიუარ? – ჩაჰკითხა მისის ბრილმა მეზობელი ოთახიდან. – ახლავე, ახლავე, ეს ჩვენებურად არ არის. ფრანგულია, მგონი! მოიცა, ჩემი აზრით, ეს უნდა ნიშნავდეს, «ღმერთი გწყალობდეს». არა, არა, შემეშალა. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს «ნახვამდის».

ჯეინმა და მაიკლმა ერთმანეთს გადახედეს და თვალები აუციმციმდათ.

ისინი მიუხვდნენ მერი პოპინსს.

მაიკლმა ღრმად და შვებისმომგვრელად ამოიოხრა.

– ყველაფერი რიგზეა, – ხმა უკანკალებდა მაიკლს. – ის ყოველთვის იმას აკეთებს, რასაც ამბობს, – თქვა მან და მიბრუნდა.

– მაიკლ, ტირი? – ჰკითხა ჯეინმა.

მაიკლმა თავი ასწია და გაღიმება სცადა.

– არა, – უთხრა მან, თვალები ტირიან, მე არა.

ჯეინმა ნაზად მიიყვანა ძმა საწოლთან და, როცა ის ჩაწვა, სურათი სწრაფად მიაჩეჩა, რომ მერე არ გადაეფიქრა.

– დღეს გქონდეს, – წასჩურჩულა მან და მზრუნველობით, ისე, როგორც მერი პოპინსმა იცოდა, საბანი ამოუკეცა...

ნაწილი მეორე

პირველი თავი

ფრანი

მომხიბლავი დილა გათენდა. ისეთი დილა, ყველაფერი რომ ბრწყინავს და ნათელი გადასდის, თითქოს ღამით მთელი ქვეყანა დაგავ-დაასუფთავესო.

ალუბლის ხეთა ჩრდილი შესახვევს კოხტად გადაჰფენოდა; დარაბები და ჟალუზები იღებოდა და სახლის ფანჯრები მზეზე ლაპლაპებდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. სიმყუდროვე იდგა. ეგ იყო, მენაყინე დაატარებდა წინ და უკან თავის ურიკას და ზარს აწკარუნებდა.

ურიკას ტრანსპარანტი ეკრა. ტრანსპარანტზე ეწერა: «ნუ ჩამივლი გვერდით, ნაყინი იგემე!»

მოსახვევში ბუხრის მწმენდელი გამოჩნდა და შავი, გამურული ხელი აუწია.

მენაყინეს ზარის წკრიალი არ შეუწყვეტია, ისე მიუგორა ურიკა.

– ერთი პენსისა მომეცი! – უთხრა ბუხრის მწმენდელმა.

ნაყინი აიღო, თავის ცოცხს დაეყრდნო და ვაფლის ჭიქიდან ენის წვერით ამოლოკვა დაუწყო. რომ ამოაცარიელა, ვაფლი ცხვირსახოცში გაახვია და ჯიბეში ჩაიდო.

– ვაფლს არ მიირთმევთ? – ჰკითხა გოცებულმა მენაყინემ.

– არა, კოლექციას ვაგროვებ, – მიუგო ბუხრის მწმენდელმა.

აიღო თავისი ცოცხები და ადმირალ ბუმის სადარბაზო კარს მიადგა. მისის ლარკის სახლივით ამ სახლს უკანა კარი არა ჰქონდა...

მენაყინემ ისევ გააგორა შესახვევში თავისი ურიკა, ზარის წკრიალიც არ შეუწყვეტია.

– საოცარია, – წაიბურტყუნა მან, – აქ ასეთი სი-წყნარე არასოდეს ყოფილა! და ის იყო მოზრუნდა, ეგებ სხვა მყიდველი გამოჩნდესო, რომ ჩვიდმეტი ნომერი სახლიდან ყვირილი გაისმა.

მენაყინემ საჩქაროდ გააგორა იქით თავისი ურიკა, ეგებ მყიდველი მეძახისო.

– ქანცი გამიწყდა! ძალა გამომელია! – ყვიროდა მისტერ ბენქსი და შემოწუნებული დარბოდა სადარბაზო კარსა და კიბეს შორის.

მისის ბენქსი სასადილო ოთახიდან გამოვარდა და შეშინებულმა ჰკითხა:

– რა მოხდა, რა ტლინკებს ისვრი?

მისტერ ბენქსმა მთელი ძალით მოიქნია ფეხი და კიბეზე რაღაც შავი დაგორდა.

– ჩემი ქუდი! ჩემი სადღესასწაულო შლაპა! – კბილებიდან გამოსცრა მისტერ ბენქსმა, კიბე აირბინა და ქუდს ფეხი აჰკრა.

შლაპა იატაკზე დაბზრიალდა და მისის ბენქსს ფეხებში გაეზღანდა.

– რა მოუვიდა? – შეშფოთდა მისის ბენქსი.

შეეშინდა, ჩემმა მეუღლემ ხომ არაფერი მოიწიაო.

– შეხედე და დაინახავ! – დაიღრიალა მისტერ ბენქსმა.

მისის ბენქსი კანკალ-კანკალით დაიხარა და ქუდი აიღო.

შლაპას მოზრდილი წებოვანი ლაქები აჩნდა, სუნიც უდიოდა.

მისის ბენქსმა დასუნა.

– გუტალინის სუნი ასდის, – თქვა მან.

– დიახ, სწორედ გუტალინია! – დაიღრიალა მისტერ ბენქსმა, – რობერტსონ ეიმ ფეხსაცმლის ჯაგრისით გაწმინდა ქუდი! მომითხუპნა შლაპა.

მისის ბენქსს სახე მოედრიცა.

– ღმერთმა უწყის, რა ხდება ამ სახლში! ყველაფერი არეულ-დარეულია, ყველაფერი ყირამალა დგას. გასაპარსად წყალს მოითხოვ, ქაფქაფას მოგიტანენ, ყავას ცივად მოგართმევენ! ახლა აი, ესეც!

მისტერ ბენქსმა გამოსტაცა ცოლს ქუდი და ჩანთას დაავლო ხელი.

– მივდივარ! – გამოაცხადა მან. – არ ვიცი, მოვბრუნდები თუ არა! ალბათ შორეულ ნაოსნობაში გავემგზავრები!

ამ სიტყვებზე ჩამოიფხატა დანავსული ქუდი, ერთი ბრახაბრუხით მიიხურა კარი, ელდანაკრავივით გამოვარდა ჭიშკრიდან, დაეჯახა მენაყინეს, რომელიც იქვე იდგა და უსმენდა მისტერ ბენქსის ლანძღვა-გინებას, და გადააკოტრიალა.

– ახია შენზე! რას დაბორიალობ! – დაუყვირა მისტერ ბენქსმა და სირბილით გაუყვა სიტის შესახვევს. მისი შლაპა მზეზე ისე ბრწყინავდა, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი გეგონებოდათ.

მენაყინე ფრთხილად წამოდგა. რომ დარწმუნდა, ძვლები მთელი შემრჩაო, ტროტუარის კიდეზე ჩამოჯდა და მოზრდილი ულუფა ნაყინი მიირთვა...

– ო, ღმერთო! – თქვა მისის ბენქსმა, ჭიშკარი რომ მიიხურა. – მართლაც ასეა. ყველაფერი ყირამალა დგას! ხან რა და ხან რა. რაც მერი პოპინსი წავიდა, ყველაფერი ყირაზე დგას!

ბავშვების ოთახის კიბეზე ჩამოჯდა, ცხვირსახოცი ამოიღო და ატირდა.

ტირილ-ტირილით გაიხსენა ყველაფერი, რაც მოხდა იმ დღიდან, როცა მერი პოპინსი მოულოდნელად და იღუმალ გაუჩინარდა.

მაღე გამოჩნდა გამდელი გრინი, მაგრამ ერთი კვირაც არ გაჩერებულა, რადგან მაიკლმა მიაფურთხა. გრინი ბრაუნმა შეცვალა. ბრაუნი ერთ დღეს სასეირნოდ წავიდა და დაიკარგა. გავიდა ხანი და აღმოჩნდა, რომ ბრაუნთან ერთად დაკარგულიყო ყველა ვერცხლის კოვზი...

მერე მოვიდა გამდელი ქუიგლი, გუვერნანტი ქალი. იგი დილაადრიან, საუზმემდე უკრავდა გამებს მთელი სამი საათი. მისტერ ბენქსს მუსიკა მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა და ქუიგლი დაითხოვეს.

– მერე, – ქვითინებდა ცხვირსახოცში თავჩარგული მისის ბენქსი, – მერე ჯეინს წითელა შეეყარა, სააბაზანოში საშხაპე გატყდა. ყინვამ ალუბლები დააზრო და.....

– მაპატიეთ, მემ!

მისის ბენქსმა აიხედა. წინ მისის ბრილი ედგა.

– სამზარეულოს მილში ჭვარტლს ცეცხლი უკივია, – ძლივს ამოთქვა შემფოთებულმა.

– ო, ღმერთო ჩემო! ესლა გვაკლდა! – დაიყვირა მისის ბენქსმა. – რობერტსონ ეის უთხარით, ჩააქროს! სად სარის?

– სძინავს, მემ, საკუჭნაოში. როცა მაგ ყმაწვილს სძინავს, ხომ იცით, ვერაფერი გააღვიძებს. თუ მიწა არ იძრა, ან მედოლეთა პოლკი არ დაადგა თავზე! – ეუბნებოდა მისის ბრილი და უკან მისდევდა სამზარეულოში მიმავალ დიასახლისს.

როგორც იყო, მოახერხეს ცეცხლის ჩაქრობა, მაგრამ მისის ბენქსის ფა-
თერაკები ამით არ დასრულებულა. წასაუზმებაც ვერ მოასწრო, კიბეებზე
ერთი აურზაური ატყდა.

– კიდეც რა ამბავია? – წამოხტა სუფრიდან მისის ბენქსი და კიბეს მია-
შურა.

– ვაიმე, ფეხი, ფეხი! – ღრიალებდა შინამოსამსახურე ელინი. – დავი-
ღუპე!

ელინი კიბეზე იჯდა, ირგვლივ ჭურჭლის ნამსხვრევები ეყარა და ხმა-
მალლა ვიშვიშებდა.

– რა დაგემართა? – ჰკითხა შეშფოთებულმა მისის ბენქსმა.

– ფეხი მოვიტეხე! – უპასუხა ღონემიხდილმა ელინმა და მოაჯირს მი-
ეყრდნო.

– სისულელეა! კოჭი გადაგიბრუნდებოდათ და ეგ არის.

ელინმა უფრო ხმამალლა დაიკვნესა:

– ვაიმე, ფეხი, ფეხი! დავიღუპე, ვაიმე, ჩემო თავო!

ამ დროს ბავშვების ოთახში ტყუპები აყვირდნენ. ლურჯი ცელულოი-
დის იხვზე მოუვიდათ ჩხუბი. მაიკლი და ჯეინიც მაგრად წაკამათდნენ, შპა-
ლერზე ცხენს ხატავდნენ და ველარ მორიგდნენ, ცხენისათვის წითელი კუ-
დი დაეხატათ თუ ლურჯი. ამ ორომტრიალში გულის გამაწვრილებლად ის-
მოდა ელინის კვნესა:

– ვაიმე, ფეხი, ფეხი, დავიღუპე!

– ამევსო მოთმინების ფიალა! – თავში ხელი იტაცა მისის ბენქსმა. მერე
ელინს მიემველა, საწოლში ჩააწვინა. ცივი საფენი დაადო ფეხზე და ბავ-
შვებთან ავიდა.

ჯეინი და მაიკლი მისცვივდნენ.

– კუდი წითელი უნდა ჰქონდეს, არა? – იჩემებდა მაიკლი.

– დედა, უთხარი, სისულელეს ნუ ბოდავს! წითელკუდა ცხენი არავის
უნახავს, ხომ მართალი ვარ? – არ თმობდა ჯეინი.

– აბა, მაჩვენე მაშინ ლურჯკუდა ცხენი, მაჩვენე! – ყვიროდა მაიკლი.

– ჩემი იხვია! – ჩხაოდა ჯონი და ბარბის ჩაჰფრენოდა.

– ჩემია, ჩემია, ჩემია! – წიოდა ბარბი და ძმას არ ანებებდა.

დედა ხელების მტვრევას მოჰყვა:

– ბავშვებო, გაჩუმდით, თორემ ჰკუდიდან შევირყევი!

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, ბავშვები დიდი ინტერესით შესცქეროდნენ
დედას, მართლა შეირყევა ჰკუდიდან თუ არა და როგორი იქნებაო.

– იცით რა, – უთხრა მისის ბენქსმა, – ცუდად იქცევით! საწყალმა
ელინმა კოჭი დაიზიანა, არავინ არის, მოგხედოთ. წადით პარკში და ცოტა
ითამაშეთ, ჯეინ და მაიკლ, პატარებს მიხედეთ. ჯონ, იხვი ბარბის მიეცი,
შენ სადამოს ითამაშე. მაიკლ, შენ შენი ახალი ფრანი წაიღე. აბა, დაიხურეთ
ქუდები და წადით!

– ცხენის ხატვა უნდა დავამთავრო! – გაჯიუტდა მაიკლი.

– რა გვინდა პარკში! იქ რა უნდა გავაკეთოთ! – აჭიჭყინდა ჯეინი.

– იქნებ ცოტა დავისვენო. – უპასუხა მისის ბენქსმა. – თუ ახლავე წახ-
ვალთ და კარგად მოიქცევით, ჩაიხე ქოქოსის ტორტს მოგართმევთ!

სანამ ისევ აურზაური ატყდებოდა, მისი ბენქსმა ოთხივეს ჩამოაფხატა ქულები და ქვევით ჩალოლა.

ჯეინი ბავშვების ეტლს მიაგორებდა, მაიკლს თავისი ფრანი მიჰქონდა.

ბავშვებმა გაიხედეს მარცხნივ, არავინ და არაფერი არ ჩანდა. გაიხედეს მარჯვნივ, ერთადერთი მენაყინე აწკრიალებდა თავის ზარს შესახვევის ბოლოს. სხვა არავინ იყო.

ჯეინი თამამად წავიდა წინ. მაიკლი მიჰყვა.

– ესაა ცხოვრება?! – შესჩივლა თავის ფრანს, – ყველაფერი არეულ-დარეულია!

ჯეინმა გუბურასთან მიაგორა ეტლი და შეჩერდა.

– აბა, – უთხრა მან ბავშვებს. – მომეცით იხვი!

ბავშვები აღრიალდნენ და ისე ჩააფრინდნენ იხვს, ჯეინმა ძლივს გამოჰგლიჯა.

– შეხედეთ, ცუგრუმელებო, შეხედეთ, – მოეფერა ის ტყუპებს და იხვი გუბურაში შეაცურა, – შეხედეთ, ინდოეთში მიცურავს!

იხვი მედიდურად მიარღვევდა ტალღებს. ტყუპები უყურებდნენ და ღრიალს განაგრძობდნენ. ჯეინმა მოუარა გუბურას, დაიჭირა იხვი და უკან მოაბრუნა.

– ახლა ინგლისში მიემგზავრება! – თქვა მხიარულად. ტყუპებს გამხიარულებისა არაფერი დასტყობიათ.

– ახლა ამერიკისაკენ გაუტია, – განაგრძობდა ჯეინი.

ბავშვებმა მოუმატეს ღრიალს.

ჯეინმა ხელი ხელს შემოჰკრა:

– მაიკლ, რა ვუყოთ? მივცეთ იხვი, იჩხუბებენ, არ მივცეთ და ზღუქუნს აღარ მორჩებიან!

– მე ახლა ფრანს გავუშვებ, ნახეთ, ბავშვებო, ნახეთ! – მიუბრუნდა მაიკლი ტყუპებს.

მან აიღო მომწვანო-მოყვითალო ფერის ლამაზი ფრანი და ბაწრის ახსნას შეუდგა.

ტყუპები უინტერესოდ ადევნებდნენ თვალს, ცრემლები სდიოდათ.

მაიკლმა ასწია ფრანი და გაიქცა. ფრანი ცოტაზე აფრინდა და იქვე ბალახებში ჩავარდა.

– აბა, ერთხელ კიდევ სცადე! – გაამხნევა ჯეინმა ძმა.

– მე რომ გავიქცევი, შენ დაიჭირე, – უთხრა მაიკლმა.

ამჯერად ფრანი ცოტა უფრო მაღლა აფრინდა, მაგრამ გრძელი, ჭრელი კუდი დიდი ცაცხვის ტოტებში გაეხირა, ბაწარი აიბურდა და ფრანი უძლურად ჩამოეკიდა ხეზე.

ტყუპები ხმამაღლა აბლავდნენ.

– ოჰ, ღმერთო! – თქვა ჯეინმა. – დღეს დავინავსეთ და ესაა!

– ეი, ეი, ეი! რა ამბავია? – მოისმა მკაცრი ხმა.

ყმაწვილებმა მოიხედეს. პარკის დარაჯი იყო. ფორმის წითელი ქურთუკი ეცვა, ქუდიც ფორმისა ეხურა. წვერწამახული ჯოხით პარკში აქა-იქ მიყრილ ქალაღდის ნაკუწებს უყრიდა თავს.

ჯეინმა ცაცხვზე შეახედა. დარაჯმა აიხედა ზევით და სახე მოექუფრა:

– ვაი, ვაი, ვაი! წესრიგი დაგირღვევიათ! არ არის კარგი! არ იცოდით, რომ პარკის დანაგვიანება აკრძალულია! არც ქვემოთ უნდა დაყაროთ ნაგავი და არც ხეებზე.

– ნაგავი კი არა, ფრანია! – უთხრა შეწუხებულმა მაიკლმა.

დარაჯმა ცაცხვი შეათვალიერა და უცებ სახეზე სიხარულის ალმური მოედო, გაიღიმა და თქვა:

– მართლა ფრანია! ბავშვებო, რამდენი ხანია, ფრანი არ ამიშვია. ჩემს პატარა ბიჭობაში მიყვარდა ფრანი!

იმ წამსვე აძვრა ცაცხვზე და ფრთხილად ჩამოიტანა ფრანი.

– ახლავე გავუშვებთ! – თქვა სიხარულით. – ბაწარი დავახვიოთ და ჰო, ჰო, ჰო, როგორ გაფრინდება!

ბაწრის ხვეულა მომაწოდებო, – ხელი გაუშვირა მაიკლს.

მაიკლმა ხვეულა არ დაანება.

– გმადლობთ. მე თვითონ ვიზამ.

– მოდი, ერთად გავუშვათ, ჰა, რას იტყვი? – შეეხვეწა დარაჯი. – მე არ ჩამოგიტანე? და თანაც ბავშვობიდან ხელი არ მიხლია ფრანისათვის.

– კარგი, – დაეთანხმა მაიკლი, უზრდელობაში არ ჩამომართვან, უარი რომ ვთქვაო.

– გმადლობთ! – გაუხარდა დარაჯს. – მაშასადამე, მე ავიღებ ფრანს და ათი ნაბიჯით უკან დავიხევ. როცა ვიტყვი, «აბა ჰე», შენ გამოიქცევი, კარგი?

დარაჯმა ნაბიჯები გადაითვალა:

– ... რვა, ცხრა, ათი!

მობრუნდა და ფრანი ააფრიალა:

– ... აბა, ჰე, – იყვირა მან.

მაიკლი ჩქარ-ჩქარა გაიქცა.

ბაწარი გაიჭიმა, ხვეულა დაბზრიალდა.

– აბა, ჰე! – გაიმეორა დარაჯმა.

მაიკლმა მოიხედა. ფრანი სიმაღლეს უმატებდა. რაკეტასავით ზევით, ზევით მიიწევდა ცაში, კუდს მიაფრიალებდა.

დარაჯმა თვალეხი დააჭყიტა.

– ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია ასეთი ფრანი, ჩემს ბიჭობაშიც კი არა მქონია! – წაიბურტყუნა გაოცებულმა.

ამ დროს ერთი ფუმფულა ღრუბელი წუთით მზეს ამოეფარა და გზა განაგრძო.

– პირდაპირ ჩვენი ფრანისკენ აიღო გეზი! – შეწუხდა ჯეინი.

ფრანი ზევ-ზევით მიიწევდა სწრაფად და გაბედულად. ძლივძლივობით უწვდენდნენ თვალს, პატარა წერტილივით ჩანდა ცაზე. ღრუბელი ნელ-ნელა უახლოვდებოდა.

მიუახლოვდა, მიუახლოვდა...

– დაიკარგა! – თქვა მაიკლმა, წერტილს ნაცრისფერი ღრუბელი ფარდად რომ გადაეფარა.

ჯეინმა ამოიხვნეშა. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. ტყუპებიც გაყურსულიყვნენ თავიანთ ეტლში. მხოლოდ მაიკლის ბაწრის ხვეულა ბზრიალებდა და ბზრიალებდა, თითქოს ცას და დედამიწას აერთებდნენ...

ბავშვები სულმოუთქმელად ელოდნენ, ფრანი ისევ როდის გამოჩნდებოდა.

ბოლოს ჯეინმა ვერ მოითმინა:

– მაიკლ, უკან მოსწიე, უკან!

მაიკლმა ხვეულა გადმოაბრუნა და მაგრად მოსწია ბაწარი. ხვეულა არ დაემორჩილა, მაიკლი ეწვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

– არ შემიძლია, არ მემორჩილება! – თქვა მან.

– მოდი, მოგეშველები! – მივარდა ჯეინი.

მოქაჩეს და მოქაჩეს, მაგრამ ბაწარი ვერ გადმოახვიეს, არც ღრუბლებში გახვეული ფრანი ჩანდა.

– მომეცით ერთი, – სცადა ახლა დარაჯმა. – ჩემს ბიჭობაში ჩვენ ასე ვშვრებოდით. – აილო ხვეულა და იქით-აქეთ გააქან-გამოაქანა, მერე მაგრად მოქაჩა.

ბაწარი ცოტა მოდუნდა.

– აბა ჰა, ერთად მოვქაჩოთ!

დარაჯმა ქუდი მოიშვლია, ჯეინმა და მაიკლმა ფეხები მაგრად გაჯგიმეს და სამივემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოსწიეს.

– მოდის! – აქოშინდა მაიკლი.

უცებ ბაწარი მოეშვა და ცაზე ღრუბლიდან თავი გამოყო პაწაწინა ფიგურამ. ის ნარნარად ჩამოეშვა.

– გადაახვიე! – დაუყვირა დარაჯმა მაიკლს.

ბაწარი კოჭზე თავისთავად ეხვეოდა. ფრანი ცეკვა-ცეკვით მოიწვედა ქვევით.

ჯეინი გაოცდა.

– რა არის ეს? ჩვენი ფრანი არ არის!

ბავშვები ფრანს დააკვირდნენ.

მართლაც, მომწვანო-მოყვითალო ფრანი მუქ-ლურჯად ქცეულიყო!

ახლა მაიკლი გადაირია.

– ჯეინ, ჯეინ, ფრანი კი არა, თითქოს... მგონი, ეს...

– მაიკლ, მოქაჩე, სწრაფად მოქაჩე! – ამოსუნთქვას არ აცლიდა ჯეინი. –

სადაცაა, სული გამძვრება!

მათი ღელვა არცთუ უსაფუძვლო იყო.

ჯერ კიდევ ხეებს ზემოთ ფრიალებდა უცხო სხეული, მაგრამ გარჩევა შეუძლებოდა, დედამიწას უახლოვდებოდა ადამიანის ნაცნობი ფიგურა...

...მუქ-ლურჯი პალტო...

...ჩალის ქუდი...

...დაკეცილი ქოლგა...

...ხალიჩის ჩანთა...

– ის არის! – აყიჟინდა ჯეინი. – ის არის!

– ასეც ვიცოდი! – აყვირდა მაიკლი და ხელეხახეხებულმა ბაწარი დაახვია.

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! – ლულლულეებდა დარაჯი და თვალებს არ უჯერებდა.

...ნათლად ჩანდა ვერცხლის ღილები... ქუდზე მიმაგრებულ ყვავილებს ნიავი არხევდა... ბოლოს მზემ მიანათა ნაცნობ სახეს, გამოიკვთა: ცოცხალი ცისფერი თვალები, პაჭუა ცხვირი, ნახშირივით შავი თმა. ასეთი თმა ხის თოჯინასა აქვს ხოლმე.

როცა ცის ფერია კობტად და ნარნარად დაეშვა ცაცხვის ქვეშ, მინდორზე, საეჭვო აღარაფერი დარჩა.

ბავშვები თავქუდმოგლეჯილი მისცვივდნენ.

_ მერი პოპინს! მერი პოპინს! _ ყვიროდნენ ისინი.

წამიც და ორივე კისერზე ჩამოეკიდა.

ტყუპები ეტლში ისე ყიოდნენ, როგორც მამლები განთიადზე. დარაჯი ხან დაალებდა პირს, ხან დამუწავდა, თითქოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ სიტყვებს თავს ვერ უყრიდა.

_ დაგვიბრუნდა! დაგვიბრუნდა! დაგვიბრუნდა! _ დამდულრულივით ღრიალებდა მაიკლი, ხან ხელზე მოეპოტინებოდა, ხან ჩანთაზე, ხან ქოლგაზე. სულ ერთი იყო, რას ჩაავლებდა ხელს, ოღონდ ეგრძნო, რომ ის ნამდვილად აქ იყო.

_ ჩვენ ვიცოდით, რომ დაბრუნდებოდით! წერილში ხომ ეწერა, ნახვამდისო! _ ეუბნებოდა ლურჯი პალტოს კალთას ჩაბლაუჭებული ჯეინი.

კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა სახეზე მერი პოპინსს. ყველაფერი უცინოდა: პირი, ცხვირი, ცისფერი თვალები. ოღონდ ეს იყო წამით.

_ ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ გაიხსენებთ, რომ საზოგადო თავშეყრის ადგილას ვართ, ეს ქალაქის პარკია და არა ზოოპარკი! როგორ იქცევით? _ უთხრა მან ბავშვებს და თავი გაითავისუფლა მათი ხელებისაგან. _ ერთი გამაგებინეთ, ხელთათმანები რა უყავით?

ბავშვებმა ჯიბეზე იკრეს ხელი.

_ ჰმ! ჩაიცვით, გეთაყვა!

სიხარულისა და მღელვარებისაგან აცახცახებულმა ჯეინმა და მაიკლმა ხელთათმანებიც ჩაიცვეს და თავზე ქუდეებიც დაიხურეს.

მერი პოპინსი საბავშვო ეტლთან მივიდა. ტყუპები სიხარულით აჭყლობინდნენ, როცა მან უფრო მოხერხებულად ჩასხა და პლედიც შეუსწორა.

მერე მოიხედა.

_ ვინ ჩაუშვა გუბურაში იხვი? _ იკითხა მან ჩვეული მკაცრი და ცივი ხმით.

_ მე ჩავუშვი ტყუპების გასართობად, იხვი ამერიკაში მიცურავს.

_ გაისარჯე და ამოიყვანე, არც ამერიკაში მიემგზავრება და არც არსად, შინ მიდის ჩაის დასალევად. თქვა ეს, თავისი ხალიჩის ჩანთა ეტლზე ჩამოჰკიდა და ეტლი პარკის გასასვლელისაკენ გააგორა.

დარაჯმა გზა გადაუღობა. მან, როგორც იქნა, ენა ამოიდგა:

_ ყური მიგდეთ! _ აათვალიერ-ჩაათვალიერა მერი პოპინსი, _ რაპორტი უნდა დავწერო! თქვენ წესრიგი დაარღვიეთ. ციდან ჩამოვარდნა აქ აკრძალულია! საიდან გაჩნდით, მინდა გავიგო!

უცებ მერი პოპინსმა ერთი ისეთი მზერა ესროლა, რომ იფიქრა, ნეტავ აქედან გავქრეო, და ხმა გაიწყვიტა.

– პარკის დარაჯი რომ ვიყო, – უთხრა მან ამაყად, – ქუდს დავიხურავ-
დი და ქურთუკის ღილებს შევიბზნევდი. ნება მომეცით, გავიარო!

ზვიადად გაეცალა და გზა განაგრძო.

დარაჯი გაწითლდა, ქუდის ასაღებად დაიხარა. თავი რომ ასწია, მერი
პოპინსი და ბავშვები ჩვიდმეტი ნომერი სახლის ჭიშკარში გაუჩინარებუ-
ლიყვნენ.

დარაჯმა ბილიკს გახედა, მერე ცას ახედა, ისევ ბილიკს დახედა. ქუდი
მოიხადა, მხრები აიჩეჩა, ქუდი ისევ დაიხურა.

– ჩემს სიცოცხლეში მსგავსი არაფერი მინახავს, ჩემს პატარა ბიჭობაშიც
კი!

ძლივს მოიბრუნა ენა თავგზააბნეულმა და თავისთვის აბურტყუნდა.

– მერი პოპინს, ეს თქვენა ხართ! – ზღურბლზე გამოეგება მისის ბენქსი.
– საიდან გაჩნდით? ციდან ხომ არ ჩამოფრინდით?

– დიახ, დიახ! – ის იყო დაიწყო მაიკლმა სიხარულით. – ის ციდან...

– ბავშვებს პარკში შევხვდი, მემ, – მიუბრუნდა მისის ბენქსს, – და შინ
მოვაცილე.

– აპირებთ ჩვენთან დარჩენას?

– ამჯერად კი, მემ.

– გესმით, მერი პოპინს, მაშინ თქვენ ისე წახვედით, სიტყვა არ დაგ-
ცდენიათ... არ გაგიფრთხილებივართ. რა ვიცი, რომ ახლაც ასევე არ მოიქცე-
ვით?

– ნამდვილად არ იცით, მემ, – მშვიდად დაეთანხმა მერი პოპინსი.

მისის ბენქსი რეტდასხმულივით ალულლულდა:

– მაგრამ... მაგრამ... კიდევ ეგრე ხომ არ წახვალთ?

– წინდაწინ ვერაფერს გეტყვით, მემ.

– ჰო! – თქვა მისის ბენქსმა, რადგან იმ წუთას უკეთესი ვერაფერი მოი-
საზრა.

და სანამ გაოცებული გონს მოვიდოდა, მერი პოპინსმა დაავლო ხელი
თავის ხალიჩის ჩანთას და ბავშვები ზევით ალალა.

მისის ბენქსმა თვალი გააყოლა.

ბავშვების ოთახის კარი ჩუმად მიიხურა.

მისის ბენქსმა მაშინ კი შვებით ამოისუნთქა და ტელეფონისკენ გაიქცა.

– მერი პოპინსი დაბრუნდა! – ახარა მეუღლეს.

– მართლა? მაშ, მეც დავბრუნდები, – თქვა მისტერ ბენქსმა და ყურმი-
ლი დაკიდა.

*

მერი პოპინსმა გაიხადა პალტო და საწოლი ოთახის კარის საკიდარზე
ჩამოკიდა. მოიხადა ქუდი და კოხტად დადო საწოლის ზურგზე.

ბავშვები ნაცნობ პროცედურას უკვირდებოდნენ.

ყველაფერი ძველებურად, უცვლელად მეორდებოდა. არცა სჯერო-
დათ, ამდენხანს რომ სადღაც იყო გამქრალი.

აი, მერი პოპინსი დაიხარა და გახსნა თავისი ჩანთა.

ჩანთაში ერთი დიდი თერმომეტრის მეტი არაფერი მოიძვევებოდა.

_ ეს რისთვისაა საჭირო? _ დაინტერესდა ჯეინი.

_ შენთვის! _ უპასუხა მერი პოპინსმა.

_ მე ხომ ავად არა ვარ! _ შეწუხდა ჯეინი. _ წითელა ორი თვეა მოვიხადე!

_ პირი დააღე! _ ისეთი ხმით უთხრა მერი პოპინსმა, ჯეინმა სასწრაფოდ დახუჭა თვალები და პირი დააფჩინა. მერიმ მაშინვე თერმომეტრი ჩასჩარა და მკაცრად განაგრძო: _ მინდა ვიცოდე, ჩემს არყოფნაში როგორ იქცეოდდი.

მერე ამოაძრო თერმომეტრი, ფანჯარასთან მიიტანა და წაიკითხა:

_ ქარაფშუტაა და უწესო.

ჯეინმა თვალები დაჭყიტა.

_ ოდნავადაც არ გამკვირვებია! _ თქვა მერი პოპინსმა და თერმომეტრი ახლა მაიკლს ჩაუდო. რომ ამოიღო, აი, რა წაიკითხა:

_ დიდი ანცია და შფოთისთავი.

_ არ არის მართალი! _ გაბრაზდა მაიკლი.

მერი პოპინსმა პასუხის ნაცვლად თერმომეტრი ცხვირწინ მიუტანა. მაიკლმა თვითონვე წაიკითხა:

_ დი-დი ან...

_ ხედავ? _ ნიშნი მოუგო მერი პოპინსმა.

ჯონზე თერმომეტრმა აჩვენა, ჟინიანი და ჩხუბისთავიაო.

ბარბი რომ შეამოწმეს, თერმომეტრზე ეწერა: მეტისმეტად ნებიერიაო!

_ ჰმ! _ ჩაიფრუტუნა მერი პოპინსმა. _ სწორედ დროულად დავბრუნდი!

ბოლოს თერმომეტრი თვითონ ჩაიღო, ერთი წამით გაიჩერა და ამოიღო.

_ ყოველმხრივ სრულყოფილია, _ წაიკითხა მან და სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

_ ასეც იყო მოსალოდნელი, _ თქვა ამაყად, _ ახლა ჩაი დავლიოთ და მერე დავიძინოთ!

ბავშვებს მოეჩვენათ, წუთიც არაა გასულიო და უკვე ჩაი დალიეს, თითო ნაჭერი ქოქოსის ტორტი მიირთვეს და დაიბანეს. როგორც ყოველთვის, მერი პოპინსი საქმეს ახლაც თვალისდახამხამებაში აკეთებდა. ღილ-კილოები თავისთავად შორდებოდნენ ერთმანეთს, საპონი და ღრუბელი ჯარასავით ტრიალებდნენ, პირსახოცი უმალ ამშრალეებდა დაბანილ ბავშვებს.

მერი პოპინსმა საწოლებს ჩაუარა, ბავშვებს საბნები ამოუგო. მის გახამებულ თეთრ წინსაფარს კრიჭინ-კრიჭინი გაუდიოდა და ირგვლივ ახლადშემწვარი «ყიყლიყოების» სურნელებას აფრქვევდა.

მაიკლის საწოლთან რომ მივიდა, დაიხარა, ქვეშ ხელი მოაფათურა და ფრთხილად გამოაძვრინა თავისი დასაკეცი საწოლი, რომელზეც ელაგა მისი მთელი ავლა-დიდება: კარგი ხელის საპონი, კბილის ჯაგრისი, თმის სარჭები, ერთი შუშა ოდეკოლონი, საკეცი სკამი და ხველის საწინააღმდეგო აბები. შემდეგ ეწყო: შვიდი ფლანელის და ჩითის ღამის პერანგი, ფეხსაცმელები, ხალათები, ორი საბანაო ქუდი და ღია ბარათების ალბომი.

ჯეინი და მაიკლი საწოლში წამოხტნენ.

– საიდან გაჩნდა ეს ყველაფერი? – ვერ მოითმინა მაიკლმა. – ასჯერ მაინც შევმძვრალვარ საწოლქვეშ და იქ არაფერი შემიმჩნევია!

მერი პოპინსმა არაფერი უპასუხა.

ჯეინმა და მაიკლმა ერთმანეთს გადახედეს. კიდევ რომ ეცადათ და შეკითხვა გაემეორებინათ, აზრი არა ჰქონდა, მერი პოპინსი არასოდეს იძლეოდა ახსნა-განმარტებას.

იგი დასაძინებლად გაემზადა. მან ჯერ გახამებული თეთრი საყელო მოიხსნა, მერე პატარა ოქროს მედალიონი.

– რა დევს მედალიონში? – დაინტერესდა მაიკლი.

– პორტრეტი.

– ვისი?

– თავის დროზე გაიგებ. ჯერჯერობით კი არა.

– ეს დრო როდის დადგება?

– როცა წავალ!

ბავშვები შიშნარევი თვალებით შეაცქერდნენ.

– მერი პოპინს! – იყვირა ჯეინმა. – თქვენ ხომ აღარასოდეს აღარ წახვალთ, არა? თქვით, რომ არ წახვალთ!

მერი პოპინსი თვალეზგაშტერებული მიაჩერდა,

– დიდად ბედნიერი არ ვიქნები, – უპასუხა მან, – თუ მთელ სიცოცხლეს თქვენ შემოგწირავთ!

– მაგრამ ხომ დარჩებით? – ევედრებოდა ჯეინი.

მერი პოპინსმა მედალიონი ხელისგულზე შეათამაშა.

– დავრჩები მანამ, სანამ მედალიონს ძეწკვი არ გაუწყდება, – მოკლედ მოჰრა მან.

შემდეგ ღამის პერანგი ჩამოიცვა და მის ქვეშ ტანსაცმლის გახდა დაიწყო.

– კარგია, მე ვნახე, მაგარი ძეწკვია, – წასჩურჩულა მაიკლმა დას და გასამხნეველად მოეხვია.

ორივენი საწოლში მოიკუნტნენ, მერი პოპინსის იდუმალ საქციელს ადევნებდნენ თვალს. მერიმ ხომ ღამის პერანგი ჩამოიცვა და ისე იხდიდა. ღამის პერანგი კარავივით იდგა. ბავშვებს გაახსენდა, როგორ გამოჩნდა პირველად მერი პოპინსი ალუბლის შესახვევში და ყველა ის საოცარი თავგადასავალი, რაც მის მოსვლას მოჰყვა. ისიც მოაგონდათ, როგორ გაფრინდა ქოლგით, დაუბერა თუ არა ქარმა; არც ის დავიწყებიათ, როგორ წუხდნენ განშორების ჟამს და მის არყოფნაში; და ბოლოს მისი დაბრუნება სასწაულს რომ ჰგავდა...

უცებ მაიკლი წამოჯდა.

– ფრანი! – თქვა მან. – სად არის ჩემი ფრანი? სულ გადამავიწყდა!

მერი პოპინსმა ღამის პერანგიდან თავი გამოყო.

– ფრანი? – გაბრაზდა ის. – რა ფრანი? რის ფრანი?

– ჩემი ახალი ფრანი, ყვითელი და მწვანე, ფოჩიანი. რომლითაც თქვენ ჩამოფრინდით! რომლის ბაწარსაც ჩამოჰყევით!

მერი პოპინსმა ერთი ისეთი შეხედა, რომ ძნელი სათქმელია, გამოხედვაში გაცემა მეტი იყო, თუ მრისხანება. ალბათ არც ერთი აკლდა.

– თუ ყური არ მატყუებს, _ გამოცრა კბილებში, _შენ თქვი, რომ მე საი-
დანღაც თოკს ჩამოვეყვი? _ თქვა ისეთი ხმით, რომ მისივე მრისხანე გამო-
ხედვა სულ აღარაფერი გამოჩნდა.

– ასე იყო! _ ასლუკუნდა მაიკლი. _ დღეს, ღრუბლიდან, ჩვენ დაგინა-
ხეთ.

– ესე იგი თოკით ჩამოვედი? მაიმუნივით? მე, არა? ასე იყო, მაიკლ
ბენქს?

მერი პოპინსი გაშმაგებისაგან თითქოს ერთიორად გაიზარდა, აწოწი-
ლი, მრისხანე იდგა და პასუხს ელოდა.

მაიკლს რომ გამბედაობა შეენარჩუნებინა, ზეწარს ჩააფრინდა.

– მაიკლ, გაჩუმდი! _ ურჩია ჯეინმა ჩუმად.

მაგრამ მაიკლი ვეღარ შეჩერდა.

– მაშინ, სადაა ჩემი ფრანი? _ თქვა გულმაგრად, _ თუ თქვენ არ ჩამოფ-
რენილხართ... მმ... როგორც მე ვთქვი, მაშინ სად წავიდა ჩემი ფრანი? ის ბა-
წარს არ ჩამოჰყოლია.

– აჰა! ესე იგი მე ჩამოვეყვი? _ დაცინვით ჰკითხა მერი პოპინსმა.

მაიკლი მიხვდა, რომ დავა აღარ ღირდა, მაინც ვერაფერს გახდებოდა
და ფარ-ხმალი დაყარა.

– ა-არა, _ წამოიკნავლა მან. _ არა, მერი პოპინს.

მერი პოპინსი მიბრუნდა და შუქი ჩააქრო.

– ჩემს არყოფნაში ზრდილობა არ მოგმატებია, _ შენიშნა მან ცივად, _
თოკით ჩამოვედი! წარმოგიდგენიათ! ჩემს სიცოცხლეში ასეთი შეურაცხყო-
ფა არასოდეს მოუყენებიათ! არასოდეს!

გაბრაზებული ჩაწვა ლოგინში და საბანი თავზე წაიფარა.

ზეწარს ჩაფრენილი მაიკლი გაიტრუნა.

– ჯეინ! _ დაიჩურჩულა ბოლოს. _ ხომ მართლა ჩამოფრინდა? არა?
თვითონ არა ვნახეთ?!

ჯეინმა პასუხის ნაცვლად საწოლი ოთახის კარისაკენ მიახედა.

იქ, საკიდარზე მერი პოპინსის პალტო ეკიდა. ღამის ნათურის მქრქალ
სინათლეზე ვერცხლის ღილები ბრწყინავდა, პალტოს ჯიბიდან გრძელი
ფოჩებიანი თოკი მოჩანდა. სწორედ ფრანის კუდი, მოყვითალო-მომწვანო
ფრანის კუდი...

ბავშვები დიდხანს უხმოდ ათვალიერებდნენ ფოჩებიან კუდს.

შემდეგ ერთმანეთს გადახედეს და თავი დააქნიეს.

სიტყვები საჭირო აღარ იყო. ორივე დიდი ხანია მიხვდა, _ მერი პოპინ-
სი ისეთია, რომ ისინი ვერაფერს გაუგებენ. მაგრამ ის მათ გვერდითაა და
ესაა მთავარი.

გასაშლელი საწოლიდან მისი თანაბარი სუნთქვა ისმოდა.

ბავშვების გულში სიმშვიდესა და სიწყნარეს დაესადგურებინა.

– ჯეინ, კარგი, ლურჯი კუდი ჰქონდეს, არა უშავს, _ უჩურჩულა მაიკ-
ლმა ჯეინს.

– არა, რას ამბობ! _ ჩურჩულითვე მიუგო ჯეინმა, _ წითელი ათასწი-
ლად აჯობებს.

ამის შემდეგ ბავშვების ოთახიდან მშვიდი ფშვინვა მოისმა.

*

– ფუ-ფუ! – ფუილებდა მისტერ ბენქსის ჩიბუხი.

– ტკაც-ტკუც! – ტკაცუნებდა მისის ბენქსის ჩხირები.

მისტერ ბენქსმა ფეხები ბუხრის კიდეზე შემოაწყო და ცხვირი დააქსუტუნა.

მაღე მისის ბენქსმა დუმილი დარღვია:

– კიდევ შორეულ მოგზაურობაზე ფიქრობ?

– აჰ? მ-მ-მ... არა. საკმაოდ ცუდი მეზღვაური ვარ. მართლა, ჩემი ქუდი გავაახლებინე. ქუჩის კუთხეში მწმენდელმა მიუსვ-მოუსვა ჯაგრისი და სულ ახალივით გამიხადა. ადრინდელს თუ ჯობს, თორემ არ ჩამოუვარდება, გარდა ამისა, მერი პოპინსი დაბრუნდა, პირსაპარსი წყალი არც მდუღარე იქნება და არც ცივი.

მისის ბენქსმა ჩაიღიმინა და ქსოვა განაგრძო.

მალიან უხაროდა მისტერ ბენქსის ცუდი მეზღვაურობა და მერი პოპინსის დაბრუნება.

*

სამზარეულოში მისის ბრილი ელინს სახვევს უცვლიდა და ეუბნებოდა:

– ვერ ვიტყვი, მაინცდამაინც ვალმერთებ-მეთქი, მაგრამ რაც მართალია, მართალია, დღეს სახლი სახლს დაემსგავსა, კვირა დღესავით სიწყნარეა და ყველაფერი კრიალებს. მე ცუდი თვალით არ ვუყურებ მის დაბრუნებას.

– მეც! – დაუდასტურა ელინმა.

«ჩემზე რომ არაფერი ვთქვათ!» – გაიფიქრა საკუჭნაოში მიკუნჭულმა რობერტსონ ეიმ, მათ ლაპარაკს ყური რომ მოჰკრა. – ახლა ხანდახან მაინც მომასვენებენ».

იგი უფრო მოხერხებულად მოკალათდა ნახშირის ყუთზე... თავი ჯაგრისზე მიდო და ისევ წათვლიდა. მაგრამ, რას ფიქრობდა თვითონ მერი პოპინსი, არავის არასდროს გაუგია: თავის აზრებსა და ფიქრებს თავისთვის ინახავდა და სხვას არასდროს არაფერს უზიარებდა...

მეორე თავი მის ენდრიუს ტოროლა

შაბათი დღე იყო.

ალუბლის შესახვევის ნომერ ჩვიდმეტი სახლის შესასვლელში მისტერ ბენქსი ბარომეტრზე საქმიანად უკაკუნებდა და მისის ბენქსს აცნობდა, როგორი ამინდი იყო მოსალოდნელი.

სამხრეთის ქარი, ზომიერი, ტემპერატურა ნორმალური, ზღვა მშვიდი, ალაგ-ალაგ შეიძლება ატყდეს ჭექა-ქუხილი და ქარიშხალი, – ამბობდა ის. უცებ ხმამაღლა იკითხა: – ეი, რა ამბავია?

ზემოთ ატყდა ისეთი ბრაზბრუხი, რახუნი, ბაკუნი, რომ მისტერ ბენქსი იძულებული გახდა, ლაპარაკი შეეწყვიტა.

კიბეზე მაიკლი გამოჩნდა, გუნებაწამხდარი ჩანდა, მოღუშული მოაბაკუნებდა ქვემოთკენ. უკან მერი პოპინსი მოჰყვებოდა, იქით-აქეთ ტყუპები ეჭირა და ყოველ საფეხურზე მუხლისთავით ზურგზე უბიძგებდა მაიკლს. ბოლოს ჯეინი მოდიოდა ქუდებით ხელში.

– პირველი ნაბიჯია ძნელი, – ჭკუას არიგებდა მერი, – ჩადი, გეთაყვა, ჩადი!

მისტერ ბენქსმა ბარომეტრს თავი ანება და მაიკლს მიაპყრო მზერა.

– რა დაგემართა? – ჰკითხა მას.

– არ მინდა სეირნობა, არ მინდა! ახალი ორთქლმავალი მყავს და იმით მინდა ვითამაშო! – უპასუხა მაიკლმა და დაასლოკინა, როცა ისევ მოხვდა ზურგში მერი პოპინსის მუხლი.

– რა სისულელეა, შვილო! – უთხრა დედამ. – სეირნობა აუცილებელია, სიარული ფეხებს დაგიგრძელებს და გაგიმაგრებს!

– მე მოკლე ფეხები მიყვარს! – ჩაიფლუკუნა მაიკლმა და ზღაზვნით გადახტა შემდეგ საფეხურზე.

– როცა პატარა ვიყავი, ძალიან მიყვარდა სეირნობა, – თქვა მამამ. – ჩემს გამზრდელთან ერთად ყოველდღე დავსეირნობდი, მივდიოდით მეორე ფარნამდე და ისევ უკან ვბრუნდებოდით! ფშლუკუნი რას მიქვია!

მაიკლი ურწმუნოდ შეაჩერდა ბენქსს.

– შენ მართლა იყავი პატარა? – ჰკითხა ძალიან გაოცებულმა.

მისტერ ბენქსი, ცოტა არ იყოს, განაწყენდა.

– რა თქმა უნდა! მშვენიერი ბიჭი ვიყავი. გრძელი ოქროსფერი კულულები მქონდა, მაქმანის საყელო მეკეთა, ხავერდის შარვალი და ღილებიანი ფეხსაცმელი მეცვა!

– რაღაც არა მჯერა! – თქვა მაიკლმა და კიბე უკვე თავისი სურვილით ჩაირბინა, თან მამას მისჩერებოდა თვალდაჭყეტილი.

მაიკლს კვალდაკვალ ჯეინი მოჰყვა და მამას ჰკითხა:

– რა ერქვა შენს გამზრდელს? კარგი ქალი იყო?

– მის ენდრიუს ემახდნენ, ღვთის რისხვა გახლდათ!

– ს-ს-ს! – საყვედურით შეხედა მის ბენქსმა.

– მე მინდოდა მეთქვა, – გამოასწორა მისტერ ბენქსმა, – რომ ის იყო მ-მ-მ... ძალიან მკაცრი, ყოველთვის და ყველაფერში მართალი. არაფერს შეგარჩენდა და ისეთ დღეს დაგაყრიდა, თავი უბადრუკი ჭია გეგონებოდა! აი, ასეთი იყო ჩემი მარად დაუვიწყარი მის ენდრიუ!

ერთი კი მოიგონა მისტერ ბენქსმა გამზრდელი და შუბლი შეიჭმუხნა.

ძინ! ძინ! ძინ!

მთელს სახლ-კარს მოედო ჭიშკრის ზარის წკრიალი. კუტიკარი თვითონ მისტერ ბენქსმა გააღო, ზღურბლზე მედიდურად იდგა ერთი ყმაწვილი – დეპეშების დამტარებელი.

– სასწრაფო დეპეშაა ბენქსის სახელზე. პასუხს გამატანთ? – ნარინჯისფერი კონვერტი გაუწოდა ყმაწვილმა მისტერ ბენქსს.

– თუ კარგი ამბავია, ფეხის ქირას მოგართმევ, – უთხრა მისტერ ბენქსმა და კონვერტი გახსნა. წაიკითხა დეპეშა და ფერი ეცვალა.

– პასუხი არ იქნება, – თქვა მან ცივად.

– ფეხის ქირა?

– მით უმეტეს! – გაცხარდა მისტერ ბენქსი.

დეპეშის დამტარებელმა საყვედურით შეხედა და ნალვლიანად გაეცალა.

– ღმერთო ჩემო, რა მოხდა? – ჰკითხა მისის ბენქსმა. – ვინმე ავად გახდა?

– უარესი! – უპასუხა ტრაგიკულად მისტერ ბენქსმა.

– სამსახურიდან დაგიტხოვეს? – ფერი ეცვალა მისის ბენქსსაც.

– უფრო უარესი! ბარომეტრმა ხომ მიწინასწარმეტყველა, შესაძლოა ქე-ქა-ქუხილი და ქარიშხალი ატყდესო? და აი, უსმინე!

გაშალა დეპეშა და ხმამაღლა წაიკითხა:

«ერთი თვით მოვდივარ თქვენთან. ჩამოვალ დღეს სამ საათზე. საძინებელ ოთახში ბუხარი დაანთეთ. იუფიმია ენდრიუ».

– ენდრიუ? შენს გამზრდელსაც ასე ერქვა, არა? – თქვა ჯეინმა.

– სწორედ ის გახლავთ! – მიუგო მისტერ ბენქსმა, ნერვიულად გაიარგამოიარა და თავზე შერჩენილი რამდენიმე ღერი თმა ლამის დაიგლიჯა. – იუფიმია ჰქვია! ჩამობრძანდება დღეს სამ საათზე! – თქვა და ამოიკვნესა.

– ჩემო ძვირფასო, ეს არც ისე ცუდი ამბავია! – შვებით ამოისუნთქა მისის ბენქსმა, – მართალია, სასტუმრო ოთახი უნდა დავალაგოთ, მაგრამ არაფერია. მესიამოვნება, რომ კეთილი მოხუცი...

– კეთილი მოხუცი?! – დაიღრიალა მისტერ ბენქსმა. – თვითონაც არ გესმის, რას ამბობ! კეთილი! როგორ არა! მოიცა და ნახავთ! ცოტა მოიცა!

დაავლო ხელი ქუდს და ლაზადას.

– რასა შვრები, ძვირფასო! – წამოიძახა მისის ბენქსმა. – ასე გაგონილა?! ეს რა თავაზიანობაა?! უნდა შეხვდე! აბა, სად მიდიხარ?

– არ ვიცი! არსად! უთხარი, რომ მოვკვდი! – დაიყვირა მისტერ ბენქსმა და გულშემოყრილმა შინიდან მოუსვა.

– მაიკლ, როგორ ფიქრობ, რანაირი იქნება მის ენდრიუ? – იკითხა ჯეინმა.

– თუ ბევრი გეცოდინებათ, მალე დაბერდებით! – უთხრა მათ მერი პოპინსმა. – გირჩევნიათ, ქუდები დაიხუროთ!

თვითონ ჩასხა ტყუპები საბავშვო ეტლში და შესახვევში გააგორა; ჯეინი და მაიკლი უკან გამოედევნენ.

– დღეს სად წავალთ? – ჰკითხეს მერი პოპინსს ბავშვებმა.

– პარკს გადავსერავთ, ოცდამეცხრამეტე ავტობუსის გზით ჰაი-სტრიტამდე მივალთ, ხიდს გადავჭრით, რკინიგზის გადასასვლელს ჩამოვუვლით და შინ მოვბრუნდებით! – ბრაზიანად მიუგო მერი პოპინსმა.

– მთელი დღე სიარული მოგვიწევს! – უჩურჩულა ცუნცულ-ცუნცულ-ლით მიმავალმა მაიკლმა ჯეინს. – და მის ენდრიუს ვეღარ ვნახავთ!

– ერთი თვით ჩამოდის, – შეახსენა ჯეინმა.

_ კი... მაგრამ მე მინდა ვუყურო, როგორ ჩამოვა, _ დაიწუწუნა მაიკლმა და ფეხი აითრია.

_ ცოცხლად, ცოცხლად, თუ შეიძლება! _ მხნედ შესძახა მერი პოპინსმა. _ გინდ თქვენ გამისეირნებიხართ და გინდ წყვილი ლოკოკინა!

მაგრამ, როცა დაეწივნენ, კარგა ხუთი წუთი ალოდინა, სანამ თევზის მაღაზიის ვიტრინაში თავისი თავის ცქერით არ დატკბა. მას ვარდისფერი დაწინწკლული თეთრი ბლუზა ეცვა და სახის გამომეტყველებაზე, რომელიც შემწვარი ვირთევზას გროვის ზევით ირეკლებოდა, შეატყობდით, რომ თავის თავით აღფრთოვანებული იყო, პალტო ცოტათი შეიხსნა, ბლუზა რომ უფრო გამოჩენილიყო და გაიფიქრა, ასე შესანიშნავად არასდროს გამოვიყურებოდი. თითქოს შემწვარი თევზებიც კი, დაბრაწული კუდები პირში რომ ჰქონდათ შეჩრილი, აღფრთოვანებისაგან თვალებგადმოკარკლული შეჰყურებდნენ...

ბოლოს თავის გამოსახულებას კმაყოფილმა დაუკრა თავი და გზა განაგრძო.

გაიარეს მთელი ჰაი-სტრიტი, ხიდზე გადავიდნენ და, რკინიგზის გადასასვლელი რომ ჩამოიტოვეს, ჯეინი და მაიკლი წინ გამოიქცნენ და ალუბლის შესახვევის კუთხემდე სირბილ-სირბილით მივიდნენ.

_ ვაშაა! ტაქსი! _ დაიყვირა მაიკლმა. _ ალბათ მის ენდრიუ ჩამოვიდა!

კუთხესთან შეჩერდნენ, მერი პოპინსს დაელოდნენ და ტაქსისაც უთვალთვალდნენ. ტაქსი აუჩქარებლად მიდიოდა შესახვევში და ჩვიდმეტ ნომერ სახლის ჭიშკართან შეჩერდა. ტაქსი ჭრიჭინ-ჭრიჭინით მოდიოდა. ამაში არაფერი იყო გასაკვირი, ბორბლებიდან თავამდე ბარგით დაეძებგათ.

კაცმა რომ თქვას, მანქანა ჩემოდნებში საერთოდ არცა ჩანდა. ჩემოდნები ელაგა სახურავზე, ჩემოდნები ელაგა უკან, აქეთ-იქითაც ჩემოდნები იყო ჩახერგილი, ფანჯრებში მოჩანდა სკივრები და ზანდუკები, საფეხურებზე ყუთები და ქუდის კოლოფები მიეკრათ. მძღოლის სკამზეც კი ორი მოზრდილი საკვოიაჟი ესკუპა.

როგორც იქნა, გამოვიდა მძღოლი. ფრთხილად გადმოაბიჯა, თითქოს ციცაბო კლდიდან ეშვებო, და უკანა კარი გამოაღო.

ჯერ ფეხსაცმლის კოლოფი გადმოვარდა, მას ქალაღში შეხვეული უშველებელი შეკრულა მოჰყვა, მერე თოკით გადაბმული ქოლგა და ხელჯოხი. ბოლოს რახრახით ჩამოსრიალდა დიდი სასწორი და მძღოლი წააქცია.

_ ფრთხილად! _ მოისმა ბოხი ხმა ტაქსიდან. _ ძვირფასი ნივთებია!

_ მეც ძვირფასი მძღოლი ვარ! ეტყობა, თქვენ ეს დაგავიწყდათ! _ შეეპასუხა მძღოლი, თან წამოდგა და ნატკენი მუხლი მოისრისა.

_ გზა მიტოეთ, თუ შეიძლება, გზა მიტოეთ! ჩამოვდივარ! _ პასუხის ნაცვლად დაიქუხა ბოხმა ხმამ და მანქანის საფეხურზე გამოჩნდა მის ენდრიუს სხეულის სხვა ნაწილები.

მის ენდრიუს ეცვა ბეწვისსაყელოიანი ფართო პალტო. თავზე ეხურა მამაკაცის ფეტრის ქუდი, ზედ მოდებული ჰქონდა გრძელი რუხი ფერის პირბადე. ერთ ხელში გრძელი კაბის კალთა ეჭირა, მეორეში რაღაც მრგვალი საგანი, რომელსაც უჯრულა ქსოვილი ჰქონდა გადაკრული.

ბავშვები ამოეფარნენ ღობეს, ფრთხილად მიიპარნენ ახლოს და ინტერესით ათვალიერებდნენ მის ენდრუსს. ამ ზონზრობა ეკლს ჰქონდა კაუჭა ცხვირი, თხელი ტუჩები, წვრილი თვალები.

მის ენდრიუ მძლოლს წაეკამათა. მისმა ხმამ კინაღამ დააყრუა ბავშვები.

– ოთხი შილინგი და სამი პენსი! – წარმოთქვა მან. – აღმაშფოთებელია! ამ ფასად ნახევარ მსოფლიოს შემოვივლიდი! არ გადავიხდი! პოლიციაში გიჩივლებთ!

მძლოლმა მხრები აიჩეჩა.

– მადამ, მხოლოდ მგზავრობის საფასურია, – უთხრა მან მშვიდად. – კითხვა თუ შეგიძლიათ. მრიცხველს დახედეთ. ტაქსით უფასოდ სეირნობა არ შეიძლება, მით უმეტეს ამოდენა ბარგი-ბარხანით!

მის ენდრიუ აღშფოთდა, ცხვირი მოიხოცა, თავის დიდ ჯიბეში ხელი ჩაიყო და პაწაწინა საფულე ამოიღო. საფულე გახსნა და მძლოლს ფული გაუწოდა. მძლოლმა ხელში შეატრიალ-შემოატრიალა ფული, თითქოს სამუზეუმე იშვიათობააო. მერე ჩაიქირქილა:

– ეს რა არის, საჩუქარი?!

– არა! ეს მგზავრობის საფასურია! საჩუქარს საერთოდ არ ვიძლევი! – დაიბუხუნა მის ენდ-რიუმ.

– მართლა? – თვალი გაუსწორა მძლოლმა. მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: – იმდენი ბარგი აქვს, ნახევარი ბალი არ ეყოფა დასალაგებლად და ერთ პენსსაც არ იმეტებს! ურჩხულია რა!

მაგრამ მის ენდრიუსს ეს სიტყვები არ გაუგონია. ჭიშკართან ბავშვები შეამჩნია და ქუსლების ტყაპა-ტყუპით შესახვედრად გასწია. პირბადე ზურგზე უფრიალებდა.

– აბა! – დაიბუხუნა მან და სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც გამოეხატა. – თქვენ, რა თქმა უნდა, არ იცით, ვინა ვარ მე?

– ვიცით! – მხიარულად გამოეპასუხა მაიკლი. ძალიან უხაროდა, მის ენდრიუ რომ გაიცნო და გულით ლაპარაკობდა. – თქვენ ღვთის რისხვა ხართ.

მის ენდრიუსს თავ-კისერი წითლად აუფორაჯდა.

– შენ ძალიან უხეში, უზრდელი ყმაწვილი ხარ! მამაშენს მოვახსენებ ყველაფერს!

მაიკლი გაოცებული შეჩერდა.

– მე უხეშობა არც მიფიქრია, – წამოიწყო მან. – თვითონ მამამ თქვა, რომ თქვენ...

– გაჩუმდი! არ შემეკამათო! – განრისხდა მის ენდრიუ და ჯეინს მიუბრუნდა. – შენ ჯეინი ხარ, ხომ არ ვცდები? არასოდეს არ მომწონდა ეს სახელი!

– გამარჯობათ! – თავაზიანად მიესალმა ჯეინი, თუმცა გულის სიღრმეში იგრძნო, რომ მას კიდევ სახელი იუფიმიც არ მოსწონდა.

– შენი კაბა მეტისმეტად მოკლეა! – დასჭექა მის ენდრიუმ. – რატომ წინდები არ გაცვია? ჩემსობას გოგოები ტიტველა ფეხებით არ დადიოდნენ! დედაშენთან მომიწევს მოლაპარაკება!

– არ მიყვარს წინდები, – უთხრა ჯეინმა. – მხოლოდ ზამთრობით ვიცვამ.

– რა თავგასულობაა! ბავშვებმა პასუხი არ უნდა გაბედონ! – დაიგრგვინა მის ენდრიუმ.

მერე დაიხარა საბავშვო ეტლთან და მისალმების ნიშნად ტყუპებს ლოყაზე წაჩქმიტა.

ჯონი და ბარბი ატირდნენ.

– ფუ! რა საქციელია! – დაიბუხუნა მის ენდრიუმ. – გოგირდი და ბადაგი არ ჰყოფნით! – მოუბრუნდა ის მერი პოპინსს. – ზრდილი ბავშვები ასე არა ტირიან, არა. მიეცით გოგირდი და ბადაგი, რაც შეიძლება მეტი! არ დაგავიწყდეთ!

– გმადლობთ, მის! – უთხრა მერი პოპინსმა თავაზიანად, მაგრამ ცივად, – მე ბავშვებს ჩემს ნებაზე ვზრდი და სხვებს რჩევა-დარიგებას არა ვთხოვ.

მის ენდრიუ მერი პოპინსს ისეთი სახით მიაშტერდა, თითქოს თავის ყურებს არ უჯერებო.

მერი პოპინსმა მშვიდი და უშფოთველი გამოხედვა შეაგება.

– ქალიშვილო, – გონს მოეგო მის ენდრიუ, – თქვენ გავიწყდებათ, ვინ ვარ მე! როგორ ბედავთ, ასე შემეპასუხოთ! იძულებული ვარ, ზომები მივიღო, რათა ამ სახლიდან გაგაგდონ. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა! – ჭიმკარი გააღო და სახლისკენ მიმავალ გზას დაადგა. ცალ ხელში უჯრულა ქსოვილში გახვეულ შეკრულას მიაქანებდა და მალი-მალ იმეორებდა «ფიჰ», «ფუჰ».

მისის ბენქსი მიეგება:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მის ენდრიუ, კეთილი იყოს! – გულლიად უთხრა მან. – დიდად გაგვახარეთ, ასე მოულოდნელად რომ გვეწვიეთ. დარწმუნებული ვარ, კარგად იმგზავრებდით?

– სულაც არა! – მოუჭრა მის ენდრიუმ. – საერთოდ, მგზავრობა მეჯავრება! – თქვა მან და ბალს ავად გადახედა.

– აღმამფოთებელი უწესრიგობაა! – გაჯავრდა ის. – ისმინეთ ჩემი რჩევა, ძირფესვიანად ამოძირკვეთ ესენი, – და მზესუმზირებზე მიუთითა, – მათ მაგივრად უკვდავა დარგეთ. ნაკლები მოვლა სჭირდება. ფულიც დაგეზოგებათ და დროც, ეს ერთი. მეორე, რიგიანი შესახედავიც იქნება. მთლად უკეთესი იქნება, თუ მთელ ეზოს მოკირწყლავთ. ბოლოს და ბოლოს, ხეირიანი ეზო გექნებათ.

– მე... მე... – ალულლულდა მისის ბენქსი, – მზესუმზირები უფრო მიყვარს!

– სისულელეა! მტკნარი სისულელე! ქალური სიჩერჩეტე! თქვენი ბავშვები უწვრთნელები არიან. განსაკუთრებით ბიჭი!

– მაიკლ, მაოცებ! ნუთუ მის ენდრიუს უხეშად მოექეცი? ახლავე სთხოვე პატიება!

მისის ბენქსი ძალიან შეწუხდა.

– დედა, არაფერი დამიშავებია! უბრალოდ... – მაიკლს უნდოდა მოეყოლა, რაც მოხდა, მაგრამ მის ენდრიუმ ხმა გააწყვეტინა.

– შეურაცხყოფა მომაცენა! – დაიბუხუნა მან. – დაუყოვნებლივ გააგზავნეთ პანსიონში! გოგონას გამზრდელი აუყვანეთ. მე გამოვუძებნი. რაც შეეხება იმ ქალიშვილს, ახლა რომ მათ ზედამხედველობას უწევს, – მერი პოპინსზე მიუთითა, – ამ წუთშივე უნდა დაატოვებინოთ აქაურობა. უხეშია და უმეცარი. საეჭვო პიროვნებაა.

მისის ბენქსი აფორიაქდა.

– ღმერთო ჩემო, თქვენ ცდებით, მის ენდრიუ, გარწმუნებთ, ცდებით! ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის ნამდვილი განძია.

– თქვენ არაფერი გაგეგებათ. მე არასოდეს ვცდები! ახლავე გაისტუმრებთ!

მის ენდრიუმ სახლისკენ განაგრძო გზა.

აცახცახებული და შეშინებული მისის ბენქსი უკან გაჰყვა.

– მე... მე... ვიმედოვნებ, რომ ჩვენს სახლში თავს კარგად იგრძნობთ, მის ენდრიუ, – უთხრა მან თავაზიანად, მაგრამ თვითონ გულის სიღრმეში ეჭვი ეპარებოდა.

– ჰმ! სახლი, ხუხულასავითაა, რა თქმა უნდა, ულახათოა! – უპასუხა მის ენდრიუმ. – როდის გაათეთრეთ პარმალი? რასა ჰგავს, როგორი ჭუჭყიანია!

მისის ბენქსმა ტუჩი მოიკვნიტა. სტუმარმა მისი საყვარელი, მყუდრო სახლი ერთბაშად რაღაც უბადრუკად წარმოადგინა. მეტისმეტად წაუხდა გუნება.

– ხვალ შეათეთრებენ, – წამოიკნავლა მან.

– რატომ დღეს არა? «ხვალ» არასოდეს არ მოვა, გასაგებია? მერე, რატომ დეზავთ კარებს თეთრად? მუქყავისფრად უნდა შეღებოთ, მორჩა და გათავდა! იაფიც დაგიჯდებათ და ჭუჭყიც ნაკლებად დააჩნდება. შეხედეთ ერთი ამ ლაქებს!

თავისი მრგვალი შეკრულა პარმალზე დადო და მისის ბენქსს შემოსასვლელ კარებზე თითით აჩვენა.

– შეხედეთ, აქ! იქ! კიდევ იქ! ყველგან! რა სირცხვილია!

– დაუყოვნებლივ მივხედავ! – ძლივს თქვა მისის ბენქსმა, – თქვენს ოთახში აბრძანება არ გნებავთ?

მის ენდრიუ დიასახლისს ფეხდაფეხ შეჰყვა შემოსასვლელში.

– იმედია, ბუხარი იქნება.

– დიახ, აქეთ, მის ენდრიუ, თქვენს ბარგს რობერტსონ ეი მოიტანს.

– კარგი. უთხარით, ფრთხილად შემოიტანოს. ბევრი წამლიანი შუშა მაქვს. ჯანმრთელობაზე ზრუნვა მმართველს.

მის ენდრიუ კიბეს აუყვა. გზადაგზა შემოსასვლელს მოავლო თვალი.

– შპალერი უნდა გამოიცვალოს. ჯორჯთან მომიწევს მოლაპარაკება. ახლა მომაგონდა, რატომ არ დამხვდა? დიდი არათავაზიანობაა! ჩანს, ისევე უსაქციელო დარჩენილა!

რაც უფრო ზემოთ ადიოდა მის ენდრიუ, მისი ქუხილი ქვემოთ ნაკლებად ღწევდა. მისის ბენქსის ხმა კი, რომელიც თვინიერად ეთანხმებოდა სტუმარს ყველაფერში, სულ აღარ ისმოდა.

მაიკლი ჯეინს მიუბრუნდა:

– ჯორჯი ვინაა?

– ვინ და მამა.

– მამას ხომ ყველა მისტერ ბენქსს ეძახის.

– კი, მაგრამ სახელად ჯორჯი ჰქვია.

მაიკლმა ამოიხვნეშა.

– ერთი თვე ძალიან გრძელია, არა, ჯეინ?

– ჰო... ო... ოთხი კვირა და რაღაცა, – მიუგო ჯეინმა. გულში კი ფიქრობდა, ენდრიუსთან ერთი თვე წელიწადივით გაიჭიმებაო.

მაიკლი ახლოს მიუჯდა ჯეინს.

– ყური მიგდე, – შეშფოთებულმა უჩურჩულა დას, – მის ენდრიუ ძალას ხომ ვერ დაატანს ჩვენებს, გინდათ თუ არა მერი პოპინსი დაითხოვეთო. ვერ შეძლებს, არა?

– რა თქმა უნდა, ვერა. უცნაური ქალია. სულაც არ მიკვირს, მამა რომ შინიდან წავიდა.

– უცნაური!

ეს სიტყვა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა, ბავშვები მობრუნდნენ. მერი პოპინსი მის ენდრიუს ნაკვალევს ისეთი თვალით გაჰყურებდა, მის ენდრიუს რომ შეეხედა, სულს გააფრთხოდა.

– უცნაური! – გაიმეორა მან და დამცინავად ჩაიფრუტუნა. – უცნაური კი არა! ჰმ! ესე იგი მე ბავშვებს ვერ ვზრდი, არა? უხეში ვარ და უმეცარი. ასეა? საეჭვო პიროვნება ვარ? ვნახოთ!

ჯეინი და მაიკლი მიჩვეულები იყვნენ მერი პოპინსის მრისხანებას, მაგრამ დღეს მის ხმაში სხვა ნოტი გამოერია. ასე განრისხებული არასოდეს უნახავთ.

უხმოდ მიაშტერდნენ. ვერ წარმოიდგინეს, რა მოხდებოდა.

ჩუმად, ოდნავ გასაგონად ამოიხვნეშა, თუ დაუსტვინა ვიღაცამ.

– რა იყო? – იკითხა სასწრაფოდ ჯეინმა.

ხვნეშა თუ სტვენა ხელახლა განმეორდა. მერი პოპინსმა თავი გვერდზე გადახარა და ყური მიუგდო.

საიდანღაც, თითქოს ზღურბლიდან ისევ მოისმა ჟღურტული.

– აჰა! როგორ ვერ მივხვდი! – გაუხარდა მერი პოპინსს. იმწუთსვე ეცა მის ენდრიუს მიერ ზღურბლზე დატოვებულ მრგვალ ნივთს და უჯრულა ქსოვილი შემოაგლიჯა.

გამოჩნდა სპილენძის პრიალა გალია. შიგ, ქანდარაზე გაფხორილი მოყავისფრო ჩიტი იჯდა. დღის სინათლეზე ჯერ თვალეზი ააფახულა, შემდეგ საწყლად მიიხედ-მოიხედა. მაგრამ, მერი პოპინსი რომ დაინახა, გაოცებისაგან შეხტა. მერე ნისკარტი დაალო და ჩუმად, გულსაკლავად დაიწრიპინა. ჯეინს და მაიკლს არასოდეს მოესმინათ ასეთი საწყალობელი ხმა.

– შეუძლებელია! უი-უი-უი! ნუთუ ისაა... რას ლაპარაკობ! – თქვა მერი პოპინსმა და თანაგრძნობით გააქნია თავი.

– წივ-წივ-წივ! – ისევ აწრიპინდა ჩიტი.

– რა? ორი წელიწადია? ამ გალიაში? სირცხვილი და თავლაფდასხმა! – გაგულისებისაგან სახე აუჭარხლდა მერი პოპინსს.

ბავშვებს გაოცებისაგან ხმა ჩაუწყდათ.

ჩიტს სიტყვა არ დაუძრავს, მერი პოპინსმა კი აზრიანი ლაპარაკი გაუ-
მართა!

– რას გეუბნებათ? – უნდა ეკითხა მაიკლს, მაგრამ ჯეინმა ჩააჩუმა. ერ-
თი წაჩქმიტა კიდეც.

ჩიტმა ქანდარაზე ადგილი მოინაცვლა, მერი პოპინსისაკენ გადაიწია
და, თითქოს რაღაცას ეკითხებო, აჟღურტულდა.

მერი პოპინსი წუთით ჩაფიქრდა.

– ჰო, – უთხრა მან, – არც ისე შორსაა. დაახლოებით ნახევარი საათის
საფრენია. აქედან პირდაპირ სამხრეთისაკენ გაფრინდები.

ჩიტს აშკარად გაუხარდა, აცეკვდა თავის ქანდარაზე და აღფრთოვანე-
ბულმა ფრთა ფრთას შემოჰკრა. მერე დაიწყო გალობა წკრიალ-წკრიალით
და მერი პოპინსს ვედრებით შეხედა.

მერი პოპინსმა კიბეს გახედა.

– თანახმა ვარ თუ არა? მაგას კითხვა უნდა? არ გესმოდა, როგორ მიწო-
და «საექვო პიროვნება!» – თავისებურად დამცინავად ჩაიფრუტუნა მერი
პოპინსმა.

ფრინველს მხრები აუმაგმაგდა, თითქოს იცინისო.

მერი პოპინსი გალიას დასწვდა.

– რა უნდა ქნათ, მერი პოპინს? – ვერ მოითმინა მაიკლმა. – რა ჩიტია ეს?

– ტოროლაა, – მოკლედ მოუჭრა მერი პოპინსმა და გალიის კარის საკე-
ტი გახსნა. – ტოროლას პირველად და უკანასკნელად ხედავ გალიაში! – და-
ატანა და გალიის კარი გააღო.

ტოროლამ შეიფრთხილა, იწივლა და გალიიდან გამოფრინდა, მაგრამ
მაშინვე მერი პოპინსს დააჯდა მხარზე.

– აბა, რას იტყვი, ასე არა ჯობს? – ჰკითხა მერი პოპინსმა.

– წივ-წივ! – თავი დაუქნია ტოროლამ.

– აბა, გაფრინდი, – უთხრა მერიმ. – წუთიც და ის მობრუნდება.

ამ სიტყვებზე ტოროლა ისევ არაკრაკდა, იგი ფრთებით ეფერებოდა მე-
რის და თავს უქნევდა.

– კარგი, კარგი, – ბუტბუტებდა მერი პოპინსი. – მადლობად არ ღირს.
მე თვითონ მოხარული ვარ. გალიაში ტოროლას ჩაკეტვას ვერავის მოვუწო-
ნებ, თანაც, ხომ გახსოვს, რა მიწოდა!

ტოროლამ თავი უკან გადააგდო და ისევ ფრთა ფრთას შემოჰკრა,
თითქოს გულიანად გადაიხარხარა, მერე თავი გვერდზე გადახარა და რაღა-
ცას მიაყურა.

– ეჰ, სულ დამავიწყდა, – მოისმა ზემოდან ნაცნობი ბოხი ხმა. – კარუ-
ზო ქვემოთ დავტოვე, იმ ჭუჭყიან წინკარში. უნდა ჩავიდე.

მის ენდრიუ მძიმე-მძიმედ ჩამოვიდა, კიბე აჭრაჭუნდა.

– რა? – ჩაჰკითხა მისის ბენქსს და უპასუხა: – ჰო... ჩემი ტოროლაა. კა-
რუზო დავარქვი, ადრე ძალიან კარგად მღეროდა... როგორ? არა, რატომღაც
ახლა აღარ მღერის. რაც დავიჭირე და გალიაში ჩავსვი, გალობა შეწყვიტა.
ძალიან საოცარია!

ხმა თანდათან ახლოვდებოდა და მკაფიოდ ისმოდა.

_ არავითარ შემთხვევაში, _ მიუგებდა ის მისის ბენქსს რაღაცაზე. _ მე თვითონ ამოვიყვან! უზრდელ ბავშვებს ვერ ვანდობ! მოაჯირი გასაპრიალებელია! თანაც დაუყოვნებლივ!

_ ბაკ-ბუკ. ბაკ-ბუკ! _ შემოსასვლელში ჩამოაბიჯა მის ენდრიუმ.

_ აი ისიც! _ უჩურჩულა მერი პოპინსმა ტოროლას. _ გაფრინდი! _ მხარი მსუბუქად შეარხია.

_ ცოცხლად! _ იყვირა შეშინებულმა მაიკლმა.

_ ჩქარა! _ აფართქალდა ჯეინი.

ტოროლამ თავი სწრაფად მოაბრუნა და ნისკარტით ერთი ფრთა ამოიძრო.

_ ტია-ტია-ტია-ტია! _ დააწვრიალა მან. ფრთა მერი პოპინსს ქუდში ჩაურჭო და ფრთხილ-ფრთხილად ჰაერში აინავარდა.

წამიც და მის ენდრიუ კარებში გამოჩნდა.

_ ეს რა ამბავია! _ დაიქუხა მან, მაიკლს, ჯეინსა და ტყუპებს რომ შეხედა. _ კიდევ აქა ხართ და არ დაწოლილხართ? ასე არ შეიძლება. ყველა წესიერად გაზრდილ ბავშვს, _ გამანადგურებლად გახედა მერი პოპინსს, _ ყველა წესიერად გაზრდილ ბავშვს ხუთ საათზე უნდა ეძინოს! აუცილებლად მოველაპარაკები მამათქვენს! _ მიიხედა-მოიხედა. _ აბა, ვნახო, სად დავტოვე ჩემი...

უცებ შეცბა. იქვე იდგა მოღიავებული გალია. მის ენდრიუ მიაშტერდა, თვალებს არ უჯერებდა.

_ როგორ! ვინ! როდის? სად? საითკენ? _ ამოილულლულა მან.

ბოლოს ხმა დაუბრუნდა და დაიქუხა:

_ ვინ ახლო ხელი გალიას?

ბავშვები აცახცახდნენ.

_ ვინ გაულო კარი?

პასუხი არავინ გასცა.

_ სად არის ჩემი ტოროლა?

უწინდებურად პასუხად დუმილი შეაგებეს.

მის ენდრიუმ რიგრიგობით მრისხანედ შეათვალიერა ბავშვები. ბოლოს მისი პროკურორისებური მზერა მერი პოპინსზე შეჩერდა.

_ თქვენ ქენით! _ დაიღრიალა მან და უშველებელი თითი მერის მიუშვირა. _ ცხვირზე გატყობთ! როგორ გაბედეთ! _ დღესვე აიკარით ამ სახლიდან გუდა-ნაზადი! თქვენი ჭაჭანება არ იყოს აქ! თავხედო, ურცხვო, უსინდისო...

_ ტია-ტია!

ჰაერში ვერცხლის ზარივით დაიწვრიალა ტოროლამ.

მის ენდრიუმ აიხედა.

ტოროლა მზესუმზირებს ზემოთ ჰაერში ფრთებს აფათქუნებდა.

_ აჰ, კარუზო, აი, თურმე სადა ხარ! _ დაიყვირა მის ენდრიუმ. _ მოდი აქ, მალე! ნუ მალოდინებ! მობრუნდი შენს გაკრიალებულ და მყუდრო გალიაში, კარს ჩავკეტავ!

ტოროლა ჰაერში სიცილით იხრჩობოდა, დროდადრო თავს უკან გადასწევდა, ფრთას ფრთაზე შემოჰკრავდა.

მის ენდრიუმ სტაცა ხელი გალიას, ასწია ზემოთ, მიატრიალ-მოატრია-
ლა და ტოროლას უბრძანა:

– კარუზო, რა გითხარი მე შენ! ახლავე მობრუნდი!

ტოროლა მოხერხებულად შემოტრიალდა, მერი პოპინსის ქუდს ჩაუფ-
რინა და ტია-ტიაო დაიძახა.

– კარგი! – უპასუხა მერი პოპინსმა და თავი დაუქნია.

– კარუზო, გესმის, რას გელაპარაკები? – იჭაჭებოდა მის ენდრიუ.

მის ენდრიუს შეუვალ ხმას დაბნეულობა მოერია. მან გალია დადგა და
შეეცადა, ტოროლა ხელით დაეჭირა. მაგრამ ტოროლა დაუსხლტა და მალ-
ლა-მალლა აფრინდა.

იქიდან მერი პოპინსს ისევ ტია-ტია ჩამოსძახა.

– მზადაა! – დაუყვირა პასუხად მერი პოპინსმა.

და მოხდა სასწაული.

მერი პოპინსი მიაშტერდა მის ენდრიუს. უცებ მის ენდრიუ, თითქოს
მზერამ მოაჯადოვაო, აკანკალდა. აცახცახებულმა ჩაისუნთქა ჰაერი, ბარ-
ბაც-ბარბაცით გადადგა ორი-სამი ნაბიჯი და გალიას მივარდა. მერე არც მა-
იკლს და არც ჯეინს არ ახსოვთ, გალია გაიზარდა, თუ მის ენდრიუ დაპატა-
რავდა, მაგრამ აშკარად დაინახეს, როგორ ჩაიკეტა იგი გალიაში.

– ოჰ! ოჰ! – იკივლა მან.

იმწამსვე ტოროლა ქვასავით დაეშვა ძირს, დაავლო ბრჭყალები გალიას
და აფრინდა.

– რა მჭირს? სადა ვარ? – ღრიალებდა ცადაჭრილი მის ენდრიუ. – ვერ
ვეტევი! სუნთქვა მიჭირს! – ყვიროდა ის.

– ტოროლასაც უჭირდა! – უშფოთველად უპასუხებდა მერი პოპინსი.

გაცოფებული მის ენდრიუ გალიას გლეჯდა.

– გამიღეთ! გესმით! გამომიშვით!

– ჰმ! ჯერ სადა ხარ! – ჩუმად სიცილით ჩაილაპარაკა მერი პოპინსმა.

სულ ზევით, ზევით მიიწევდა ტოროლა და გამარჯვებისას მღეროდა.

მძიმე გალია ჰაერში ქანაობდა, ყირამალა ტრიალებდა, ზოგჯერ იფიქ-
რებდი, ბრჭყალებიდან გააგდო და ის არიო.

ტოროლას წკრიალა გალობას ენდრიუს ყვირილი ახშობდა. რაც შეეძ-
ლო, როხროხებდა:

– ეს რას მოვესწარი! მე, ზრდილი და განათლებული ქალი! მე, ასეთი
სამართლიანი! მე, შეცდომა რომ არასდროს დამიშვია!

მერი პოპინსმა უცნაურად, ჩუმად ჩაიცინა.

ტოროლა ძლივს ჩანდა, მაგრამ ისევ მალლა-მალლა მიიწევდა. მის ენ-
დრიუ და მისი გალიაც ხომალდვით რწევა-რწევით მიაპობდნენ ჰაერს.

– გამიშვით, გესმით! გამიშვით! – კიოდა მის ენდრიუ.

ტოროლამ წამით შეწყვიტა გალობა, მკვეთრად შემოტრიალდა, წკრია-
ლა ხმით შემოსძახა, გალიას ბრჭყალები უშვა და სამხრეთისაკენ აიღო გე-
ზი.

– გაფრინდა! – თქვა მერი პოპინსმა.

– საით? – იყვირეს ჯეინმა და მაიკლმა.

– შინ, მშობლიურ სანახებში, – უპასუხა მერი პოპინსმა და თან ზევით იცქირებოდა.

– ვაიმე, გალია გაუვარდა! – იღრიალა მაიკლმა და თვალები საცრისოდენა გაუხდა.

ერთ ნახვად ღირდა, რაც მოხდა!

გალია ყირამალა წამოვიდა. მანამდე წამდაუწუმ აღმა-დაღმა ტრიალებდა. წაღმა-უკუღმა დააქანებდა მის ენდრიუს. ბოლოს გალია ჩამოეშვა, ჩამოეშვა და წინკარში მოადინა ზღართანი.

მის ენდრიუმ იმწუთშივე გამოალო კარი და გამოვიდა. ბავშვებს მოეჩვენათ, უფრო გამაღლდა და მრისხანებაც მოემატაო!

რამდენიმე წუთს მძვინვარებისაგან სუნთქვაშეკრული ხმას ვერ იღებდა და ადრინდელზე უფრო მეტად აჭარხლებული იდგა.

– როგორ გამიბედეთ! – წარმოთქვა ბოლოს სასომიხდილმა და თითი მიაშვირა მერი პოპინსს; თითი უცახცახებდა და ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ თვალებში რისხვა კი არ ედგა, შიშს დაესადგურებინა. – თქვენ... თქვენ... – ბურღლუნებდა მის ენდრიუ, ენა ებმებოდა, – თქვე მტარვალო, უზნეო, თავხედო, თავნება გოგოვ, როგორ მიეცით თავს ნება, როგორ?

მერი პოპინსი მიაჩერდა, დიდხანს უყურებდა ქირდვით, თვალმოჭუტული.

– თქვენ ბრძანეთ, რომ მე ბავშვების აღზრდა არ შემიძლია, – მკაფიოდ, გასაგებად მარცვლავდა სიტყვებს მერი პოპინსი.

მის ენდრიუ მოიკუნტა, უკან დაიწია, ჭირის ოფლმა დაასხა.

– მე... ბოდიშს ვიხდი, – ამოთქვა ძლივს.

– რომ მე უხეში და უმეცარი ვარ, – განაგრძობდა მერი პოპინსი.

– შევცდი! მა-მაპატიეთ, – ჩიფჩიფებდა მის ენდრიუ.

– თქვენ მე გოგო და საეჭვო პირი მიწოდეთ, – განაგრძობდა მერი პოპინსი.

– უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, – ძლივს ლულლულებდა მის ენდრიუ. – ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე! ოღონდ გამიშვით! მეტს არაფერს არა გთხოვთ! – ხელებს იფშვნეტდა და ვედრებით შეჰყურებდა მერის. – გამიშვით! არ შემიძლია დავრჩე! გამიშვით, წავალ! წავალ!

მერი პოპინსი დაფიქრებული შეჰყურებდა რამდენიმე ხანს. მერე ხელი აუქნია და უთხრა:

– წაბრძანდით!

– გმადლობთ! გმადლობთ! – ლულლულებდა მის ენდრიუ.

მერისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე დაიწია კიბისაკენ. მერე მიბრუნდა, წაიფორხილა და ჭიშკრისაკენ გაიქცა.

ტაქსის მძღოლს ძლივს გადმოეტვირთა მის ენდრიუს ბარგი-ბარხანა, ის იყო ძრავა ჩაერთო და წასვლას აპირებდა.

მის ენდრიუმ აცახცახებული ხელი დაუქნია.

– მოიცათ! – ხმაჩახლეჩილი უყვიროდა ის. – დამიცადეთ! ათ შილინგს მოგართმევთ საჩუქრად, თუ ახლავე წამიყვანთ!

მძღოლმა გაოცებისაგან პირი დაალო.

– არ მენდობით? – ლამის კიოდა მის ენდრიუ. – აი! – მსწრაფლ ამოიქე-
ქა ჯიბე და ფული ამოიღო.

– აჰა, და წავიდეთ!

მის ენდრიუ შეძვრა მანქანაში და საჯდომზე დაეხეთქა.

პირდაფჩენილმა ტაქსის მძღოლმა მანქანის კარი მიხურა. მერე ბარგის
დატვირთვას შეუდგა. ჩემოდნებზე უცოდველივით ეძინა რობერტსონ ეის.
მძღოლს არც გაუღვიძებია, გვერდზე გაათრია. თვალის დახამხამებაში ყვე-
ლაფერი მანქანაში ჩაალაგა.

– ეტყობა, ბერიქალი შეიშალა! – ჩაიბუტბუტა ტაქსის მძღოლმა, რომ
დაიდრა. – ნეტავ, რა შეემთხვა? საოცარია!

მართლაც, რა შეემთხვა მის ენდრიუს, მძღოლმა არ იცოდა და ვერც
მიხვდებოდა, ასი წელიც რომ ეცოცხლა...

– სად არის მის ენდრიუ? – იკითხა სტუმრის საძებრად გამოსულმა მი-
სის ბენქსმა.

– წავიდა! – უპასუხა მაიკლმა.

– როგორ თუ წავიდა? – გაოცდა მისის ბენქსი.

– ჩემი აზრით, აქ დარჩენა არ ისურვა, – აუხსნა ჯეინმა.

მისის ბენქსმა შუბლი შეიკრა.

– მერი პოპინს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? – ჰკითხა მან.

– წარმოდგენა არა მაქვს, მისის, – მიუგო მერი პოპინსმა გულგრილად,
თითქოს არც აინტერესებდა, რა მოხდა. მერე თავისი ახალი ბლუზა შეათვა-
ლიერა და ნაკეცი გაუსწორა.

მისის ბენქსმა ხან ერთს შეხედა, ხან მეორეს, ხან მესამეს, შემდეგ თავი
გააქნია:

– უცნაურია, ვერაფერი გამიგია!

სწორედ იმ წუთას ჰიშკარი გაიღო და ჩუმადვე მიიხურა. ბალის ბი-
ლიკს ფეხის წვერებზე გამოუყვა მისტერ ბენქსი. შეამჩნია, ყველა მე მიყუ-
რებსო და ცალ ფეხზე შედგა.

– რა? ჩამოვიდა? – იკითხა შემფოთებით.

– ჩამოვიდა და წავიდა, – უთხრა მისის ბენქსმა.

მისტერ ბენქსი გახევდა.

– წავიდა? მართლა წავიდა, მის ენდრიუ წავიდა?

მისის ბენქსმა დაუდასტურა.

– სიხარულო და ბედნიერებავ! – ამღერდა მისტერ ბენქსი, ლაზადის
კალთა აიკრიფა და შოტლანდიური საცეკვაო ჯიგი დაუარა.

უცებ შეჩერდა.

– რატომ? როგორ? როდის?

– ეს-ეს არის ტაქსიმ წაიყვანა. მე ვფიქრობ, ბავშვები არათავაზიანად
მოეპყრნენ, მეც კი შემომჩვილა. მეტი სხვა მიზეზი არაფერი ყოფილა. თქვენ
რას იტყვით, მერი?

– არაფერს, მისის, მე არაფერი ვიცი, – მიუგო მერი პოპინსმა და გულ-
მოდგინედ ჩამოიფერთხა მტვერი თავისი ახალი ბლუზიდან.

მისტერ ბენქსი ბავშვებს მოუბრუნდა. სახეზე ტრაგიკული იერი ედო.

– უხეშად მოექცეცით მის ენდრიუს? ჩემს გამზრდელს? საყვარელ მოხუცს? თქვენ მაგივრად მრცხვენია, ძალიან მრცხვენია!

მკაცრად ლაპარაკობდა, მაგრამ თვალები უცინოდა.

– უხედური კაცი ვარ! – განაგრძობდა ჯიბეში ხელებჩაწყობილი მისტერ ბენქსი. – დღე და ღამეს ვასწორებ, რომ წესიერად გაგზარდოთ და თქვენ კი როგორ გადამიხადეთ! უხეშად მოეპყართ მის ენდრიუს! სირცხვილი და თავლაფდასხმა! არ ვიცი, როდისმე გაპატიებთ თუ არა ამას! მაგრამ, რასაკვირველია, შევეცდები, გაპატიოთ. გულით შევეცდები! – თქვა ეს, ორი ფილა შოკოლადი გამოიღო და ბავშვებს გაუწოდა.

მესამე თავი

მძიმე დღე

– წიკ-წიკ! წიკ-წიკ!

კედლის საათის ქანქარა საბავშვო ოთახში აქეთ-იქით ირხეოდა, თითქოს ბებერი თავს აქიცილებსო.

– წიკ-წიკ! წიკ-წიკ!

უცებ საათმა შეწყვიტა წიკწიკი და დაიწყო ღურღური დ კვნესა. თანდათან უმატა, თითქოს მუცელი სტკივაო. მერე ქანქარა ისე შეირხა, ბუხრის თაროც აიყოლია. თაროზე შემოდგმულმა მურაბის ცარიელმა ქილამ დაიწკარუნა და ძალა ავარდა; ჯეინს თმის ჯაგრისი დავიწყებოდა, ისიც ჩაება თავისი ჯაგრისით ფერხულში, მისის ბენქსის ნათლობის დროინდელი ბეზიდა ქეროლანის ნაჩუქარი სამეფო ფაიფურის სინი გადაბრუნდა და ზედ დახატული სამი ყმაწვილი თითქოს ყირაზე დადგა.

ყველაფერ ამის შემდეგ, როცა გეგონებოდა, საათი საცაა, გასკდებაო, დაიწყო რეკვა.

– ძინ! ძინ! სამი! ოთხი! ხუთი! ექვსი! შვიდი!

ბოლოს რომ დაჰკრა, ჯეინს გამოეღვიძა.

მზე სხივებს უხვად სტყორცნიდა ფანჯარას და საწოლზე ოქროსფრად ლივლივებდა.

ჯეინი წამოჯდა და მიიხედ-მოიხედა.

მაიკლს მშვიდად ეძინა. ტყუპებს თითები საწოლვარასავით პირში ჩაედოთ და თავიანთ საწოლებში ფშვინავდნენ.

«მარტო მე ვარ ფხიზლად!» – გაიფიქრა მან კმაყოფილებით. – შემძლია ვიწვე და რაზეც მინდა ვიოცნებო».

მუხლები ნიკაპზე მიიღო, მოიკუნტა და ისე მოხერხებულად მოეწყო, თავი ბუდეში ეგონა.

«ჩიტი ვარ, – შვიდი საღი კვერცხი დავდე და ბარტყებს ვჩეკ. კრ... კრ... კრ... – აწყლოპინდა ჩუმიად. – რამდენიმე ხანში, ვთქვათ, ნახევარ საათში, ვინმე ჩუმიად იტყვის წიკ-წიკ და ნისკარტს დაარტყამს ნაჭუჭს. ნაჭუჭი ამოტყდება და «წიავ, წიავ», გამოიჩეკება შვიდი ბარტყი – სამი ყვითელი, ორი მურა, ორი...»

– ადგომის დროა!

სად იყო, სად არა, ჯეინის საბანს წასწვდა მერი პოპინსი.

_ ოჰ, არა, არა! _ აბუზღუნდა გოგონა და საბანი წაიხურა.

გაბრაზდა მერი პოპინსზე, ყველაფერი ჩაუშალა!

_ არ მინდა ადგომა! _ თავი ჩარგო ბალიშში.

_ მართლა? _ ჰკითხა მერი პოპინსმა მშვიდად.

საბანი გადახადა და ჯეინი, უნდოდა თუ არ უნდოდა, ლოგინიდან წამოხტა.

_ ვაიმე, დედა! _ ამოიოხრა მან. _ რატომ, აი რატომ უნდა ავდგე მე ყოველთვის პირველი?

_ ყველაზე უფროსი ხარ და იმიტომ, _ უთხრა მერი პოპინსმა და აბაზანისკენ მიუთითა.

_ არ მინდა უფროსობა! რატომ მაიკლი არასოდეს არ არის უფროსი? ერთხელ მაინც იყოს!

_ შენ უფრო ადრე გაჩნდი და იმიტომ ხარ უფროსი, გაიგე?

_ მე არ მითხოვია, ადრე გამაჩინეთ-მეთქი! მომბეზრდა უფროსობა! ოცნება მინდა!

_ კბილები გამოიხეხე და იოცნებე.

_ იგივე აღარ გამოვა.

_ შენ გინდა სულ ერთსა და იმავეზე იოცნებო?

_ დიახ, მინდა!

მერი პოპინსმა ცივად გადახედა.

_ საკმარისია, გმადლობთ! _ უთხრა მან.

ჯეინმა შეატყო, სერიოზულად მელაპარაკებო.

შევიდა აბაზანაში, აიღო ჯაგრისი და დაიწყო კბილების ხეხვა, მაგრამ მალე აბაზანის ძგიდეზე ჩამოჯდა.

_ ეს უსამართლობაა! _ ბუტბუტებდა და ლინოლეუმზე ფეხის წვერს არტყამდა. _ ყველაფერს მაკეთებინებენ, უფროსი ხარო! არ გამოვიხეხავ კბილებს!

თქვა და თვითონვე გაუკვირდა. აქამდე ყოველთვის უხაროდა, მაიკლზე და ტყუპებზე უფროსი რომ იყო. თავი დიდად მიაჩნდა. დღეს რატომ მოსდის გული, რატომ ბრაზობს?

_ რატომ და მაიკლი ჩემზე ადრე რომ დაბადებულიყო, ამ დილით მოვასწრებდი ბარტყების გამოჩეკას, _ აუხსნა თავისთავს.

აშკარად ცუდად დაიწყო დღე.

სამწუხაროდ, უსიამოვნებას უსიამოვნება ემატებოდა.

საუზმეზე ჯეინისთვის ბრინჯი აღარ დარჩა.

_ რას იზამ, ჯეინს შვრიის ფაფას მოვუხარშავ, _ თქვა მერი პოპინსმა და ამოიხვნეშა, შვრიის მოხარშვა ძალიან ეზარებოდა.

_ რატომ, რა-ტომ? _ აჭიჭყინდა ჯეინი. _ მე ბრინჯი მინდა!

მერი პოპინსმა შუბლი შეიკრა:

_ იმიტომ, რომ უფროსი ხარ!

_ ისევ ის საძაგელი სიტყვა! _ ჯეინმა წიხლი ჩასცხო სკამის ფეხს, ლაქს ავაცლიო. შვრიის ფაფა სვენებ-სვენებით ძლივს ჩაათავა. _ კარგი იქნება, შიმშილით სული გამძვრეს! ასე უნდა! მაშინ ინანებენ!

_ დღეს რა დღეა? _ იკითხა მაიკლმა მხიარულად და თეფში მოფხიკა.

_ ოთხშაბათია, _ უპასუხა მერი პოპინსმა. _ ნელა, თეფში არ გახვრიტო.
_ მაშ, დღეს მის ლარკთან მივდივართ სტუმრად.
_ თუ კარგად მოიქცევით, _ წარბაუხსნელად თქვა მერი პოპინსმა ისე, თითქოს არა სჯეროდა, რომ ეს შესაძლებელი იყო.
მაიკლი სიხარულით ცას სწვდებოდა და არაფერი შეუმჩნევია.
_ ოთხშაბათია! _ იყვირა მან და კოვზი მაგიდაზე ააბრახუნა.

ვინც ოთხშაბათს დაიბადა...
უბედობა დაებედა! _

წაუძღერა მაიკლმა. მერე ჯეინი გამოაჯავრა: ოთხშაბათსა ხარ დაბადებული და მიტომ გერგო ბრინჯის ნაცვლად შვრიის ფაფაო.
ჯეინმა შუბლი შეიკრა და მაგიდის ქვეშ ფეხი მოუქნია. მაიკლმა აიციდინა და გაიცინა.

თვალწარმტაცია ისა,
ვინც დაიბადა კვირას! _
განაგრძო დეკლამაცია.
_ სწორია! სწორედ კვირას დავიბადე და თვალწარმტაცი ვარ! _ გამოაცხადა ბოლოს.

ჯეინმა ღვარძლიანად გაიცინა.
_ დიახ, სწორედ რომ თვალწარმტაცი ვარ! _ თავისაზე იდგა მაიკლი. _ მე თვითონ გავიგონე, მის ბრილი რომ ამბობდა. ელინს უთხრა, თოჯინას ჰგავსო!

_ მართალია! _ ჩაიბურტყუნა ჯეინმა. _ პაჭუა ცხვირიცა გაქვს. მაიკლი გაიბუსხა.
ჯეინს ისევ გაუკვირდა. სხვა დროს მაიკლს ეტყოდა, მართლაც ლამაზი ბიჭი ხარო. ასეც სჯეროდა, მაგრამ დღეს გაბრაზებულმა უთხრა:
_ უშნო ხარ! ფეხმოღრეცილო! ფეხმოღრეცილო!
მაიკლი ეცა.
_ შეწყვიტეთ! _ გასცა ბრძანება მერი პოპინსმა და ბრაზით გადახედა ჯეინს:

_ თუ ვინმე გამოირჩევა ამ სახლში სილამაზით, ეს... გაჩუმდა და კმაყოფილმა სარკეში ჩაიხედა.
_ ვინ? _ ერთხმად შესძახეს ჯეინმა და მაიკლმა.
_ ბენქსებიდან არც ერთი! _ მოუჭრა მერი პოპინსმა. _ აი ასე!
მაიკლმა აღმაცერად გადახედა ჯეინს. ასე შვრებოდა ყოველთვის, როცა მერი პოპინსი რაიმე საოცარს იტყოდა. ჯეინი გრძნობდა, მაიკლი რომ უყურებდა, მაგრამ ვითომ ვერ შეამჩნია. მიბრუნდა და თაროდან საღებავების ყუთი ჩამოიღო.
_ არ გინდა მატარებლობანა ვითამაშოთ? _ შერიგება სცადა მაიკლმა.
_ არა! მარტომ უნდა ვითამაშო!
_ ჩემო კარგებო, დღეს როგორა ხართ?

ამ სიტყვებით მისის ბენქსი შემოვიდა ოთახში და ჩქარ-ჩქარა გადაკოცნა ბავშვები. მას სულ ეჩქარებოდა, ყოველთვის მოუცლელი იყო.

– მაიკლ, – თქვა მან, – ახალი ფეხსაცმელი გჭირდება, თითები გარეთ გაქვს გამოყოფილი. მერი პოპინს, ჯონი გასაკრეჭია. ბარბი, ჩემო პაწაწუნა, თითს ნუ წუწნი. ჯეინ, ჩაირბინე ქვემოთ და მისის ბრილს უთხარი, მომიწინააღმდეგოს ტორტს ნუ გამოაცხობს. გადავიფიქრე.

«ისევ! – გაიფიქრა ჯეინმა. – საშველს არ მამღევენ! მოჰკიდებ რამეს ხელს და იმ წუთში საქმეს გამოგიძებნიან!»

– დედა, რატომ მაინცდამაინც მე? მაიკლს არ შეუძლია?

– მე ვიფიქრე, გაგიხარდებოდა, შემეშველებოდი. მაიკლი ხომ იცი, როგორია. მისვლამდე დაავიწყდება დანაბარები! გარდა ამისა, შენ უფროსი ხარ, გაიქეცი, ჩემო გოგო!

ჯეინი კიბეს კუს ნაბიჯით ჩაუყვია. გულში ფიქრობდა, სანამ ჩავალ, მისის ბრილი ტორტს მიწინააღმდეგობით მორთავსო. დილიდანვე აკვირვებდა თავისი საქციელი. თითქოს ვიღაც უშნო და უხიაგი ჩაუსახლდა სხეულში და სიავისკენ უბიძგებდა.

მან მისის ბრილს გადასცა დედის დანაბარები და ძალიან შეწუხდა, როცა გაიგო, დროზე მოვასწარიო.

– კარგია, ნაკლებ საწვალელებელი შემექნა, – ჩაილაპარაკა მისის ბრილმა და ჯეინს სთხოვა: – ოქრო გოგო, ჩაირბინე ბაღში და რობერტსონს მოაგონე, დანა გამიღესო. შენ ყმაწვილი ხარ, ფეხებში ძალა გერჩის, მე კი ბებერი ვარ და ფეხებს ძლივს დავათრევ...

– არ შემიძლია, საქმე მაქვს.

ახლა მისის ბრილი გაოცდა.

– შენ ხომ კარგი გოგო ხარ, ძლივს დავლოდავ, სად ვირბინო!

ჯეინმა ამოიხვნეშა. გულში ფიქრობდა, რატომ არ მომეშვეებიანო?

წიხლით მიხურა სამზარეულოს კარი და ბაღში წაფლატუნდა.

რობერტსონ ეის ბაღის ბილიკზე სარწყავი თავქვეშ ამოედო და ტკბილად ხვრინავდა. რობერტსონ ეისთვის ბუნებას ერთი სიკეთე მიემადლებინა: იძინებდა, სადაც მოუნდებოდა და როგორც მოუხდებოდა. მართალი რომ ითქვას, ძილი ყველაფერს ერჩია. ბავშვებმა იცოდნენ რობერტსონ ეის ეს უცნაურობა, ეცოდებოდათ და უფროსებთან არ აბეზღებდნენ.

მაგრამ დღეს ყველაფერი აირია. ჯეინის სხეულში ჩასახლებულმა ბოროტმა სულმა არ დაინდო რობერტსონ ეი.

– ყველამ გააწყალა გული! – ჩაილაპარაკა ჯეინმა და სარწყავი მთელი ძალით ააბრახუნა.

რობერტსონ ეი ელდანაკრავივით აყვირდა:

– მიშველეთ! მიშველეთ! ხანძარია, ხანძარი!

მერე თვალები ამოიფშვნიტა და ჯეინი არ შერჩა!

– ეჰ, შენა ხარ, – ამოილულლულა მან, თითქოს რაღაც საინტერესოს ელოდა და იმედი გაუცრუვდაო.

– წადი და დანები დალესე! სწრაფად! – უბრძანა ჯეინმა.

რობერტსონ ეი ნელა წამოდგა და გაიზმორა:

– ყოველთვის გამოგიძებნიან საქმეს. ჯერ ერთი არ დაგიმთავრებია და მეორეს მოგაჩეჩებენ. წუთს არ გაცლიან! კაცს თუ დასვენება უნდა, არავინ ფიქრობს!

– დასვენების მეტს რა აკეთებ! – არ დაინდო უგულო ჯეინმა. – სულ გძინავს.

რობერტსონ ეის ეწყინა და საყვედურით შეხედა. სხვა დროს ჯეინს ძალიანაც შერცხვებოდა, მაგრამ დღეს არც შემკრთალა.

– ეს რა მითხარი! – შეწუხდა რობერტსონ ეი. – უფროსი მაინც არ იყო! არ მოველოდი! არაფრით არ მოველოდი!

ისევ ნაღვლიანად შეხედა ჯეინს და სამზარეულოსკენ გალასლასდა.

«ალბათ არასოდეს მაპატიებს», – გაიფიქრა ჯეინმა. სხეულში დაბუდე-ბულმა ბოროტმა სულმა კი მიუგო: «მერე რა! ნუ მაპატიებს!»

ასწია თავი და ნელ-ნელა გაუყვა ბავშვების ოთახისაკენ. გზადაგზა ჭუჭყიანი ხელები ახლადშეთეთრებულ კედელს შეახოცა. შეახოცა იმიტომ, რომ ეს სასტიკად იყო აკრძალული.

მერი პოპინსს ხელში ბუმბულის საგველა ეჭირა და ავეჯს მტვერს აცლიდა.

– დაკრძალვიდან მოდიხარ, თუ დაკრძალვაზე მიდიხარ? – ჰკითხა ჯეინს.

ჯეინმა ერთი მოქუფრულად შეხედა და არაფერი უპასუხა.

– ვიცნობ ერთ ვიღაცას, ფათერაკებს დაეძებს, დაეძებს და კისერსაც მოიტებს, – გააფრთხილა მერი პოპინსმა.

– მერე რა, მოიტეხოს.

– მოიტეხა კიდეც. იმასაც ამბობენ, ჩამოკიდესო, – პასუხი არ დაუყოვნა მერი პოპინსმა და საგველა გადადო. – ახლა მე უნდა ვისაუზმო. ტყუპებს მიხედე, ხმა, კრინტი არ გავიგონო...

წინადადება არ დაამთავრა, მაგრამ ოთახიდან რომ გადიოდა, თავისე-ბურად ჩაიფრუტუნა.

ჯონი და ბარბი ჯეინს მისცვივდნენ და ხელებში ჩააფრინდნენ. ჯეინმა გაიწ-გამოიწია და პაწია და-ძმა ჩამოიცილა.

– რატომ დედისერთა არა ვარ! – დაიკვნესა მან.

– სახლიდან გაიპარე! – შესთავაზა მაიკლმა. – ეგებ ვინმემ გიშვილოს.

ჯეინი სახტად დარჩა. მაიკლის წინადადებას განაცვიფრა.

– უჩემოდ მოგწყინდება, მოგენატრები!

– არაფერიც! – დაამშვიდა მაიკლმა. – სულ გაავებული ხარ და! მერე კიდეც, შენი საღებავები მე დამრჩება!

– არა, არ დაგრჩება! – არ გაახარა ჯეინმა. – თან წავიღებ!

და რომ ეჩვენებინა, ჩემია და მე ვარ საღებავების ბატონ-პატრონიო, ფუნჯებიც ჩამოიღო და იატაკზე სახატავი ალბომიც გამალა.

– საათი დახატე, – ურჩია მეგობრულად მაიკლმა.

– არა!

– მაშინ ფაიფურის სამეფო სინი!

ჯეინმა შეხედა სინს.

სამი ბიჭი უწინდებურად მწვანე მინდორზე გარბოდა. სხვა დროს სიამოვნებით დახატავდა, მაგრამ დღეს სხვაგვარად ფიქრობდა. მაინცდამაინც რატომ ის ვქნა, რაც მაიკლმა მირჩიაო.

– არ მინდა! მე თვითონ ვიცი, რასაც დავხატავ!

თავისთავის ხატვას შეუდგა. ხატავდა, როგორ იჯდა მარტოდმარტო, ეულად კვერცხებზე...

მაიკლი, ჯონი და ბარბი იდგნენ და თვალს ადევნებდნენ.

ჯეინი გაერთო და ცუდმა განწყობილებამაც გაუარა.

მაიკლი ნახატისაკენ დაიხარა:

– აი, აქ ქათამი მიახატე!

უჩვენა მან. ამ დროს წაიფორხილა, ჯონის დაეჯახა, ჯონიმ თავი ვერ შეიკავა, წაიქცა და წყლით სავსე ჭიქა გადააბრუნა. აკვარელით შეფერილი წყალი ნახატზე დაიღვარა.

იწივლა ჯეინმა და წამოხტა.

– ეჰ, შე დათვო! როგორ გამიფუჭე! აი, შენ!

და ერთი ისეთი უთავაზა მაიკლს, რომ ბიჭი დაბარბაცდა, წაიქცა და ჯონი ქვეშ მოიყოლა. ტყუპები აბლავლდნენ, მაიკლი აყვირდა:

– ვაიმე, თავი გამიტეხე! ვაი, ვაი! თავი გამიტყდა!

– კარგია! ეგრე მოგიხდება! – ქაქანებდა ჯეინი – შემომიჩნდი და ნახატი გამიფუჭე! სამაგელო! სამაგელო! სამაგელო!

კარი გაიღო.

მერი პოპინსმა ცივად მოათვალიერა ბრძოლის ველი.

– მე რა გითხარი? – ჰკითხა მან ჯეინს ძალიან მშვიდად. – კრინტი არ გავიგონო-მეთქი და რას ვხედავ! სტუმრად წასვლაზე ოცნებაც არ გაბედო! ოთახიდან ნაბიჯს ვერ გაადგამ. რაც გინდა დამიძახე, თუ ასე არა ვქნა!

– სიამოვნებით!

ჯეინმა ხელები ზურგზე დაიწყო და უდარდელი სახით განზე გადგა.

სულაც არ იყო გულდაწყვეტილი.

– ძალიანაც კარგი.

მერი პოპინსს ხმა არ აუმაღლებია, მაგრამ ავის მომასწავებელი ჟღერა კი გაურია.

ჯეინი უხმოდ უყურებდა, როგორ აცმევდა მერი პოპინსი ბავშვებს.

ყველანი რომ გამოეწყვნენ, მერი პოპინსმა თავისი ძვირფასი ქუდი ჩამოიღო და ოდნავ გვერდზე დაიხურა. ყელზე მედალიონიანი ოქროს ძეწკვი ჩამოიკიდა და მისის ბენქსის ნაჩუქარი თეთრ-წითელ-უჯრულა შარფი მოიხვია. შარფის ერთ კიდეზე ამოქარგული იყო მ. პ. მერიმ ის კიდე წინ მოიქცია და თავის გამოსახულებას თვითკმაყოფილებით გაუღიმა სარკეში.

მერე კარადა გამოაღო, თუთიყუშისთავა სახელურებიანი ქოლგა აიღო და ბავშვები ააჩქარა.

– დრო ბევრი გექნება საოცნებოდ! – დაუბარა ჯეინს, რომ გადიოდა და ხმამაღლა ჩაიფრუტუნა.

ჯეინი დიდხანს იჯდა და ერთ წერტილს მიმტერებოდა. ცდილობდა, თავის შვიდ კვერცხზე ეფიქრა, მაგრამ ვაი, რომ კვერცხები აღარ ართობდა.

საინტერესოა, რას შვრებიან ახლა მის ლარკთან? ალბათ ძაღლებს ეთამაშებიან და მის ლარკი უამბობს, ედი რა დიდებული წარმომავლობისაა, ბართლომე ნახევრად ერდელი, ნახევრად მეძებარია და მაინც არ უქნია ღმერთს... მერე ყველას, ძაღლებსაც კი, ჩაის, შოკოლადის ნამცხვარსა და ნიგვზიან ტორტს მიართმევენ...

– ვაი-ვაი-ვაი!

იმის გაფიქრებამ, რომ ყველაფერი ეს განზე დარჩა და ამაში დამნაშავე თვითონვე იყო, ჯეინს გული ატკინა და უფრო გაღიზიანდა.

– წიკ-წიკ! წიკ-წიკ! – აწიკწიკდა საათი.

– ჩუმად! – იწივლა ჯეინმა და მთელი ძალით ესროლა ერთი ყუთი აკვარელი. ყუთი ასხლტა მინიდან და ფაიფურის სამეფო ლანგარს დაეცა.

ძინ, ბრახ!

ლანგარი გადმობრუნდა და დავარდა.

ღმერთო! ეს რა ჩაიდინა!

ჯეინმა თვალი მოჭყტა.

– გესმით? მტკივა! – აწუწუნდა ვილაცა.

ჯეინმა თვალი ვერ გაახილა.

– ჯეინ! – ისევ გაისმა ხმა. – მე თქვენ მუხლი დამიზიანეთ.

ჯეინმა სწრაფად მოაბრუნა თავი. ოთახში არავინ იყო.

კარს მივარდა და გააღო.

იქაც არავინ ჩანდა.

ვილაცამ გაიცინა.

– სად იყურებით, სულელო! აქეთ ამოიხედეთ! ზევით!

ჯეინმა ბუხრის თაროს ახედა.

საათის გვერდით ეგდო გადაპირქვავებული ფაიფურის ლანგარი. ის შუაზე გაბზარულიყო და, მისდა გასაოცრად, ჯეინმა ნახა, რომ ლანგარზე მიხატულ ერთ-ერთ ბიჭს ცხენის სადავე მიეგდო, წახრილიყო და ორივე ხელით მუხლს ჩაჰფრენოდა. დანარჩენი ორი შეწუხებულნი დასცქეროდნენ.

– ა-რ-რაფერი მ-მ-მესმის, ა-რ-აფერი, – უპასუხა ჯეინმა თავისთავს თუ უცნობ ხმას.

ლანგარის ბიჭმა თავი ასწია და ჯეინს გაუცინა:

– არ გესმით? შეიძლება. არაერთხელ შემინიშნავს, თქვენ და მაიკლი სრულიად მარტივ ამბებშიც ვერ ერკვევით. ხომ მართალია? – ისევ გაიცინა და თავის ძმებს მიუბრუნდა.

– სწორია, – თქვა ერთ-ერთმა, – ატირებული ტყუპების დაწყნარებასაც ვერ ახერხებენ.

– ჩიტის კვერცხის დახატვაც არ შეუძლიათ. შეხედეთ, რა კუთხოვანი კვერცხები დაუხატავს! – თქვა მეორემ.

– საიდან იცით ტყუპებისა თუ კვერცხების ამბავი? – ჰკითხა ჯეინმა და გაწითლდა.

– ახალი ამბავი! – უთხრა პირველმა ბიჭმა. – როგორ ფიქრობთ, ყოველდღე გიყურებთ და ვერაფერს ვხედავთ? თუმცა, სამინებელ ოთახსა და აბაზანაში ვერ შევიხედავთ. ამ გახსენებაზე, რა ფერის კაფელითაა მოპირკეთებული აბაზანა?

– ვარდისფერით.

– ჩვენი თეთრითა და ცისფრით. არ გინდათ დაათვალიეროთ?

ჯეინი ყოყმანობდა. ისე იყო გაოგნებული, არ იცოდა, რა ეთქვა.

– წამოდით! თუ გნებავთ, უილიამი და ევერარდი თქვენი ცხენები იქნებიან. მე მათრახს ავიღებ და გვერდით გამოგყვებით. ვალენტინი მქვია. მალიან მიხარია, რომ გაგიცანით. ჩვენ სამი ტყუპისცალი ვართ, და გვყავს კიდევ ერთი – ქრისტინა.

– სად არის ქრისტინა? – ჯეინმა ყურადღებით დახედა ლანგარს.

მაგრამ ლანგარზე მხოლოდ მწვანე მინდორი და მურყნარი ჩანდა. ვალენტინის, უილიამისა და ევერარდის გარდა სხვა არავინ იყო.

– წამოდით და ნახავთ! – ჩააცივდა ვალენტინი და ხელი გაუწოდა. – ისინი ხომ წავიდნენ სტუმრად, თქვენ ჩვენ გვეწვიეთ!

ჯეინი გულისხმაში ჩავარდა. იფიქრა, ვაჩვენებ მაიკლს და ტყუპებს სეირს, ჰგონიათ, თვითონ არიან სტუმრად და მე არა! შეეხარებოდათ კიდევ და ინანებენ, ასე რომ მომექცნენ!

– კარგი, – უთხრა და ხელი გაუწოდა. – მოვდივარ!

ვალენტინმა მაგრად ჩაავლო ხელი და წააცუნცულა.

ჯეინმა უცებ ტრიალ, მზით განათებულ მინდორში ამოყო თავი. ნაცვლად გაცვეთილი ხალიჩისა, ფეხქვეშ ზიზილებით გადაპენტილი ხასხასა რბილი ბალახი ეგო.

– ვაშა! – ყვიროდნენ ვალენტინი, უილიამი, ევერარდი და გარშემო უვლიდნენ ცეკვა-ცეკვით.

ჯეინმა შეამჩნია, რომ ვალენტინი კოჭლობდა.

– უი! – უთხრა მან. – მე დამავიწყდა, რომ ფეხი გტკივა!

ვალენტინმა გაიღიმა:

– არა უშავს! მე ვიცი, რომ თქვენ განზრახ არ გიქნიათ.

ჯეინმა ცხვირსახოცი ამოიღო და მუხლი შეუხვია.

– უცბად არ მომარჩინეთ?! – უთხრა ვალენტინმა თავაზიანობის ნიშნად და ჟღარუნებიანი სადავე გადასცა.

უილიამმა და ევერარდმა თავები გაიქნიეს, ჩაიფრუტუნეს, როგორც ნამდვილმა ცხენებმა, და მინდორში გაიქცნენ. ჯეინმა სადავე ააჟღარუნა და გაჭენდა.

ვალენტინი კოჭლობით გაჰყვა, თან მიუმდერა:

ჯენი – ჩემი სიხარული, მზის ნათელი ჯენი!

ჯენი – ვარდის თაიგული, სურნელების მფენი...

გულს მიგიკრავ ნეტარებით, ჩემო ტურფა ჯენი!..

გულში მაგრად დააბიჯებს სიყვარული შენი!

– სიყვარული შენი!.. სიყვარული შენი!.. – აიტაცეს სიმღერა უილიამმა და ევერარდმა.

ჯეინმა იფიქრა, ძველი ყაიდის სიმღერააო. სამივეს ძველ ყაიდაზე შეკერილი კოსტიუმები ეცვა, ვარცხნილობაც ძველმოდური ჰქონდათ, თავა-

ზიანობაც ძველი ყაიდისა გამოსდიოდათ. მოკლედ, ყველაფერი ძალიან ძველებურად გამოიყურებოდა.

«ძალიან უცნაურია!» – გაიფიქრა ჯეინმა.

მაგრამ მაშინვე ისიც გაიფიქრა, რომ აქ გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე მის ლარკთან, და მაიკლი შურით გასკდება, ყველაფერს რომ მოვუყვებო.

ცხენები შორს გაჭენდნენ. ჯეინიც გააქროლეს.

ჯეინმა წუთით სადავე მოსწია, შეჩერდა და მიმოიხედა, მინდორს გაღმა ძლივს ანათებდა ლანგარის ერთი კიდე.

უცებ შეშფოთდა, დაბრუნება მოუნდა.

– მეყოფა, შინ დაბრუნების დროა, – თქვა მან და ჟღარუნა სადავე გადააგდო.

– არა, არა, არა! – გარს შემოერთყენენ სამივენი.

ისეთი უცნაური ხმა ჰქონდათ, ჯეინი უფრო შეშფოთდა.

– ძებნას დამიწყებენ, აუცილებლად უნდა წავიდე.

– ჯერ ადრეა, – შეეკამათა ვალენტინი. – ისინი ისევ მის ლარკთან არიან. წამოდით! საღებავებს გიჩვენებთ.

მაცთუნებელი წინადადება იყო.

– ბერლინური ლაჟვარდისფერი გაქვს? – ჰკითხა მან. თვითონ სწორედ ლაჟვარდისფერი საღებავი აკლდა.

– მაქვს, ვერცხლისფერ კოლოფში! წავიდეთ!

ჯეინი თავისდა უნებურად გაჰყვა.

«დავხედავ საღებავებს და მაშინვე გამოვიქცევი. ერთი ფუნჯის მოსმასაც არ ვითხოვ». – ფიქრობდა ის.

– სად არის თქვენი სახლი? – ჰკითხა ბიჭებს. – ლანგარზე არ ჩანს.

– რას ამბობ! რა თქმა უნდა, ლანგარზეა. ვერ ხედავთ, ტყე ეფარება. წამოდით!

არც კი გაუგიათ, ისე შეერივნენ უღრან ტყეს. ძირს ჩამოცვენილი ფოთლები აშარიშურდნენ. დროდადრო ტოტიდან ფრთების ფათქუნით მტრედი აფრინდებოდა ხოლმე.

უილიამმა ჯეინს ჩიტი ბუტბუტას ბუდე დაანახვა, ევერარდმა ფოთლებით გვირგვინი დაუწნა და თავზე დაადგა.

ჯეინი ასე თავაზსა და პატივისცემაში იყო და მაინც, რატომღაც, თავს კარგად ვერ გრძნობდა. ტყიდან რომ გამოვიდნენ, შვებით ამოისუნთქა.

– აი, ჩვენი სახლიც! – დაანახვა ვალენტინმა.

მათ წინ სუროშემოხვეული უშველებელი ქვის სახლი იდგა. ასეთი ძველისძველი სახლი ჯეინს არ ენახა. მოეჩვენა, თითქოს სახლი ბრაზიანად დაიხარა. ქვის კიბეზე ორივე მხარეს ორი-ორი ქვის ქანდაკება იდგა ლომებისა, გეგონებოდა, ცოცხლებია და სადაცაა, უნდა წამოხტნენო.

სახლის ჩრდილში რომ მოექცნენ, ჯეინი შეკრთა.

– დიდხანს ვერ დავრჩები, უკვე გვიანაა, – შეშფოთდა იგი.

– სულ ხუთი წუთით! – შეეხვეწა ვალენტინი.

ქვის იატაკზე აბაკუნებდნენ. სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჯეინი და ის სამნი, მეტი არავინ ჩანდა. დერეფანში ცივი ორპირი ქარი უბერავდა.

– ქრისტინა! ქრისტინა! – დაუძახა ვალენტინმა, ჯეინი კიბეზე აიყვანა და მიახედა – აი, აგერაა!

ვალენტინის ხმა ექოსავით აიტაცა სახლმა და გაისმა: «აი, აგერაა! აი, აგერაა!».

კარს სწრაფად მოუახლოვდა ვიღაც და პირთამდე გააღო. ამ სამ ვაჟზე ცოტათი მაღალი, ძველებურ ფუმფუმკაბიანი გოგონა გამოვარდა და ჯეინს ჩაეხვია.

– როგორც იქნა, როგორც იქნა! – აღფრთოვანებული იყო ის. – ბიჭები რამდენი ხანია გითვალთვალევენ! ვერაფრით მოგიხელთეს, ბედნიერი გოგო იყავი და!

– ვერ მომიხელთეს? – ჩაეკითხა ჯეინი. – მე არ... არ მესმის...

სულ მთლად დაიბნა. ძალიან ინანა, ვალენტინის მიპატიჟებაზე უარი რომ არა თქვა.

– პეპერა აგიხსნის, – უცნაურად ჩაიცინა ქრისტინამ და ჯეინი ოთახში შეიყვანა.

– ჰე! ჰე! ჰე! რა ამბავია მანდ? – წამოიკნავლა ვიღაცამ.

ჯეინი შეკრთა და უკან, ქრისტინასაკენ დაიწია.

ოთახში, ბუხართან კაცი იჯდა. ჯეინმა შეხედა და შეეშინდა. მიხრწნილი ბებერი უფრო აჩრდილს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ არსებას. ბუხარში ცეცხლი ენთო და მოხუცს სახეზე ცეცხლის ალის შუქი ადგა. გაჭალარავებული მეჩხერი წვერი ვერ უფარავდა ჩაცვნილ ლოყებს. მუქი ფერის ქუდი ეხურა, მაგრამ გამელოტებული თავი მაინც უჩანდა, ძველებური გრძელი გახუნებული აბრეშუმის ხალათი და მოქარგული ფეხსაცმელი ეცვა.

– მაშ ასე, – თქვა ბერიკაცმა და პირში გაჩრილი ჩიბუხი გამოიღო, – როგორც იქნა, ჯეინი მოვიდა!

ადგა, საზარლად ჩაიხვიხვინა და მისკენ წამოფორთხდა. ჩაცვნილი თვალელები ანთებოდა.

– პეპერა, ბიჭებმა ტყის გაღმა დაიჭირეს, – უთხრა ქრისტინამ.

– ჰო, როგორ შეიპყრეს?

– აიხირა, უფროსობა აღარ მინდაო, გაჭინჭყლდა, საღებავებით სავსე ყუთი ისროლა, ლანგარს მოახვედრა და ვალენტინს მუხლი დაუზიანა.

– ასეა, ასე, – აჩიფჩიფდა ბერიკაცი. – ჭირვეულობამ ასე იცის! კარგია, კარგია, – წრიპინებდა ის. – ჩვენთან ყველაზე უმცროსი იქნები, ნამცეცავ. ჩემი ყველაზე უმცროსი შვილთაშვილი! ოღონდ ჩვენთან არავითარი ჭირვეულობა არ გაგივა! ჰე! ჰე! ჰე! არავითარი ახირება! აბა, მოშინაურდი, ბუხარს მივუსხდეთ, ჩაის ინებებთ, თუ ალუბლის ნაყენს?

– არა! არა! – იფეთქა ჯეინმა. – თქვენ შემცდარი ბრძანდებით! მე შინ უნდა წავიდე! ჩვიდმეტ წომერ სახლში ვცხოვრობ ალუბლის შესახვევში!

– გინდათ თქვათ, ვცხოვრობდიო, – სიხარულით შეუსწორა ვალენტინმა. – თქვენ ახლა აქ ცხოვრობთ!

– არ მინდა აქ ცხოვრება! – გამწარებული ყვიროდა ჯეინი. – არ გესმის? შინ მინდა!

– სისულელეს თავი გაანებე! – დაიჩხავლა პეპერამ, – ისე არ გინდოდა, ჰე-ჰე! მე ვიცი როგორია უფროსობა, – შენ უნდა აკეთო ყველაფერი და

უმცროსები ერთობიან! _ ჰე-ჰე-ჰე! ჩვენთან ყველა გაგანებივრებს, _ ჩიბუხი გამოფერთხა მოხუცმა. _ შენ ჩვენი ძვირფასი ნამცეცა იქნები, ჩვენი ოქრო გოგო! შინ არასოდეს დაბრუნდები!

_ არასოდეს! _ აიტაცეს უილიამმა და ევერარდმა და ცეკვა გამართეს.

ჯეინი ცრემლად იღვრებოდა.

_ შინ მინდა! შინ მინდა!

კბილებჩაცვენილმა პეპერამ გესლიანად ჩაიღიმა.

_ ფიქრობ, რომ ისე გაგიშვებთ? _ ჰკითხა ბოროტმა ბერიკაცმა. _ შენ ჩვენი ლანგარი გატეხე! ვალენტინს მუხლი დაუზიანე! ეს ამბავი ადვილად არ ჩაგივლის! გამოსასყიდი შემოგვთავაზე!

_ მი... მივცემ ჩემს საღებავებს.

_ საღებავები აქვს!

_ რგოლს მივცემ!

_ ჰე-ჰე! ვალენტინი უკვე დიდია!

_ მაშინ... _ ჯეინი შეეყოყმანდა. _ ცოლად გავყვები, როცა გავიზრდები! პეპერამ ჩაიხვიხვინა.

ჯეინმა საწყალობლად შეხედა ვალენტინს.

ვალენტინმა თავი გააქნია.

_ დაგვიანებული მგონია, _ შეწუხდა ის, _ დიდი ხანია გავიზარდე...

_ აბა, რა ვქნა... რა დავაშავე... არაფერი მესმის! სადა ვარ? _ ტიროდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ჯეინი.

_ პაწიაგ, ძალიან შორს, შორს ხარ შენი სახლიდან! _ ჩიფჩიფებდა ბებერი, _ წარსულში მოხვდი, შორეულ წარსულში, როცა ქრისტინა და ბიჭები ბავშვები იყვნენ!

_ როგორ... რანაირად დავბრუნდე შინ! _ ცრემლებს ყლაპავდა ჯეინი.

_ ვერაფრით ვერ დაბრუნდები! აქ დარჩები! სხვა გზა არ არის! გაიგე, რომ შორეულ წარსულში ხარ. არც ტყუპები, არც მაიკლი ჯერ არ დაბადებულან, ის კი არა, ჯერ დედაშენი და მამაშენიც არ არიან ამქვეყნად, ჩვიდმეტი ნომერი სახლიც ჯერ არ აშენებულა! არსად არა გაქვს წასასვლელი!

_ არა, არა! _ ზღუქუნებდა ჯეინი, _ არ არის მართალი, როგორ შეიძლება ასე იყოს!

გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ველარასოდეს ნახავს მაიკლს, მამას, დედას, ტყუპებს და... მერი პოპინსს! და უცებ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა:

_ მერი პოპინსს! მეტს აღარ ვიზამ! მიშველეთ, მიშველეთ! მერი პოპინსს!

_ ცოცხლად! დაიჭირეთ! არ გაუშვათ! _ ბრძანა ბერიკაცმა.

ოთხივე გარს შემოერტყა.

ჯეინმა ძალა მოიკრიბა. თვალები დახუჭა და იყვირა:

_ მერი პოპინსს!

მისი ძახილი მოედო ქვის დერეფნებს და ხმა გამოსცა: _ მერი პოპინსს!

ვიღაცამ ხელი დაავლო ჯეინს და გასწია, მაგრამ ვალენტინი, უილიამი, ევერდერი და ქრისტინა მაგრად ჩაჰფრენოდნენ...

_ ჰე-ჰე-ჰე! _ ჩხაოდა პეპერა. _ ჰე-ჰე-ჰე!

უცებ ჯეინმა იგრძნო, რომ მისმა მტრებმა ხელები გაუშვეს, და იგრძნო, რომ მიათრევენ... სველ, რაღაცით აშარიშურებულ კიბეებზე... დერეფანში... მიწაზე...

პეპერას, ქრისტინას და ბიჭების ხმა შორეთში ჩაიკარგა.

მზემ ლოყებზე მოუთათუნა. ხეშხეშა ბალახი ფეხებზე ემწვავა...

ამ დროს ვიღაცამ მარწუხივით ჩაავლო ხელი და ჰაერში აიტაცა.

– მიშველეთ! – ღრიალებდა ჯეინი.

რაც შეეძლო ცდილობდა, ხელიდან დასხლტომოდა. ფიქრობდა, რაც არ უნდა დამიჯდეს, არ დავემორჩილებიო. ვურტყამ წიხლებს, ვურტყამ და ვურტყამ, სანამ...

– დიდად მადლობელი ვიქნები, თუ გაიხსენებ, – ჩაესმა ყურში ნაცნობი ხმა, – რომ ეს ჩემი საუკეთესო ქვედა კაბაა და მთელი ზაფხული მინდა მეცვას.

ჯეინმა თვალი გაახილა და ცისფერი თვალების ჩვეულ მკაცრ გამოხედვას წააწყდა.

დიახ, სწორედ მერი პოპინსის ხელებს ეჭირა ასე მაგრად, მერი პოპინსს აყრიდა თურმე ტლინკებსაც.

– ოჰ, თქვენა ხართ! – ამოილულულა ჯეინმა. – მე მეგონა, ვერ გაგაგონეთ! მე მეგონა, სულ იქ უნდა დავრჩე-მეთქი! მე მეგონა...

– ზოგიერთებს, – თქვა მერი პოპინსმა და მსუბუქად დასვა იატაკზე, – ბევრი რამ ჰგონიათ. თუ შეიძლება სახე მოიწმინდე.

ჯეინს ცხვირსახოცი გაუწოდა და ვახშმისთვის სუფრის გაშლას შეუდგა.

ჯეინი უყურებდა და დიდი ცისფერი ცხვირსახოცით იწმენდდა ცრემლებს. ოთახში ყველაფერი ნაცნობი და ჩვეული იყო: გაცვეთილი ხალიჩა, სათამაშოების კარადა, მერი პოპინსის სავარძელი... და ეს ჩვეული ნივთები სიმყუდროვეს, სითბოსა და სიმშვიდეს ბადებდა მის გულში.

მერი პოპინსი მაგიდასთან ტრიალებდა. ჯეინი ყურს უგდებდა ჩვეულ ხმებს და თავსგადანახადი საშინელება დავიწყების ბურუსში იძირებოდა.

ჯეინი ბენიერებამ მოიცვა.

«შეუძლებელია, მე ასეთი ცუდი ვყოფილიყავი, – უთხრა თავისთავს. – ეტყობა, ვიღაც სხვა იყო!» და დაიწყო ფიქრი, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო...

*

– ტყუილია! – არ დაუჯერა მაიკლმა, როცა ჯეინმა ცოტა ხნის შემდეგ უამბო თავისი თავგადასავალი. – ძალიან დიდი ხარ! ლანგარზე ვერ დაეტი-ოდი!

ჯეინი წუთით ჩაფიქრდა. მართალი თუ გინდათ, თვითონაც მთლად არა სჯეროდა, რაც მოუყვა.

– ჰო, შენ ალბათ მართალი ხარ, – უთხრა მან. – მაგრამ მაშინ მომეჩვენა, რომ ასე იყო.

– შენ გამოიგონე ყველაფერი, ფიქრობ, ფიქრობ და თავში რა მოგივა, ვინ იცის.

მაიკლი თავისთავს უპირატესობას ანიჭებდა: არასდროს იწუხებდა თავს ფიქრით.

– გული გამიწყალა თქვენმა მონაჭორმა! – გვერდით გასწია მერი პოპინსმა ორივე და ტყუპები დააწვინა. მერე გაჯავრებულმა თქვა, იმედია, ახლა მაინც მოვისვენებ წუთითო.

მოიხადა თავისი ახალი ქუდი და კოლოფში ჩაუძახა, მოიხსნა ძეწკვი და ფრთხილად ჩადო უჯრაში. მერე გაიხადა პალტო, დაფერთხა და საკიდარზე ჩამოჰკიდა.

– სად არის თქვენი ახალი შარფი, დაკარგეთ? – ჰკითხა ჯეინმა.

– რას ლაპარაკობ! – თქვა მაიკლმა. – რომ მოვედით, ყელზე ჰქონდა მოხვეული.

მერი პოპინსი ბავშვებს მიუბრუნდა:

– კეთილ ინებეთ და თქვენს თავს მიხედეთ, ჩემსას მე მოვუვლი!

– მე მინდოდა მოგშველებოდით, – დაიწყო ჯეინმა.

– მაღლობელი ვარ, როგორმე მე თვითონ მოვახერხებ, – ჩაიფრუტუნა მერი პოპინსმა.

ჯეინმა მაიკლს თვალით ანიშნა. მაიკლმა ვერაფერი შეამჩნია, განცვიფრებული მისჩერებოდა ბუხრის თაროს.

– მაიკლ, რა დაგემართა?

– ეტყობა, შენ არ გამოგიგონია! – უჩურჩულა მაიკლმა და ლანგარზე შეახედა.

ჯეინმა გახედა, ლანგარი გაბზარულიყო. მინდორიც ჩანდა, ბალახიცა და ტყეც. მინდორში სამი ყმაწვილი ცხენობანას თამაშობდა.

და ოი, საკვირველებავ, ერთ-ერთ ყმაწვილს ფეხი პატარა თეთრი ცხვირსახოცით ჰქონდა შეხვეული; ხოლო ბალახზე, თითქოს ვიღაცას სიჩქარეში დაუვარდაო, თეთრ-წითელუჯრებიანი თავსაფარი ეგდო. თავსაფარის კიდეზე წარწერა მ. პ.-ც ჩანდა.

– აჰა, აი, სად დაუკარგავს! – თქვა მაიკლმა და თავი მრავალმნიშვნელოვნად დააქნია. – ვუთხრათ, რომ ვიპოვეთ?

ჯეინმა მოიხედა, მერი პოპინსი თავის წინსაფარს ისეთი სახით იკრავდა, გეგონებოდათ, მთელმა ქვეყანამ მას აწყენინაო.

– არ ღირს, – უთხრა ჩუმად ჯეინმა. – ალბათ, იცის.

ჯეინმა კიდევ ერთ წუთს მოიცადა, უყურა გატეხილ ლანგარს, გამონასკვეულ ცხვირსახოცს, თავსაფარს და უცებ გაიქცა, გახამებულ თეთრ წინსაფარს მოეხვია.

– მერი პოპინს! – ყვიროდა ის. – მერი პოპინს! აღარასოდეს ვიჭირვეულე! აღარასოდეს!

ოდნავ შესამჩნევმა სკეპტიკურმა ღიმილმა გაუპო ბაგე მერი პოპინსს.

– ჰმ! – თქვა და წინსაფარი შეისწორა.

ეს იყო და ეს, მეტი არაფერი დასცდენია.

მეოთხე თავი

კატა, რომელიც მეფეს უმზერდა

მაიკლს დღეობა ჰქონდა. მეორე დღეს კბილები ასტკივდა. ლოგინში იწვა და კვნესოდა, თან თვალს მერი პოპინსისაკენ აპარებდა, ეგებ ყურადღება მომაქციოსო.

ის კი იჯდა ძველ სავარძელში და მატყლს ართავდა: ჯეინიც იქვე ჩაცუცქულიყო და ხელში გორგალი ეჭირა. ქვემოდან ტყუპების ჭყიპინი ისმოდა, ელინის მეთვალყურეობით თამაშობდნენ. ბავშვების ოთახში მყუდროება სუფევდა. მერი პოპინსის გორგალი უფრო და უფრო გაიბერა. საათი თავმომწონედ წიკწიკებდა, გეგონებოდა, ახალკვერცხდადებული დედალი კაკანებსო.

– რატომ მტკივა მე კბილები და ჯეინს არა? – წაიწუწუნა მაიკლმა და მერი პოპინსის მიცემული შარფით ლოყა აიხვია.

– რატომ და გუშინ ზომაზე მეტი ტკბილეული ჩასანსლე, – არ შეიბრალა მერი პოპინსმა.

– ჩემი დღეობა იყო და აბა, რა მექნა! – გამოეპასუხა მაიკლი.

– ეს იმას არ ნიშნავს, ზომიერება დაკარგო! რატომ მე არა მტკივა კბილები დღეობის შემდეგ!

მაიკლმა ბრაზით შეხედა, ხანდახან მოუნდებოდა, მერი პოპინსი მთლად ასეთი სრულყოფილი არ ყოფილიყო, მაგრამ ამის თქმას ხმამაღლა ვერასოდეს ბედავდა.

– აი, ავდგები და მოვკვდები! – დაიმუქრა მაიკლმა. – მაშინ ინანებთ, ასეთი შეუბრალებელი რომ ხართ.

მერიმ აგდებულად ჩაიფრუტუნა და მატყლის რთვა განაგრძო.

მაიკლმა სახე ხელებში ჩარგო და მიიხედა-მოიხედა, ნუგეშისმცემელს ეძებდა. თითქოს ოთახის ყველა ნივთი თანაგრძნობით შესცქეროდა. ესენი იყვნენ მისი ძველი კეთილი მეგობრები: შპალერი, ცხენი-სარწვევლა, გაცვეთილი წითელი ხალიჩა.

მაიკლმა მზერა ბუხრის თაროზე გადაიტანა.

კომპასიც იქ იდგა და სამეფო ფაიფურის ლანგარიც; იქვე იყო მურაბის ქილაში ჩადებული ზიზილები, ფრანის ბაწრის კოჭი და მერი პოპინსის თერმომეტრი. მათ შორის თავს იწონებდა დეიდა ფლოსის გუშინდელი საჩუქარი: თეთრი ფაიფურის ნაირფრად მოხატული ფისო ფეხებშიტყუპებული იჯდა, თათებზე კუდი მოეხვია. ფაიფურის ზურგს მზის სხივი ეცემოდა; მწვანე თვალებს ამაყი და სერიოზული გამოხედვა ჰქონდა.

მაიკლმა მეგობრულად გაუღიმა. მაიკლს დეიდა ფლოსი უყვარდა და ეს საჩუქარიც ძალიან გაუხარდა.

ამ დროს კბილმა საშინლად შეუტია.

– ვაიმე! თავი გამისკდება! – დაიკვნესა მან და საწყალობლად შეაჩერდა მერი პოპინსს.

– არავის ვენაღვლები! – დაიჩვილა გულმოკლულმა.

მერი პოპინსმა დაცინვით გაიღიმა.

– ეგრე ნუ მიყურებთ! – აზლუქუნდა მაიკლი და ლოყაზე ხელი მაგრად მიიჭირა.

– რატომ! ხომ იცი, კატამ მეფეს შეხედა!

– მე ხომ მეფე არა ვარ, – განაგრძობდა ბუზლუნს მაიკლი, – არც თქვენ ხართ კატა, მერი პოპინს!

მაიკლს ეგონა, კამათს გამიზამს და კბილის ტკივილი გამიყუჩდებაო.

– როგორ ფიქრობთ, ყველა კატას შეუძლია მეფეს შეხედოს? მაგალითად, მაიკლის კატას შეუძლია? – ჰკითხა ჯეინმა.

მერი პოპინსმა აიხედა. მისი ცისფერი თვალები კატის მწვანე თვალებს წააწყდა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

– ყველა კატას შეუძლია, – თქვა ბოლოს. – ამ კატას ხომ შეუძლია და შეუძლია.

თავისთვის ჩაიღიმა და ისევ ძაფს მიუბრუნდა. ამ დროს თაროზე რაღაცამ გაიფაჩუნა. ფაიფურის კატამ ფაიფურის უღვაშები გააცმაცუნა, თავი ასწია და დაამთქნარა, ბასრი კბილები და ვარდისფერი ენა გამოუჩნდა. მერე კატამ მოხატული ზურგი ასწია, აიზლაზნა, კუდი გააქნია და თაროდან იატაკზე ჩამოსკუპდა.

– მიაუ! – დაიკნავლა მან. ხალიჩას გამოჰყვა, მერი პოპინსს მიეახლა და თავი დაუკრა. მერე ფანჯრის რაფას შეახტა და ისკუპა ფანჯრიდან, საიდანაც უხვად იღვრებოდა ოქროსფერი მზის სხივები.

მაიკლს კბილის ტკივილი სულ დაავიწყდა.

ჯეინს გორგალი ხელიდან გაუვარდა.

ორივეს კინადამ თვალები გადმოსცვივდა.

– რ-როგორ, რ-რანაირად? – ლულლულებდნენ ისინი. – რატომ? ს-საით?

– დედოფალს უნდა ეწვიოს სტუმრად, – უპასუხა მერი პოპინსმა. – ყოველ მეორე პარასკევს დედოფალი დარბაზობას მართავს. ჯეინ, თვალებს ნუ ატრიალებ! ქარი მიმართულებას შეიცვლის! მაიკლ, პირი ნუ დაგიღია, თორემ კბილი გაგიცივდება.

მაიკლმა პირი უცებ დამუწა, მაგრამ მაშინვე დაალო.

– მინდა ვიცოდე, რას ნიშნავს ეს! – დაიყვირა მან. – ფაიფურის კატაა! ნამდვილი არ არის! ხტუნავს! მე თვითონ დავინახე!

– რატომ წავიდა დედოფალთან სტუმრად? – იკითხა ჯეინმა.

– თავგების შესაპყრობად, – მშვიდად გასცა პასუხი მერი პოპინსმა, – და ძველი ბედნიერი დროის მოსაგონებლადაც.

ჯეინმა თვალებით გააფრთხილა მაიკლი. მაიკლი საწოლიდან გადმოძვრა, სავარძელთან მიიპარა. სავარძელი აჭრაჭუნდა. მერი პოპინსმა, ეტყობა, ვერაფერი შეამჩნია. თვალი ფანჯრისათვის თუ სადღაც შორეთისათვის მიეშტერებინა.

– იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე, – დაიწყო მან აუჩქარებლად. – იგი ფიქრობდა, ამქვეყნად ყველაფერი ვიცო. რამდენი რამ იცოდა, ანუ, უფრო სწორად, ფიქრობდა, ვიცო, ენა ვერ იტყვის. თავი ციფრებითა და ფაქტებით ისე ჰქონდა სავსე, როგორც ბროწეულია მარცვლებით გამოტენილი. იმდენი იცოდა და ისეთი ჰკვიანი იყო, გონებადაბნეული გახდა, ყველაფერი ავიწყ-დებოდა. თქვენ ალბათ არ დამიჯერებთ, თუ გეტყვით, რომ ხანდახან საკუთარი სახელიც ავიწყდებოდა, სახელად კი კოლი ერქვა. სა-

ბედნიეროდ, პირველ მინისტრს ბრწყინვალე მეხსიერება ჰქონდა და დროდადრო შეახსენებდა, კოლი გეკიაო.

მეფეს ამქვეყნად ყველაფერს ერჩია ფიქრი. ფიქრობდა მთელი ღამე, ფიქრობდა დილაობით. ფიქრობდა საუზმეზე, სადილად, ვახშმად, აბაზანაში. არასოდეს ამჩნევდა, რა ხდებოდა მის ცხვირწინ, რადგან ყოველთვის ფიქრებში იყო გართული.

თქვენ შეიძლება იფიქროთ, თავისი ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობდა, ხალხის ბედნიერებაზე ფიქრით იწუხებდა თავსო, არა! მას თავში სულ სხვა რამ უტრიალებდა. მაგალითად, აინტერესებდა, ინდოეთში რამდენი ბაბუინია, ან რომელი პოლუსია უფრო დიდი – ჩრდილოეთისა თუ სამხრეთისა, ან შეიძლება თუ არა ისწავლოს სიმღერა ღორმა.

ამაზე მართო თვითონ კი არ იმტვრევდა თავს, სხვებსაც აწვალებდა. ყველას აწვალებდა, გარდა პირველი მინისტრისა, რომელსაც ფიქრი არ უყვარდა, მაგრამ არაფერი ერჩია მზის გულზე უსაქმოდ ჯდომას. ოღონდ ცდილობდა, ეს არავის შეემჩნია, თორემ მეფე არ აპატიებდა და თავს მოჰკვეთდა.

მეფე ბროლის სასახლეში ცხოვრობდა. ოდესღაც სასახლე ისე ბრწყინავდა, რომ გამვლელ-გამომვლელები თვალს ხუჭავდნენ, არ დავბრმავდეთო. გაიარა წლებმა, ამასობაში, მტვერი დაედო, დაიბურა, არც არავინ იყო, რომ დაესუფთავებინა, არავის ეცალა. მეფეს ეხმარებოდნენ ფიქრში ყველანი: მზარეულებიც, შინამოსამსახურეებიც, ჭურჭლის მრეცხავებიც, ვინც უნდა ყოფილიყო, უბრძანებდნენ და ისიც თავქუდმოგლეჯილი უნდა გაქცეულიყო ჩინეთში აბრეშუმის ჭიის დასათვლელად, ან სოლომონის კუნძულზე, იმის გასაგებად, მართავდა თუ არა ქვეყანას დედოფალი საბია.

დაბრუნდებოდნენ, ჩამოიტანდნენ უტყუარ ამბებს, ცნობებს, მონაცემებს. მეფე და დიდებულები მაშინვე ჩაწერდნენ ტყავისყდიან დიდ წიგნში. თუ ვინმეს ღმერთი გაუწყრებოდა და პასუხს ვერ მოიტანდა, თავს მოჰკვეთდნენ.

ერთადერთი, ვისაც საქმე ჰქონდა სასახლეში, დედოფალი იყო. მთელი დღე იჯდა ოქროს ტახტზე და ყელზე ჩამოკიდებულ ცისფერ და მწვანეყვავილებიან ყელსაბამს ათამაშებდა. ზოგჯერ დაიკვივლებდა, წამოხტებოდა და თავის ყარყუმის მოსასხამში მაგრად გაეხვეოდა. ეს იმიტომ, რომ ჭუჭყით სავსე სასახლე თავგვბითაც გაივსო. ხოლო თავვისა, როგორც იცით, ყველა დედოფალს ეშინია.

დედოფალი ხანდახან მეფის ტახტზე ახტებოდა ხოლმე.

მეფე ასეთ დროს იკმუხნებოდა.

– თუ შეიძლება, ჩუმად! – ეუბნებოდა უკმაყოფილოდ. მას ხომ გაფაჩუნებაც კი უშლიდა ფიქრს.

თავგები შეკვივლებაზე დაწიოკდებოდნენ ხოლმე და დარბაზში ცოტა ხნით სიჩუმე ისადგურებდა. ისმოდა მხოლოდ ბატის ფრთის კალმის წრიპინი, მეფე და კარისკაცები ტყავისყდიან დავთარში ახალმიღებულ ცნობებს, მონაცემებს და ფაქტებს წერდნენ.

დედოფალი არავის არაფერს უბრძანებდა, თვით სეფექალებსაც კი. ან რა აზრი ჰქონდა, მეფე მის ბრძანებას მაინც ყოველთვის ცვლიდა.

– დედოფალს კაბა ამოვუკემსოთო?! – ბრაზი მოერეოდა მას. – რა კაბა, რის კაბა! კაბაზე ლაპარაკი ღირს? აიღეთ კალამი და ჩაწერეთ წიგნში ახალი ცნობები ფრინველ ფენიქსზე.

სეფექალები მეფეს ემორჩილებოდნენ, საწყალი დედოფალი ან თვითონ იკემსავდა კაბას, ან დადიოდა ჩამოწეწილ-ჩამოგლეჯილი.

თავის ტახტზე მოკალათებული საწყალი დედოფალი ხშირად იგონებდა წარსულს, იმ დროს, როცა მეფეს გაჰყვა ცოლად. მაშინ მეფე მაღალ-მაღალი, ტანადი, ხუჭუჭთმიანი – ლამაზი, ღონიერი და სიცოცხლით სავსე ჭაბუკი იყო.

– აააჰ! – ამოიხვნეშებდა დედოფალი. ის დრო სჯობდა, როცა მეფე თავლისკვერებიტაც უმასპინძლებოდა, ბუტერბროდებსაც თვითონ მიართმევდა! ისეთი სიყვარულით შესცქეროდა, დედოფალს გული საგულეში არ უჩერდებოდა და თავს მიაბრუნებდა, ბედნიერებისაგან არ დავდნეო!

მერე, ერთ დაწყველილ საღამოს...

– ვარსკვლავებზე უფრო კაშკაშა თვალები გაქვს, – უთხრა მეფემ და ცას ახედა.

ახედა და დაბლა აღარ დაუხედავს.

– საინტერესოა, – თქვა ჩაფიქრებულმა, – რამდენი ვარსკვლავია? ალბათ, დავითელი: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი...

ითვალა და ითვალა მანამ, სანამ დედოფალს არ ჩაემინა.

– ათას ორას ორმოცდაცხრა, ათას ორას ორმოცდაათი... – ამბობდა მეფე, როცა დედოფალს გამოელვინა. და იგი მიხვდა, რომ მეფე ისევ ითვლიდა და ითვლიდა.

ვერ მოისვენა მეფემ, სანამ ყველა კარისკაცი ფეხზე არ წამოყარა და ვარსკვლავების თვლა არ დააწყებინა. ითვალეს და ითვალეს კარისკაცებმა, მაგრამ პასუხები ერთმანეთს არ დაემთხვა.

ასე დაიწყო ყველაფერი.

მეორე დღეს მეფემ დედოფალს ქათინაური სტყორცნა:

– ძვირფასო, ვარდივით ბრიალა ლოყები გაქვს.

დედოფალმა გაიხარა, მაგრამ მაშინვე ჩაიფერფლა, რადგან მეფემ დასძინა:

– რატომ ვარდივით და არა კომბოსტოსავით? რატომაა ლოყა ვარდისფერი, ხოლო კომბოსტო მწვანე და პირიქით? სერიოზული საკითხია. ღირს ჩაფიქრებად!

მესამე დღესაც იგივე განმეორდა. უთხრა, მარგალიტივით კბილები გაქვსო და დედოფალმა საპასუხო გაღიმებაც ვერ მოასწრო, მეფემ განაგრძო:

– თუმცა, რაა გასაკვირი? კბილები ყველასა აქვს, მარგალიტივით კბილებიც არაა იშვიათი, მაგრამ მარგალიტი იშვიათია! აი, რაა საფიქრალი!

იმ დღიდან მოყოლებული ფიქრი არ შეუწყვეტია. ფიქრობდა, ფიქრობდა და ფიქრობდა, თავს უყრიდა ცნობებს, ფაქტებს, მონაცემებს და თითქმის ზედ არ უყურებდა დედოფალს. რომ შეეხედა, საკითხავია, დაინახავდა თუ არა. იმდენს კითხულობდა და წერდა, მალე სიბეცე დასჩემდა. ფერი დაკარგა, ჩამოჰკვნა და გაჰალარავდა.

ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ დანადვლიანდებოდა საწყალი დედოფალი! ზოგჯერ მოხუცი მინისტრი მიიპარებოდა ტახტთან და დედოფალს ხელზე ხელს მოუთათუნებდა. ზოგჯერ პაჟი, მელანს რომ უსხამდა მეფეს სამელნეში, გაუღიმებდა, მაგრამ არც მოხუცსა და არც ყმაწვილს დრო არა რჩებოდათ, დედოფალი გაერთოთ. წუთითაც რომ თავი გაენებებინათ საქმისათვის, თავის მოკვეთა არ ასცდებოდათ.

არ გეგონოთ, მეფე ავი ყოფილიყო. პირიქით, სჯეროდა, ჩემი ქვეშევრდომები უბედნიერესი ხალხია, ასეთი ჭკვიანი და სწავლული მეფე რომ ჰყავთო. მაგრამ, რა თქმა უნდა, სანამ ის მეფედ ბრძანდებოდა, ქვეშევრდომები გალატაკდნენ, სახლები გამოცარიელდა, მინდორ-ველი გატიალდა, რადგან ყველა მამაკაცი მეფეს ეშველებოდა ფიქრში...

ქალები საშინლად ბრაზობდნენ. მეფის განსწავლულობა ჩირადაც არ უღირდათ. ცნობებით ხომ არ გამოვკვებავთ ბავშვებსო, ამბობდნენ ისინი, ვერც ბინის ქირას გადავიხდითო. მეღორეები და მწყემსებიც კი დრტვინავდნენ. თუ მოიგონებთ, რომ საერთოდ ყველა მეღორესა და მწყემსს თავი მოჯადოებული უფლისწული ჰგონია, მიხვდებით, სამეფოში როგორ ჭირდა ცხოვრება.

ერთ მშვენიერ დღეს მეფე და კარისკაცები, ჩვეულებისამებრ, უსხდნენ მაგიდას სამეფო დარბაზში და კალმებს აწრიპინებდნენ. დედოფალი ყურს უგდებდა კალმის წრიპინსა და თავგების წრუწუნს. ისე ჩუმად იჯდა, რომ ერთმა თავხედმა თავგმა მთელი დარბაზი გამოიარა და სამეფო ტახტქვეშ არხეინად შეუდგა ულვაშების ცმაცუნს. დედოფალმა შიშისაგან შეჰკვივლა, მაგრამ მაშინვე პირზე ხელი დაიფარა, მეფეს ხელი არ შევეშალოო, აიკრიფა თავისი ყარყუმის მოსასხამის კალთა და შიშით აკანკალებული გაიღურსა.

უცებ, სად იყო და სად არა, ზღურბლზე კატა გამოჩნდა. პატარა ფისო იყო, ბაბუაწვერასავით ფუმფულა, ულვაშებიდან კუდამდე შაქარივით თეთრი. დარბაზში ნება-ნება შემოვიდა, თითქოს საქმე არაფერი აქვს, დრო კი თავსაყრელიო.

წუთით ხალიჩასთან შეყოვნდა, ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა წიგნებში თავჩარგულ მეფესა და კარისკაცებს. მერე მწვანე თვალებით დედოფალს მოხედა. უცებ შეხტა და მთელი ტანით აცახცახდა, მოიკეცა, ულვაში აებურძგნა, ერთი ნახტომით გადაჭრა დარბაზი და ტახტს ქვემოთ შეძვრა.

ერთი კრუტუნნი, ერთიც დაწრუწუნება და თავვი აღარ იყო.

– ჩუმად, გეთაყვა! რანაირად ხვნიში, ძვირფასო, ფიქრი შემაწყვეტინე! – აბუზღუნდა მეფე.

– მე არ ვხვნიში! – გაბედა ხმის ამოღება დედოფალმა. – კატაა.

– კატა? – დაიბნა მეფე, თავი კი არ აუწევია, – კატები ბეწვიანი ოთხფეხა ძუძუმწოვრები არიან. შინაურ თუ გარეულ კატებს დედამიწის ყველა კუთხეში შეხვდებით, გარდა პოლარული ზონისა; ჭამენ თავგებს, თევზებს, ფრინველთ; ხან კრუტუნებენ, ხან კნავიან, გააჩნია განწყობილებას. აქეთიქით დახეტილობენ. ხალხური გადმოცემა ამბობს, კატას ცხრა სული უდგასო. დანარჩენი თუ გაინტერესებს, ნახე მეშვიდე ტომი, მეორე გვერდი, დ. თაროზე, მეხუთე კარადაში, როგორც შეხვალ, მარცხნივ. ეჰ! ეს რაღაა!

მეფე კინალამ წამოხტა. მის წინ, მაგიდაზე კატა იჯდა.

– ფრთხილად! – გაბრაზდა მეფე. – სულ ბოლო-დროინდელ ცნობებზე დასკუპებულხარ. ფრიად სერიოზული საკითხია. ინდაურები ინდური წარმომავლობისა არიან თუ არა, თუ არ არიან, რატომ? რა გინდა? თქვი, ნუ დუღლუნებ, თითქმის დავყრუვდი!

– მინდა შემოგხედოთ, – მშვიდად უთხრა კატამ და კუდი სამელნეს გადაუსვა.

– ოჰო! შეხედე! ჰმ! რას იზამ, ნათქვამია, კატამ მეფეს შეხედაო! არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მიმზირე, დატკბი!

მეფე სავარძლის ზურგზე გადაწვა და თავი მოაბრუნა, რომ კატას თავიდან ბოლომდე დაეთვალიერებინა.

კატა დაფიქრებული შესცქეროდა. კარისკაცებმა წერას თავი ანებეს და კატას მიაშტერდნენ. დუმილმა დაისადგურა.

– აბა, – მედიდურად გაიღიმა მეფემ. – ბრძანეთ, თუ შეიძლება, ვინა გგონივართ?

– არც ისე დიდი ვინმე! – უდარდელად გამოეპასუხა კატა და თათი მოილოკა.

აცახცახებული კარისკაცები კალმებს ეცნენ.

– რააა? – იღრიალა მეფემ. – არც ისე დიდი ვინმე? უყურე ერთი! საწყალო, უმეცარო ცხოველო, იცი, როგორ მეფეს შესცქერი?

– საერთოდ, ყველა მეფე ერთნაირია, – მიუგო კატამ.

– არაფერიც! – გაბრაზდა მეფე. – თავს დავდებ, რომ ვერ დაასახელებ ვერცერთ მეფეს, ცოდნით შემედაროს! ტყუილად კი არ მოდიან ქვეყნის კიდიდან პროფესორები ნახევარსაათიანი კონსულტაციისათვის! ჩემ მიერ შეგროვილი ფაქტების, ცნობების, მონაცემების დარი მსოფლიოში არ არის! ჩემს კარზე ნარჩევი საზოგადოებაა შეკრებილი. გოლიათების რისხვა – მამაცი ჯეკი ჩემს ბაღჩა-ბაღებს უვლის! ჩემს ცხვრის ფარას, სხვა კი არა, ცეროდენა მწყემსავს! ჩემს სამზარეულოში სულ ასფურცელა ქადა ცხვება! და შენ კიდევ ბედავ, თქვა ჩემზე, არც ისე დიდი ვინმე ხარო? ვინა ხარ შენ თვითონ, მეფეს ასე რომ ელაპარაკები?!

– უბრალო კატა ვარ! ოთხი თათი მაქვს, მეხუთე კუდი მაბია. ულვაშებიც მაქვს...

– ამას მეცა ვხედავ! – სიტყვა გააწყვეტინა მეფემ. – გარეგნობა არ მაინტერესებს! ჩემთვის მთავარია, რა იცი?

– ყველაფერი ვიცი! – თქვა კატამ და კუდი აპრიხა.

– როგორ? – მეფემ აღშფოთებისაგან სული ძლივს მოითქვა. – იცი, შენისთანა თვითმარქვია, შენისთანა ტრაბახა ჯერ არ შემხვედრია! დიდი სურვილი მაქვს, თავი გაგაგდებინო!

– სიამოვნებით! – დაეთანხმა კატა. – მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს!

– ყველაფერი იცის ამქვეყნად! უსინდისო ქმნილება! არავის შეუძლია ყველაფერი იცოდეს! მეც კი არ ვიცი ყველაფერი!

– კატებმა იციან, – თქვა კატამ. – გარწმუნებთ, ყველა კატამ ყველაფერი იცის!

– კარგი! – ჩაიბურღლუნა მეფემ. – მოგიწევს, დაგვიმტკიცო, რაცა თქვი! ისეთი ჭკვიანი თუ ხარ, როგორც ამბობ, სამ კითხვას დაგისვამ. და ჩვენ ვნახავთ... რასაც ვნახავთ!

და ჩაიცინა. გულში გაიფიქრა, ეს ბაქიბუქა ტრაზახს თუ არ მოიშლის, ნახავს სეირსო.

– მაშ, ასე, – მუცელზე ხელები დაიწყო და თქვა მეფემ. – პირველი კითხვა ასეთია:

– ერთი წუთით! – მშვიდად შეაჩერა კატამ. – მაპატიეთ, მაგრამ მე ვერ გიპასუხებთ თქვენს კითხვებზე მანამ, სანამ პირობებზე არ შევთანხმდებით. ბრიყვი კატები არ არსებობენ. მზადა ვარ, პირობები შემოგთავაზოთ. თქვენ მომცემთ სამ კითხვას, ძალიან კარგი. მე გიპასუხებ. სამაგიეროდ, მერე მე დაგისვამთ სამ კითხვას. ხომ სამართლიანად ვსჯი? ვინც გაიმარჯვებს, მან მართოს სამეფო. განცვიფრებულ კარისკაცებს კალმები ხელიდან დაუცვივდათ, მეფეს გაკვირვებისაგან თვალელები კინაღამ გადმოსცვივდა, მაგრამ მრისხანება შეიკავა.

– შენი ნებაა, – თქვა ზვიადად. – რა თქმა უნდა, დროს ტყუილად ვკარგავთ, მაგრამ გეთანხმები. ოღონდ, ვშიშობ, სანანებელი არ გაგიხდეს.

– მოიხადეთ გვირგვინი და ჩვენ შორის დადეთ, – უთხრა კატამ.

მეფემ მოიძრო გვირგვინი აბურძნული თავიდან. მზეზე აბრწყინდა პატიოსანი თვლები.

– აბა, მალე მოვრჩეთ ამ სისულელეს! სამუშაო მაქვს, – თქვა მრისხანედ. – მზადა ხარ? მაშ გამეცი პასუხი პირველ კითხვაზე:

– მეწისქვილე წისქვილში მივიდა, წისქვილს ოთხი კუთხე აქვს, ყოველ კუთხეში ოთხ-ოთხი ტომარა დევს. თითოეულ ტომარაზე ოთხ-ოთხი კატა ზის, თითო კატას ოთხი კნუტი ჰყავს. რამდენი ფეხია სულ წისქვილში?

– ძალიან მარტივი კითხვაა! – გაიღიმა კატამ. – ორი ფეხია.

– როგორ თუ ორი? – აღშფოთდა მეფე, – აბა, კარგად დაითვალე!

– რა არის აქ დასათვლელი, – აგდებულად უპასუხა კატამ. – ფეხები მხოლოდ მეწისქვილესა აქვს, კატებს, ყველამ იცის, რომ თათები აქვთ და არა ფეხები!

კარისკაცებმა ერთმანეთს გადახედეს. არასოდეს სმენიათ მსგავსი პასუხი. მეფე მოიჭმუნა, აშკარად არ მოეწონა კატის პასუხი.

– კარგი! – თქვა პირქუშად. – მითხარი, რა განსხვავებაა აქლემსა და მეკურტნეს შორის?

– არავითარი, – არც დაფიქრებულა კატა. – ერთიც და მეორეც კუზით ჭამს ლუკმაპურს!

– მოიცა, მოიცა! – თავი ვეღარ შეიკავა მეფემ. – ასეთ პასუხს არ ველოდი! სერიოზულ პასუხს ვითხოვ!

– მე არ ვიცი, თქვენ რას ელოდით, – უთხრა კატამ, – მაგრამ პასუხი სწორედ მოგახსენეთ. ვისაც გნებავთ, ჰკითხეთ და დაგიდასტურებენ. სულერთია, რომელ კატას ჰკითხავთ!

მეფემ სიბრაზისაგან ტუჩი მოიკვნია.

– ვხედავ, სულელურად შევტოპეთ, კომედიას, ფარსია! რას იზამ, აბა, სცადე ერთი და მესამე კითხვაზე მიპასუხე!

მეფეს სახეზე ეტყობოდა, რომ დარწმუნებული იყო, კატა ახლა კი ჩავარდებო.

მედიდურად გაშალა ხელები და დაიწყო:

– თორმეტი კაცი დღეში რვა საათს მუშაობს, უნდა ამოთხარონ ათნახევარი მილის სიღრმის ორმო, რამდენ ხანს მოუნდებიან, კვირადღეებიც რომ მივათვალოთ? აბა, რამდენსა?

მეფეს თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა, წინდაწინ ზეიმობდა გამარჯვებას.

მაგრამ კატას პასუხი მზად ჰქონდა,

– სამ სეკუნდს, – თქვა და კუდი მოიქნია.

– სამ სეკუნდს? ჰკუიდან შეიშალე? თქვი რამდენ წელიწადს მოუნდებიან, – მეფემ კმაყოფილებისაგან ხელები მოიფშვნიტა, გაიფიქრა, კატა ახლა კი გაეზო.

– ვიმეორებ, – თქვა კატამ. – სამ სეკუნდს მოუნდებიან, სამ სეკუნდში მიხვდებიან, რომ თხრა წყლის ნაყვას და ნიჩბებს დაალაგებენ, რადგან თავიანთ სიცოცხლეში ვერ ამოთხრიან ამ სიღრმე ორმოს.

– შეკითხვის აზრი ეს არ არის! – გაბრაზდა მეფე.

– აბა, მაშინ სულ არა ჰქონია აზრი! – უთხრა კატამ. – ახლა, მგონი, ჩემი რიგია, შეგეკითხოთ.

მეფემ მხრები აიჩეჩა. ვიღაცა კატა ბედავს, იჯდეს მის მაგიდაზე და თანაც კითხვები დაუსვას!

– თქვი, ოღონდ ჩქარა, ისედაც ბევრი დრო წამართვი.

– ჩემი კითხვები მარტივია და მოკლე, – უთხრა კატამ. – რომელიც გნებავთ კატა გასცემს პასუხს, სანამ უღვავს გააცმაცუნებდეს! დარწმუნებული ვარ, მეფესაც ექნება საამისო ჰკუა. პირველი კითხვა ასეთია: რამსიმაღლეა ცა?

მეფემ კმაყოფილებისაგან ამოისუნთქა, ასეთი კითხვა მოეწონა, მის გემოვნებას შეეფერებდა, ზვიადად ჩაიღიმა და უპასუხა:

– რა თქმა უნდა, ცის სიმაღლის ცნება შედარებითია, ზღვის დონიდან თუ ვიანგარიშებთ, სხვა იქნება, მთის მწვერვალიდან – სხვა, ყველაფერ ამას თუ მივიღებთ მხედველობაში და თან განვსაზღვრავთ სიგანესა და სიგრძეს მეტეოროლოგიური, ფსიქოლოგიური, გეოლოგიური, ტოპოლოგიური, ასტრონომიული, სტატისტიკური, ლინგვისტიკური, ბელეტრისტიკული და მისტიკური მონაცემების საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია...

– მაპატიეთ! – შეაწყვეტინა კატამ. – ეს არაა ჩემი კითხვის პასუხი. სცადეთ კიდევ ერთხელ, რამსიმაღლეა ცა?

მეფეს მრისხანებისა და გაცემებისაგან თვალები გადმოუცვივდა, როგორ გაუბედეს სიტყვის შეწყვეტინება!

– ცა, წაიდუდუნა მან. – ცა... მ-მ-მ... ცა... იმას ვერ ვიტყვი, ზუსტად რამდენ მეტრზეა. ვფიქრობ, სხვაც ვერ იტყვის. მაგრამ დაახლოებით, იქნება... მ-მ-მ... ე-ე-ე...

– ზუსტი პასუხი გამეცით, – თქვა კატამ. მერე მასზე თვალმიშტერებულ კარისკაცებს გადახედა. – ეგებ ვინმემ მიპასუხოს ამ მეცნიერების ტამრიდან?

მეფეს შიშით შეხედა და აცახცახებულმა მინისტრმა ხელი ასწია.

– მე ასე მგონია, – ამოიბლუკუნა მან, – ცა არწივთა საფრენზე უფრო მაღალია. ბერიკაცი ვარ და შეიძლება ვცდებოდე...

კატამ თოვლივით ქათქათა თათი თათს შემოჰკრა.

– არა, არ ცდებით! მართალი ბრძანდებით! – მოუბრუნდა ტკბილად კატა და წამით მწვანე თვალები ბერიკაცის შეშინებულ თვალებს შეაფეთა.

გამძვინვარებული მეფე აბუზღუნდა:

– სისულელეა! ჩმახია!

კატამ თათი ასწია, სიწყნარე ითხოვა.

– მიპასუხეთ, თუ შეიძლება, მეორე კითხვაზე. სად გვხვდება ყველაზე ტკბილი რძე?

მეფეს ნელინელ სახე გაუნათდა. თვითკმაყოფილებით ჩაიცინა.

– ეგ ხომ ადვილია, როგორც ორჯერ ორი, – თქვა მან. – რა თქმა უნდა, სარდინიაში. იქ ძროხები ვარდსა და თაფლს გაახლებიან და შარბათივით ტკბილ რძეს იწველიან, ჰორიზონტალურ კუნძულებზეც ტკბილია რძე, სადაც მხოლოდ შაქრის ლერწმით კვებავენ ძროხებს. საბერძნეთშიც ტკბილ რძეს იწველიან ძროხები. ერთი სიტყვით, მხედველობაში თუ მივიღებთ...

– არაფრის მიღება არ შემიძლია მხედველობაში, – უთხრა კატამ, – გარდა იმისა, რომ ისევ ვერ მიპასუხეთ ჩემს კითხვაზე, სად გვხვდება ყველაზე ტკბილი რძე, მეფეო?

– მე ვიცი! – იყვირა ყმაწვილმა პაჟმა და მელნის ჩასხმას თავი ანება, – ყველაზე ტკბილი რძე, ღუმელთან მიდგმულ ლამბაქზე რომ ასხია, ისაა.

კატამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია პაჟს და მეფის წინ დაამთქნარა.

– მეგონა, უფრო ჭკვიანი იყავით! შეიძლება მეფეთა შორის ყველაზე ბრძენი ხართ, მაგრამ თქვენთვის დასმულ კითხვაზე ისევ სხვამ მიპასუხა! არა უშავს, ნუ დაღონდებით. – კატამ ნახა, რომ მეფე ყმაწვილ პაჟს გააფთრებული უმზერდა. – კიდევ გაქვთ გამარჯვების ერთი შესაძლებლობა. აი, ჩემი მესამე და ბოლო კითხვა: რა არის ქვეყნად ყველაზე ძლიერი?

მეფეს თვალები გაუბრწყინდა, გამეჩხერებული თეთრი წვერი ჩამოიფარცხა, ამჯერად ეჭვიც არ ეპარებოდა, პასუხს რომ სწორად გასცემდა.

– ვეფხვი, რა თქმა უნდა, – დაიწყო მან აუჩქარებლად. – ძალიან ძლიერია. ძლიერია სპილოც, ლომიც, ვულკანებიც, ზღვის მოქცევაც. ძლიერია მთის ჩამონაქცევიც, ზვავიც... მიწისძვრაც, შეიძლება...

– შეიძლება კი არა, – შეაწყვეტინა კატამ, – ვის შეუძლია თქვას, რა არის ქვეყნად ყველაზე ძლიერი?

მან თვალი მოავლო სამეფო დარბაზს. ამჯერად დედოფალმა ამოიღო ხმა.

– ვფიქრობ, ყველაზე ძლიერი მოთმინებაა, – თქვა მან ჩუმად. – ბოლოს და ბოლოს, მოთმინება ამარცხებს ყველაფერს.

კატის მწვანე თვალები დედოფალს მიაშტერდა.

– მართალია, ასეა, – დაუდასტურა მან. მიბრუნდა და გვირგვინს თათი წაავლო.

– მეფეთა შორის ბრძენთაბრძენო! – დაიკრუტუნა კატამ. – უცილობ-
ლად დიდად განსწავლული ბრძანდები, მე კი ჩვეულებრივი შინაური კატა
გახლავარ, მაგრამ ყველა კითხვაზე პასუხი გავეცი, შენ კი ერთხელაც ვერ
მიპასუხე. შედეგი, ჩემი აზრით, ნათელია. გვირგვინი მე მეკუთვნის.

მეფეს გაეცინა:

– სისულელეების ჩმახვას თავი გაანებე! რად გჭირდება გვირგვინი? კა-
ნონებს შენ ვერ გამოსცემ და სახელმწიფოს ვერ წარმართავ, წერა-კითხვაც
კი არ იცი! ჩემი სამეფო კატას დავუთმო? ჯობს უმაღლეს ჩამომახრჩონ.

კატამ ეშმაკურად გაიღიმა:

– განსწავლული კი ხარ, მაგრამ ვხედავ, ზღაპრები არ წაგიკითხავს,
თორემ გეცოდინებოდა, კატას რომ თავი გააგდებინო, მოჯადოებულ უფ-
ლისწულად იქცევა.

– ზღაპრებია, სისულელეა! მე ჩემს სამეფოზე ვფიქრობ!

– იძულებული ვარ, შეგახსენოთ, – უთხრა კატამ, – თქვენი სამეფო უკ-
ვე აღარაა თქვენი. თქვენც, რაც გევალებათ, ესაა, თავი მომკვეთოთ. დანარ-
ჩენი ჩემი საქმეა და არა თქვენი. და კიდევ, რამდენადაც თქვენ აღარ გჭირ-
დებათ, ამიერიდან მე მინდა მემსახურონ ბრძენი მოხუცი მინისტრი, ჭკვია-
ნი ქალი – თქვენი მეუღლე და ნიჭიერი ყმაწვილი – თქვენი პაჟი. უბრძანეთ,
დაიხურონ ქუდები და გამომყვინენ. ჩვენ ოთხნი მშვენივრად გავუძღვებით
სახელმწიფოს.

– მე რა მომივა? – ილრიალა მეფემ. – რა გზას დავადგე? როგორ ვიცხოვ-
რო?

კატამ თვალეზი მოჭუტა.

– ამაზე ადრე უნდა გეფიქრათ! ადამიანთა უმეტესობა ორგზის ჩაფიქ-
რდება, სანამ კატასთან საქმეს დაიჭერდეს, ახლა კი, სწავლულ კაცო, იშიშ-
ვლეთ ხმალი! დარწმუნებული ვარ, ბასრი იქნება!

– შეჩერდით! – იყვირა მინისტრმა და მეფეს ხმლის ვადაზე უტაცა ხე-
ლი, მერე კატას მოუბრუნდა და მდაბლად დაუკრა თავი:

– ქალბატონო, ყური მიგდეთ. თქვენ გვირგვინი პატიოსან ბრძოლაში
მოიპოვეთ. შეიძლება მართლა უფლისწული ბრძანდებით. მაგრამ მე ვერ
მივიღებ თქვენს წინადადებას, პირნათლად ვემსახურებოდი მეფეს ჯერ კი-
დევ მაშინ, როცა მამამისის კარის პაჟი ვიყავი. გვირგვინოსანი იქნება იგი
ახლა, თუ მაწანწალა, მე მაინც მიყვარს და მისი ერთგული დავრჩები.
თქვენთან ვერ წამოვალ.

– ვერც მე წამოვალ, – წამოდგა დედოფალი ოქროს ტახტიდან. – მის
გვერდით ვიყავი, როცა ჭაბუკი იყო და ლამაზი. და, რამდენი ხანია უხმოდ
ვითმენ ყველაფერს. ბრძენია თუ სულელი, მდიდარია თუ ღარიბი, მე მიყ-
ვარს და არ შემიძლია უიმისოდ გაძლება. არ წამოვალ.

– მეც, – თქვა ყმაწვილმა პაჟმა და მელნიან ბოთლს საცობი დაახურა. –
ეს სახლი ჩემი სახლია... მეფეც ჩემი მეფეა. მე ის მეცოდება. გარდა ამისა,
მელნის ჩასხმა მომწონს. არ წამოვალ შენთან!

კატამ უცნაურად გაიღიმა და მწვანე თვალეზი სხივი ჩაუდგა, მოხუც
მინისტრს, დედოფალსა და პაჟს რომ შეხედა.

– მეფეო, რას იტყვი ამაზე? – მიუბრუნდა მეფეს.

კითხვას პასუხი არ მოჰყოლია. მეფე ტიროდა.

– ბრძენკაცო, რატომ ტირი? – ჰკითხა კატამ.

– მრცხვენია და იმიტომ! – ქვითინებდა მეფე. – ჰკვიანი კაცის სახელს ვიჩემებდი. მეგონა, ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი ვიცი-მეთქი. და ვხედავ: მოხუციც, ქალიც და ყმაწვილიც ჩემზე ჰკვიანები ყოფილან. არ მინდა ნუგეში! – იყვირა, როცა დედოფალი და მოხუცი მინისტრი მიეახლნენ. – ღირსი არა ვარ! არაფერი არ ვიცი! ისიც კი არ ვიცი, ვინა ვარ მე!

სახეზე ხელები აიფარა.

– ოჰ, ვიცი, რომ მეფე ვარ! – ყვიროდა ის, – ვიცი, რა მქვია! მაგრამ ამდენი წელი გავიდა და ვერ გავიგე, ვინა ვარ სინამდვილეში!

– შემომხედე და გაიგებ, – უთხრა კატამ მშვიდად.

– ხომ გიყურებდი! – გულამოსკვნილი ტიროდა მეფე.

– კარგად შემომხედე, კარგად, – არ ეშვებოდა კატა. – შენ მხოლოდ თვალი შემავლე. შენ თვითონ თქვი, კატას შეუძლია მეფეს უმზიროსო. მეფესაც შეუძლია, კატას უმზიროს. თუ შემომხედავ, გაიგებ, ვინცა ხარ. თვალეში შემომხედე და ნახავ!

მეფემ მოიცილა ცხვირსახოცი და ცრემლიანი თვალებით ჩახედა კატას მწვანე თვალებში, სადაც მისი გამოსახულება ირეკლებოდა.

– ახლოს მოიწი, ახლოს, – უბრძანა კატამ.

მეფე მორჩილად დაიხარა. უფრო ღრმად ჩახედა კატის უძირო თვალებს და ნახა, რომ სახე ეცვლებოდა:

ნაოჭები ამოევსო, ლოყები აუვარდისფრდა, წაბლისფერი თმა დაუხუჭუჭდა, ჭადარა წვერი გაუმუქდა. თვალში ნათელი ჩაუდგა.

მეფე სიხარულისა და გოაცებისაგან შეკრთა. გაიღიმა. – კატის თვალებიდან მხრებგაშლილმა, ბრგე, ვარდისფერლოყება მამაკაცმა გაუღიმა.

– ხალხნო! ეს მე ვარ, მე! – იყვირა მან. – ბოლოს და ბოლოს ვიცი, ვინცა ვარ! არც ბრძენი ვარ და არც სწავლული – თავი გადააქნია და ახარხარდა. – ჰო-ჰო! ჰა-ჰა-ჰა! ყველაფერი ნათელია! არა ვარ მოაზროვნე პიროვნება! უბრალოდ მხიარული მეფე ვარ!

მან ხელები დაუქნია პირდაფჩენილ კარისკაცებს.

– ეი, თქვენ! მომაცილეთ კალმები და ქალღმერთები! დახიეთ ტყავისყდიანი წიგნები! მიწაში ჩაფალით მაგიდები! თუ ვინმე ახსენებს სიტყვას «ფაქტი», ჩემი ხელით წავაცლი თავს! ესაა ფაქტი! მეფემ ისევ ხარხარი მორთო და ისე მაგრად მოეხვია პირველ მინისტრს, რომ კინაღამ დაახრჩო.

– მაპატიე, ჩემო ერთგულო მეგობარო, – უყვიროდა ხმამაღლა, – დავისხით ღვინო, დატენეთ ჩიბუხები, დაუძახეთ მუსიკოსებს. შენ კი, ჩემო სიხარულო, ჩემო ბედნიერებავ, ჩემო მტრედო, – მოუბრუნდა დედოფალს, – მომე ისევ შენი ხელი, არასოდეს მიგატოვებ!

ბედნიერების ცრემლები ჩამოუგორდა ლოყებზე დედოფალს. მეფემ ნაზად მოსწმინდა.

– რაღად მინდა ციური ვარსკვლავები, – უჩურჩულა დედოფალს. – შენი თვალები ხომ მინათებენ!

– უკაცრავად, ხელი შეგიშალეთ, მაგრამ მე რა ვქნა? – ჰკითხა კატამ.

_ ხომ მიიღე სამეფო! გვირგვინი! მეტი რაღა გინდა? _ ველარ მოითმინა მეფემ.

_ ერთი ამას უყურე! _ თქვა კატამ. _ რად მჭირდება შენი სამეფო და შენი გვირგვინი! თვითონ დაიტოვე! მაგრამ, რადგან კატები უსასყიდლოდ არაფერს აკეთებენ, ორი პატარა სათხოვარი უნდა შემისრულო.

_ რასაც ინებებ! _ წამოიძახა ხელმწიფემ მეფურად. _ რასაც მიბრძანებ!

_ მე მინდა დროდადრო შემოვიდე სასახლეში და ვეწვიო...

_ მე? სიამოვნებით! მობრძანდით! _ სიტყვა არ დაამთავრებინა მეფემ.

_ ... დედოფალს, _ ნირშეუცვლელად განაგრძო კატამ.

_ აჰ, დედოფალს! მობრძანდით! როგორც გენებოთ! შენ დაგვეხმარები თავგების მოსპობა-განადგურებაში.

_ მეორე, მე გთხოვ, _ განაგრძობდა ისევ კატა, _ მომეცით ცისფერი და მწვანე ყვავილების ყელსაბამი.

_ წაიღე და მშვიდობაში მოიხმარე! _ მხიარულად უთხრა ხელმწიფემ, _ ისე, არაა მაინცდამაინც ძვირფასი.

დედოფალმა ცოტა დააყოვნა. მერე მოიხსნა ყელსაბამი და კატას ჩამოჰკიდა. თავიდან კუდამდე დაეფარა კატას ფუმფულა სხეული.

ამის შემდეგ დედოფალმა და კატამ ერთმანეთს ყურადღებით შეხედეს. ამ გამოხედვაში გამოსჭვიოდა ყველა საიდუმლო, რასაც კატები და დედოფლები გულში საიდუმლოდ ინახავენ და არავის უმჟღავნებენ.

_ ყოველ მეორე პარასკევს მაქვს დარბაზობა, _ გაუღიმა დედოფალმა კატას.

_ მოვალ! _ თავი დაუქნია კატამ.

ამ სიტყვაზე მობრუნდა და გასასვლელისაკენ გაემართა. კუდი დროშასავით ეჭირა, ყელსაბამი კი ფუმფულა ბეწვზე ბრწყინავდა.

_ ერთი წუთით! _ დაუძახა ხელმწიფემ, როცა კატა კარს მიადგა. _ გწამთ, რომ ნამდვილად მოჯადოებული უფლისწული ბრძანდებით? თავი რომ წამეცალა, ეგებ არაფერი მომხდარიყო?

კატა მობრუნდა და სერიოზულად შეხედა, მერე ოდნავ დამცინავად გაიღიმა.

_ ამქვეყნად რა შეიძლება გწამდეს? ნახვამდის! _ თქვა, მწვანე თვალები მოხუჭა და პარმალში გავიდა. კორდზე დაინახა თხა, რომელიც შადრევნის აუზში თავისი გამოსახულების ცქერით ტკბებოდა.

_ ვინა ხარ? _ ჰკითხა თხამ ახლოს ჩავლილ კატას.

_ მეფეს რომ შეხედა, ის კატა ვარ, _ უპასუხა კატამ.

_ მე კი, _ თავი დააკანტურა თხამ, _ რქოსანი თხა ვარ, ბალღებს ვერჩი!

_ ჰო? რატომ ერჩი?

თხა შეცბა. ადრე ამაზე არასოდეს დაფიქრებულა. უცებ მოეჩვენა, სისულელეს ჩავდივარ, ბალღებს რომ ვერჩიო. თავის სიცოცხლეში პირველად მიხვდა, რომ ბრიყვულად იქცეოდა.

_ მე... მე... ე... მგონი, _ დაიბნა თხა. _ მე... მე... ე, მგონი, თვითონ არ ვიცი, რატომ!

თქვა ესა და განზე გადგა, რომ თავის საქციელზე კარგად ჩაფიქრებულიყო.

გზად კატას დედალი შემოეყარა, ფრთებს აბათქუნებდა და კაკანებდა.
– ოქროს კვერცხის მდებელი დედალი ვარ, – მედიდურად ჩააკაკანა დედალმა.

– მართლა? – ჰკითხა კატამ. – სადა გყავს წიწილები?

– წიწილები? – გაფითრდა დედალი, – ვაი-ვაი-ვაი, წიწილები სადა მყავს! ძლივს არ მივხვდი, რა მაკლია!

და დედალი მაშინვე საქათმეში გაიქცა, რომ მალე დაედო ჩვეულებრივი კვერცხი.

ბრახ! კატის ცხვირწინ დაებერტყა ვიღაცა.

– გომბეშო ვარ, ვცეკვავ, ვბტუნავ! – ამაყად დაიყიყინა მან.

– და მეფის კარზე მოხვდი? – უთხრა კატამ. – ვფიქრობ, უკეთესი იყო, ჭაობში მოხვედრილიყავი!

– ყიყი! ოჰ, ყიყი, სწორია! – არ დაფარა გომბეშომ. – ეტყობა, მართლა შევცდი.

კატამ უკვე გაიარა, კუდაწეული მიირწეოდა, ყელსაბამი ისევ ისე ბრწყინავდა მზეზე.

ვინც ხვდებოდა კატას, ბედნიერებას ზეიმობდა, ახლებურად იწყებდა ცხოვრებას. თხა, დედალი და გომბეშო ბედნიერები იყვნენ, რადგან სისულელეებს თავი დააღწიეს. კარისკაცები გაბედნიერდნენ – მთელი დღე მუსიკა უკრავდა და ისინი ცეკვავდნენ. ბედნიერება ეწვია მეფეს, – ის აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. დედოფალს კი ბედნიერების სერიოზული საბაბი ჰქონდა – მეფე ბედნიერი იყო.

ყმაწვილი პაჟიც ბედნიერი იყო: მელანს რამდენიც უნდოდა, ასხამდა ბოთლიდან სამელნეში, სამელნიდან ბოთლში და, თუ დაეღვრებოდა, იმაზეც არავინ უჯავრდებოდა.

მაგრამ ყველაზე ბედნიერი მაინც ბებერი მინისტრი იყო.

მან ბრძანება შეადგინა და მეფემ ხელი მოაწერა: ქვეყნის ყველა კუთხეში გაეშალათ სუფრა, გაემართათ კარუსელები და სიცილის ოთახები. ეტრიალათ კარუსელზე და ემხიარულათ, ეცხოვრათ ტკბილად და უდარდელად.

ამის შემდეგ ბებერ მინისტრს მშვიდად შეეძლო მოსვენებისთვის მიეცა თავი. დარჩენილი დღეები იჯდა სარწეველა სავარძელში და მზეს ეფიცებოდა.

კატა კი დახეტიალობს კარდაკარ თავისი ყელსაბამით და ხანდახან ჩახედავს ადამიანებს თვალებში. ვინც პატიოსნად გაუყრის თვალს თვალში, მიხვდება, ვინაა თვითონ.

*

მთხრობელის ხმა მიწყდა, კედლის საათის წიკწიკილა ისმოდა.

უცებ მერი პოპინსი შეკრთა, თითქოს გამოაღვიძესო, და ყმაწვილებს შეუტია:

– რატომ არა წევხართ ამდენ ხანს ლოგინში, გამა-გებინე ერთი! მაიკლ, კბილი არა გტკიოდა? ჯეინ! რას მომაშტერდი, მოთვინიერებული დათვი კი არა ვარ!

მაიკლი ფიცხლად მივარდა ლოგინს, მაგრამ ჯეინი ადგილიდან არ დაძრულა.

– საინტერესოა, ვინ ვარ მე? – წაიჩურჩულა თავისთვის.

– მე ვიცი, ვინცა ვარ! – ამაყად უთხრა მაიკლმა. – მაიკლ ჯორჯ ბენქსი ვარ და არავითარ კატას არ დავეკითხები!

– მაიკლმა ყველაფერი იცის! ბრძენთაბრძენია! – აგდებულად ჩაიღიმა მერი პოპინსმა.

– როგორც კი მობრუნდება, – ამოღერდა ჯეინმა, – მაშინვე პირდაპირ ჩავხედავ მწვანე თვალებში.

– უკეთესია, შენს მოთხვრილ სახეს შეხედო და ვახშამამდე პირი დაიბანო! – ჩაიფრუტუნა მერიმ ჩვეულებისამებრ.

– ეგებ სულაც არ მობრუნდეს – იკითხა მაიკლმა. «კატა, რომელიც მეფეს თვალებში უყურებდა, არ მოინდომებს, მთელი სიცოცხლე ბუხრისთავზე გაატაროს», – ფიქრობდა ის.

– მე რა ვიცი! – შეულრინა მერი პოპინსმა. – ცნობათა ბიურო კი არა ვარ!

– ეს კატა ხომ მაიკლს აჩუქეს, – წამოიწყო ჯეინმა, მაგრამ ამ დროს ქვემოდან მისის ბენქსის ხმა მოისმა.

– მერი პოპინს! არ შეგიძლიათ ჩამოხრძანდეთ?

ყმაწვილებმა ერთმანეთს გადახედეს. დედა შეშინებული ჩანდა.

მერი პოპინსი გავიდა ოთახიდან თუ არა, ყმაწვილებიც ფეხაკრეფით კიბისთავზე გავიდნენ. ქვემოთ, შემოსასვლელში მისტერ ბენქსი სავარძელში მიწოლილიყო. შეშინებული მისის ბენქსი ხან თავზე უსვამდა ხელს, ხან კი ჭიქით წყალს აწოდებდა!

– ეტყობა, რაღაცამ დასცა თავზარი! – უთხრა მერი პოპინსს. – ჯორჯ, ჯორჯ, გვითხარი, რა დაგემართა? რა მოხდა?

– ნერვებმა მიმტყუნა! – ასწია გაფითრებული სახე მისტერ ბენქსმა. – გადავიღალე, საშინელებანი მეღანდება.

– კერძოდ, რა საშინელება? – იყვირა მისის ბენქსმა.

მისტერ ბენქსმა ყლუპი წყალი მოსვა.

– შემოვუხვიე თუ არა, უცებ – ამბობდა ბენქსი და თან ცახცახებდა, თვალებიც დაეხუჭა, – ჩვენს ჭიშკართან დავინახე!

– რა? – იყვირა ისევ მისის ბენქსმა.

– თეთრი მხეცი. ლეოპარდს ჰგავდა. ტანი თავვისყურათი ჰქონდა მოჩითული. ჭიშკარს რომ მოვუახლოვდი, თვალებში შემო... შემო... მაცქერდა საზარელი მწვანე თვალებით. პირდაპირ თვალი თვალში გამიყარა! მერე თავი დამიქნია და... და, და მითხრა: «სალამო მშვიდობისა, ბენქს!» – მერე სირბილ-სირბილით გაიქცა ბილიკზე.

– მაგრამ... – დაიწყო მისის ბენქსმა.

მისტერ ბენქსმა ხელი ასწია, შეაჩერა:

– შენ გინდა თქვა, ყველა ლეოპარდი ზოოპარკში ზის, ტანზე არც ერთს თავვისყურები არ აყრიაო და ასე შემდეგ. ეს ამბავი მეც მშვენივრად ვიცი. მესმის, რომ სინამდვილეში არავითარი მხეცი არ ყოფილა. სწორედ ესაა მისი მაჩვენებელი, რომ სერიოზულად ვარ ავად. ამ ლაპარაკს სჯობია, ექიმი სიმფსონი გამოიძახო.

მისის ბენქსი ტელეფონს მივარდა.

კიბისთავზე თითქოს სლოკინი აუტყდათ.

– რა დაგემართათ? _ ამოიკნავლა მისტერ ბენქსმა.

ჯეინს და მაიკლს ხმის ამოღება არ შეეძლოთ. გიჟებივით ხარხარებდნენ. სუნთქვა ეკვროდათ, იგუდებოდნენ და სიცილისაგან იატაკზე გორაობდნენ.

ყმაწვილებს სიცილის მიზეზი ჰქონდათ. მისტერ ბენქსი რომ ჰყვებოდა თეთრ მხეცზე, ფანჯარაში თეთრი კატა გამოჩნდა. ფანჯრის რაფიდან უხმაუროდ ჩამოხტა იატაკზე, მერე კი ბუხრისთავზე აძვრა. და ახლა იჯდა იქ კუდმოკეცილი, უღვამებგაწკვილი, ცისფერი და მწვანე ყვავილებით მოხატული, _ მაიკლის ფაიფურის ფისუნია...

– ეჰ, ასეთი უგულო ყმაწვილების მნახველი არა ვარ, _ თქვა გულნატკენმა მისტერ ბენქსმა და ბრაზით შეხედა შვილებს.

მათ კი უფრო ხმამაღალი სიცილი ატეხეს. ხითხითებდნენ, ხარხარებდნენ, სლოკინებდნენ მანამ, სანამ მერი პოპინსმა თვალებში არ შეხედა ორივეს.

მაშინ კი ჩამოვარდა სიჩუმე. სლოკინიც შეწყდა. მერი პოპინსის მრისხანე მზერა ყმაწვილებს კი არა, ვის არ დაუკარგავდა სიცილის გუნებას...

მეხუთე თავი

ბუშტიც არის და ბუშტიც

– მერი პოპინს! _ ბავშვების ოთახი კარი შემოაღო მისის ბენქსმა. _ მერი პოპინს, არ შეგიძლიათ რაღაც-რაღაცები იყიდოთ, გასასეირნებლად რომ წახვალთ? _ გაუბედავად გაიღიმა, თითქოს ერიდება, უარი არ მითხრასო.

მერი პოპინსი, რომელიც პატარა ანაბელის პერანგს წურავდა, მოუბრუნდა მისის ბენქსს და არც ისე თავაზიანად უთხრა:

– შეიძლება ვიყიდო.

– გასაგებია, _ თქვა მისის ბენქსმა უფრო გაუბედავად.

– შეიძლება ვერა, _ განაგრძობდა მერი პოპინსი და თან ანაბელის პერანგს ფერთხავდა, მერე ბუხრის წინ გაფინა.

– კარგით, თუ დროს იპოვით, აი სია და აი ფული. გირვანქა სტერლინგია. თუ ხურდა დაგრჩათ, დახარჯეთ.

მისის ბენქსმა ერთიცა და მეორეც კამოდზე შემოდო.

მერი პოპინსს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩაიცინა.

– ჰო, მართლა _ უცებ გაახსენდა მისის ბენქსს. _ დღეს ტყუპებს ფეხით სიარული მოუწევთ. რობერტსონ ეი დილით საბავშვო ეტლში ჩაჯდა, სავარძელი ეგონა. ახლა შესაკეთებლად უნდა მივცეთ. შეტლოდ არ გაგიჭირდებათ? ანაბელიც ხელში უნდა აიყვანოთ.

მერი პოპინსმა პირი დააღო, მაგრამ მაშინვე დახურა.

– მე, _ თქვა მან მკვახედ, _ ყველაფერს მოვუვლი, ყველაფერს ამქვეყნად. უფრო მეტსაც შევძლებ, თუ მოვინდომე.

– ვიცი, ვიცი! – წაილულლულა მისის ბენქსმა და კარისკენ გასწია. – თქვენ ნამდვილი განძი ხართ. ფასდაუდებელი და ზღაპრული, და მე არ ვიცი, როგორი უზადო განძი ხართ ყოველ...

ჩადიოდა კიბეზე და განაგრძობდა ქათინაურებს.

– და მაინც... მაინც ზოგჯერ არ მინდა, ასეთი უზადო იყოს, – შესჩივლა სასადილო ოთახში ჩამოკიდებულ დიდედის დედის სურათს. – მის გვერდით თავი პატარა და სულელი მგონია! პატარა გოგოსავით ვიქცევი! მე კი პატარა გოგო არა ვარ! – მისის ბენქსმა თავი გააქნია და მტვრის ტილო ფაიფურის ძროხას გადაუსვა. – პატივსაცემი მანდილოსანი ვარ, ხუთი შვილის დედა! მას კი ავიწყდება ეს!

მისის ბენქსი მტვრის წმენდას განაგრძობდა და ფიქრობდა, რისი თქმაც სურდა მერი პოპინსისათვის, მაგრამ იცოდა, რომ ვერასოდეს გაუბედავდა.

მერი პოპინსმა სია და გირვანქა სტერლინგი ჩანთაში ჩაიღო, თვალის დახამხამებაში ქუდი დაიხურა, ანაბელი ხელში აიყვანა და სახლიდან გამოვიდა. მაიკლმა და ჯეინმა ტყუპებს ხელი ჩაჰკიდეს და სირბილ-სირბილით აედევნენ.

– მიწას ფეხი არ დააკაროთ, ისე სწრაფად იარეთ! – გასცა ბრძანება მკაცრად და გასწია.

ყმაწვილებმა ფეხს აუჩქარეს, ტყუპებიც წააჩანჩალეს. საწყალი ჯონი და ბარბი ფეხსაცმელს ქვაფენილზე მიაფრატუნებდნენ, ხელები ლამის დააწყდათ, მაგრამ ჯეინსა და მაიკლს მათი გასაჭირი ნაკლებ აწუხებდათ. ერთ ფიქრს შეეპყრო მათი გონება, როგორმე არ ჩამორჩენოდნენ მერი პოპინსს და, რაც მთავარია, აინტერესებდათ, ხურდას რაში მოიხმარდა...

– მომეცით ორი შეკვრა სანთელი, ოთხი გირვანქა ბრინჯი, სამი გირვანქა შაქრის ფხვნილი, ექვსი გირვანქა რაფინადი, ორი ქილა ტომატი, ჭურჭლის სახეხი, წყვილი სამუშაო ხელთათმანი, ნახევარი ღერი ლუქი, ერთი პარკი ფქვილი, სანთია, ორი კოლოფი ასანთი, ორი თავი ყვავილოვანი კომბოსტო და ერთი კონა რევანდი! – მერი პოპინსმა ჩაუმარცვლა სია გამყიდველს პირველსავე ფარდულში.

– ერთი პარკი სამუშაო ხელთათმანები მოგართვათ, არა? – თქვა ბაყალმა და განერვიულებულმა პირში ფანქრის წამახული ბოლო ჩაიღო.

– ფქვილი გითხარით! – პირქუშად შეახსენა მერი პოპინსმა.

ბაყალი წითლად აღაჟღაჟდა.

– მაპატიეთ! უნებურად დამემართა! კარგი დარია, არა?.. დიახ-დიახ, შემემალა. ესე იგი, ერთი პარკი ხელ... ფ-ფ-ფ-ფქვილი.

სწრაფად იწერდა.

– ორი კოლოფი ჭურჭლის სახეხი...

– ასანთი! – გამოსცრა მერი პოპინსმა.

ბაყალს ხელი აუცახცახდა.

– ოჰ, მაპატიეთ! ალბათ ფანქარს ეშლება – ყოველთვის სხვასა წერს! ახლის შემენა მომიწევს. რა თქმა უნდა, ასანთი! კიდევ რა მიბრძანეთ?..

ახედა ქალს და მაშინვე დახარა თვალები, ფანქარს ჩააშტერდა.

მერი პოპინსმა გაშალა სია და გაჯავრებულმა ხელახლა ხმამაღლა ჩაიკითხა.

– ძალიან ვწუხვარ, – უთხრა ბაყალმა, როცა მერი პოპინსმა მოათავა კითხვა, – მაგრამ რევანდი არა გვაქვს, შავ ქლიავს ხომ არ წაიღებდით?

– არავითარ შემთხვევაში! მომეცით ერთი პაკეტი საგოს ბურღული!

– ოჰ, მერი პოპინს, ნუ იყიდით საგოს, წინა კვირას არა ვჭამეთ?! – ვედარ მოითმინა მაიკლმა.

მერი პოპინსმა ჯერ მაიკლს ესროლა მზერა, მერე ბაყალს და ორივე მიხვდა, რომ საგოზე უარს არ იტყოდა.

ბაყალი კიდევ უფრო გაწითლდა და აწონას შეუდგა.

– ხურდა აღარ დარჩება, – ჩუმად ჩაილაპარაკა ჯეინმა, ფარდულის დახლზე დახვევებულ ნავაჭრს რომ შეხედა.

– შეიძლება ათიოდე კანფეტი მოგვივიდეს და ეგაა! – გული გაუტყდა მაიკლსაც და თვალი გააყოლა, მერი პოპინსი როგორ იღებდა ჩანთიდან გირვანქა სტერლინგს.

– გმადლობთ, – გადაუხადა მადლობა მერი პოპინსმა ბაყალს, ხურდა რომ მიიღო.

– თქვენი მადლობელი ვარ! – თავაზიანად უპასუხა ბაყალმა და დახლს დაეყრდნო, გაიღიმა, მისი აზრით, სასიამოვნოდ. – ამინდი ხომ მშვენიერია! – განაგრძო ისეთი ტონით, გეგონებოდა, მისი ნამოქმედადრიაო.

– წვიმა გვჭირდება! – გააწყვეტინა მერი პოპინსმა და ერთდროულად დახურა ჩანთაც და პირიც.

– მართალი ბრძანდებით! – სასწრაფოდ დაეთანხმა ბაყალი. გულითა და სულით ცდილობდა ესიამოვნებინა. – რა სჯობია წვიმას!

– პირიქით! – წაიბურტყუნა მერი პოპინსმა.

ბაყალს სახე მოეღრცა. რაც არ უნდა ეთქვა, პირიქით გამოუდიოდა...

– მის, იმედი მრჩება, – კარი თავაზიანად გაუღო მერი პოპინსს, – რომ ჩვენთან კიდევ შემოივლით.

– კარგად ბრძანდებოდეთ! – მერი პოპინსი სასწრაფოდ გამოვიდა მაღაზიიდან.

ბაყალმა ამოიხვნეშა.

– ერთი წუთით მომიცადეთ, – უთხრა მან ყმაწვილებს, ყუთში ხელი მოაფათურა. – აჰა, გამომართვით. ღმერთმანი, არავის განაწყენება არ მიფიქრია, მინდოდა, მეამებინა.

ჯეინს ორი შოკოლადის კანფეტი მისცა, მაიკლს სამი და უთხრა:

– თითო-თითო დაირიგეთ, ერთი იმას მიეცით! – მერი პოპინსზე მიანიშნა.

ყმაწვილებმა მადლობა გადაუხადეს და მერი პოპინსს სირბილით გამოედევნენ, თან გარბოდნენ და თან შოკოლადს წუწნიდნენ.

– რას იღმურძლები? – ჰკითხა მერი პოპინსმა მაიკლს. ყმაწვილს ტუჩები ჩამოეზუნზლა.

– შოკოლადს. ბაყალმა მოგვცა. ეს თქვენთვის გამოგვატანა, – უთხრა მაიკლმა და შოკოლადი გაუწოდა.

_ უყურე, რა თავხედია! _ თქვა მერი პოპინსმა, მაგრამ შოკოლადი გამოართვა და სასწრაფოდ პირში ჩაუძახა. არ ეამაო, ვერ იტყოდი.

_ ხურდა ფული დარჩა?.. _ იკითხა შეშფოთებულმა მაიკლმა.

_ გამოჩნდება, რაც დარჩა, _ მიუგო მერი პოპინსმა, აფთიაქში შეირბინა და იქიდან გამოიტანა საპონი, მდოგვის საფენები და კბილის პასტა.

ჯეინმა და მაიკლმა ამოიოხრეს.

ხვდებოდნენ, რომ გირვანქა სტერლინგი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა...

_ ახლა საშაქარლამოში! _ თქვა მერი პოპინსმა, სიაში რომ ჩაიხედა, და მალაზიის კარებს მიეფარა. ყმაწვილები ვიტრინის იქით ხედავდნენ, რომ მერი პოპინსმა გამყიდველს ნუშის ნამცხვარზე მიუთითა. გამყიდველმა კი დიდი პაკეტი მიაწოდა.

_ ალბათ ბევრი იყიდა! _ შეწუხდა ჯეინი.

სხვა დროს მოხარული იქნებოდნენ ასეთი გულუხვობის, მაგრამ დღეს გულითა და სულით ეწადათ, ქვეყნად ნუშის ნამცხვარი საერთოდ არ ყოფილიყო!

_ ახლა საით წავალთ? _ ხტოდა მაიკლი, ძალიან აინტერესებდა, დარჩა თუ არა ხურდა გირვანქა სტერლინგიდან.

ხვდებოდა კი, რომ აღარაფერი დარჩებოდა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა.

_ შინისკენ! _ უპასუხა მერი პოპინსმა.

ყმაწვილებმა ცხვირი ჩამოუშვეს.

ესე იგი არაფერი, სულ არაფერი არ დარჩა!..

ძალიან უნდოდათ ეკითხათ, მაგრამ სანოვაგით დატვირთულ მერი პოპინსს ისეთი სახე ჰქონდა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. მერი პოპინსს მკერდზე ჰყავდა მიხუტებული ანაბელი, ხელში ეჭირა პაკეტები, შეკრულეები და წინ მიდიოდა. გულგატეხილი, იმედგაცრუებული ყმაწვილები უკან მიჰყვებოდნენ ჩანჩალ-ჩანჩალით. გულში ფიქრობდნენ, ამას არასოდეს ვაპატიებთო.

_ სადღაც სხვა გზაზე მივდივართ! _ აწუწუნდა მაიკლი. _ შინ ამ გზით არ დავდივართ ხოლმე!

_ როდის აქეთაა, პარკისკენ არ გვედო გზა? _ გაუბრაზდა მერი პოპინსი.

_ კი, მაგრამ...

_ მოგეხსენებათ, პარკს არაერთი შესასვლელი აქვს! _ უთხრა ყმაწვილებს მერი პოპინსმა.

პარკის ამ მხარეს არასოდეს ყოფილან. ძალიან კარგი კი იყო! მზე საამურად აცხუნებდა. ხეებს ტოტები დაეხარათ და ფოთლებს აშრიალებდნენ. ტოტზე შემომჯდარი ორი ბელურა ნამჯის ღეროზე წაეჩხუბა ერთმანეთს. ფუმფულა ციყვი ახტა-დახტა, ქვის მოაჯირზე დასკუპდა უკანა თათებზე და თხილს თხოულობდა.

მაგრამ ყმაწვილებს ეს არ ახარებდათ. არც აინტერესებდათ. ჯეინსა და მაიკლს ერთი ფიქრი უტრიალებდათ თავში: მერი პოპინსმა მთელი ფული

უსარგებლო რამეებზე დახარჯა და ფრიად საჭირო რამისათვის აღარაფერი დარჩა.

ბოლოს ქვის მაღალ თაღს მიადგნენ. თაღს ლომისა და მარტორქის ბარელიეფები ამშვენებდა. თაღის ძირას ერთი გადაყრუებული, სახედაღმეჭილი დედაბერი იჯდა. მუხლებზე ლანგარი ედო, ლანგარზე თითქოს რეზინის ფერად-ფერადი ლენტები ელაგა, თავსზემოთ კი, ჰაერში პარკის გაღვანზე მაგრად მიბმული უშველებელი საჰაერო ბუმტები ირწეოდა.

– ბუმტები! ბუმტები! – იყვირა ჯეინმა, ჯონის გაწებულ თითებს ხელი გამოჰკლიჯა და დედაბერთან მივარდა. მაიკლიც ხტუნვა-ხტუნვით გამოედევნა და ბარბი შუა გზაზე ბედის ანაბარა მიატოვა.

– ჩემო ჭუკი-ჭუკებო! – უთხრა ბავშვებს ბებრული, ჩახლეჩილი ხმით დედაბერმა. – აბა, რომელი ბუმტი შემოგცქერით? რომელს ისურვებთ? აირჩიეთ, ნუ იჩქარებთ!

წინ წამოიხარა და ლანგარი გამოუწოდა.

– ჩვენ მხოლოდ საყურებლად მოვედით! – უთხრა ჯეინმა. – ფული არა გვაქვს.

– საჰაერო ბუმტის ყურება რა სიამოვნებაა! ბუმტი ხელში უნდა დაიჭირო, იგრძნო, გაიცნო! მხოლოდ ყურება რის მაქნისია? – თქვა განაწყენებულმა დედაბერმა ენის წკლაპუნით.

ჯეინი და მაიკლი დედაბერს დაბნეულად შესცქეროდნენ. რა თქმა უნდა, ის მართალი იყო. მაგრამ რა ძალა შესწევდათ?

– ჩემს ბავშვობაში, – განაგრძობდა დედაბერი და სკამზე ირწეოდა, – ხალხმა იცოდა საჰაერო ბუმტების ფასი და საყურებლად კი არ მოდიოდნენ, ყიდულობდნენ და მიჰქონდათ! მიჰქონდათ! არც ერთი კაცი არ გავიდოდა ამ ჭიშკრიდან უბუმტოდ. ბავშვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშ, მაშ! ბედს ვერ დაემდურებოდი.

მიბრუნდა და სიყვარულით შეავლო თვალი ჰაერში მოქანავე ბუმტებს.

– ეჰ, ჩემო კარგებო! – წაუმღერა მათ. – ჩემს მეტს თქვენი აღარავის სჯერა! მოდიდან გამოხვედით! არავის აღარ სჭირდებით.

– ჩვენ ძალიან გვჭირდება ბუმტი! – უმტკიცებდა მაიკლი. – ოღონდ ფული არა გვაქვს. მან მთელი გირვანქა სტერლინგი გაფლანგა რაღაც...

– ვინ არის ის «მან», მითხარით თუ შეიძლება? – ლამის ყურში ჩასძახა ვიღაცამ მაიკლს.

– მე... მ-მ-მ... მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ... მ-მ-მ, – მაიკლი მობრუნდა და სირცხვილისაგან გაწითლდა.

– მე... მ-მ-მ... მინდოდა მეთქვა, რომ თქვენ... მ-მ-მ, – ალუღლუღდა ის.

– უფროსებზე თავაზიანად ილაპარაკე! – უთხრა მერი პოპინსმა და დედაბერს ლანგარზე ვერცხლის ფული დაუდო.

მაიკლმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერა.

«ესე იგი ხურდა მაინც დაიტოვა», – გაიფიქრა ჯეინმა და ძალიან შერცხვა, მერი პოპინსზე რომ ბრაზობდა.

დედაბერს თვალები გაუბრწყინდა. ფულს საჩქაროდ სტაცა ხელი და ფოფინით დახედა.

– როგორ ბრწყინავს! როგორ ანათებს! – იყვირა მან. – ბავშვობის მერე ასეთი არაფერი მინახავს! – თავი დაუკრა მერი პოპინსს. – ბუმტები გნებავთ, ჩემო მზეთუნახავო?

– დიახ, თუ შეიძლება! – მეტისმეტად თავაზიანად მიუგო მერი პოპინსმა.

– რამდენი გნებავთ, შვილო, რამდენი?

– ოთხი!

ჯეინი და მაიკლი სიხარულისაგან კინაღამ შეიშალნენ და მერი პოპინსს შემოეხვივნენ.

– ოი, მერი პოპინს, მართლა! თითო-თითო? ყველას გვერგება? მართლა, მართლა?

– მგონი, ყოველთვის მართალს ვამბობ! – მკაცრად უპასუხა მან, მაგრამ სახე მეტისმეტად კმაყოფილი ჰქონდა.

ყმაწვილები ლანგარს მისწვდნენ და ბუმტების რჩევას შეუდგნენ. დედაბერმა ფული კაბის ჯიბეში ჩაიდო, ზემოდან ხელი მოუთათუნა და ყმაწვილებს მოუბრუნდა:

– უკეთესები აარჩიეთ, ჩემო ჭუკუნებო, გახსოვდეთ, ბუმტიც არის და ბუმტიც! თქვენი შესაფერი ამოირჩიეთ, არ იჩქაროთ! ზოგი აიღებს სხვა ბუმტს და მთელი ცხოვრება ყირამალა წაუვა!

– მე ეს მინდა! – თქვა მაიკლმა და აირჩია ყვითელი წითელწინწკლებიანი ბუმტი.

– ახლავე ვნახოთ, შესაფერი ბუმტი აირჩიეთ თუ არა! – უთხრა დედაბერმა. – მოიტა, გავბეროთ!

გამოართვა და ტუჩებთან მიიტანა. ფფფუ! მზადაა! პირდაპირ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ დალეულ დედაბერს ასეთი ძლიერი ჩაბერვა შეეძლო. დიდი ყვითელი წითელწინწკლებიანი ბუმტი ჰაერში აქანავდა.

– შეხედეთ, შეხედეთ! – იყვირა მაიკლმა. – რა აწერია!

მართლაც, წინწკლები ასოები აღმოჩნდა! ყვითელ ბუმტზე გამოკვეთილად ეწერა: მაიკლ ბენქსი!

– აჰა! – ხითხითებდა დედაბერი. – მე რას ვამბობდი? შენ არჩევდი, არ ჩქარობდი და სწორადაც შეარჩიე!

– შეხედეთ, მე როგორი შევარჩიე? – უთხრა ჯეინმა და დედაბერს დაჭიმულ ცისფერი ბუმტი აჩვენა.

დედაბერმა ჩაჰბერა და გლობუსივით დიდ ცისფერ ბუმტზე გამოჩნდა დიდი თეთრი ასოები: ჯეინ ქეროლაინ ბენქსი!

– ეს შენი სახელია, ჭუკუნა? – ჰკითხა დედაბერმა.

ჯეინმა თავი დაუქნია.

დედაბერმა ისევ ჩაიხითხითა, როცა ჯეინმა ბუმტი აიღო და გვერდზე გადგა. – მე! მე! – ერთმანეთს არ აცლიდნენ ჯონი და ბარბი და ფუნთუშა ხელებს ლანგარში ურევდნენ.

ჯონმა ვარდისფერი ამოიღო. გაბერა დედაბერმა და ისევ გაიცინა. ბუმტზე ეწერა: «ჯონი და ბარბი ბენქსებს – ერთი ორივეს, რადგან ტყუპები არიან!»

_ არაფერი მესმის! _ მიმართა ჯეინმა დედაბერს. _ საიდან იცით ჩვენი სახელები? ადრე ხომ არ გინახივართ!

_ ეჰ, ჩემო ჭუკუნა, ხომ გეუბნებოდით, _ ბუმტიც არის და ბუმტიც! ეს ბუმტები თავისებური ბუმტებია!

_ თქვენ არ დააწერეთ? _ უთხრა მაიკლმა.

_ მე? _ ახითხითდა დედაბერი. _ არც მიფიქრია!

_ აბა, მამ ვინ?

_ რაიმე ადვილი მკითხე, ჭუკუნა! მე ერთი ვიცი _ აწერია, მორჩა და გათავდა. ამქვეყნად ყველა ადამიანისათვის არის შესაფერი ბუმტი, ოღონდ არჩევა უნდა შეეძლოს!

_ მერი პოპინსისთვისაც? _ არ ეშვებოდა მაიკლი.

დედაბერმა თავი გვერდზე მოიქცია და მერი პოპინსს იდუმალ გაუღიმა.

_ აგერ ვნახავთ! _ სკამზე დაირწა. _ თვითონ აირჩიოს. ეგ არ შეცდება.

მერი პოპინსმა ამაყად ჩაიღიმა. ერთი წუთი და ლანგრიდან წითელი ბუმტი აიღო. ხელი გასწია და, ყმაწვილების გასაოცრად, ბუმტმა გაბერვა დაიწყო. გაიბერა, გაიბერა და მაიკლის ბუმტისოდენა გახდა. ამაზე არ შეჩერდა. იბერებოდა მანამ, სანამ ჩვეულებრივ ბუმტზე სამჯერ დიდი არ გახდა. ზედ ოქროს ასოებით ეწერა:

მერი პოპინსი.

წითელი ბუმტი დედაბერთან მიფრინდა. დედაბერმა ჩაიხითხითა, ბუმტს ძაფი მოაბა და მერი პოპინსს მიაწოდა.

ოთხივე ბუმტი ერთად აცეკვდა ჰაერში. ლამის დაეწყვიტათ ძაფები, ისე მიიწევდნენ ცისკენ. ქარი უბერავდა და ბუმტებიც ქვეყნის ოთხივე მხარეს: სამხრეთით და ჩრდილოეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით ირწეოდნენ.

_ ასეა, ჩემო ჭუკუნებო, ბუმტიცაა და ბუმტიც! ყველასათვის მოიძებნება შესაფერი, ოღონდ ადამიანს უნდა შეეძლოს შერჩევა! _ მხიარულად დაიყვირა დედაბერმა.

ამ დროს ჭიშკარში ცილინდრიანი დარბაისელი ჯენტლმენი გამოჩნდა. დაინახა საჰაერო ბუმტები და დედაბრისკენ გამოქანდა.

_ რა ღირს? _ ჰკითხა და ჯიბეში ხურდა მოიძია.

_ შვიდნახევარი! აირჩიეთ, არ იჩქაროთ, ჩემო ჭუკუნა!

დარბაისელმა ჯენტლმენმა ყავისფერი ბუმტი აირჩია. დედაბერმა ბუმტი გაბერა, გამოჩნდა წარწერა:

«უილიამ უეზეროლ უილკინსი».

_ ღმერთო დიდებულო! _ თქვა დარბაისელმა ჯენტლმენმა, _ ღმერთო დიდებულო, ეს ჩემი სახელი და გვარია!

_ კარგად ამოირჩიეთ, ჩემი ჭუკუნა! ბუმტიც არის და ბუმტიც! _ უთხრა დედაბერმა.

დარბაისელი ჯენტლმენი თავის ბუმტს თვალს არ აცილებდა.

_ საოცარია! _ თქვა მან და ცხვირი მოიხოცა. _ ორმოცი წლის წინათ, ჩემს ბიჭობაში, აქ ბუმტის ყიდვა მინდოდა და ნება არ დამრთეს. მითხრეს,

არ დაგიმსახურებიაო! და ორმოცი წელი ბუმტი მელოდა! ნამდვილი საოცრებაა!

უცებ ყმაწვილებმა თვალი ჰკიდეს, რომ ჯენტლმენი ბუმტთან ერთად აფრინდა.

– უყურეთ, უყურეთ! – იყვირა მაიკლმა.

მაგრამ იმავე წუთას მისმა საკუთარმა ბუმტმა ძაფი ძლიერ მოსწია და მაიკლმა იგრძნო, რომ ფეხები მიწას სწყდებოდა.

– ვაი, ვაი! რა კარგია! ჩემიც აფრინდა! – დაიღრიალა მან.

– ბუმტიცაა და ბუმტიც, ჩემო ჭუკუნებო! – თქვა ბერიქალმა და ჩაიხითხითა, რომ შეხედა, ტყუპები როგორ ჩაებლაუჭნენ ჰაერში აფრენილ ბურთის ძაფს და თვითონაც როგორ აფრინდნენ.

– მივფრინავ! – დაიყვირა ჯეინმაც და ჰაერში აფრინდა.

– შინისაკენ, თუ შეიძლება! – თქვა მერი პოპინსმა.

წითელი ბუმტი აუჩქარებლად მოსხლტა, მაღლა-მაღლა აიწია, წინ გაფრინდა და მერი პოპინსიც გაიყოლია. მერი ხან ახტებოდა, ხან ჩამოხტებოდა, ხელში მაგრად ეჭირა ანაბელიცა და ნავაჭრიც. ქუდი კოხტად ეხურა, თმა კოხტად ჰქონდა დავარცხნილი, ფეხს ჰაერში ისე აბიჯებდა, როგორც მიწაზე. ჯეინი, მაიკლი და ტყუპები ბუმტებიანად მიხტუნაობდნენ და მიჰყვებოდნენ მერი პოპინსს.

– უჰ! უჰ! – ყვიროდა ჯეინი, ბებერ თელას რომ ჩაუარა. – რა მშვენიერია!

– თითქოს ჰაერივით მსუბუქი ვარ! – თქვა მაიკლმა, მერხის ზურგს დაეჯახა და ფარფატიტ გამოფრინდა განზე. – აი, ამას ჰქვია გასეირნება!

– ჰი-ი-იი! – ჟღურტულვებდნენ ტყუპები, ხტუნაობდნენ ჰაერში და ერთმანეთს უბიძგებდნენ.

– მე მომყევით, არ ჩამომრჩეთ! – ისეთი სახით მოხედა მერი პოპინსმა ბავშვებს, ვითომ ჰაერში ბუმტებზე კი არ იყვნენ ჩამოკიდებულნი, მიწაზე მიაბიჯებდნენ.

ცაცხვის ხეივნის კუთხეში, სადაც თითქმის დაეწივნენ წინ წასულ დარბაისელ ჯენტლმენს, მაიკლი მობრუნდა:

– ჯეინ! შეხედე! – დაუყვირა მან. – ყველას ბუმტი აქვს!

ჯეინმაც მოიხედა. შორს უამრავი ხალხი ირწეოდა ჰაერში.

– მენაყინეც იქაა! – დაიყვირა მან და ცქერაში ისე გაერთო, კინაღამ რომელიღაც ქანდაკებას მიეხალა.

– ეგე, ბუხრის მწმენდელიც! მის ლარკს ხედავ?

მართლაც, გაზონებს ზემოთ მის ლარკი მიირხეოდა, ქუდიც თავზე ეხურა და ხელზე თათმანი ეცვა. წინ თავიანთ ბუმტებზე კბილებჩავლებული ედმონდი და ბართლომე მიფრინავდნენ. ძალიან კმაყოფილი სახეები ჰქონდა სამივეს. მათ თელეების ხეივანი გაიარეს და შადრევნისკენ გაფრინდნენ.

– ამოდით ყველანი ზევით! გასკდი, გულო! გზა უტიეთ ადმირალს! – დაიბუხუნა ნაცნობმა, ზღვაზე დაბოხებულმა ხმამ. მიიხედეს და ნახეს, ადმირალი ბუმი მეუღლესთან ერთად მედიდურად მიფრინავდა უზარმაზარი

თეთრი ბუმბით. _ ქარის მიმართულებით დაიჭირე თავი! ასე უნდა გეჭიროს! ფრინდი, ფრინდი! გადაფრინდი! _ მხიარულად შემოსძახა ადმირალმა და მოხერხებულად აუქცია გვერდი დიდ მუხას.

ხალხიც და ბუმბიც ბლომად მოზღვადა. ჰაერში ტევა არ იყო. მაგრამ მერი პოპინსი მტკიცედ მიიწევდა წინ და ყმაწვილებიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ.

_ ოჰ, ღმერთო ჩემო! ოჰ, ღმერთო ჩემო! ჩემი ბუმბი არ ფრინავს! _ ჯეინის იდაყვს ქვემოთ წაიკვნესა ვიღაცამ.

ბილიკზე იდგა ძველმოდურად ჩაცმული მანდილოსანი. ფრთაგარჭობილი ქუდი ეხურა და სირაქლემას ბოა ესხა. ფეხებთან უძრავად ეგდო იისფერი ბუმბი, ზედ ეწერა: «პრემიერ-მინისტრი».

_ რა ვქნა? _ ლამის ტიროდა ის. _ დედაბერმა შემოსასვლელში მითხრა: «ამოიღიე, არ იჩქარო, ჭუკუნა!» ამოვიღიე და სხვისი ბუმბი შემხვდა! მე ხომ პრემიერ-მინისტრი არა ვარ!

_ მაპატიეთ, მე ვარ პრემიერ-მინისტრი, _ მივიდა მანდილოსანთან მაღალი, ელეგანტურად ჩაცმულ-დახურული ქოლგიანი მამაკაცი.

მანდილოსანი მობრუნდა:

_ ოჰ, მაშინ ეს თქვენი ბუმბია! თქვენ ალბათ ჩემი შეგხვდათ!

პრემიერ-მინისტრმა აჩვენა თავისი ბუმბი. რა თქმა უნდა! ზედ ეწერა: «ლედი მიურიელ ბრაიტონ-ჯონსი».

_ სწორედ მე გახლავართ! გავცვალეთ ბუმბები! _ გაუხარდა მანდილოსანს, საჩქაროდ გამოართვა თავისი ბუმბი პრემიერ-მინისტრს და მისი მიაწოდა.

მაშინვე აფრინდნენ ორივენი ჰაერში და ფრენა-ფრენაში განაგრძეს საუბარი.

_ თქვენ ცოლიანი ხართ? _ ჰკითხა ლედი მიურიელმა სწორედ მაშინ, როცა ჯეინსა და მაიკლს ჩაუფრინეს.

პრემიერ-მინისტრმა უპასუხა:

_ არა! ვერ შევხვდი და ვერა შესაფერ ქალბატონს, არც ყმაწვილქალი მინდა და არც ბებერი. თანაც ცოტა მხიარული ხასიათისა მინდა იყოს, მე თვითონ ძალიან სერიოზული ვარ.

_ ეგებ მე ვიყო თქვენი შესაფერი? _ უთხრა ლედი მიურიელ ბრაიტონ-ჯონსმა. _ მე ისეთი კისკისა ქალი ვარ!

_ მე მგონი, შესაფერი ბრძანდებით! _ შეაგება სიტყვა პრემიერ-მინისტრმა და მხიარულ საჰაერო ჯგუფს შეერივნენ.

ჰაერში კი ბევრნი ირეოდნენ. ჯეინი და მაიკლი მერი პოპინსს ხტუნვა-ხტუნვით მისდევდნენ და გზადაგზა ხან ვის წაედებოდნენ და ხან ვის ყველას დედაბრისაგან ნაყიდი ბუმბი ჰქონდა. მთელ პარკში ჰაერი პირდაპირ დუღდა.

აი, მაღალმა კაცმა ჩაიარა, გრძელუღვაშა იყო, ლურჯი მუნდირი ეცვა, ჩაფხუტი ეხურა. მის ბუმბტზე ეწერა: «პოლიციის ინსპექტორი». ერთ-ერთ ბუმბტს «ლორდ-მერი» ეწერა. ზედ ბუმბტით მრგვალი გოდორა ეკიდა. გოდორას სამკუთხა ქუდი ეხურა, წითელი მოსასხამი ესხა და კისერზე სპილენძის დიდი ჯაჭვი დასთრევდა...

– გაიარეთ, გაიარეთ, გეთაყვა! არ იჩქაროთ! დაიცავით წესრიგი! ნაგავი სანაგვეში ჩაყარეთ!

ამას დარაჯი ამბობდა. ხელში პატარა ალუბლისფერი ბუმტი ეჭირა. ბუმტზე ეწერა: «ფ. სმითი». სმითი ძლივს მიიკვლევდა გზას და ჩვეულებრივად მითითებებს იძლეოდა.

– ძაღლები მხოლოდ პირსაკრავწამოცმულნი დაიშვებიან! არ მოსწიოთ! არ შეჯგუფდეთ! დაიცავით წესრიგი!

მაიკლი ჯეინთან მიფრინდა და ჰკითხა:

– სად არის მერი პოპინსი?

– ეგერ! ხედავ? – წინ გაახედა ჯეინმა. დარბაისელი და გამართული მერი პოპინსი მსუბუქად მიჰყვებოდა ყველაზე დიდ ბუმტს.

– ბუმტიცაა და ბუმტიც, ჩემო ჭუკუნებო! – მოესმათ ბებრული ხმა. ბუმტების გამყიდველი დედაბერი იყო. სულ დაეცარიელებინა ლანგარი. ხელში აღარც ერთი ბუმტი აღარ ეჭირა. მიუხედავად ამისა, ისე მიქროდა, ვითომ ასი უჩინარი ბუმტი ჰქონოდა.

– ყველა გავყიდე, – წრიპინებდა ის, ყმაწვილებს რომ ჩაუარა, – ყველას ერგო ბუმტი! ყველამ თავისი სარგო შეირჩია, არ ჩქარობდნენ! ბუმტიცაა და ბუმტიც! მე ერთიც აღარ დამრჩა!

და ხურდა ფულის ჩხარუნით გაფრინდა. ყმაწვილები დიდხანს გასცქეროდნენ, როგორ გაუსწრო ერთი ციცქნა, გალეულმა დედაბერმა ფრენა-ფრენით ლორდ-მერს, პრემიერ-მინისტრს და ყველას, ყველას, ვინც ჰაერში სეირნობდა.

– ბუმტიცაა და ბუმტიც, ჩემო ჭუკუნებო! – ძლივს ისმოდა მისი ხმა.

ჩვიდმეტი ნომერი სახლის ჭიმკარიც ყურთამდე ღია იყო და შინ შესასვლელი კარიც. მერი პოპინსი წინკარში კვლავად შესრიალდა და კიბეს გადაუფრინა. ყმაწვილებიც ხტუნვა-ხტუნვით კვალდაკვალ მიჰყვნენ, ბავშვების ოთახის კარებთან დაეშვნენ და ერთი ხმაური ატეხეს. მერი პოპინსი ნარნარად, უჩუმრად დაეშვა.

– უჰ, რა უბრწყინვალესი დღე იყო! მშვენიერზე მშვენიერი! – თქვა ჯეინმა და მერი პოპინსს მოეხვია.

– მაგრამ შენ არა ხარ მშვენიერზე მშვენიერი! დაივარცხნე, თუ შეიძლება! საფრთხობელას ჰგავხარ! – შეაგება მერი პოპინსმა.

– მე თვითონ ვარ ახლა საჰაერო ბუმტი! – მხიარულად ადუდლუნდა მაიკლი. – ბუმბულზე მსუბუქად ვგრძნობ თავს! ფერიასავით ვარ!

– ღუმელის მწმენდელივით გამურულხარ, წადი, დაიბანე! – წაიბუზღუნა მერი პოპინსმა.

დაბანილ-დავარცხნილები რომ შემობრუნდნენ, ოთხივე ბუმტი ჭერზე ისვენებდა: ყვითელი – მაიკლისა, ცისფერი – ჯეინისა, ვარდისფერი – ტყუპებისა და წითელი – მერი პოპინსისა. ძაფები კავზე იყო კობტად მიბმული, ბუმტები არ იძროდნენ. მსუბუქებსა და კამკამებს, ეტყობა, ეძინათ.

– საინტერესოა! – ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მაიკლმა.

– რაა საინტერესო? – ჰკითხა მერი პოპინსმა.

– საინტერესოა, შეგვემთხვეოდა ის, რაც დღეს მოხდა, თქვენ რომ ჩვენთან არ ყოფილიყავით?

– მე მაინტერესებს, როდის დაანებებ თავს ისეთი რამეებით დაინტერესებას, რაც არ გეხება? – ჩაიცინა მერი პოპინსმა.
მაიკლის ცნობისმოყვარეობას ამით დაესვა წერტილი. სხვა რა გზა იყო.

მეექვსე თავი

მარმარილოს ბიჭი

– სალამოს გაზეთის ყიდვა არ დაგავიწყდეს! – უთხრა მისის ბენქსმა ჯეინს, აკოცა და ორი პენსი მისცა.

მაიკლმა საყვედურით შეხედა დედას.

– მეტს არ მოგვცემ? – ჰკითხა მან. – მენაყინე რომ შეგვხვდეს, რა ვქნათ?

– კარგით, – უთხრა მისის ბენქსმა. – აი, კიდევ ექვსი პენსი. მაგრამ, ბავშვებო, ჩემი აზრით, ძალიან განებივრებთ! მე რომ თქვენზე ვიყავი, ყოველდღე ნაყინს არა ვჭამდი!

– ალბათ, არ იმსახურებდი, დედა, – აუხსნა მაიკლმა და საჩქაროდ შეინახა ფული ჯიბეში.

– ნაყინზე ხომ ოთხი პენსი გვეყოფა, – უთხრა ჯეინმა მაიკლს. – «მხიარული სურათებიც» ვიყიდოთ, კარგი?

– გზა გვიტოვებს, მის! – ზურგს უკან მოესმა ნაცნობი ხმა.

მოხდენილი და წელში გამართული მერი პოპინსი, გეგონებოდათ მოდების ჟურნალიდანააო, კიბეზე ჩამოდიოდა და ხელში ანაბელი ეჭირა. ჩამოვიდა, ბავშვი ეტლში ჩააწვინა და კარისკენ გაემართა.

– აბა, მარდად პარკისაკენ! – გასცა ბრძანება. – ზოზინი არ იყოს!

ჯეინი და მაიკლი გაცვივდნენ გზაზე, ჯონი და ბარბიც უკან გაეკიდნენ.

ალუბლის შესახვევს მზე გოლიათურ მანათობელ ქოლგასავით მოჰფენოდა. ხეებზე შაშვები და ყარანები უსტვენდნენ. კუთხეში ადმირალი ბუმი გულმოდგინედ კრეჭდა თავის გაზონს.

შორიდან მხიარული მარშის ხმა ისმოდა. პარკში სამხედრო ორკესტრი უკრავდა. ხეივანში ფერადი ქოლგები სეირნობდნენ, ქოლგებს თავს აფარებდნენ მანდილოსნები და ჭორაობდნენ ამქვეყნად ყველაფერზე.

პარკის დარაჯს საზაფხულო ფორმა ეცვა – სახელოზე წითელკანტმოვლებული ცისფერი ქურთუკი. იგი გაზონებს შორის დადიოდა და ფხიზლად ადევნებდა თვალს ყველას და ყველაფერს.

– წესრიგი არ დაარღვიოთ! გაზონებზე არ იაროთ! ნაგავი სანაგვეში ჩაყარეთ! – იძლეოდა მითითებებს. მერი პოპინსმა და ყმაწვილებმა ჩაუარეს და ცაცხვების ხეივანში გაუხვიეს.

– გაფრთხილებთ, პარკში ნაგავს არ ფანტავენ. – დაუმახა დარაჯმა.

– არც სიტყვებს ფანტავენ! – არ დაუყოვნა პასუხი მერი პოპინსმა და ამყად თავაწეულმა ჩაუარა.

დარაჯმა ქუდი მოიხადა და დაინიავა, თან თვალი გააყოლა მიმავალთ. მერი პოპინსს ეღიმებოდა. მისი ღიმილით მიხვდებოდი, იცოდა, დარაჯი რომ უყურებდა. აბა როგორ, ფიქრობდა ის: ახალი, თეთრი ვარდისფერსაყე-

ლოიანი ჟაკეტი მაცვია, ვარდისფერი ქამარი მიკეთია და ოთხი ვარდისფერი დილი მაკერია.

– დღეს საით წავალთ? – იკითხა მაიკლმა.

– ვნახოთ! – უკმაყოფილოდ გამოეპასუხა მერი პოპინსი.

– მე მხოლოდ გკითხეთ! – დაიწყო მაიკლმა.

– ნუ მკითხავ! – ურჩია მან და მწყრალოდ ჩაიბუზღუნა.

– ხმას არ მალებინებს! – ჩუმად შესჩივლა მაიკლმა ჯეინს. – მალე, ალბათ, დავმუნჯდები და მაშინ ინანებს!

ისინი უხმოდ, ძუნძულ-ძუნძულით მისდევდნენ მერი პოპინსს. მზე აცხუნებდა. მერი პოპინსი კი ბავშვის ეტლს ისე მიაბრუნებდა, თითქოს მარულაში მონაწილეობსო.

– აქეთ წამოდით! – უბრძანა მან ბავშვებს და ეტლი მარჯვნივ მიაბრუნა.

ბავშვები მაშინვე მიხვდნენ, საით მიდიოდნენ. ტბორისკენ მიმავალ ბილიკს ადგნენ. საჩრდილობელ ხეივანს იქით წყალი ლივლივებდა. მზის სხივებში გახვეული ნაპირი ელვარებდა. ყმაწვილებს გული აუფანცქალდათ.

ტბორისკენ სირბილ-სირბილით გაიქცნენ!

– გემს გავაკეთებ და აფრიკაში გავცუროთ! – სულ დაავიწყდა მაიკლს, გაბრაზებული რომ იყო.

– მე თევზებს დავიჭერ! – წინ გაუსწრო ჯეინმა.

ხტუნვა-ხტუნვით, სიცილ-სიცილით მიაქნევდნენ ქუდებს და ისე მიადგნენ ტბორს; ტბორის ირგვლივ დამტვერილი მწვანე სკამები ჩამწკრივებული მოთმინებით ელოდნენ მათ, ვინც მოისურვებდა ჩამოჯდომას. ტბორის ნაპირთან იხვები დაცურავდნენ და ყვიტყვიტებდნენ, პურის ნაფშხვენები გადმოგვიყარეთო.

ტბორის მეორე მხარეს მარმარილოს ძველი ქანდაკება იდგა – ყმაწვილი და დელფინი. იგი ცისა და წყლის ფონზე თვალისმომჭრელად ქათქათებდა. მაგრამ ბიჭს ცხვირის წვერი წატეხილი ჰქონდა, ფეხზე იარასავით აჩნდა შავი ბზარი, მარცხენა ხელის ნეკზე სახსარი აკლდა, ფეხებზე ფრჩხილები დასკდომოდა. ქანდაკება იდგა მაღალ კვარცხლბეკზე, ბიჭი დელფინს ყელზე მოხვეოდა, მარმარილოს ხუჭუჭა თავი წყლისკენ დაეხარა და ჩაფიქრებული იყურებოდა ქვემოთ მარმარილოს დიდი თვალებით.

კვარცხლბეკზე გამოხუნებულიყო ერთ დროს ოქროსფერი ასოებით წარწერილი მისი სახელი – ნელი.

– რა მხიარულია დღეს! – ჩაიჩურჩულა ჯეინმა და მზეზე თვალები მოჭუტა.

იმავე წუთს დაინახა, რომ ქანდაკების ძირას იჯდა ხნიერი ჯენტლმენი და დიდი გამადიდებელი შუშით წიგნს კითხულობდა. მზის საჩრდილობლად მელოტ თავზე აბრეშუმის ცხვირსახოცი ეფარა. გვერდით, სკამზე შავი ცილინდრი ედო.

ყმაწვილები გატაცებით მიაცქერდნენ ამ უცნაურ და რაღაცით ნაცნობ კაცს.

– მერი პოპინსის საყვარელი სკამია. გაბრაზდება! – გაახსენდა მაიკლს.

– უყურე, ერთი, მე როდისმე ვბრაზობ? – ზურგს უკან მოესმა მერი პოპინსის ხმა.

მაიკლს ძალიან გაუკვირდა.

– დედას გეფიცები, მერი პოპინს, თქვენ ხშირად ბრაზობთ! – უთხრა მან. – სულ ცოტა, დღეში ორმოცდაათჯერ მაინც.

– არასოდეს! – შეულრინა მერიმ, – ბოაკონსტრიქტორის* მოთმინება მაქვს! მე მხოლოდ შენიშვნებს გაძლევთ!

თქვა ეს, მობრუნდა და ქანდაკების მოპირდაპირე მხარეს მდგარ სკამზე ჩამოჯდა. იქიდან გაჯავრებული მიაცქერდა ხნიერ ჯენტლმენს. მერი პოპინსის გამოხედვა ყოველ სულიერს ადგილზევე გააქვავებდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ხნიერ ჯენტლმენს მერი პოპინსისათვის არ შეუხედავს. იჯდა წიგნში თავჩარგული. მერი პოპინსმა წყრომით ჩაიფრუტუნა, ეტლიდან ხელსაქმე ამოიღო და წინდების ამოკემსვას შეუდგა.

ბავშვები ნაპირს მოედნენ.

– ეს ჩემი ხომალდი იქნება! – სანაგვიდან ფერადი ქალაქი ამოაძვრინა მაიკლმა.

– მე თევზს ვიჭერ! – მუცლით გაწვა ნაპირზე და ხელი წყალში წაყო ჯეინმა.

წარმოიდგინა, ხელში გრძელ ძაფზე გამობმული ანკესი მიჭირავს და ანკესზე ჭიაა წამოცმულიო. საცაა, თევზი მოვა, ჭიას პირს წაავლებს და ცუპ! ანკესზე წამოეგებაო. მერე ანკესს მარდად ამოვისვრი, თევზს ქუდზე დავდებ და შინ წამოვიღებო. «აი მესმის!.. – იტყვის მისის ბრილი. – მისწრებაა! თავს ვიმტვრევდი, სადილად რა მოვამზადო-მეთქი!»

იქვე, გვერდით ტყუპები წყალში ჭყაპუნობდნენ. მაიკლი თავის ხომალდს ძლიერ ქარიშხალში მიაცურებდა. მერი პოპინსი მერხზე იჯდა და ფეხით ეტლს არწევდა. მარდად კემსავდა იგი წინდას, ნემსი წამდაუწუმ მზეზე ბრწყინავდა.

პარკში თვლემისმომგვრელი სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა.

უცებ გაისმა ბაჰ!

ხნიერმა ჯენტლმენმა წიგნი დახურა. იმის ხმა იყო.

– მოითმინეთ, რა, – გაისმა წკრიალა ხმა. – ბოლომდე ჩაკითხვა მაცალეთ!

განცვიფრებულმა ბავშვებმა მიიხედეს.

თვალები დაჭყიტეს, აახამხამეს და ისევ დაჭყიტეს.

მათ თვალწინ, ბალახზე მარმარილოს ბიჭი იდგა და ხელში მარმარილოს დელფინი ეჭირა. კვარცხლბეკი ცარიელი იყო.

ხნიერმა ჯენტლმენმა პირი დაალო, მერე დახურა და ისევ გაალო.

– ე-ე-ე... თქვენ რამე თქვით? – ამოიღო ბოლოს ხმა და წარბები ლამის კინკრინხომდე აზიდა.

– რასაკვირველია, ვთქვი, – უთხრა მარმარილოს ბიჭმა. – მეც ვკითხულობდი და თქვენ უცებ დახურეთ წიგნი. ბოლომდე მინდა ჩავიკითხო და გავიგო, საიდანა აქვს სპილოს ხორთუმი!

– ოჰ, ღვთის გულისთვის, მაპატიეთ! – თქვა ხნიერმა ჯენტლმენმა, – აზრადაც არ მომსვლია, თუ თქვენ... ე-ე-ე... კითხულობდით. ოთხ საათზე ყოველთვის ვწყვეტ კითხვას. შინ სამხარს უნდა მივუსწრო.

ადგა, თავზე დაფარებული ცხვირსახოცი მოიხსნა და ცილინდრი აიღო.

– კარგით, რადგან თქვენ კითხვას მორჩით, არ შეიძლება მათხოვოთ თქვენი წიგნი? – მშვიდად ჰკითხა მარმარილს ბიჭმა.

ხნიერმა ჯენტლმენმა უკან დაიწია და წიგნი გულში ჩაიკრა:

– მაპატიეთ, არაფრით არ შემიძლია! ეს-ეს არის ვიყიდე. პატარა რომ ვიყავი, სულ მინდოდა ამ წიგნის წაკითხვა, მაგრამ ხელში ვერ ჩავიგდე, სულ უფროსები კითხულობდნენ. ახლა, როცა ჩემთვის საკუთრად შევიძინე, ვერ გავიმეტებ!

შემფოთებული შესცქეროდა ხნიერი ჯენტლმენი მარმარილოს ქანდაკებას, თითქოს ეშინოდა, წიგნი ხელიდან არ გამომტაცოსო.

– მე მოგიყვები ცნობისმოყვარე სპილოს ამბავს! – შეჰბედა ჯეინმა.

დელფინიანი ბიჭი მაშინვე მოუბრუნდა:

– მართლა, ჯეინ? – სიხარულისაგან მარმარილოს სახეზე ნათელი გადაეფინა.

– მე კი შემიძლია გაიმბო ყვითელ ძაღლ დინგოსა და პეპელაზე, რომელმაც ფეხი დააბაკუნა! – სიტყვა დააწია მაიკლმაც.

– არა! – თქვა უცებ ხნიერმა ჯენტლმენმა. – ბოლოს და ბოლოს, მე მაცვია და მახურავს, საწყალი ბავშვი კი შიშველ-ტიტველია! მივცემ წიგნს. ეტყობა, ამ წიგნის ქონა არ მიწერია.

წიგნს ისე შეხედა, თითქოს ემშვიდობებოდა, ხელში მიაჩეჩა მარმარილოს ბიჭს, მიბრუნდა და უნდა წასულიყო, მაგრამ შეამჩნია, რომ დელფინი ასხმარტალდა, და ისევ მობრუნდა.

– მაინტერესებდა, როგორ დაიჭირეთ ეს თევზი, ანკესზე წამოეგო თუ ბადეს მოჰყვა?

– ეს თევზი არაა, – გაიღიმა ბიჭმა. – არც მე დამიჭერია. მაშინ მომცეს, როცა დავიბადე!

– აჰა, გასაგებია, – თავი დაუქნია ხნიერმა ჯენტლმენმა, მაგრამ სახეზე მაინც გაოცება ეხატა. – აბა, მივდივარ. კარგად იყავით! – ცილინდრი თავაზიანად ასწია და სწრაფად გაუდგა გზას.

– გმადლობთ! – დაადევნა მარმარილოს ბიჭმა და მაშინვე ჩარგო თავი წიგნში.

პირველ გვერდს ფაქიზი ხელწერა ამშვენებდა: «უილიამ უეზეროლ უილკინსი».

– წავშლი მის სახელს და ჩემსას დავაწერ, – გაუღიმა სიხარულით ჯეინსა და მაიკლს მარმარილოს ბიჭმა.

– რა გქვია შენ? კითხვა იცი, ა?.. – კითხვა კითხვაზე დააყარა გაოცებულმა მაიკლმა.

– ნელეი მქვია, შენ კი არ იცი კითხვა? – გაიცინა ბიჭმა.

– კვარცხლბეკიდან როგორ ჩამოხვედი? – ჰკითხა ჯეინმა. – ქანდაკებები ხომ ვერ დადიან!

– გადმოვხტი, – აუხსნა ნელეიმ, ისევ გაუღიმა და მარმარილოს ქოჩორი გადაიწია. – ისე შევწუხდი, ზღაპარი რომ ბოლომდე ვერ წავიკითხე, ფეხებმა თავისთავად ისკუპეს. სანამ გონს მოვიდოდი, უკვე ქვევით ვიყავი.

მარმარილოს ფეხები მიწაზე დააბაკუნა.

– ეჰ, ადამიანებო, რა ბედნიერები ხართ, ყოველდღე რომ შეგიძლიათ იაროთ! ხშირად გიყურებდით. ყოველთვის მინდოდა თქვენთან ჩამოვსულიყავი და მეტამაშა! და აი, დღეს, როგორც იქნა, თქვენთანა ვარ! ისე მიხარია! თქვენ? მითხარით, თქვენ არ გიხარიათ?

ტბორს ირგვლივ ხტუნვა-ხტუნვით შემოურბინა და სიხარულისაგან აღიღინდა. სანამ ჯეინი და მაიკლი საპასუხო სიტყვებს ეძებდნენ, ტბორის ნაპირს მიადგა და ხელი წყალში ჩაყო.

– აი, როგორი ყოფილა წყალი! – წამოიძახა მან. – ცისფერი, ცისფერი და მსუბუქი, როგორც ჰაერი!

ყმაწვილი ტბორის ლივლივა ზედაპირზე დაიხარა, დელფინმა კუდი გააქნია, ხელიდან გაუსხლტა და წყალს შეერია.

– დაიჭირე, დაიჭირე! დაიხრჩობა! – დაიყვირა შეშინებულმა მაიკლმა.

მაგრამ დელფინი დახრჩობას სულაც არ აპირებდა.

ერთ წუთში მთელი ტბორი გაცურ-გამოცურა, კუდით წყალი აადგაფუნა, მერე ჩაყვინთა, ყალყზე შედგა, ამოხტა ჰაერში და ისევ ჩაყვინთა.

ცირკში გეგონებოდათ თავი!

როცა თამაშით მოიღალა, ამოხტა და პირდაპირ ხელში ჩაუხტა თავის პატრონს, ბავშვებმა თავი ვერ შეიკავეს და ტაში დასცხეს.

– კარგი იყო? – შემურდა ნელეის.

დელფინმა ჩაიღიმა და თავი დაუქნია.

– კარგია?! – გაისმა ნაცნობი ხმა. – კარგი კი არა, აღმაშფოთებელია!

ტბორის ნაპირას იდგა მერი პოპინსი და თვალებიდან ცეცხლს აკვესებდა.

ნელეიმ წამოიყვირა, ფეხზე წამოხტა და თავდახრილი მიეახლა. იდგა გაუბედავად პატარა, საცოდავი ბიჭი და ელოდა განაჩენს.

– ერთი მიბრძანე, ვინ დაგროთ ნება, ქვემოთ ჩამოსულიყავი? – მერი პოპინსს სახეზე ჩვეულებრივი მრისხანება ეწერა.

ნელეიმ თავი ჩაკიდა.

– არავინ – ალულლულდა ის. – ფეხები თვითონვე ჩამოხტნენ, მერი პოპინს.

– მაშინ ჯობს, თვითონვე ახტნენ უკან. ნაბიჯით იარ! უფლება არა გაქვს, კვარცხლბეკიდან ჩამოხვიდე!

მარმარილოს ბიჭმა თავი უკან გადაიგდო, მზემ სხივები აათამაშა მის ჩოფურა ცხვირზე.

– მერი პოპინს, ნება დამრთეთ, ცოტა ხანს დავყო ქვემოთ! – შეევედრა ის. – სულ ცოტა ხანს! ძალიან მინდა ჯეინთან და მაიკლთან ვითამაშო! თქვენ არ იცით, როგორ მწყინდება მარტოდმარტოს, ხმის გამცემი არავინაა! მერი პოპინს, გეთაყვა, ძალიან გთხოვთ, – ჩურჩულით დაამთავრა ვედრება.

წუთით ჩაფიქრდა მერი პოპინსი. მერე აიხედა, თვალეში სიკეთე ჩაუდგა, ტუჩებზე ღიმი მოერია, ლოყაზე ფოსო გაუჩნდა.

– კარგი, დღეს ეგრე იყოს! _ უთხრა მან. _ მაგრამ ეს ერთხელ, ნელეი, პირველი იყოს და უკანასკნელი!

– უკანასკნელი იქნება, პატიოსან სიტყვას გაძლევთ! _ ეშმაკურად გაუღიმა ნელეიმ.

– საიდან იცნობ მერი პოპინსს? _ ჰკითხა მაიკლმა. _ სად გაიცანი?

– დიდი ხანია ვიცნობ, _ გაიცინა ნელეიმ. _ მამაჩემის ძველი მეგობარია.

– ვინ არის მამაშენი? სად ცხოვრობს? _ ცნობისმოყვარეობისაგან ლამის მოკვდა ჯეინი.

– აქედან შორს ცხოვრობს, საბერძნეთის კუნძულებზე, ზღვის მბრძანებელს ეძახიან.

ნელეის მარმარილოს თვალებში ნაღველი ჩაუდგა.

– რას აკეთებს? _ არ ეშვებოდა მაიკლი. _ მამაჩემივით სიტყვით დადის?

– ო, არა! არსად არ დადის. კლდეზე დგას ზღვის პირას, ხელში სამკაპი უჭირავს, ბუკსა ჰკრავს. გვერდით დედაჩემი უზის, თმას ივარცხნის. იქვე, მათ ფეხებთან ჩემი უმცროსი ძმა პელი მარმარილოს ნიჟარას ათამაშებს. მთელი დღე თოლიების ჩრდილები დარიალებენ მარმარილოს სხეულებზე და უყვებიან ნავსადგურის ახალ-ახალ ამბებს. ხომალდები შედიან ყურეში, თუ გადიან ზღვაში, დედა, მამა და პელი ფერადი აფრების ცქერით ტკბებიან. ღამე კი ყურს უგდებენ, ტალღა ტალღას როგორ ეხეთქება და როგორ ასკდება ნაპირს.

– რა კარგია! _ წამოიძახა ჯეინმა. _ შენ რაღად დასცილდი ახლობლებს? _ თავისთვის გაიფიქრა, რომ მისის და მისტერ ბენქსებს მარტოდმარტო არასოდეს მიატოვებდა საბერძნეთის კლდეებზე.

– არ მინდოდა, მაგრამ ჩვენ, ქანდაკებები, რას გავხდებით ადამიანებთან? ყოველთვის მოდიოდნენ დასათვალიერებლად და ვიშივიშებდნენ: ოჰ, რა კარგია, უჰ, რა კარგიაო! ერთხელაც ერთმა ბრძანა: «ამას წავიყვანო!» და ხელი მომაშვირა. და აი, წამომიყვანეს...

თქვა მარმარილოს ბიჭმა და წუთით სახე დელფინის ფარფლში ჩამალა.

– მერე რა მოხდა? _ ჩაემია ჯეინი... _ როგორ მოხვდი ჩვენს პარკში?

– ყუთით, _ მშვიდად თქვა ნელეიმ და, გაოცებულ ყმაწვილებს რომ შეხედა, გაიცინა. _ ჩვენ ყოველთვის ასე ვმოგზაურობთ. ჩვენს ოჯახზე დიდი მოთხოვნილებაა. ჩვენ ვჭირდებით პარკებში, მუზეუმებში, ბაღებში. გვიყიდიან და ამანათებით გვაგზავნიან. არავის აზრად არ მოსდის, რომ ზოგჯერ შესაძლოა... ვწუხდეთ.

ბოლო სიტყვაზე ცოტა არ იყოს ენა დაემა.

– გვეყოფა ამაზე ფიქრი! _ წამოიძახა და თავი შეარხია. _ თქვენ აქა ხართ და ყველაფერი კარგადაა! ასე მგონია, ნათესავები ვართ. მე ხომ თქვენზე ყველაფერი ვიცი! ფრანზეც ვიცი, ფაიფურის სამეფო ლანგარზეც, რობერტსონ ეიზეც, სადილად რა გაქვთ ხოლმე, ისიც ვიცი. არ შეგიძნევიათ, თქვენს ლაპარაკს რომ ვუსმენ? იცით, ზემოდან დაგყურებთ და თქვენთან ერთად ზღაპრებსაც ვკითხულობ!

ჯეინმა და მაიკლმა უარის ნიშნად თავი გააქნიეს.

– «აღისა საოცრებათა ქვეყანაში» ზეპირად ვიცი! – განაგრძობდა ის. – თითქმის მთლიანად ვიცი «რობინზონ კრუზოც». «ყველაფერი, რაც უნდა იცოდეს ნამდვილმა მანდილოსანმაც», ვიცი. ეს წიგნი მერი პოპინსის საყვარელი წიგნია. ყველაზე მეტად, მართალი რომ გითხრათ, «მხიარული სურათები» მიყვარს. მართლა, ამ კვირაში რა დაემართა ვეფხვის ბოკვერ თიშს? გადაურჩა მია მოჰსს?

– სწორედ დღეს იქნება ახალი ნომერი, – თქვა ჯეინმა. – ყველანი ერთად წავიკითხავთ!

– აჰ, რა ბედნიერი ვარ დღეს! – წამოიძახა ნელეიმ. – «ცნობისმოყვარე სპილოს» ამბავსაც წავიკითხავ, «მხიარულ სურათებსაც», ფეხებიც ფრთებიც ვიტა მაქვს! ჩემი დღეობა არ ვიცი როდისაა, მაგრამ ალბათ დღესაა!

გულზე მიიხუტა დელფინი და წიგნი და აცეკვდა.

– ეი! ძინ-ძინ-ძინ! უნდა მიიხედ-მოიხედო, სად მიდიხარ! – დაიყვირა მენაყინემ. იგი თავის ხელურემს მოაგორებდა ტბორის სანაპიროზე.

ხელურემს ასეთი წარწერა ჰქონდა:

შეჩერდი და მიირთვი ერთი ულუფა!

რა მშვენიერი დარია!

– შეჩერდი! შეჩერდი! შეჩერდი! შეჩერდი! – იყვირეს ყმაწვილებმა და ხელურემს მისცვივდნენ.

– შოკოლადის ნაყინი მომეცი! – უთხრა მაიკლმა.

– მე ლიმონის მინდა! – არ დააყოვნა ჯეინმა.

ბუთხუზა ტყუპებმა ის გამოართვეს, რაც მიაწოდეს.

– შენ რომელი მოგართვა? – ჰკითხა მენაყინემ ნელეის, როცა ის მოკრძალებით დაუდგა გვერდით.

– არ ვიცი, რომელი ავიღო, – უთხრა ნელეიმ, – არასოდეს გამისინჯავს.

– რ-რას? ნაყინი არ გიჭამია? დიდი ბიჭი ხარ, კი უნდა იცოდე ნაყინზე ყველაფერი! აბა!

მენაყინემ ხელი ჩაყო სანაყინეში, ჟოლოს ნაყინი ამოარჩია და ნელეის გაუწოდა.

– აბა, ჭამე, – უთხრა მან, – ვნახოთ, როგორ მოგეწონება!

ნელეიმ ნაყინი ორად გაყო, ნახევარი დელფინს ჩაუდო პირში, ნახევარს თვითონ დაუწყო ლოკვა.

– მშვენიერია! – თქვა მან. – წყალმცენარეებს ასწილად სჯობს.

– წყალმცენარეებსო? ეგლა გვაკლია, წყალმცენარეს შეადარო! რა შუაშია წყალმცენარეები? მართლა, წყალმცენარეებზე გამახსენდა, – განაგრძო მენაყინემ. – ჩაგეცვა შე კაცო. მაგრამ გაცივდები, ასე დედიშობილა თუ იარე. მაპატიე, ასე გულახდილად რომ გითხარი. ძინ-ძინ! – აჟღერიალდა ეჟვანი, ხელურემი დაიძრა ადგილიდან და სხვა მხარეს გასწია.

ნელეიმ ალმაცერად გახედა ყმაწვილებს და სამივეს ხარხარი აუტყდა.

– ო, ღმერთო! – სულს ძლივს ითქვამდა სიცილისაგან ნელეი. – კაცი ვეგონე, ადამიანი! ეგებ დავეწიო, ავუხსნა, ვინცა ვარ? ორიათასი წელიწადი ასე დავდივარ და სურდოც არ შემყრია!

ის იყო ნელეი მენაყინეს უნდა გაჰკიდებოდა, რომ მაიკლმა დაუყვირა:

– ეე, ფრთხილად! ბართლომე მოდის!
და ნაყინის ბოლო ლუკმას პირში გადაუძახა.

ჩვენი ძველი ნაცნობი ბართლომე ახლა მის ლარკთან ცხოვრობდა. ძალღს საძაგელი ჩვეულება ჰქონდა – მიახტებოდა ყმაწვილებს და ხელიდან სტაცებდა, რაც უნდა სჭეროდათ. ძველებურად თავხედობდა. ტყუილად კი არ იყო ნახევრად ერდელი და ნახევრად მეძებარი, თანაც, როგორც გახსოვთ, ვერც ერთი ნახევარი უკეთესობით ვერ დაიკვებინდა...

კბილებდაკრეჭილი, ენაგადმოგდებული ზარმაცად მოძუნძულდებდა, ძალღური უხეშობა ზედვე ეტყობოდა. მის უკან კეკლუცად მოცუნცულდებდა სრულყოფილების ნიმუში – ედმონდი. ძაღლებს ფეხდაფეხ მოსდევდა აქოშინებული მის ლარკი.

– ხუთიოდე წუთით გამოვედით სამხრობამდე გასასეირნებლად, – დაიწყო მის ლარკმა ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი. – საუცხოო დარი დგას და ძაღლები ჩამაცივდნენ... ღმერთო დიდებულო, ამას რას ვხედავ? – ხმა ჩაუვარდა, სუნთქვა შეეკრა და ნელის მიაშტერდა. ისედაც სახეაღწილი მის ლარკი მთლად აჭარხლდა და გაწყრა:

– ეჰ, შე საძაგელო და ბოროტო ბიჭო! რისთვის აწვალე საწყალ თევზს? არ იცი, უწყლოდ რომ დაიღუპება?

ნელემ მარმარილოს წარბი აზიდა. დელფინმა ბოლო სახეზე აიფარა, მარმარილოს ღიმილი რომ დაემალა.

– ხედავ! – განაგრძო მის ლარკმა. – აგონიაშია ჩავარდნილი! სულს დაფავს! ახლავე ჩაუშვი წყალში!

– არ შემიძლია, – გამოეპასუხა ნელემ, – მეშინია, უჩემოდ არ მოიწყინოს!

თავაზიანად ელაპარაკებოდა ნელემ. მაგრამ დელფინი თავაზიანობაზე სულაც არ ფიქრობდა. ბოლოს იქნევდა, წრიალებდა და იკრიჭებოდა.

– სისულელეებს ნუ ბოდავ! თევზები არასოდეს არ არიან მოწყენილები, ნუ მეკამათები!

მის ლარკი მთელ კომპანიას დაემუქრა.

– ჩემი აზრით, მის პოპინს, – თქვა მან, – ყმაწვილებს ცოტა უფრო მკაცრად უნდა მოექცეთ! ამ საძაგელ ბიჭს უბრძანეთ, გაუშვას თევზი იქ, სადაც დაიჭირა!

მერი პოპინსმა, როგორც იქნა, შეხედა მის ლარკს.

– ვშიშობ, რომ ეს შეუძლებელია, მემ. მეტისმეტად შორია.

– შორსაა თუ ახლოს, ამას მნიშვნელობა არა აქვს! როგორ შეიძლება აწვალთ უსუსური ცხოველი! ედ, ბართლომე, მოდით აქ, მე ახლავე გავიქცევი და ყველაფერს მოვახსენებ ლორდ-მერს!

თქვა ესა და გაიქცა. ძაღლებიც გაძუნძულდნენ. ბართლომემ წასვლამდე დელფინს დამცინავად ჩაუკრა თვალი.

– უთხარით, ტანსაცმელი ჩაიცვას! ასე რომ დასეირნობს, მზე დასწავს! – ჩაიწიწინა მის ლარკმა ისე, რომ არ შეჩერებულა.

ნელემ კინადამ სიცილით მოკვდა.

– მზე დამწვავს! – კვნესოდა ის, – მერი პოპინს, ნუთუ ვერავინ ხვდება, რომ მარმარილოს ბიჭი ვარ!

_ ჰმ! _ ჩაიცინა მერი პოპინსმა.
ნელეიმ ონავრულად გაიღიმა.
_ ასე ზღვის ლომები ამბობენ, _ თქვა მან. _ შემოსხდებიან კლდეებზე,
დაისს შესცქერიან და «ჰმ»-ს იძახიან.
_ მაშ ასე! _ მუქარა გაერია მერი პოპინსის ხმაში.
ყმაწვილები აკანკალდნენ, რაიმე საშინელება არ მოხდესო.
მაგრამ არაფერი მომხდარა. მერი პოპინსმა ნელეის საპასუხოდ თვი-
თონაც ონავრული ღიმილი შეაგება. ცისფერი და მარმარილოს თვალები ერ-
თმანეთს უცინოდნენ.
_ ნელეი, _ მშვიდად უთხრა მან, _ ათი წუთიღა დაგრჩა. გაზეთის ფარ-
დულამდე შეგიძლია მოგვყვე, მერე კი უკან უნდა მობრუნდე.
_ მერე? _ ჰკითხა ნელეიმ და დელფინი ჩაიხუტა.
მერი პოპინსმა არაფერი უპასუხა. თვალით ანიშნა ტბორს გაღმა აღ-
მართულ კვარცხლბეკზე...
_ მერი პოპინს, ძალიან გთხოვთ, კიდევ დარჩეს ჩვენთან! _ აჭიჭყინ-
დნენ ბავშვები, მაგრამ მერი პოპინსმა ერთი გადახედა და ეს საკმარისი იყო,
ხმა გაეწყვიტათ.
_ დროს ნუ ვკარგავთ! _ წამოიძახა ნელეიმ და წამოხტა. _ გავიქცეთ!
ნელეიმ და ჯეინმა ხელიხელს ჩაჰკიდეს და მზის სხივებით აციმციმე-
ბულ გზაზე გაიქცნენ.
ცაცხვების ხეივანის ბოლოს იდგა მხიარული ფერებით შეღებილი ფარ-
დული. ფირნიში იუწყებოდა:

მისტერ ფოლი
წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს
ეძებთ? _ ინებეთ, აქა გვაქვს!

ფარდულში ფერად-ფერადი ჟურნალები ყვავილწუნულებივით ეკიდა.
ბავშვებმა რომ მიირბინეს, თვითონ მისტერ ფოლიმ გამოყო თავი ერთ-ერ-
თი ყვავილწულიდან. მრგვალი სახე ჰქონდა, მშვიდი და კეთილი.
_ ჯეინ ბენქსი და მისი მეგობარი მობრძანდნენ! _ მიეთავაზა ის. _ მგო-
ნია, ვხვდები, რისთვისაც მოხვედით.
_ «სადამოს ახალი ამბები» და «მხიარული სურათები» გვინდა, _ სულ-
მოუთქმელად მიაყარა ჯეინმა და ფული გაუწოდა.
ნელეიმ ხელი სტაცა ფერად, ხასხასა ჟურნალს და ჩქარ-ჩქარა გადა-
ფურცლა.
_ აბა, როგორაა საქმე, ვეფხვის ბოკვერი თიმი ხიფათს გადაურჩა? _ ქა-
ქანით მოვარდა მაიკლი.
_ ვაშა, გადარჩა! _ იყვირა ნელეიმ. _ უსმინეთ! «ვეფხვის ბოკვერი თიმი
ხელიდან დაუძვრა ვერაგ ძია მოპსს! ახალი თავგადასავალი წაიკითხეთ
შემდეგ ნომერში!»
_ ვაშაა! _ დაიძახა მაიკლმა და თვალგაფაციცებით შეუდგა სურათების
თვალთვრებას.
მისტერ ფოლი ინტერესით დააცქერდა ნელეის.

– რა სიმპათიური პატარა ვეშაპი გყავს! – უთხრა მან. – ადამიანივით იყურება. სად დაიჭირე, შვილო?

– მაჩუქეს, – უპასუხა ნელეიმ და ჟურნალიდან თავი აიღო.

– აბა, უყურე! ბრწყინვალე საჩუქარია! სადაური ხარ? დედაშენი სადაა?

– აქედან ძალიან შორსაა, – სევდა მოერია ნელეის.

– აბა, უყურე! – მისტერ ფოლიმ თავი გააქნია. – მამაც არა გყავს?

ნელეიმ უთხრა, არაო, და გაიღიმა.

– რას ამბობ! გიჭირს, ალბათ, საცოდავო! – მისტერ ფოლიმ მარმარილოს ბიჭს თანაგრძნობით ახედ-დახედა, – ალბათ გცივა კიდევ, შიშველი დადიხარ!

მისტერ ფოლიმ ჯიბეს იკრა ხელი, რაღაც აჩხრიალდა.

– აბა, დაიჭი! – გაუწოდა ხელი ნელეის. – რამეს იყიდი, შიშველი ხომ არ ივლი! ფილტვების ანთება დაგემართება, ან გრიპი შეგეყრება, ან რაიმე ამდაგვარი.

ნელეი ინტერესით დაჰყურებდა მისტერ ფოლის გამოწვდილ ვერცხლის ფულს.

– რა არის ეს? – იკითხა მან.

– ნახევარკრონიანია, – მიუგო მისტერ ფოლიმ, – არასოდეს გინახავს?

– არასოდეს! – გაუღიმა ნელეიმ.

დელფინმაც ცნობისმოყვარედ შეხედა ფულს.

– ეჰ, ეჰ, ეჰ! შე საწყალო! ნახევარკრონიანი არასოდეს გინახავს, შიშველ-ტიტველი ხარ! ვიდაცამ ხომ უნდა იზრუნოს შენზე!

მისტერ ფოლიმ საყვედურით შეხედა მერი პოპინსს.

მერი პოპინსმა აღშფოთებული მზერა დაუბრუნა მისტერ ფოლის.

– მაღლობას მოგახსენებთ, ჰყავს მას მზრუნველი! – თქვა მან, გაიხადა თავისი ახალი თეთრი ჟაკეტი და ნელეის მხარზე მოასხა.

– აი ასე! ახლა თბილად იქნები.

ნელეი უყურებდა ხან მერი პოპინსს, ხან ჟაკეტს და მარმარილოს თვალებს აჭყეტდა.

– მე მაძლევთ? სულ ჩემი იქნება? – კითხულობდა ის. – ოჰ, ჩემო ზღვის ლომო! გმადლობთ! – წამოიყვირა მან და მერი პოპინსს მოეხვია. – ჯეინ, შეხედე ჩემს თეთრ ქურთუკს! მაიკლ, ღილები ნახე!

გახარებული ხან ერთს მიახტებოდა, ხან მეორეს და თავის ახალ ტანსაცმელს უჩვენებდა.

– ეს სწორია, – სახე გაუნათდა მისტერ ფოლის. – ტყუილად როდია ნათქვამი, ღვთისნიერ ადამიანს ღმერთი სწყალობსო. ნახევარკრონად შარვალსაც იყიდი და კარგად, თბილად იქნები.

– სხვა დროისთვის იყოს, – სიტყვა შეაწყვეტინა მისტერ ფოლის მერი პოპინსმა და ბავშვებს მიუბრუნდა:

– გვაგვიანდება. აბა, ბავშვებო, ყოჩაღად! ძალიან გთხოვთ, ნუ იზოზინებთ, იჩქარეთ!

და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა ხეივანს.

მზე სწრაფად იხრებოდა დასავლეთით. ორკესტრის ხმა აღარ ისმოდა. ფერადი ქოლგები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. დარაჯიც კი სადღაც მიი-

მალა. ხეები დუმდნენ, გრძელი ჩრდილები ქვიშაზე გაწოლილიყვნენ... ჯეინსა და მაიკლს ნელისთვის ხელი ჩაეკიდათ და დუმდნენ. გრძნობდნენ, მათი თავგადასავალი ამ ზაფხულის დღესავით ილეოდა. ეს თან უხაროდათ, თან სწყინდათ...

– ნელი, მე შენ მიყვარხარ! – უჩურჩულა ჯეინმა. – მე მინდა სულ ჩვენთან იყო!

– მეც მიყვარხარ, – გაუღიმა ნელიმ. – მაგრამ უნდა მივბრუნდე, დავპირდი.

– დელფინს ვერ დაგვიტოვებ? – ჰკითხა მაიკლმა და დელფინს ხელი მოუთათუნა.

ჯეინმა წყრომით შეხედა:

– არა გრცხვენია?! შენ დათანხმდებოდი, მთელი სიცოცხლე კვარცხლბეკზე მარტოდმარტო მდგარიყავი?

– დიახ, დავთანხმდებოდი, თუ დელფინი მეყოლებოდა და მერი პოპინსისთვის შემემლო დამეძახა ზღვის ლომი, კი, ნამდვილად დავთანხმდებოდი!

– იცი რა, მაიკლ, – ჩაერია ლაპარაკში ნელი. – დელფინს ვერ მოგცემ. ეს ჩემი სხეულის ნაწილია. მაგრამ, სამაგიეროდ, ნახევარ კრონს მოგცემ. და ფული მაიკლს ჩაუდო ხელში.

– წიგნი კი შენ გქონდეს, ჯეინ. ოღონდ დამპირდი, პატიოსანი სიტყვა მომეცი, რომ წამაკითხებ! დამპირდი, რომ ყოველ კვირას მოხვალ და «მხიარულ სურათებსაც» წამიკითხავ!

– პატიოსან სიტყვას გამლევ! – აენტო ჯეინი.

– დაგელოდები, – ნაზად უთხრა ნელიმ. – არასოდეს დაგივიწყებ, არასოდეს!

– გაინძერით, ნუ ყბედობთ! – დაუტატანა მერი პოპინსმა და ტბორისკენ იბრუნა პირი.

ეტლი მიჭრიალებდა. უცებ ჭრიალი ვიღაცის ბუხუნა და ნაცნობმა ხმამ ჩაახშო.

– ხელი არ მიხლია და არც არაფრის ფასად ვახლებ! – თავს იმართლებდა ნაცნობი ხმა ვიღაცის წინაშე.

ტბორის პირას, დაცარიელებულ კვარცხლბეკთან იდგნენ ლორდ-მერი, ორი მრჩეველი და მკაცრად შესცქეროდნენ დარაჯს. დარაჯი ხელებს შლიდა, ყვიროდა, მოკლედ, უცნაურად იქცეოდა.

– მე რა შუაში ვარ, თქვენო ბრწყინვალეებავ! უდანაშაულო კაცი ვარ! – ღნაოდა ის.

– სირცხვილია, სმით! – მკაცრად ეუბნებოდა ლორდ-მერი. – ქანდაკებაზე თქვენ აგებთ პასუხს. თქვენს მეტს არავის შეემლო წაელო!

– უმჯობესია, გამოტყდეთ! – ურჩია პირველმა მრჩეველმა.

– ეს არ გიხსნით, მაგრამ გულზე მოგეშვებათ! – დასძინა მეორემ.

– ხელი არ მიხლია, რატომ არა გჯერათ! – დარაჯი სიმწრისგან ხელებს იმტვრევდა.

– ტყუილად მიედ-მოედები, სმით! – აღშფოთდა ლორდ-მერი, – დროს მაკარგვინებ! ჯერ ერთი, ვიღაც შიშველი ყმაწვილი მყავს მოსაძებნი. საწყალ ვირთევზას თუ ორაგულს აწვალეებდა თურმე, როგორც თქვა მის ლარკმა! ეს

არ მეყოფოდა და ამ დროს ყველაზე ძვირფასი ქანდაკება გაქრა კვარცხლბეკიდან! გაოცებული ვარ და შეწუხებული! გენდობით, სმით! და ხედავთ, როგორ მომჭირით თავი, ნდობა არ გამიმართლეთ!

– მე ვხედავ! ვხედავ კი არა, ვერაფერს ვერ ვხედავ! ღმერთო, თვითონ არ ვიცი, რას ვამბობ, თქვენო ბრწყინვალეზავ! ერთი ვიცი – არასოდეს გავკარებოვარ ამ ქანდაკებას!

დარაჯი შეშლილივით იყურებოდა აქეთ-იქით და უცებ მერი პოპინსი დაინახა.

– თქვენო ბრწყინვალეზავ, ეს არის ყველაფერში დამნაშავე! – დაიღრიალა ნახევრად შეშინებულმა, ნახევრად გახარებულმა და მერი პოპინსზე მიუთითა. – სულ ამის ბრალია, აქვე მიწა გამისკდეს, თუ ვტყუოდე!

ლორდ-მერმა ჯერ მერი პოპინსს შეხედა, მერე მზერა დარაჯზე გადაიტანა.

– სმით, თქვენ მაგივრად მე მრცხვენია! – თავი გააქნია შეწუხებულმა, – თქვენს დანაშაულს აბრალეხთ წესიერ, უდანაშაულო ქალს, რომელიც ალსაზრდელებს ასეირნებს! როგორ არა გრცხვენია?

ლორდ-მერმა თავაზით დაუკრა თავი მერი პოპინსს. მერი პოპინსმა საპასუხო სალამი დაუბრუნა და ღიმილი შეაგება.

– უდანაშაულო! ესაა უდანაშაულო?! – იღრიალა დარაჯმა. – თქვენო ბრწყინვალეზავ, თქვენ თვითონ არ იცით, რას ამბობთ! ფეხს შემოდგამს პარკში და ყველაფერი თავდაყირა დგება! ხალხი ციდან ცვივა, პრემიერ-მინისტრი საჰაერო ბუშტით დაფრინავს! ნამდვილი საგიჟეა აქაურობა! თქენი ნამოქმედარია ეს ყველაფერი! – მიუბრუნდა ის მერი პოპინსს მუშტმოღერებული.

– საცოდავი! შეიშალა! – შეწუხდა პირველი მრჩეველი.

– ურიგო არ იქნება, ხელბორკილები დავადოთ! – შიშით თქვა მეორემ.

– რაც გნებავთ, მიქენით, ჩამომახრჩეთ, მაგრამ არაფერ შუაში ვარ!

საწყალი დარაჯი კვარცხლბეკს მიეყრდნო და ცხარე ცრემლით ატირდა.

მერი პოპინსი მობრუნდა და ნელის უხმო. ნელიმ მოირბინა და გულში ჩაეხუტა.

– დროა? – ჰკითხა ჩურჩულით.

მერი პოპინსმა თავი დაუქნია. მერე დაიხარა და შუბლზე აკოცა. წუთით გაიტრუნა მერი პოპინსს ჩახვეული ნელი, მერე გაუსხლტა და აქვითინდა:

– ჯეინ, მაიკლ, მშვიდობით! არ დამივიწყოთ!

რიგრიგობით მიულამუნა თავისი ცივი ლოყა ყმაწვილებს და, სანამ ისინი ხმას გაიღებდნენ, ხეთა ჩრდილებში მიიშალა.

– ცხოვრებაში არასოდეს მიმართლებდა! – ქვითინებდა დარაჯი. – ყმაწვილობიდანვე დავიჩაგრე!

– დედის ნანად მოგეჩვენება ეს ამბავი იმასთან შედარებით, რაც დაგემართება, თუ ქანდაკებას თავის ადგილზე არ დააბრუნებ! – ბრაზობდა ლორდ-მერი.

ჯეინი და მაიკლი ვერც დარაჯს ხედავდნენ და ვერც ლორდ-მერს.

მათი ყურადღება კვარცხლბეკზე ამოყურყუმელავებულ ხუჭუჭა თავს მიეპყრო. ნელეი დელფინთან ერთად მსუბუქად შეხტა კვარცხლბეკზე და აღიმართა. ასწია მარმარილოს პატარა ხელი და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად ნაღვლიანად დაუქნია ყმაწვილებს გამოსამშვიდობებლად. ყმაწვილებმაც დაუქნიეს ხელი და მოეჩვენათ, რომ ის კანკალებდა... თუმცა შეიძლება აცრემლებულეებმა დაინახეს ასე.

ნელეიმ მაგრად მოხვია ხელი დელფინს, ხელი ხუჭუჭა თმაზე გადაისვა, თავი დახარა და გაქვავდა. მერი პოპინსის მოთეთრო-მოვარდისფრო ჟაკეტიც ისე ჩანდა, თითქოს მარმარილოსი იყო...

– არ შემიძლია დავაბრუნო, არ წამილია და რა დავაბრუნო! – განაგრძობდა ქვითინს დარაჯი.

– მისმინეთ, სმით, – დაიწყო ლორდ-მერმა და, ვაიო, შესძახა, ახტა და ყვირილი მორთო: – ღმერთო, ზეციერო! ქანდაკება დაბრუნდა! და რაღაც სხვანაირია!

უყურა, უყურა, კმაყოფილების სიცილი წასკდა, სამკუთხა ქუდი აიქნია და დარაჯს მხარზე მოუტყაპუნა.

– გაიძვერავე! ეს იყო თქვენი საიდუმლო! რატომ მაშინვე არა თქვით, ჩემო კარგო? ბრწყინვალე აზრია! გეყოფა თავის მოკატუნება! – დასძინა მან, რომ ნახა, დარაჯი ენაჩავარდნილი, შეშლილი თვალებით მისჩერებოდა ნელეის.

– ჯენტლმენებო! – მიმართა ლორდ-მერმა მრჩევლებს. – საწყალ სმითს უსამართლოდ მოვექცეით. მან კი დაგვანახა, ქალაქის სანიმუშო მსახური კი არა, ჩინებული მხატვარიც რომ არის! ხედავთ, რა ქნა? ქანდაკებას მარმარილოს ქურთუკი მოახურა! სანაქებოა, სმით! ნამდვილად სანაქებო! არასოდეს მომწონდა შიშველი ქანდაკებები!

– არც მე! – თავი დახარა პირველმა მრჩეველმა.

– არც მე! – თქვა მეორემ.

– ძვირფასო სმით, ნუ გეშინიათ, თქვენ დაგასაჩუქრებთ! დღეიდან ხელფასს მოგიმატებთ და ახალ ჩინს დაიკერებთ. გარდა ამისა, მის უდიდებულესობას მოვახსენებ თქვენს დამსახურებაზე მორიგი ანგარიშის წარდგენის ჟამს.

ლორდ-მერმა ერთხელ კიდევ თავაზით თავი დაუკრა მერი პოპინსს და მედიდურად გაეცალა იქაურობას მრჩევლებთან ერთად.

დარაჯი დიდხანს გაჰყურებდა მათ ისეთი სახით, თითქოს არ ესმოდა, სად იყო. მერე მობრუნდა და ქანდაკებას მიაშტერდა. მარმარილოს ბიჭი და მარმარილოს დელფინი ჩაფიქრებული ჩასცქეროდნენ ტბორს, ვითომ არა გაუგიათ რა. როგორც ყოველთვის, უძრავად, მშვიდად, მდუმარედ იდგნენ.

– აბა ჩქარა, შინისაკენ! – უხმო ბავშვებს მერი პოპინსმა.

უხმოდ აედევნენ კვალდაკვალ. ფული ხელსა სწვავდა მაიკლს. წიგნი მარმარილოსავით ცივი ეჩვენებოდა ჯეინს.

თავთავიანთ ფიქრებში გართულნი ჩუმად მიდიოდნენ. უკანიდან ვიდაცის მძიმე ნაბიჯების ხმა მოესმათ. მოიხედეს, დარაჯი მორბოდა. დროშასავით მოაფრიალებდა ჯოხზე წამოცმულ თავის ქურთუკს. ეტლთან მიიბინა და ქურთუკი მერი პოპინსს გაუწოდა.

_ გამომართვით! _ უთხრა მან. ძლივს სუნთქავდა. _ თქვენი ჟაკეტი ხომ იმ ბიჭს მიეცით. ღილებზე მივხვდი. მოიხურეთ, აგრილდა, გაცივდებით.

მერი პოპინსმა ჩამოართვა და მშვიდად მოიხურა ქურთუკი. ბრჭყვიალა სპილენძის ღილებიდან საკუთარი გამოსახულება უცინოდა.

_ გმადლობთ! _ უთხრა დარაჯს ზვიადად.

დარაჯი იდგა და თავს აქიცინებდა რეტდასხმული ძაღლივით.

_ თქვენთვის ალბათ ყველაფერი გასაგებია? _ ჰკითხა მან მერი პოპინსს, სახეზე ეწერა, მე კი არაფერი მესმისო.

_ შეიძლება გასაგები იყოს, _ ამაყად მიუგო მერი პოპინსმა.

მეტი არაფერი თქვა, ეტლს ხელი ჩაავლო და ხეივანს გაუყვა.

დარაჯი კი იდგა და გაჰყურებდა, სანამ მერი პოპინსი პარკის ჭიშკარს არ მიეფარა...

მეშვიდე თავი

კარუსელი

ჩუმი დილა იყო.

ისეთი ჩუმი, რომ, ვინც გაიარა ალუბლის შესახვევი და მეჩვიდმეტე ნომერი სახლის ეზოში გადაიხედა, გაკვირვებას ვერ ფარავდა:

_ არნახული ამბავია! ხმა არ ისმის!

თვითონ სახლი ჩვეულებრივად თავისთვის იყო, მაგრამ ამჯერად ისიც შეწუხდა.

«რა ამბავია? რა მოხდა? _ ამბობდა თავისთვის ყურგაფაციცებული. _ ნეტამც ცუდი არაფერი იყოს!»

სამზარეულოში მისის ბრილს ცხვირი გაზეთში ჩაერგო. სათვალე ცხვირის წვერამდე ჩამოსცურებოდა და თვლემდა.

მისის ბენქსი და ელინი კამოდს ალაგებდნენ და თეთრეულს ითვლიდნენ.

ზემოთ, ბავშვების ოთახში, მერი პოპინსი აუჩქარებლად ალაგებდა სუფრას.

~~რა კრავს დღეს კეთილზე კეთილი ვარ!~~ _ თქვა მით გამბარხლო ჩაზე მოკლათებულ ბაჭუნმა

_ ჰმ! _ ჩაიფრუტუნა მერი პოპინსმა. _ სასწაულია!

მაიკლმა დეიდა ფლოსის ნაჩუქარი კოლოფიდან ერთადერთი დარჩენილი შოკოლადი ამოიღო. იმ კვირას ექვსი წლისა გახდა და დეიდა ფლოსიმ სწორედ მაშინ აჩუქა.

«ჯეინს ხომ არ მივაწოდო? _ ფიქრობდა მაიკლი. _ ხომ არ აჯობებს, ტყუპებს მივცე? თუ მერი პოპინსს? რა ვქნა, ასეა თუ ისე, ჩემი დაბადების დღე იყო!»

_ ბოლო გემრიელია, _ თქვა და კანფეტი პირში ჩაიღო. _ და ძალიან მწყინს, რომ მეტი აღარაა! _ ხმამაღლა დასძინა გულწრფელად შეწუხებულმა.

_ კარგსაცა აქვს დასასრული, _ თქვა მერი პოპინსმა.

მაიკლმა გახედა, თავი გვერდზე გადახარა, სიმხნევე მოიკრიბა და უთხრა:

– თქვენ გარდა! თქვენ ყოველთვის კარგი ხართ!

მერი პოპინსს სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა.

მაგრამ მხოლოდ წუთით.

– ეგეც გამოჩნდება, – უპასუხა მან, – არაფერი არაა მარადიული!

ჯეინი შეშფოთდა.

თუ არაფერია მარადიული, მაშინ მერი პოპინსი... გაიფიქრა და შეშინებულად იკითხა:

– არაფერი არაა მარადიული?

– აბსოლუტურად არაფერი! – მოუჭრა მერი პოპინსმა.

თითქოს მიხვდა, ჯეინი რაზეც ფიქრობდა, მივიდა ბუხართან და ბუხრისთავიდან თავისი დიდი თერმომეტრი ჩამოიღო.

დასაკეცი საწოლის ქვევიდან ხალიჩის ჩანთა გამოათრია და თერმომეტრი შიგ ჩადო.

ჯეინი წამოდგა:

– მერი პოპინს! რატომ ჩადეთ ჩანთაში თერმომეტრი?

მერი პოპინსმა უცნაურად გამოხედა.

– იმიტომ! – ღირსეულად მიუგო მან. – იმიტომ, რომ მასწავლიდნენ, ყოველთვის წესრიგის მოყვარული იყავიო.

მერი პოპინსმა ჩანთა ისევ საწოლქვეშ შეაცურა.

ჯეინმა ამოიოხრა, სული აუფორიაქდა, გული დაუმძიმდა.

– რაღაც ვერა ვარ კარგად, – უჩურჩულა მაიკლს.

– ბევრი პუდინგი ჭამე საუზმეზე და ალბათ იმიტომ, – გამოთქვა ვარაუდი მაიკლმა.

– არა, მაგიტომ არა, – დაიწყო ჯეინმა, მაგრამ გაჩუმდა, კარზე დააკაკუნეს.

ტაკ! ტუკ!

– მობრძანდით! – მოიპატიჟა მერი პოპინსმა.

კარებში რობერტსონ ეი იდგა. ამთქნარებდა.

– იცით, რა? – თქვა მან.

– არ ვიცით. რა მოხდა?

– პარკში კარუსელია!

– ჩემთვის ახალი ამბავი არაა! – ჩაიფრუტუნა მერი პოპინსმა.

– ბაზრობაა! – აღფრთოვანდა მაიკლი. – საქანელები, მფრინავი ნავეები და ყოველნაირი ატრაქციონი იქნება, არა?..

– არა, – მედიდურად გაიქნია თავი რობერტსონ ეიმ. – მხოლოდ კარუსელია და მეტი არაფერი. წუხელ საღამოს მოიტანეს. მე მეგონა, დაგაინტერესებდა.

ესა თქვა, ზანტად მიბრუნდა და კიბეზე ჩაფრატუნდა.

ჯეინს სულ გადაავიწყდა თავისი წელანდელი შეშფოთება და წამოხტა.

– ოჰ, მერი პოპინს, წავიდეთ რა, წავიდეთ!

– თქვით «კარგი-თქო», თქვით! – მის გარშემო ხტოდა მაიკლი.

მერი პოპინსი მობრუნდა, თეფშებით სავსე ლანგარი ეჭირა და წონასწორობას ძლივს იცავდა.

– მე წავალ, – თქვა მან ცივად. – ჩემთვის მაქვს ბილეთის ფული, თქვენი არ ვიცი.

– ყულაბაში მაქვს ექვსი პენსი! – სიხარულით თქვა ჯეინმა.

– ჯეინ, ორი პენსი მასესხე! – შეეხვეწა მაიკლი. მაიკლმა თავისი დანაზოგი ერთიანად დახარჯა, ძირტკბილას ღერო რომ იყიდა.

– თუ შეიძლება, არ გავიგონო ამ ოთახში: «მასესხე», «მათხოვე!» – დატუქსა მერი პოპინსმა ყმაწვილები.

– ამჯერად მე აგიღებთ ბილეთებს, გეყოფათ! მოემზადეთ!

თვითონ ოთახიდან გავიდა, თეფშები გაიტანა.

სიჩუმეს სასწრაფოდ შეენაცვლა კარის ჯახუნი, სიხარულის შემახილები, ყმაწვილების ბაკაბუკი.

– «როგორც იქნა, მადლობა ღმერთს! – ჩაილაპარაკა სახლმა თავისთვის. – თორემ ის იყო, შევშფოთდი!»

ოთხივე ყმაწვილი ერთი ბრახაბრუხით ჩაცვივდა კიბეზე.

მერი პოპინსი წუთით შეჩერდა შემოსასვლელში, სარკეში ჩაიხედა.

– წავიდეთ, მერი პოპინს, წავიდეთ! – ვერ ითმენდა მაიკლი. – საკმაოდ კარგად გამოიყურებით!

მერი პოპინსმა მოიხედა, გაბრაზებაც ეტყობოდა, შეშფოთებაც, გაოცებაც.

კარგად გამოიყურები! არა უშავსო. არადა ახალი, ლურჯი, ვერცხლის-ლილეებიანი ჟაკეტი მაცვია, ოქროს მედალიონი მიკეთია, თუთიყუშის თავის მოყვანილობის ხელტარიანი ქოლგა მიჭირავს ხელში, კარგად გამოიყურებიო!

მერი პოპინსმა ჩაიფრუტუნა.

– რას უნდა ველოდე შენგან! რაცა სთქვი, იმაზეც მადლობელი ვარ! – ცივად თქვა მან. რასაკვირველია. მადლობელი არ იყო.

მაგრამ მაიკლი ისე იყო აღტაცებული, არაფერი შეუმჩნევია.

– წავიდეთ, ჯეინ! – ყვიროდა ის და ხტუნავდა. – თორემ მოვკვდები! წავიდეთ მალე!

მერი პოპინსმა ტყუპების ეტლში ჩასმაც ვერ მოასწრო, ჯეინმა ჭიმკრისკენ გააქანა. აბა რას იზამდა, კარუსელი ელოდათ!

შორიდან ესმოდათ მუსიკის ხმა, თითქოს სადღაც პარკში დიდი, უშველებელი ბზრიალა ზუზუნებდა...

– გამარჯობა! როგორა ბრძანდებით?

შესახვევში თავის ძაღლებიანად მის ლარკი შემოეყარათ. სანამ ყმაწვილები პასუხს გასცემდნენ, მან განაგრძო წიწინი:

– კარუსელზე სასეირნოდ მიბრძანდებით? ედმონდი, ბართლომე და მე სწორედ იქიდან მოვდივართ! მშვენიერი გასართობია! სასიამოვნო და ლამაზი! კარუსელის მსახურებიც მეტისმეტად თავაზიანი ხალხია!

ძაღლებმა მეტი აღარ გააჩერეს.

– კარგად იყავით! ბედნიერად! – წაიწრიპინა მან და შესახვევში მიიძალა.

– ყველანი ზემოთ! ეგრე მედგრად, არწივებო!

პარკის ჭიშკრიდან მოისმა ბუხუნი და გამოჩნდა ადმირალი ბუმი. აწითლებული იყო და მოკელნაობდა.

– ჰე-ჰე, ჰო-ჰო! ერთი ბოთლი რომი გეახელით! მერე ადმირალი კარუსელზე ქანაობდა! გაქანდა და გამოქანდა! შესანიშნავია! შორეულ მოგზაურობას არ ჩამოუვარდებოდა! – მიაძახა მან ყმაწვილებს და თან მიესალმა.

– ჩვენც მივდივართ! – სიხარულით შესძახა მაიკლმა.

– როგორ! თქვენც? – ადმირალს, ეტყობა, ძალიან გაუკვირდა.

– აბა რა, – ამაყად მიუგო ჯეინმა.

– ალბათ ცოტა ხნით? – ადმირალმა მერი პოპინსს შეხედა.

– ერთხელ დატრიალდებიან, სერ, – ზვიადად უთხრა მერი პოპინსმა.

– აჰ! ეს სხვა საქმეა. კარგად იყავით! – ბუხუნა ხმა თითქოს დაუნაზდა ადმირალს.

მერე, ყმაწვილების გასაოცრად, «სმენაზე» დადგა და გაჭიმულმა მერი პოპინსს მხედრული სალამი მისცა.

– ლუზა აუშვით! – დაიგრუხუნა მან. – აფრა აუშვით! მშვიდობით, საყვარელო, მშვიდობით!

ამ უცნაურ სიტყვებზე ხელი დაუქნია და ბარბაცით, სიმღერ-სიმღერით გაუყვა გზას:

– «ყველაზე ლამაზმანს უყვარს მეზღვაური!»

– რატომ გითხრათ «მშვიდობითო» და რად დაგიძახათ «საყვარელო»? – ჰკითხა მაიკლმა, რომელიც მიმავალ ადმირალს გასცქეროდა.

– იმიტომ, რომ შესაფერ პატივს მცემს! – მოკლედ მოუჭრა მერი პოპინსმა.

მაგრამ ისეთი მეოცნებე თვალეზით იყურებოდა, ჯეინს ისევ აუფორიაქდა გონება და გული შეეკუმშა.

«რა შეიძლება მოხდეს!» – გაიფიქრა მან, და მერი პოპინსს ხელზე ხელი დაადო. მაშინვე სითბო და იმედი ჩაელვარა გულში.

«სულელი ვარ, – დაიმშვიდა თავი, – ყველაფერი კარგად იქნება!»

გამხიარულდა და ეტლს გვერდით აედევნა.

– ერთი წუთით მოიცადეთ! ერთი წუთით! – იძახდა ვიღაც ქალი.

მაიკლმა უკან მიიხედა:

– შეხედეთ, მის პერსიმონი იძახის!

– არაფერიც, – უთხრა მის პერსიმონმა. – მის პერსიმონი კი არა, მისის პარიკი ვარ! – და აწითლებული მისტერ პარიკს მიუბრუნდა. ის ცოტა დაბნეული იყო და იღიმებოდა.

– დღეს პარასკევია? – იკითხა ჯეინმა.

რადგან მისტერ პარიკი იდგა და არ ფრინავდა, პარასკევი არ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, მისი დაბადების დღე ნამდვილად არ იყო.

– არა, არა, – დაამშვიდა მისტერ პარიკმა, – ჩვენ... ჩ-ჩ-ჩ... მოვედით, რომ გისურვოთ... ეჰ, მერი, სალამო მშვიდობისა!

– მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა, მია ელბერტ.

– მაშ შენ დღეს კარუსელით ტრიალს აპირებ? – ჰკითხა მან.

– დიახ. მარტო კი არა. ყველანი ვაპირებთ.

– ყველანი? – მისტერ პარიკს წარბები გაოცებისაგან შუბლს ზემოთ აუვარდა.

– რა მოხდა, ერთს დატრიალდებიან, – უთხრა მერი პოპინსმა. – ჩემად, თუ შეიძლება! – დაუტია მან ტყუპებს, ისინი ეტლში ისხდნენ და მღელვარებისაგან ხტოდნენ. – მოთვინიერებული თავგები ხომ არა ხართ!

– ეჰ, გასაგებია, მერე ჩამოვლენ, არა? კარგად იყავი, მერი. ბონ ვოყაგე! მისტერ პარიკმა ქუდი თავაზიანად მოიხადა.

– კარგად იყავით, და... და გმადლობთ, რომ მოხვედით! – მოხდენილად დაუკრა თავი მისტერ და მისის პარიკებს მერი პოპინსმა.

– რას ნიშნავს ბონ ვოყაგე? – ჰკითხა მაიკლმა. ის მრგვალ გოდორა მისტერ პარიკსა და ხმელ-ხმელ მისის პარიკს გასცქეროდა.

– კეთილ მგზავრობას! მაგრამ შენ კეთილად ვერ იმგზავრებ, თუ წესიერად არ გამოივლი! – ჩააჩუმა მერი პოპინსმა.

მაიკლმა ნაბიჯს აუჩქარა.

მუსიკის ხმა თანდათან მალლა-მალლა იწევდა, ბუკსა და დოლს ქუხილი გაჰქონდა და თავისკენ იზიდავდა ყველას.

– რა უცნაური დღეა! – მოიღუშა ჯეინი.

მერი პოპინსმა შეუტია:

– ერთი მიბრძანე, რა არის უცნაური?

– ყველა გეუბნებათ, «კარგად იყავითო». და კიდევ, ყველანი უცნაურად გიყურებენ...

– ვილაცა რაღაცას იტყვის, რა აზრი აქვს! – ჩაიფრუტუნა მერი პოპინსმა. – მიყურებენ და მიყურონ!

ჯეინმა მხოლოდ ამოიოხრა. მაგრამ, რადგან თვითონაც კარგად არ იცოდა, რატომ იხრავდა, უცებ მოწყდა ადგილიდან, გაიქცა, გაუსწრო მაიკლს, მერი პოპინსს, ბავშვების ეტლს და, მუსიკა საითაც უკრავდა, იქითკენ გაუტია.

– დამიცადე! დამიცადე! – დაუყვირა მაიკლმა და გამოეკიდა.

ეტლიც ჭრიალ-ჭრიალით მიჰყვა კვალდაკვალ.

ცაცხვებით გარშემორტყმულ მინდორში იდგა კარუსელი.

ახალთახალი კარუსელი იყო, სულ ელვარებდა და კამკამებდა. ცხენები მიჯირითობდნენ, სპილენძის ბიჯები ბრწყინავდნენ. თავზე ჭრელი დროშა ფრიალებდა. კარუსელი მორთული იყო ოქროსფერი ხვეულებით, ვერცხლისფერი ფოთლებითა და ფერად-ფერადი ჩიტებით.

მის ლარკი ტყუილად როდი გამოთქვამდა აღფრთოვანებას!

მერი პოპინსი და ბავშვები რომ მიუახლოვდნენ, კარუსელმა სვლა შეანელა. პარკის დარაჯმა, თუმცა თვითონ თითქოს არაფერ შუაში იყო, მოაჯირი ხელით შეაკავა.

– მობრძანდით, მობრძანდით! ერთი პენსი ღირს გასეირნება! – თავაზიანად მიიპატიჟა მოსულები.

– მე ვიცი, რომელი ცხენიც მომწონს! – თქვა მაიკლმა და წითლად და ცისფრად შეღებილ ცხენთან მიირბინა. ცხენის ოქროსფერ საბარკულზე ეწერა: «მხიარული ფეხები». მაიკლი აბობლდა და ბოდს ჩაეჭიდა.

_ არ დაანაგვიანოთ! დაიცავით წესრიგი! _ რატრატებდა დარაჯი, როცა ჯეინმა გვერდით ჩაურბინა.

_ ჩემი ცხენი გრიგალია! _ წამოიძახა ჯეინმა და წითელმოსართავიან მკვირცხლ თეთრ ცხენზე შემოჯდა.

მერი პოპინსმა ტყუპები ეტლიდან ამოიყვანა, ბარბი მაიკლს დაუსკუპა წინ, ჯონი კი ჯეინს შემოუსვა უკან.

_ რომელ ბილეთებს ინებებთ: ერთპენსიანს, ორპენსიანს, სამპენსიანს ოთხპენსიანს თუ ხუთპენსიანს? _ ჰკითხა მერი პოპინსს მეკარუსელემ.

_ ექვსპენსიანს! _ მიუგო მერიმ და ოთხი ექვსპენსიანი გაუწოდა.

ყმაწვილები გაინაბნენ. ექვსი პენსის ჯერ არასოდეს უტრიალიათ კარუსელზე.

_ თქვენ არ წამოხვალთ? _ დაუძახა მაიკლმა.

_ მაგრად მოჰკიდეთ ხელი, მაგრად! _ წაიბუზღუნა მერი პოპინსმა. _ მე მერე ვიტრიალებ!

გაისმა საყვირის ხმა და ნელ-ნელა დაიდრნენ ცხენები.

_ მაგრად მოჰკიდეთ ხელი! _ მკაცრად გაუმეორა მერი პოპინსმა.

ყმაწვილებიც ჩაეჭიდნენ ცხენებს.

ხეები მათ გარშემო დატრიალდა. სპილენძის ბიჯები აღმა-დაღმა სრიალებდნენ. ჩამავალი მზე კარუსელს თვალისმომჭრელ სხივებს სტყორცნიდა.

_ მაგრად, მაგრად! _ ისევ მოესმათ ყმაწვილებს მერი პოპინსის შეძახილი.

ხეები სულ უფრო ჩქარ-ჩქარა ტრიალებდნენ. კარუსელი გარბოდა.

მაიკლმა მაგრად ჩაბლუჯა ბარბი. ჯეინმა ხელები მოხვია მის უკან მჯდარ ჯონს.

ჩქარა, ჩქარა!

ქარი სახეში სცემდათ, უბერავდა, უწეწავდა თმას.

და აი, მთელი პარკი დაბორილდა, დატრიალდა, როგორც გოლიათი ბზრიალა.

ეჩვენებოდათ, ტრიალი არ შეწყდებოდა, ეჩვენებოდათ, დრო შეჩერდაო.

მზე ჩავიდა, შებინდდა. ისინი ტრიალებდნენ და ტრიალებდნენ. უკვე ვეღარ ატყობდნენ, სად ცა იყო, სად მიწა და სად ხეები. მთელი ქვეყანა მობზრიალე გორგლად იქცა და ტრიალებდა და ბრუნავდა გოლიათ ზუზუნა ბზრიალასავით ოთხი, ფერად ცხენებზე ამხედრებული, ყმაწვილის გარშემო.

უცნაური კია, მაგრამ ჯეინი და მაიკლი სულის სიღრმეში თითქოს გრძნობდნენ, რომ ეს არასოდეს განმეორდებოდა. არასოდეს მოუწევდათ ყოფნა ასეთ ჯადოსნურ კარუსელში, არასოდეს იტრიალებდნენ ასე ჯადოსნურად. არასოდეს... არასოდეს...

რბოლა შენედა. ერთმანეთისგან გაარჩევდი ხეებს, მიწას, ცას. პარკი აღარ ბრუნავდა. ნელ-ნელა, ჩუმად მოძრაობდნენ ცხენები. ბოლოს კარუსელი გაჩერდა.

_ მობრძანდით, მობრძანდით, ერთი წრე სულ სამი პენსი ღირს! _ ყვიროდა სადღაც დარაჯი.

დიდხანს ჯდომისაგან ყმაწვილებს ფეხები დაუბუჟდათ და ძლივს ჩამოძვრნენ ცხენებიდან, მაგრამ თვალები უბრწყინავდათ და აღფრთოვანებისაგან ხმა უცახცახებდათ.

– აი, მესმის! – იმეორებდა მაიკლი და აღფრთოვანებული შეჰყურებდა მერი პოპინსს.

– მთელი სიცოცხლე ასე რომ შეიძლებოდეს იტრიალო კარუსელით! – წამოისროლა ჯეინმა და ბარბი ეტლში ჩასვა.

მერი პოპინსმა ყმაწვილებს, მათ გასოცრად, თბილად და ნაზად გადახედა. ან იქნებ ბინდბუნდში მოეჩვენათ ასე ბავშვებს?

– კარგსაცა აქვს დასასრული, – თქვა მან, უკვე მეორედ იმ დღეს.

მერე გახედა კარუსელს და თავი გააქნია.

– ახლა ჩემი რიგია! – გაიღიმა მერი პოპინსმა და ეტლიდან რაღაც ამოიღო.

– მაიკლ! – ლოყაზე ხელი მოუთათუნა. – კარგი ბიჭი იყავი!

მაიკლმა გაოცებით შეხედა, რა მოხდაო?

– ჯეინ! მაიკლსაც მიხედე და ტყუპებსაც! – უთხრა ჯეინს და ხელი ნაზად მოაკიდებინა ეტლის სახელურზე.

– ადგილები დაიკავეთ! ადგილები დაიკავეთ! – იმახდა მეკარუსელე.

კარუსელზე სინათლე აჭახჭახდა.

მერი პოპინსი მიბრუნდა.

– მოვდივარ! – დაუძახა მან, ქოლგა დაუქნია და კარუსელისაკენ გასწია.

– მერი პოპინს! – იწივლა აცახცახებულმა ჯეინმა. უცებ შეეშინდა, თვითონაც არ იცოდა, რატომ.

– მერი პოპინს! – იყვირა მაიკლმაც, ჯეინის შიში მასაც გადაედო.

მერი პოპინსს თავიც არ მოუბრუნებია.

მარჯვედ ახტა ბაქანზე და რუხ ცხენზე ამხედრდა. ამ ცხენს კარამელი ერქვა.

– ერთი გზა გინდათ, თუ უკან მოსაბრუნებელი ბილეთიც გნებავთ? – ჰკითხა მეკარუსელემ.

მერი პოპინსი ერთ წუთს ჩაფიქრდა. ჯერ ყმაწვილებს მოავლო თვალი, მერე მზერა მეკარუსელეზე გადაიტანა.

– ძნელია წინდაწინ გადაწყვეტა, – თქვა ჩაფიქრებულმა, – ეგებ საჭირო გახდეს... უკან დასაბრუნებელი ბილეთიც მომეცით.

მეკარუსელემ მწვანე ბილეთი გახვრიტა და მერი პოპინსს მიუბრუნდა.

ჯეინმა და მაიკლმა შეამჩნიეს, რომ მას მგზავრისთვის ფული არ გამოურთმევია.

ისევ გაისმა მუსიკის ხმა. ჯერ ნელი და ნაზ-ნარნარი, თანდათან ამალღდა, აზავთდა, მწვერვალს უწია. ფერადი ცხენები დაბზორილდნენ.

ყმაწვილები თვალს არ აცილებდნენ მერი პოპინსს. უნაგირზე იგი გამართულად იჯდა, მათ რომ ჩაუვლიდა, წინ იყურებოდა. ქოლგის თუთიყუშისთავა სახელური ილლიის ქვეშ ამოედო, თათმანიანი ხელებით მაგრად ჩაჰფრენოდა სპილენძის ბიჯს. წინ, ცხენის ჯიდაოზე კი...

_ მაიკლ! _ წამოიძახა ჯეინმა და ხელი გაიშვირა. _ ხედავ?
ალბათ ეტლში დამალა! ხალიჩის ჩანთა უდევს!
მაიკლი შეკრთა.

_ ეგრე გგონია?
ჯეინმა თავი დაუქნია.

_ მედალიონი უკეთია! მე თვითონ ვნახე! ძეწკვიც ზედაა!

ტყუპები აჭიჭყინდნენ, მაგრამ არც ჯეინმა, არც მაიკლმა ყურის არ შეი-
ბერტყეს, თვალგაფაციცებით კარუსელს მიშტერებოდნენ. კარუსელი თავგა-
მეტებით ტრიალებდა. ველარ მიადევნებდი თვალს, სად ცხენი იყო, სად ბი-
ჯი, ყველაფერი ერთ მბრწყინავ, კამკამა წრედ შეიკრა. მხოლოდ რუხ ცხენზე ამ-
ხედრებული მუქი სილუეტი ხან ჩაუქროლებდა მათ, ხან სინათლისა და სხივთა გრი-
გალს შეერეოდა.

და აი, მუსიკამ გრგვინვას უმატა და, როცა მუქმა სილუეტმა მათ წინ
ჩაიქროლა, რაღაც ბრჭყვიალა მოწყდა, ჩამოეშვა და ყმაწვილების ფეხებთან
დაეცა.

ეცნენ ასაღებად.
ჯეინმა მოასწრო.

მედალიონი იყო, ოქროს გაწყვეტილ ძეწკვიცზე...

_ ესე იგი, მართლაც ეგრეა! ისაა, ის. ჯეინ, გახსენი!

აცხცახებული თითი ჯეინმა ღილაკს დააჭირა, ხუფი აიხადა. კარუსე-
ლის ციმციმა სინათლეზე თავიანთ ხატს წააწყდნენ. ხუთივე შიგ იყო. შუაში
მერი პოპინსი იდგა: გამჭოლ ცისფერთვალეზა, ვარდისფერლოყეზა, ცხვი-
რაპრეხილი და ხის თოჯინასავით შავთმიანი.

ჯეინი, მაიკლი, ჯონი, ბარბი და ანაბელ ბენქსები
და
მერი პოპინსი

ეწერა სურათს ქვემოთ.

_ აი, რა იყო იქ! _ საცოდავად თქვა მაიკლმა.

ჯეინმა დახურა მედალიონი და ჯიბეში ჩაიდო. ორივემ იცოდა, იმედი
რომ გაწყდა...

კარუსელს მიაჩერდნენ.

და სწორედ დროულად.

რადგან იმ წამს მუსიკამ უფრო იქუხა. ბუკსა ჰკრეს და კარუსელი
ბზრიალ-ბზრიალით მოსწყდა მიწას. სულ ზევით ზევით მიიწევდა. ფერად-
ფერადი ცხენები წრეს უვლიდნენ, ციმციმა შუქი ხეთა წვეროებს ოქროსფერ
ნათელს ჰფენდა.

_ მიფრინავს! _ თქვა მაიკლმა.

_ მერი პოპინს, დაბრუნდით! დაბრუნდით! _ უყვიროდნენ ხელგამვე-
რილი ყმაწვილები.

პასუხს არავინ იძლეოდა.

კარუსელი ყველაზე მაღალ ხის წვეროებს ასცდა და ტრიალ-ტრიალით
თითქოს გას მიეკრა.

მერი პოპინსის სილუეტი გაჩირადდნებულ წრეში ძლივს ჩანდა წერტილივით...

კარუსელიც დაპატარავდა, დაპატარავდა და სადამოს ცაზე სხვა ვარსკვლავებზე ოდნავ დიდ ვარსკვლავადლა ჩანდა.

მაიკლი აქსუტუნდა და ჯიბეში ცხვირსახოცს დაუწყო ძებნა.

_ კისერი მეტკინა, _ შესჩივლა ჯეინს.

ჯეინი მიბრუნდა და ცრემლიანი თვალები ამოიმშრალა. ამოიხვნეშა და უკანასკნელად გააყოლა თვალი კარუსელს.

მერე ბავშვებს მიუბრუნდა და უფროსივით ბრძანა:

_ შინ წასვლის დროა.

_ მობრძანდით, იტრიალეთ კარუსელზე, მხოლოდ სამი პენსი ღირს!

ჩაიდუდუნა დარაჯმა, რომელიც ნაგავს აგროვებდა და ის იყო მიბრუნდა.

მერე იქით გაიხედა, სადაც კარუსელი იდგა და გახევდა. კვალიც არა ჩანდა. ერთი ღერი ბალახიც კი არსად იყო გათელილი...

გაცეცხლებულმა მიიხედ-მოიხედა. პირი დაალო. ზევით აიხედა და კინალამ თვალები გადმოსცვივდა.

_ ეი, თქვენ! _ დაიყვირა მან და ცას მუშტი მოუღერა. _ ასე როგორ შეიძლება! წესრიგს არღვევთ! სასამართლოში გიჩივლებთ! ამწუთას აქ იყო და ახლა აღარაა! _ ბრაზობდა დარაჯი და ხელებს იქნევდა.

_ ასეთი არასოდეს არაფერი მინახავს! ჩემს პატარა ბიჭობაშიც კი! მოხსენებით ბარათს დავწერ! ლორდ-მერს შევატყობინებ!

აცრემლებული ყმაწვილები ნელ-ნელა მიჩანჩალებდნენ შინისკენ.

_ აქეთ წამოსასვლელი ბილეთიც ხომ აიღო. როგორ ფიქრობ, ჯეინ, დაბრუნდება? _ ჰკითხა მაიკლმა.

ჯეინი დაფიქრდა.

_ შეიძლება. თუ ჩვენ ძალიან მოვიწყენთ, მობრუნდება, _ დაასკვნა ჩაფიქრებულმა.

_ ჰო, შეიძლება, _ გაიმეორა მაიკლმა და ამოიხვნეშა, _ შეიძლება დაბრუნდეს.

სახლამდე ისე მივიდნენ, კრინტი აღარ დაუძრავთ.